კვირის პალიტრა
ფეხი
N13(94) 28/
ფასი 60 თ

1168
2002

„ყველაზე ტრაგიკული ქალბატონი...“

თამარი — ქალი, რომელიც ზვიად გამსახურდიას ძალიან უყვარდა

რას მალავენ ფსიქიატრები

გვ. 30

„გამოვკეთდები და პარლამენტში ამ წინადადებით შევალ...“

„ოსკარის“ მოულოდნელობები

მანანა ჯაფარიძე:

„... ახლა საქართველოში ყველა გზა მოჭრილი მაქვს... ჩემს სიმღერებს ეთერში არ გაუშვებენ. ეს ჩემი პედაგოგის „დამსახურებაა“. ის თურმე ჩემზე ამბობს: საქართველო გაყიდა, ფულზე გაცვალო... საქართველო ჩემი გამზრდელია, აზერბაიჯანი — ჩემი ნიჭის დამფასებელი...“

გვ. 27

ქვირის პალიტრა
№13 (94)
28 მარტი – 3 აპრილი 2002
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
იფიქრეთ, ბატონებო, იფიქრეთ! 3
ერთი კითხვა 4
პოზიცია
• „ჩვენ ინფორმატორებს ვერ დავასახელებთ“ 8
• „მათგე საშბარი დროის ფუჭად ხარჯვად მიმაჩნია“ 10
• „მოქალაქეთა კავშირი აღარ არსებობს... “ 11
აქცია
„არ უნდა დაიკარგოს ის, რომ ქართველი მოდელები შიშვლები არ გამოდიან სცენაგე...“ 12
გემოვნება
რა აუშნოებს უძველესი ნივთებით სავსე ბათიაშვილების ინტერიერს 13
კრიმინალი
ცოლმა ქმარს დანაშაული აპატია, მოსამართლეებმა – არა 16
კოლება
სამი თვე **CNN**-ში, გაღადებული ინტერვიუ კლინტონთან და მსგავსება ჯეინ ფონდასთან 18
წარსულის ანაგეჭდი
სიცოცხლის ბოლო წუთებშიც კი თამარი გვიადგე ფიქრობდა და დარდობდა... 21
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 24
პროგლემა
როდესაც ბავშვს არ ესმის, როდესაც ბავშვი ვერ ლაპარაკობს... 24
ემიგრანტი
აგერბაიჯანის ესტრადის ქართველი ვარსკვლავი 27
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაგე 29
ანომალია
არც ოჯახები და არც ფსიქიატრები ამ ტრაგედიებს არ ახმაურებენ... 30
სასარგებლო აზრები
აფორიზმების ენციკლოპედია 31
სამყარო
გღვის პროდუქტები 32

რატომ მოეფერა ჭყონია შევარდნაძეს?

„არის მეორე მომენტიც: რომ არ გაეკვთებინა ის განცხადება, შეიძლება, მისთვის ძალიან მალე მოეთხოვათ იმ ვალის გადახდა, რომელსაც წესით თვითონ უნდა იხდიდეს და არა ხალხი, რომელსაც კოკაინიან „კოკა-კოლას“ ასმევს.“

6

სიცოცხლის ბოლო წუთებშიც კი თამარი ზვიადზე ფიქრობდა და დარდობდა...



რამდენადაც ბატონი კონსტანტინე და ზვიადი თავისებურები იყვნენ ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებაში, იმდენად საოცრად კომუნიკაბელური, ყურადღებიანი და თბილი გახლდათ თამარი, რაც ადამიანებს მისდამი საოცრად დადებით განწყობილებას უქმნიდა.

21

ცოლმა ქმარს დანაშაული აპატია, მოსამართლეებმა – არა



ირინა ყანჩაშვილმა ქმრის ბიძაშვილს უამბო, რაც მასა და ქმარს შორის ეჭვიანობის გამო ხდებოდა. გულახდილობამ გურამ ყანჩაშვილი უფრო გააღიზიანა. ტაბელურ პისტოლეტს სწვდა და მაგიდასთან მჯდომ ცოლს ერთი მეტრის მანძილიდან თავის არეში დაუმიზნა, ისროლა.

16

რა აუშნოებს უძველესი ნივთებით სავსე ბათიაშვილების ინტერიერს



ჩემს კარგ გემოვნებაზე მეტყველებს ის, რომ კარგი მეუღლე შევარჩიე. ქალის სილამაზე ჩემთვის დიდი სტიმულისა და დიდი ენერგეტიკული მუხტის მომნიჭებელია. ქალი უნდა იყოს კოხტა. იცოდეს თავის მოვლა...

13

ტრადიციები

აბორტი ძველად 34

ფავორიტები

აირტონ სენა:
„მე მომავალში ვარ!..“ 36

მოგზაურის დღიურები

ხომ გითხარით – ამერიკა
მართლაც საოცრებათა ქვეყანაა!.. 40

რომანი

ბესიკ კეკელიძე.
უსასრულობა (გაგრძელება) 43

„ოსკარი“

სენსაციებით აღბეჭდილი
დაჯილდოება 47

„ოსკაროსანი“

ჰოლი ბერი – „მის ამერიკა“,
მოგარდებს შორის ჰოლივუდის
მწვერვალისკენ მიიწევს 48

ავტო 50

ფასონი

მოდაშია ის, რაც გიხდება 52

FASHION

საგაგაფხულო მოდა
თამამ ფერებს გვთავაგობს 53

ჯანმრთელობა

- ასთენიური სინდრომი 54
- ტესტი – გაქვთ თუ არა
ასთენია? 55
- სილამაგის სალონი 55
- რჩევები დედებს 56
- დიასახლისის კუთხე 57

აზარტის იმპერია

ცოდვიანი ბიგნესი და
აღმოსავლეთ-დასავლეთის
ორი დიდი მაგნატი 58

სპანგორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (1-7 აპრილი)
ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

მხოლოდ გასათხოვარი
ქალებისთვის: მზად ხართ თუ
არა ოჯახის შესაქმნელად? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „პოლორში“

არც ოჯახები და არც ფსიქიატრები ამ ტრაგედიებს არ ახმაურებენ...

შარშან თბილისში მერვე სართულის ფანჯრიდან დედამ ჯერ უფროსი შვილი გადააგდო, მერე კი, მეორე – რვა თვის გოგონა ხელში აიყვანა და ღია ფანჯრიდან გადაეშვა...

30

ცოდვიანი ბიზნესი და აღმოსავლეთ-დასავლეთის ორი დიდი მაგნატი

სტივ უინმა ლას-ვეგასში სუპერმუზეუმის მშენებლობა დაიწყო, ეგვიპტური პირამიდები, თავისუფლების ქანდაკება, ეიფელის კოშკი და ა.შ. ამ მასშტაბური ატრაქციონის გვირგვინად, უზარმაზარი ტელეანძაა ჩაფიქრებული, რომლის შუქ-სიგნალი კოსმოსიდანაც კი უნდა ჩანდეს.

58

სენსაციებით აღბეჭდილი დაჯილდოება

წლევანდელი დაჯილდოება რამდენიმე სენსაციით აღინიშნა. უპირველესად, ეს მუქკანიანი მსახიობების ტრიუმფზე ითქმის: საუკეთესო მსახიობ ქალად, აფრო-ამერიკელი ჰოლი ბერი დასახელდა, საუკეთესო მსახიობი მამაკაცის ჯილდო კი, დენზელ ვაშინგტონმა დაისაკუთრა.

47

ფსიქიატრობა



– გვეყო დასვენება, წავედით, – ჩაილაპარაკა სიკეთემ და სამივენი წამოდგნენ.

– სეხნი, სანამ პანოში მოვხვდებით, მინდა გაგაფრთხილო, – მიუბრუნდა „შავი“, – აქ შესვლის ბილეთი მხოლოდ ერთი მიმართულებით არის.

43

იფიქრეთ, ბატონებო, იფიქრეთ!

დედაქალაქის პოლიციას ახალი შეფი ჰყავს!

მაგრამ მთავარი ის არის, რომ, შესაბამისად, ძველი აღარ ჰყავს!

უფრო მთავარი კი ის გახლავთ, – რატომ აღარ ჰყავს!

დაბოლოს – სუუულ მთავარ-უმთავრესია, რომ რა საბაბიც დაასახელა მან გადადგომის მიზეზად, იმას, შეკაზმულ-შემწვარ-მოხრაკულსაც კი, აღარავინ ჭამს: არც მის მიერ „დაცული“, დამშეული უბრალო მოსახლეობა და არც მის მიერვე უფრო მუქ ფერებში დახატულ მდგომარეობაში მყოფი პოლიციელები.

თუმცა, მოდით, გვერდზე გადავდებ პროვოკატორობას და ინტრიგანობას და თბილისის ექსშერიფის სიტყვებს ბოლომდე ვენდობი. მით უმეტეს, რომ ისეთი გულწრფელობა გამოსჭვიოდა და ისეთი ალალი ცრემლი უკიაფებდა თვალზე, როდესაც პოლიციელთა გაჭირვებაზე საუბრობდა, რომ მართლა უსინდისო უნდა იყო კაცი, რომ არ დაიჯერო...

თავად განსაჯეთ: „ბიჭებს“ ხელფასები არა აქვთ, რაციები არ მუშაობს, მანქანებში ბენზინს ვერ ასხამენ და „კალოტკებს“ ვერ უცვლიან; დაკავებულების ცემა იკრძალება, წილების საკითხი მოუგვარებელია, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი „ურჩ გადამხდელად“ და ინტრიგანად იქცა და ადვოკატებისა და ე.წ. ადამიანის უფლებათა დამცველების მისამართები და ტელეფონები დაიზეპირა...

ერთი სიტყვით – გასკდა გული, ვაჰ!

იფიქრა იმ კაცმა ერთი თვე, ორი თვე, სამი თვე, ჰა და ჰა – მეოთხე თვეც დაიწყო და... გადაწყვეტილებაც მიიღო! თუმცა, ერთი კია – ამ „ფიქრის“ დაწყება, რატომღაც ახალი მინისტრის მოსვლას დაემთხვა...

ასეა, თუ ისე, პირველი ნაბიჯი გადადგმულია – Великий почин, როგორც ჩვენი ძმადყოფილები იტყოდნენ მაშინ, „ძმობის“ პერიოდში. ახლა მთავარია, სხვებმაც აიტაცონ ეს წამოწყება და დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იქნება – ჩვენთან ხომ მიბაძვა და პრეცედენტის განზოგადება ლამის ეროვნულ თვისებად იქცა! ამიტომ, სულ მალე მოსალოდნელია შემდეგ ჩინოვნიკთა გადადგომა შესაბამისი მოტივაციებით:

განათლების მინისტრს ყელში ამოუვა მასწავლებელთა გაფიცვები და მოსწავლეთა შატალოები. მისი გული ვერ გაუძლებს მშიერ პედაგოგთა თვალებს და ზამთრობით იღლიაში შეშაამოჩრილ მოწაფეთა ცინგლებს... ამიტომ, მიმდინარე თვის ხელფასს აიღებს თუ არა, მაშინვე გადადგება!

ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრი, იმის მიუხედავად, რომ შედარებით ახალდანიშნულია, უკვე „გულიანი ადამიანია“ და უცებ მიხვდება, რაც აქამდე „არ იცოდა“: საქართველოში სიკვდილიანობამ გადააჭარბა შობადობას, პენსიის ოდენობა „თურმე“ 14 ლარი ყოფილა და იმასაც ვერ იღებენ დროულად; ბრმა ნაწლავის „გახეთქვა“, მენჯის მოტეხილობა და „აბშირნი“ ინფარქტი არ ითვლება გადაუდებელ შემთხვევად და ამიტომ მკურნალობა ფასიანია... არ იცოდა იმ კაცმა ეს ყველაფერი. მივიდა, ნახა, შეწუხდა, „დაიწყო ფიქრი“ და ჰა – დღე-დღეზე მოიფიქრებს: სანამ ამ ხალხისა და თავისი უხელფასო ექიმების საცოდაობით გული გაუსკდება და უსახსრობის გამო შინაურ პირობებში მოუწევს მკურნალობა, „ადგება და გადადგება“.

თავდაცვის მინისტრი – როგორ ფიქრობთ, რატომ არის ჩუმად ამდენ ხანს?! ფიქრობს, ბატონო, ფიქრობს! რაზე? – „ბოტასებიან“ ჯარისკაცებზე, უძრავი თვითმფრინავებზე, „ბუნტოვშიკ“ ოფიცრებზე... ავერ, თურმე (!), აფხაზეთი და სამაჩაბლო ლამის „გაღმა“ გასულან... ყველაფერს აქვს საზღვარი (ეს არ ესწავლება გენერალს), მათ შორის – ფიქრსაც და მოიფიქრებს სულ მალე: წავა თავის გზაზე და „ფილოსოფიური ქვის“ ძებნას განაგრძობს...

და ა.შ. და ა.შ...

მაგრამ რას ფიქრობს „მთავარი“? წელან კი ვთქვით, – საზღვარი ფიქრსაც აქვსო, მაგრამ ეს – ჩვეულებრივ მოკვდავთათვის... ხოლო „არაჩვეულებრივ“ მოკვდავთათვის, ანუ უკვდავთათვის, ბუნების კანონებიც არ არსებობს – ისინი სხვანაირად იცინიან, სხვანაირად საუბრობენ, სხვანაირად იქცევიან და, რაც მთავარია, სხვანაირად ფიქრობენ: ღრმად, შინაარსიანად... რაღაცნაირად – საყვარლად...

აი, რაც შეეხება „ფიქრის საგანს“, აქ კი – ბოდიში: უკვდავი იმის უკვდავია, რომ არც გადადგეს და არც ვინმეს აფიქრებინოს, რომ ეს მოხდება. სამაგიეროდ, ამ „უსაზღვრო ფიქრის“ შედეგია ის „მოფიქრალი ბიჭები“, რომლებიც მოდიან და მიდიან, მოდიან და მიდიან, მოდიან და (ჰმ, არ გინდა, კაია) უშვებენ...

იფიქრეთ, ბატონებო, იფიქრეთ – ეს ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა, რითაც ორფეხი განირჩევა ოთხფეხისაგან. ოღონდ, რა უნდა იფიქროთ და რა მოიფიქროთ, კეთილი ინებეთ და „ზემოთ იკითხეთ“!

P.S. არავისზე ნაკლები არ ვარ: ვიფიქრე და გადავწყვიტე გადადგომა: ჩემი „პროვოკაციებით“ ვერავის ვავნე, ე.ი. ტყუილად ვილაყბე – უნდა გადავდგე პროვოკატორობიდან!

უფროს შვილებს – ერთს ინგლისურში ჰყავს ორიანი, მეორეს – მათემატიკაში, უმცროსი საბავშვო ბაღიდან „გარიცხეს“ უმსგავსო საქციელისთვის – მამობიდანაც უნდა გადავდგე!

ამ ბოლო დროს, რაღაც ეჭვი შემეპარა, რომ საქართველო არცთუ კარგად მოწყობილ-დაწყობილი ქვეყანაა და არც პერსპექტივაში „ეჭყანება გაფურჩქნილი მომავალი“. პატრიოტს კი ეჭვი არ ეკადრება – ქართველობიდანაც უნდა გადავდგე!

მოკლედ, ვიფიქრე და ყველაფრიდან უნდა გადავდგე! ფიქრით, კი, ყველას მაგივრად ფიქრობს, ჩვენ რომ ვიცით – ის კაცი!

პროვოკატორი

„მმართველ პარტიაში ერთმანეთს ისევ ჩაქუჩით დასდევენ“

— რას ფიქრობს მანქანადამწვარი მამუკა გიორგაძე, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ და მართლა აპირებენ თუ არა „სახალხოელები“ „წვლილის“ შეტანას კომპრომატების შეგროვების კამპანიაში, რომლითაც ამ ბოლო დროს, ჩვენი პოლიტიკოსები „ნამეტნავად“ არიან გატაცებულნი?

მამუკა გიორგაძე, „სახალხო პარტიის“ ლიდერი:

— „სახალხო პარტიას“, როგორც სერიოზულ ოპოზიციურ ძალას, ყოველთვის ებრძოდნენ, თუმცა, ამ ბინძური ხერხებით ბრძოლისათვის, თვითონვე მიეზღვებოდათ სამაგიერო. ებრძვიან დღესაც. ამის დადასტურებაა ბოლო დროს მომხდარი ფაქტი — ვგულისხმობ მანქანის დაწვას, რომლის გამოძიების იმედიც, მე, პირადად, არა მაქვს. კვლავ კატეგორიულად გამოვრიცხავ შემთხვევითობას და ვაცხადებ, რომ მანქანა, ჩემს გასაფრთხილებლად თუ შესაშინებლად დაწვეს და ეს ქმედება მთლიანად ჩემს პოლიტიკურ მოღვაწეობას უკავშირდება. რაც შეეხება მიმდინარე პროცესებს და კომპრომატების შეგროვების კამპანიას, ვფიქრობ, რომ ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან, ყველაფერი ბუმერანგივით უბრუნდებათ. ისინი ცდილობენ, ერთმანეთს შეაწმინდონ ჭუჭყიანი ხელები და რაც შეიძლება სუფთად ამოვიდნენ წყლიდან — მთავარი პოლიტიკური სკანდალიდან. აი, უკვე რამდენი კვირა გავიდა, ისინი კი მაინც ვერ დაშოშმინდნენ, ერთმანეთს ისევ ჩაქუჩით დასდევენ და ისე არკვევენ, ვინ უფრო კორუმპირებულია. ის, რაც ხდება — თუნდაც ჟვანია-მამალაძის დაპირისპირება და ჟვანიას გაპოზიციონერება, მოსალოდნელი იყო. ყველას ადგილი, „სახელისუფლებო ნატვრის ხეზე“ ნამდვილად არ არის. დღეს ჟვანიას სურს, რაც შეიძლება უფრო დაჩაგრული იყოს და გუშინდელი, თუ გუშინწინდელი ცოდვები ჩამოირეცხოს. ოპოზიციონერი ჟვანია რომ დამარცხდეს, საკმაოდ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდება. გამარჯვების შემთხვევაში კი, ის შევარდნაძეს პარტიისათვის ბრძოლას მოუგებს და მის მხარდამჭერებს ციხეში გაგზავნის. შევარდნაძის კარზე ჟვანიას მოწინააღმდეგე მამალაძემ თავად გამოიჩინა ინიციატივა, რათა შევარდნაძის გარემოცვაში დამკვიდრებულიყო და კანცელარიაში ფეხი უფრო მყარად მოეკიდებინა. პრეზიდენტი ეცდება, მას ერთგულება დაუფასოს, მაგრამ მაინც ვფიქრობ: თუ რაღაც სხვა მექანიზმები არ იქნება ამუშავებული, შინაპარტიულ ბრძოლას ჟვანია მოიგებს. რაც შეეხება კომპრომატებს, ის უკვე შეგროვებულია, თვალსაჩინო და ყველასათვის ხელშესახები. კომპრომატს ვხედავთ ყველგან — ქუჩაში თუ საკუთარ სამზარეულოში და საერთოდ, ეს ქვეყანაა მთლიანად მოქავშირის ერთი დიდი კომპრომატი.

■

„ასეთი სასტიკი დამნაშავეები საქართველოში ერთეულები არიან“

— შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი ადასტურებს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ დაკავებულია ორი პირი, რომელსაც შესაძლოა ლევან კალაძის გატაცებასთან ჰქონდეს კავშირი. მძევალი კვლავ ტყვეობაშია. გამტაცებლებისგან მიღებული ბოლო ინფორმაციით, ისინი ადრე მოთხოვნილი 600.000 დოლარის ნაცვლად, ახლა 65.000 დოლარს ითხოვენ. კიდევ რა არის ახალი კალაძის საქმეში?

კარლო კალაძე, კახა კალაძის მამა:

— ორი პიროვნება, რომელსაც ამ საქმესთან აქვს კავშირი, მართლაც დაკავებულია, მაგრამ არიან თუ არა ისინი ნამდვილად დამნაშავენი, ეს სამართალდამცავებმა უნდა დაადგინონ. ორივე დაკავებული, დასავლეთ საქართველოს მკვიდრია. დარწმუნებული ვარ, რომ მათ ამ საქმის შესახებ ყველაფერი იციან, მაგრამ მიიღებენ თუ არა სამართალდამცავები მათგან ინფორმაციას, ეს მათივე პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. იმედი მაქვს, ამჯერად მაინც არ დაუშვებენ ისეთ შეცდომას, როგორიც დაუშვეს მაშინ, როდესაც ლევანის ტელეფონი, რომლის საშუალებითაც გამტაცებლები გვიკავშირდებოდნენ, ქსელიდან გამორთეს... ჩემს ყურამდე აღწევს უამრავი ჭორი იმის შესახებ, რომ ამ საქმეში თვითონ სამართალდამცავების ხელი ურევია, მაგრამ მე არ შემიძლია ვინმე დავადანაშაულო. სამართალდამცავები ამბობენ, რომ ძალიან რთულ შემთხვევასთან აქვთ საქმე, რომ ასეთი სასტიკი დამნაშავეები, რომელთაც ლევანი გაიტაცეს, საქართველოში ერთეულები არიან. შვიდ თვეზე მეტია გამტაცებლები კონტაქტზე აღარ გამოსულან. ისიც არ ვიცით, ისევ ცოცხალი გვყავს თუ არა შვილი. შს მინისტრთან საუბრისას ვთქვი, რომ თუ პირველ მაისამდე არ იქნება ჩემი შვილი გათავისუფლებული, კანცელარიის წინ თავს დავიწვავ-მეთქი და ამ ნათქვამს მართლა შევასრულებ. კობა ნარჩემაშვილი მაიმედებს, მაგრამ ის, თუ როგორ მიმდინარეობს საერთოდ გამოძიება, იმედს ნაკლებად მიტოვებს. შვიდი თვეა, გამომძიებელი ჩემთან არ მოსულა. უახლოეს პერიოდში ვგეგმავ კიდევ ერთ შეხვედრას პრეზიდენტთან. ვნახოთ, რა გამოვა. ერთადერთი, რაც დაზუსტებით შემიძლია განვაცხადო, ის არის, რომ ლევანი მართლაც გამოსასყიდის მიზნით არის გატაცებული. გამტაცებლები 600 ათასი დოლარიდან 65 ათასზე ჩამოვიდნენ, მაგრამ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ჯერჯერობით, თანხაზე აღარ საუბრობენ. რა იქნება ხვალ არავინ იცის.

კახა და ლევანი

■

„ხელისუფლებას „რუსის“ ჯარის „თურქით“ ჩანაცვლება სურს“

— პოლიტიკური ორგანიზაცია „ერთობის“ თანათავმჯდომარე, ალექსანდრე ჭაჭია აღშფოთებულია, თუმცა, მისი აღშფოთების მიზეზს, თავდაცვის სამინისტროში ვერაფრით ხსნიან. ჭაჭია ფიქრობს, რომ ერთობლივი წვრთნების დამთავრების შემდეგ, რომელიც სასაზღვრო ზოლში უნდა განხორციელდეს, ამერიკა დატოვებს საქართველოს, თურქეთი კი — არა და ის საქართველოში თავისი ინტერესების ბოლომდე განხორციელებას ეცდება. მაინც რა აინტერესებს თურქეთს საქართველოში და რისი გეშინიათ, ბატონო ალექსანდრე?

ალექსანდრე ჭაჭია:

— ჩვენი ხელისუფლება თურქეთთან ამ ბოლო დროს ძალიან „ჩახუტებულია“ და ეს მაშინ, როდესაც თურქეთის 120-ათასიანი არმია საქართველოს საზღვართან დგას. მარნეულის აეროპორტს უკვე თურქები აკონტროლებენ. ხმამაღლა ამის შესახებ არავინ საუბრობს, რეალობა კი შემაშფოთებელია. მარნეულის შემდეგ, ჯერი დედოფლისწყაროს აეროდრომზეა მიმდგარი. კეთდება განცხადებები, რომ იქ აეროდრომის აღდგენითი სამუშაოები უნდა დაიწყოს. კი, ბატონო, მაგრამ ვინ დააფინანსებს ამ ყველაფერს — თურქეთი?! თუ დედოფლისწყაროს აეროდრომის აღდგენა, თურქეთის ხარჯზე მოხდება, ფიქრობს კი ვინმე, რა მოჰყვება ამას? რა და — ანექსია! თუ ამერიკელების წასვლის შემდეგ, საქართველოს თურქეთი გააკონტროლებს და „რუსის“ ჯარის, „თურქის“ ჯარით ჩანაცვლება მოხდება, მაშინ როგორ, რა ბერკეტებზე დაყრდნობით გადაწყვეტს მომავალში ხელისუფლება ე.წ. „თურქი მესხების“ პრობლემას? აი, კითხვა, რომელიც ჯერჯერობით არავის აღელვებს, მომავალში კი, სავალალო შედეგს მოიტანს. ■

დატოვებს თუ არა ზურაბ ჩხაიძე თანამდებობას?

— ქალაქის პოლიციის უფროსის თანამდებობიდან კახა ბაკურაძის წასვლის შემდეგ, გაჩნდა მოსაზრება, რომ შს მინისტრმა უკვე დაიწყო კახა თარგამაძის „ნარჩენებისგან“ გათავისუფლება. განხორციელებული საკადრო ცვლილების შემდეგ, ხშირად გაისმის შეკითხვა: როდის გაიზიარებს ზურაბ ჩხაიძე კახა ბაკურაძის ბედს?

კობა ნარჩემაშვილი, *შს მინისტრი:*

— საჯაროდ ვაცხადებ, რომ ზურაბ ჩხაიძე თანამდებობას არ დატოვებს და დროა, პრესაში თუ კულისებში ამის შესახებ დისკუსია შეწყდეს. მე მიუღებლად და არაკორექტულად მეჩვენება ამის შესახებ შეკითხვების დასმაც კი. ბატონი ზურაბი პროფესიონალია. ის იღებს და მშვენივრად ართმევს თავს სერიოზულ დავალებებს და ვერ ვხედავ მიზეზს, რომ მისი თანამდებობიდან წასვლის საკითხი დღის წესრიგში დადგეს. ეს არის სისტემა, რომელშიც ნებისმიერმა მოუზომავად ნათქვამმა სიტყვამ შეიძლება სამინისტროს მუშაობაში დისონანსი შეიტანოს და საკმაოდ მძიმე შედეგებითაც კი დამთავრდეს. თუმცა, ჩემი განცხადება იმას არ ნიშნავს, რომ შს სამინისტროში ზოგადად საკადრო ცვლილებებზე საუბარი შეწყვეტილია. საკადრო ცვლილებები განხორციელდება იმ მოთხოვნების შესაბამისად, რასაც

ზურაბ ჩხაიძე

ჩვენ წინაშე ყოველდღიურობა დააყენებს. მაგრამ მხოლოდ ისეთ დროს და ისეთ ვითარებაში, როდესაც ამისი აუცილებლობა იქნება. ■

ეკლესიის ეზოში ნაკურთხი წყლის თორმეტი წყარო გაკეთდება

— სიონის საკათედრო ტაძრის ეზოს კეთილმოსაწყობად, სამუშაოები მიმდინარეობს. ვრცელდება ხმა, რომ ეკლესიის ეზოში ნაკურთხი წყარო გვექნება. მართალია თუ არა ეს?

თამაზ ტეტუნაშვილი *(კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი):*

— მართალია. ეკლესიის ეზოში გათვალისწინებულია ნაკურთხი წყლისთვის განკუთვნილი თორმეტი წყაროს გაკეთება. სულ მალე, ადამიანებს აღარ მოუწევთ რიგში დგომა ნაკურთხი წყლის ასაღებად, რადგან ის წყაროს სახით იჩუხჩუხებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ, ტაძარში მოთავსებულ ხატებს საფრთხე აღარ დაემუქრებათ. ტაძრის კედლებს წლების მანძილზე აზიანებდა გრუნტის წყლები, იყო სინესტე. ამიერიდან ეს პრობლემაც მოგვარდება. ტაძრის მთავარ შესასვლელთან ქუჩა ჩაიჭრება, ეკლესიის ეზო გაფართოვდება, რადგან ლიტანიობისთვის საკმაოდ პატარა ადგილია. გაკეთდება ლითონის, მოაჯირიანი ორი მომრგვალებული კიბე. დამონტაჟდება ახალი სადრენაჟო სისტემა, სამუშაოს დასრულების შემდეგ კი ტაძრის ეზო ბაზალტით მოიკირწყლება. ■

ფრთხილად, მოსალოდნელია დივერსიული აქტი!

— დავით თევზაძემ საგანგებო ბრიფინგზე გააკეთა განცხადება, რომ უახლოეს მომავალში, საქართველოში მოსალოდნელია დივერსიული აქტი, რომლის მიზანიცაა საქართველო-ამერიკის ერთობლივი ანტიტერორისტული პროგრამის შეფერხება. კონკრეტულად, რა დივერსიული აქტია მოსალოდნელი?

დავით თევზაძე, *თავდაცვის მინისტრი:*

— ჩაფიქრებულია სამშვიდობო ბლოკ-პოსტებზე თავდასხმის ინსცენირება, რაც გახდება საბაბი იმისა, რომ რუსეთის სამშვიდობოების მხრიდან გაიხსნება ცეცხლი, ჯერ ვითომდა თავდაცვის მიზნით, შემდეგ კი განხორციელდება შემტევი ხასიათის ღონისძიება. გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ, როგორც აფხაზეთში, ასევე ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ განლაგებულმა სამშვიდობოების კონტინგენტმა უკვე მიიღო დავალება სამხედრო ტექნიკის, აღჭურვილობისა და მობილიზაციის გაძლიერების თაობაზე. რუსეთი დივერსიულ ჯგუფებს საქართველოს ტერიტორიაზე უახლოეს მომავალში გადმოსხამს. არ არის გამორიცხული, რომ პროვოკაცია სამშვიდობო ძალების ბლოკ-პოსტებზე რუსების მიერ დაქირავებული გლეხების მონაწილეობით განხორციელდეს. მასშტაბურ ოპერაციას რუსები ჯერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მიმართულებით განახორციელებენ, შემდეგ კი, პანკისის მიმართულებითაც დაინტერესდებიან. ეს ყველაფერი, საბოლოოდ, მიმართული იქნება იმისკენ, რომ შეყოვნდეს ან ჩაშალოს საქართველო-ამერიკის ერთობლივი პროგრამა, რომელიც ანტიტერორისტული ხასიათისაა, ითვალისწინებს მხოლოდ წვრთნების ჩატარებას და არაფერი აქვს საერთო აფხაზეთის პრობლემის მოგვარებასთან. ეს არის ჩვენი სახელმწიფოს ოფიციალური პოზიცია: სანამ არსებობს აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანად მოგვარების პერსპექტივა, იქ არანაირი საომარი მოქმედებები არ დაიწყება. ■

რატომ მოეფერა ჭყონია შევარდნაძეს?

— თემურ ჭყონია ამბობს: მე ბიზნესმენი ვარ, ჩემი მოსაზრება გავუზიარე პრეზიდენტს და კოლეგებს, ხოლო გაუხანგრძლივებენ თუ არა შევარდნაძეს საპრეზიდენტო ვადას, პარლამენტარების საქმეა და ისინი ისე უნდა მოიქცნენ, როგორც საჭიროდ ჩათვლიანო. მაინც რატომ მოეფერა ჭყონია შევარდნაძეს და რას მიაღწევს ამით?

შალვა ნათელაშვილი, *ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:*

— თემურ ჭყონია იძულებულია, მოეფეროს პრეზიდენტს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩვენი ბიზნესმენები, თუ გარკვეულ სახელისუფლო წრეებთან არ მიაღწევენ შეთანხმებას, მოკლედ, თუ მათ არ გაურიგდებიან, ვერ მიიღებენ იმ ფინანსურ დათმობებს, შეღავათებს და გრანტებს, რომლის გარეშეც თავისი ბიზნესის წარმოება შეუძლებლად მიაჩნიათ. არის მეორე მომენტიც, რომელიც კონკრეტულად ჭყონიას პირად ინტერესებში შედის: ეს არის ის 5-მილიონნიანი კრედიტი, რომელიც მან თურქული ბანკისგან აიღო და რომელსაც ახლა ჩვენ ვიხდით. რომ არ გაეკეთებინა ის განცხადება, რაც ჯერ ვანო ზოდელავას გაახმოვანებინეს, შემდეგ კი ჭყონიას, შეიძლება, მისთვის ძალიან მალე მოეთხოვათ იმ ვალის გადახდა, რომელსაც წესით თვითონ უნდა იხდიდეს და არა ხალხი, რომელსაც კოკაინიან „კოკა-კოლას“ ასმევს. ჭყონია-ლეკიშვილის დუეტმა ჩაკლა და გაანადგურა ქართული წარმოება; გაანადგურა და მიწასთან გაასწორა ჩვენი მინერალური წყლებისა თუ ლაღიძის წყლების წარმოება. იქამდეც კი მივიდნენ, რომ ლაღიძის შთამომავალი „კოკა-კოლას“ პრეზიდენტს მოადგილედ უზის. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ქართულ ბიზნესს აფერხებენ, საშუალებას არ აძლევენ, ჩვენთან საშუალო და წვრილი ბიზნესი განვითარდეს; ყოველნაირად უშლიან ხელს იმას, რომ წვრილი საწარმოების განვითარებისთვის გამოყოფილი კრედიტი, დანიშნულებისამებრ განაწილდეს, რადგან სწორედ ამ წვრილი ბიზნესის განვითარებაში ხედავენ თავის კონკურენტებს. სად, ვისზე განაწილდა 12-მილიონიანი კრედიტი, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან მოვიდა და რომელიც 7%-იანი სესხების სახით უნდა გაცემულიყო წვრილ მეწარმეებზე? — აი, ამიტომ ვუწოდებ მათ ოლიგარქებს და ამიტომ გადავწყვიტე, მათ წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი მოძრაობა წამოვიწყო. ■

დოლარი ძვირდება, რა ელის ლარს?

— სხვადასხვა პროდუქტზე ფასები მატულობს. დოლარს გაძვირებას უწინასწარმეტყველებენ, ლარის კურსს კი — დაბლა დაცემას, რადგან უახლოეს მომავალში, ეროვნული ბანკი სახელმწიფოს 32 მილიონ ლარს გადაურიცხავს. სწორია თუ არა ეს პროგნოზი, ემუქრება თუ არა ლარს რეალურად ინფლაცია?

მერაბ კაკულია, *ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი:*

— ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ლარის კურსი დოლართან მიმართებაში არ შეცვლილა. ფასების მატება პროდუქტზე, ტრადიციულ, სეზონურ მატებას უკავშირდება და არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს ლარისთვის, რადგან, სამომხმარებლო ფასების ინდექსი მხოლოდ სამი პროცენტითაა გაზრდილი. სინამდვილეს შეეფერება ის ინფორმაცია, რომ ეროვნულმა ბანკმა სახელმწიფოს უნდა გადაურიცხოს ე.წ. მოგების თანხა, რომელიც წლეულს 32 მილიონი ლარითაა განსაზღვრული. ავრცელებენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ბანკი ამ თანხის გადარიცხვას შეგნებულად აგვიანებს, შემდეგ კი, მას ერთშაბად გადარიცხავს. ეს მცდარი ინფორმაციაა, რადგან კანონით განსაზღვრულია, რომ გადარიცხვის ვადა, ბანკს პირველ აპრილამდე აქვს. გადარიცხული თანხის დიდი ნაწილი მიმოქცევაში არ მოხვდება, სახელმწიფოს, ბანკის ვალი აქვს და ის თანხის ნაწილს უკან დააბრუნებს. ესეც რომ არ იყოს, ამდენი თანხის ემისია ერთბაშად მაინც არ მოხდებოდა, რადგან ეს პროცესი მართლაც უარყოფითად აისახებოდა ლარის კურსზე. ასე რომ, 32 მილიონიდან მიმოქცევაში მოხვდება მხოლოდ ოთხი მილიონი. ამდენად, ის ლარის კურსზე ვერანაირად ვერ იმოქმედებს *(ბატონი მერაბის ნათქვამს დოლართან დაკავშირებულ ერთ ინფორმაციასაც დავძენთ. ამერიკულმა საქმიანმა გაზეთებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შეიძლება კუპიურებს ახალი ფერები შეემატოს. ეს უჩვეულო საჩუქარი (და არა ხუმრობა), აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს დიზაინერებმა საპირველაპრილოდ მოამზადეს. 1 აპრილს დოლარის ნიშანს 224 წელი უსრულდება. დოლარის დიზაინის შეცვლამ შეიძლება დიდი აურზაური გამოიწვიოს იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნულ ვალუტასთან ერთად, დოლარსაც ფართოდ იყენებენ, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები მოსალოდნელი ცვლილების შესახებ წინასწარ იუწყებიან.—ავტ.).*

რუბრიკა მოამზადა
ნანა ქიბიმაურმა

კობა კაპანაძე

ამ დღეებში კიდევ ერთმა სკანდალმა იქუხა: კორუფციასთან მებრძოლ მიხეილ სააკაშვილსა და მისი გუნდის წევრებს, სწორედ კორუმპირებულობაში დასდეს ბრალი. „განგაშის ზარები“, შედარებით ახალმა არასამთავრობო სტრუქტურამ — „ჟურნალისტურმა ანტიკორუფციულმა საგამოძიებო ორგანიზაციამ“ შემოპკრა.

„ჩვენ ინფორმატორებს ვერ დავასახელებთ“

კობა კაპანაძე, *ორგანიზაციის თავმჯდომარე:*

— ჩვენმა ორგანიზაციამ, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე დამოუკიდებელი ჟურნალისტი, ფუნქციონირება დაიწყო გაცილებით ადრე, ვიდრე გამოვიძიებდით ჟვანია-სააკაშვილის ფინანსურ ინტერესებს. ჩვენ გამოვიძიეთ საკმაოდ გახმაურებული ცეკავშირის საქმე და ქალაქის პოლიციის საქმე, რომელიც ალავიძის მოხსნით დასრულდა.

— ვინ აფინანსებს თქვენს ორგანიზაციას?

— ჩვენ ვართ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც გრანტს ვერ იღებს. საქართველოში გრანტების 80%-ს ლობირებას უწევს ჟვანია-სააკაშვილის კლანი და შავი ფული თეთრდება გრანტების მეშვეობით. ამიტომ გრანტის მიღებაზე დაწესებულია კონტროლი. ვერ მივალ სააკაშვილთან და ვერ ვეტყვი: გრანტი მომეცი-მეთქი. ასე რომ, ვართ მხოლოდ ენთუზიაზმზე, ჩვენ გრანტზე უარს არ ვიტყვით. გრანტის მიღება სირცხვილი კი არ არის?! არც უშიშროების სამინისტროს გენერლობაა სირცხვილი — გააჩნია, როგორ გამოიყენებ თანამდებობას და როგორ დახარჯავ გრანტს. საქართველოში ყველაზე უკეთესი კომპიუტერია „პენტიუმ-4“, რომელიც ღირს 700-დან 1.000 დოლარამდე. ხოლო „პენტიუმ-133“ — 100-დან 200 დოლარამდე. ამიტომ ლევან ბერძენიშვილი რომ წერს, „პენტიუმ 133“-ში 1.100 დოლარი მაქვს გადახდილიო, ეს არის სირცხვილი.

— როდის დაიწყეთ ჟვანია-სააკაშვილის გუნდის ფინანსური ინტერესების შესწავლა და რატომ გამოაქვეყნეთ მაინცდამაინც ახლა, როცა გამწვავდა კონფლიქტი ჟვანია-მამალაძეს შორის?

— 2001 წლის 20 სექტემბერს დავიწყეთ ჟვანია-სააკაშვილის ფინანსური ინტერესების შესწავლა. მიხეილ სააკაშვილი მაშინ იყო იუსტიციის მინისტრი. ჩვენ შეგნებულად არ გამოვაქვეყნეთ „ჭიათურმანგანუმის“ და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის შესახებ გამოძიების მასალები, რადგან გამოძიების დასრულება დაემთხვა საპარლამენტო არჩევნებს ვაკის რაიონში: დროებით შევაჩერეთ მასალების გამოქვეყნება, რათა რომელიმე ძალას არ გამოეყენებინა ეს თემა სააკაშვილის წინააღმდეგ და სხვის წისქვილზე არ დაგვესხა წყალი. როცა მოვნახეთ ხელსაყრელი დრო, მაშინვე გავავრცელეთ ინფორმაცია, რომ ზესტაფონის „ფეროში“ და „ჭიათურმანგანუმში“ ჟვანია-სააკაშვილის ფრთას სერიოზული ინტერესები აქვს. ჩვენ არც ის დაგვიმალავს, რომ სააქციო საზოგადოება „მადნეულთან“ დაკავშირებით ერთმანეთს შეეჯახა ჟვანია-სააკაშვილის ფრთისა და ლევან მამალაძის ფრთის ინტერესები. მაგრამ ბოლო პერიოდში ლევან მამალაძის ფრთამ აჯობა ჟვანია-სააკაშვილისას და გავლენის სფერო „მადნეულში“ ლევან მამალაძეს დარჩა. ასევე მოხდა „კლანთა როტაცია“ „კვარციტში“.

— როდესაც თქვენ აცხადებთ, რომ მიხეილ სააკაშვილს ბაბუამ შესანიშნავი სამსახური გაუწია და ის უშიშროებასთან დააახლოვა, მართლა მიგაჩნიათ, რომ ეს კა-გე-ბესთან სააკაშვილის თანამშრომლობის დასამტკიცებელ სამხილად გამოდგება?

— ჩვენ ვთქვით, რომ მიშა სააკაშვილის ბაბუა იყო საგარეო დაზვერვის სამსახურის მაღალჩინოსანი. ეს არის მიხეილის ბაბუა დედის მხრიდან — გვარად გახლდათ ალასანია. და საერთოდ — ვისაც აინტერესებს გაიგოს, ვინ იყო სააკაშვილის ბაბუა, გადაშალოს საბჭოთა ენციკლოპედიის მერვე ტომი და ნახავს. სწორედ იმ ალასანიას შვილიშვილი არის დღევანდელი უშიშროების მინისტრის მოადგილე. გამოდის, რომ ვალერი ხაბურძანიას, მოადგილედ ჰყავს სააკაშვილის დეიდაშვილი. მე არ მიმაჩნია, რომ უშიშროების მინისტრობა სირცხვილია ან თუნდაც კომკავშირელობა, მაგრამ როცა სხვის კომკავშირულ და კომუნისტურ წარსულზე ვსაუბრობთ და ვთვლით, რომ ეს სამარცხვინოა, არ უნდა დაგვავიწყდეს საკუთარი წარსული. თავად მიშა სააკაშვილმა სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიხადა რუსეთის „ვე-ვე-ეს“-ში (სამხედრო საჰაერო ძალები. — ავტ.). კიევის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ის გაემგზავრა აშშ-ში სასწავლებლად. მისი სწავლება დააფინანსა კომპანია „პეტერსონ ბელქნაფმა“. „პეტერსონ ბელქნაფი“ იღვწის იმისთვის, რომ გადააქციოს საქართველო სომხეთის სატრანზიტო გზად შავ ზღვაზე. როცა ჩვენ ეს მასალები გამოვაქვეყნეთ, მაშინ გავხდით ცუდი ბიჭები და ჟვანია-სააკაშვილის კლანი წავიდა ბინძურ პროვოკაციაზე ჩვენს წინააღმდეგ.

— რატომ არ აქცევს ყურადღებას მიხეილ სააკაშვილი ამ ბრალდებებს?

— სააკაშვილი ვერ ალაპარაკდა, რადგან მას არ გააჩნია არგუმენტები. სამაგიეროდ, ის ლაპარაკობს სხვისი პირით. კობა დავითაშვილს მე წინ დავუწყე საბუთები, მაგრამ კობა დავითაშვილი არის ნაციონალური მოძრაობის ის არტილერია, რომელსაც უშვებენ ისეთ დებატებში, სადაც არგუმენტები არ გააჩნიათ და დემაგოგია სჭირდებათ. სააკაშვილთან დაპირისპირებას ერიდება ჩინოვნიკების უმეტესობა, რადგან მათ ეშინიათ სააკაშვილის.

— რატომ ეშინიათ?

— იმიტომ, რომ არანაკლები დანაშაული აქვთ ჩადენილი და სააკაშვილი არ მოერიდება მათზე კომპრომატების გამომზეურებას, თუ მას გააღიზიანებენ.

მე სააკაშვილის არ მეშინია. სკოლის მერხიდან მივედი უნივერსიტეტში, შარშან დავამთავრე იურიდიული ფაკულტეტი. პარალელურად ვეწეოდი ჟურნალისტურ საქმიანობას.

— რას გულისხმობთ ჟურნალისტურ საქმიანობაში?

— მე ლანჩხუთელი გახლავართ და ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს ვთანამშრომლობდი დამოუკიდებელ გაზეთში „ლანჩხუთი +“. თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარე 1996 წელს, ხოლო ორი წლის შემდეგ, იმავე უმაღლესი სასწავლებლის ჟურნალისტიკის მეორად ფაკულტეტზე. პარალელურად ვმუშაობდი გაზეთ „საქართველოში“, ჯერ კორესპონდენტად, მოგვიანებით, განყოფილების გამგედ, ბოლოს კი, რედაქტორის მოადგილედ.

— ჟურნალისტური გამოძიება საკმაოდ სპეციფიკური დარგია. თქვენს საზოგადოებაში თუ არიან გაერთიანებულნი მეტ-ნაკლებად ცნობილი და გამოცდილი ჟურნალისტები?

— დიდი გამოცდილების მქონე ჟურნალისტები ჩვენთან გაერთიანებულნი არ არიან, მაგრამ ჩვენ ნებისმიერ გამოცემასთან ვთანამშრომლობთ, რომელიც ამის სურვილს გამოთქვამს და არ მოიაზრება ამა თუ იმ კლანის გავლენის ქვეშ. თანაც, თუ ჰონორარს გადაგვიხდიან.

— დღეს ვისთან თანამშრომლობთ?

— ამ კითხვაზე პასუხისგან ჯერ-ჯერობით თავს შევიკავებ, რადგან მათ, ვინც ჩვენი მასალები გამოაქვეყნა, პრობლემები შეექმნათ. მოგვიანებით, ყველაფერს ვიტყვი. საერთოდ კი, მე არც სახელმწიფო სტრუქტურაში მიმუშავია და არც მექრთამე ვყოფილვარ.

— არც „მამალაძის კლანის“ წარმომადგენელი ხართ — როგორც ამას ბევრი ამბობს?

— არა. სამწუხაროა, რომ უკვე გვიწევს ამის მტკიცება. ეს იმის შედეგია, რომ თუნდაც ჟვანია-სააკაშვილის ფრთას ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება ჟურნალისტებმა ანგაჟირების გარეშე თავიანთი საქმე აკეთონ და პროფესიონალური სიყვარული გამოამჟღავნონ. „გზა“ იქნება ის საინფორმაციო საშუალება, რომელშიც ჩვენ, უკანასკნელად ვაკეთებთ განცხადებას თავის მართლების მიზნით... რა გააკეთეს ე.წ. რეფორმატორებმა? ის საქმე, რომელიც ქვეყნისთვის იყო აუცილებელი — ანუ სასამართლო რეფორმა — როგორ განახორციელეს? თუ უწინ მოსამართლეს დიდი მოწიწებით უგზავნიდნენ ნაცნობებს საქმის გასაკეთებლად, ახლა მოსამართლე იქით ცდილობს ქრთამის ასაღებად, დაინტერესებულ პირებთან კონტაქტზე გასვლას. ჩვენ გვაქვს კონკრეტული ფაქტები და როცა საჭირო გახდება, გამოვამზეურებთ. მართალია, ისინი იქმნიან ჭკვიანი პოლიტიკოსების იმიჯს, მაგრამ არ არიან ჭკვიანი პოლიტიკოსები. ზურაბ ჟვანია ქვეყანაში მეორე კაცი იყო. მას და სააკაშვილს „პოდნოსზე“ ედოთ პრეზიდენტობა, თუკი 2005 წლამდე მოიცდიდნენ, მაგრამ სამი წელი ვერ მოითმინეს და, როგორც სამეფო კარზე დასაჭურისებული მსახურები, კარის ინტრიგებს ხლართავდნენ, დაიწყეს ქვეყნისა და სახელმწიფოსათვის საშიში თამაში — პედაგოგებთან, ექიმებთან, რეგიონებთან და ა.შ. ზურაბ ჟვანია იმ დონემდე დავიდა, რომ რიგით გუბერნატორს (ლევან მამალაძეს) ებრძვის, გაძვალტყავებული, პოლიტიკურად გაკოტრებული მოქალაქეთა კავშირის ხელში ჩასაგდებად. როცა კობა დავითაშვილი გვაძლევდა მასალებს ლევან მამალაძის წინააღმდეგ და ამას ვაფიქსირებდით, მაშინ არ ვიყავით ლევან მამალაძის კლანი?! ჟვანია-სააკაშვილის გუნდი საქართველოში ლობირებდა უმსხვილესი ქართული წარმოებების გაკოტრებას. ეს იყო „ჭიათურმანგანუმი“, „კვარციტი“, ზესტაფონის „ფერო“ და „ჟინერი“, რომლის გარშემო ატეხილმა დავამ, სასამართლოში გადაინაცვლა. ერთ მხარეს მიხეილ სააკაშვილის გამზრდელი „პეტერსონ ბელქნაფია“, მეორე მხარეს კი — ირაკლი ოქუაშვილი, რომელიც აცხადებდა, 26 მილიონი უნდა წავაგოთო. ამ შემთხვევაში, ქალაქის ბიუჯეტს ოქუაშვილისთვის 500.000 ლარი კომპენსაცია უნდა მიეცა. აი, ასეთ მაქინაციებში აქვთ ჟვანია-სააკაშვილის გუნდს მონაწილეობა მიღებული. აღმოჩნდა, რომ მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანია ჟურნალისტს დაუფინანსებია. არ დავაკონკრეტებ, რომელი სამთავრობო ორგანიზაციის წევრია ეს ჟურნალისტი, — საზოგადოება ისედაც მიხვდება, რომელ ჟურნალისტს აქვს საქართველოში ამდენი ფული! აი, ასეთი პოლიტიკით მოქმედებს ჟვანია-სააკაშვილის კლანი.

დიმიტრი ტიკარაძე

— კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ მიხეილ სააკაშვილს თქვენ გრანტების მითვისებაშიც ადანაშაულებთ?

დიმიტრი ტიკარაძე, *„ანტიკორუფციული ჟურნალისტური საგამოძიებო ჯგუფის“ ხელმძღვანელი:*

— ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლო რვა წლის განმავლობაში საქართველოში გაცემულია 2 მილიარდ 600 მილიონზე მეტი ოდენობის გრანტი და კრედიტი. ამ თანხის 40% მოდის გრანტებზე. ხოლო ამ 40%-ის უდიდესი ნაწილი — დაახლოებით 80%, — მითვისებული აქვს ჟვანია-სააკაშვილის კლანს.

— თქვენც უარყოფთ, რომ არ ხართ ლევან მამალაძის კლანი?

— ჩვენ მამალაძის ფინანსურ ინტერესებზე უამრავი მასალა გვაქვს. როგორც იცით, არსებობს სააქციო საზოგადოება „მადნეული“, რომლის 98% სახელმწიფოს საკუთრებაა. მე კი ჩემი გამოძიებით დავადგინე და ღიად შემიძლია განვაცხადო, რომ ეს 98% არის ლევან მამალაძის კონტროლის ქვეშ. „მადნეულში“ შემოსულია უცხოური ფირმა „გლენკორი“, რომელთანაც ახლო კავშირები აქვთ ლევან მამალაძეს და მის მარჯვენა ხელს — ზურაბ ლობჟანიძეს. ისინი მუშაობენ „მადნეულის“ გაკოტრების გეგმით.

— ვინ გაწვდით ინფორმაციას? გყავთ ხელისუფლებაში ინფორმატორები?

— ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა, ვინ გვაწვდის ინფორმაციას. ჩვენ მის სახელს არ დავასახელებთ. ჩემი ინფორმატორი შეიძლება იყოს ნებისმიერი მხარე ან მხარის წარმომადგენელი. ერთადერთი შემთხვევა, როცა გახმაურდა, თუ ვინ მოგვაწოდა მამხილებელი დოკუმენტაცია, თემურ შაშიაშვილი გახლდათ: მან ეს თავად მოისურვა და მოგვცა იმერეთის გუბერნატორის ბეჭდით დამოწმებული საბუთები. ამიტომაც მუსირებს აზრიც, რომ ჩვენი ორგანიზაცია „შაშიაშვილის კლანისაა“. ■

პეტრე ცისკარიშვილი

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი კორუფციასა და გრანტების მითვისებაში მისი დადანაშაულების საპასუხოდ, მკვეთრი რეაქციის ნაცვლად, დუმილს ამჯობინებს. სამაგიეროდ, მისი გუნდის წევრები არ იშურებენ ინტერვიუებს. თუმცა, პეტრე ცისკარიშვილმა ჩვენთან საუბარში სინანული გამოთქვა იმ წუთების გამო, რომელიც მან კობა კაპანაძის ბრალდებებზე საუბარს დაუთმო...

„მათზე საუბარი დროის ფუჭად ხარჯვად მიმაჩნია...“

— „ჟურნალისტური ანტიკორუფციული საგამოძიებო ორგანიზაცია“ ჟვანია-სააკაშვილის გუნდს სერიოზულ ბრალდებებს უყენებს. რატომ არ იშველიებთ არგუმენტებს, თავის მართლების მიზნით?

— ჩემი აზრით, ეს ბრალდებები არის ძალიან არასერიოზული და მათზე საუბარი დროის ფუჭად ხარჯვად მიმაჩნია. მასმედიამ უკვე საკმარისი ადგილი დაუთმო ამ თემას. ის ხალხი, რომელიც აცხადებს, რომ სააკაშვილი ბაბუამ დააკავშირა უშიშროებასთან და რომ მიშა გარეულია შავბნელ საქმეებში „პეტერსონ ბელქნაფთან“, პასუხის გაცემის ღირსი არ არის. ჩემთვის ისიც გაუგებარია, პრესა ასეთ აბსურდულ ბრალდებებს რატომ უთმობს ადგილს.

— თქვენი დუმილი მხოლოდ იმითაა გამოწვეული, რომ „ჟურნალისტური ანტიკორუფციული საგამოძიებო ორგანიზაციის“ წევრები არ მიგაჩნიათ ღირსეულ ოპონენტებად?

— ღირსეულ ოპონენტებად ეს ადამიანები იმ არგუმენტების გამო არ მიგვაჩნია, რასაც ისინი აყენებენ. ეს არის ის ხალხი, ვისაც მხოლოდ იმისთვის ქირაობენ, რომ აბსურდული და უსუსური ჭორები გაავრცელონ.

— იყო პერიოდი, როცა მათ აბრალებდნენ, თითქოს თემურ შაშიაშვილის გუნდის წევრები იყვნენ. ახლა მათ ლევან მამალაძის კლანს მიაკუთვნებენ. თქვენ თუ გაქვთ რაიმე სანდო ვერსია?

— ეს „ჟურნალისტური ანტიკორუციული საგამოძიებო ორგანიზაცია“ არის ბაზარზე გამოტანილი „სააქციო საზოგადოება“: ვინც ფულს გადაუხდის, ყველას მოემსახურებიან...

— ვინ შეიძლება უხდიდეს მათ ფულს თქვენს წინააღმდეგ?

— ცოტა ძალაა, ვინც ამას გააკეთებს?! ადრე ვანო ჩხარტიშვილს ჰყავდა ეს ხალხი დაქირავებული, ახლა ასეთი ლევან მამალაძეა. თემურ შაშიაშვილმაც დაიქირავა ეს ხალხი, როცა დასჭირდა.

— რამდენად შესაძლებელია, ყოველივე ეს „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ დაწყებული ის კამპანია იყოს, რომელიც ხელს შეგიშლით ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში?

— არა. ეს არ არის მოსალოდნელი. ხალხი კითხულობს გაზეთებს და თან აანალიზებს. ვერაფრით შეგვიშლიან ხელს ვიღაც დაქირავებული ჟურნალისტი-გამომძიებლები, რომლებმაც რა დაწერეს, ისიც კი არ ახსოვთ... თუნდაც მათი ასეთი უსუსურობის გამო, მიშა სააკაშვილმა, როგორც პოლიტიკურმა ლიდერმა, მათ პასუხი არ უნდა გასცეს. თუ მამალაძეს შნო აქვს, გამოვიდეს და თვითონ წამოგვიყენოს ეს ბრალდებები. მაშინ მიიღებს კიდეც საკადრის პასუხს.

— ეი. თქვენ აბსოლუტურად გამორიცხავთ ჟვანია-სააკაშვილის გუნდის ფინანსურ მაქინაციებს?

— რა თქმა უნდა. ეს თავიდან ბოლომდე გამორიცხულია. ამას ისიც ადასტურებს, რომ ძალიან მოინდომეს, მაგრამ მხოლოდ ის იპოვეს, თითქოს სააკაშვილის ბაბუა იყო უშიშროების მაღალჩინოსანი, სინამდვილეში კი, ის კაცი ექიმი იყო. ნებისმიერ სხვაზე რომ დაეწყოთ ფინანსური მაქინაციების გამომზეურება, უამრავი მასალა დახვავდებოდა.

— როდესაც საუბარია სააკაშვილის ბაბუაზე, კობა კაპანაძე აცხადებს, რომ უშიშროების მაღალჩინოსანი იყო სააკაშვილის ბაბუა დედის მხრიდან და არა მამის მხრიდან.

— ეი. გადასწორეს და შეცვალეს ჩვენება: ახლა მოადგნენ მეორე ბაბუას — ალასანიას?

— ამ ალასანიას შვილიშვილია ვალერი ხაბურძანიას მოადგილე?

— არა, არ არის სწორი ეს ინფორმაცია. ირაკლი ალასანია ნამდვილად არის ხაბურძანიას მოადგილე, მაგრამ ის სააკაშვილის ასეთი ახლო ნათესავი არ არის.

— ეი. ირაკლი ალასანია და მიხეილ სააკაშვილი შორეული ნათესავები არიან.

— არა, არ არიან. მე მგონი, არ არიან. ყოველ შემთხვევაში, მათი დეიდაშვილობა ან ბიძაშვილობა გამორიცხულია. სირცხვილია ამის მტკიცება, ყური მოჭრეს, რომ სააკაშვილის ბაბუა ალასანია იყო და დაიწყეს ქექვა...

— ელოდით თუ არა ასეთი ბინძური კამპანიის დაწყებას ჟვანია-სააკაშვილის გუნდის წინააღმდეგ?

— მოსალოდნელი იყო, რადგან კორუფციის ჭაობში ჩაფლული ხალხი როდის რას დაგიპირისპირებს, ძნელი წარმოსადგენია. ამ ხალხს ხომ სადგისივით ესობა ჟვანია-სააკაშვილის გუნდი რბილ ადგილებში...

„ანტიკორუფციული ჟურნალისტური საგამოძიებო ჯგუფი“ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, ლევან ბერძენიშვილსაც სდებს ბრალს — კერძოდ, მას გრანტების მითვისებაში ადანაშაულებს. ლევან ბერძენიშვილმა ყოველგვარ კომენტარზე უარი განაცხადა, რადგან, მისი თქმით, აბსურდული ბრალდებების გამო, თავის მართლების სურვილი არა აქვს. რაც შეეხება კობა დავითაშვილს — საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ნანობს, რომ ჩაება დებატებში კობა კაპანაძესთან... ■

„მოქალაქეთა კავშირი აღარ არსებობს...“

ახალწარმოქმნილი კონფლიქტის, ურთიერთბრალდებებისა და ამ ფონზე, შინა თუ საგარეო პოლიტიკური ფაქტორების თაობაზე ჩვენი მკითხველისთვის თავის შეხედულების გაზიარება, გამორჩეული ავტორიტეტის მქონე პოლიტიკოსს, ბატონ ვახტანგ ბოჭორიშვილს ვთხოვეთ:

— დაპირისპირება არასოდეს არ არის გამართლებული, მაგრამ თუკი ვინმემ რაიმე კრიმინალური დანაშაულის შესახებ იცის და ამას ამბობს, ჩვენ ვერ ვეტყვით — რატომ ამბობ მაინცდამაინც დღესო?! ამიტომ, ამ საქმეში, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, ჩავერიო. მე ვიცნობ ერთ მხარესაც და მეორესაც, მაგრამ არ ვიცი, რა ფინანსური მაქინაციები აქვთ ჩადენილი, ეს უნდა დაადგინოს გამოძიებამ.

— თქვენი აზრით, რომელ პოლიტიკურ ძალებს დაეყრდნობა უახლოეს მომავალში პრეზიდენტი?

— ვერ გეტყვით, მაგრამ თუ პრეზიდენტი გააგრძელებს იმ

ვახტანგ ბოჭორიშვილი

პოლიტიკას, რასაც ბოლო პერიოდში ატარებს, დასაყრდენი მას ხვალვე ეყოლება. ბოლოს და ბოლოს, ედუარდ შევარდნაძემ რუსეთს პირში მიახალა სიმართლე და ამერიკის დახმარებას იღებს. ეს არის სწორი და მისაღები პოლიტიკა. ამერიკის დახმარება არის შესანიშნავი რამ ჩვენი ჯარის მოსამზადებლად, ის რაც ჩვენს ჯარს უკვე დიდი ხანია, წამალივით სჭირდება.

— თუა მოსალოდნელი, რომ რუსეთსა და ამერიკას შორის დაპირისპირების ერთგვარი პოლიგონი გავხდეთ?

— ასეც მოხდება, თუ ჩვენ სულელები ვიქნებით და სწორ პოლიტიკას ვერ ავირჩევთ. მინდა იცოდეთ, რომ ჩვენი გულისთვის არც ამერიკა და არც რუსეთი ერთმანეთს ბომბებს არ დაუშენს, ამერიკის შეერთებულ შტატებს არავითარი ბომბები არ სჭირდება რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად — მას საკმარისი ეკონომიკური ბერკეტები აქვს. ჩვენ არ უნდა გადავუხვიოთ ამ გზას და სულ უნდა ვამტკიცოთ, რომ არავის წინააღმდეგ არ ვიბრძვით, — უბრალოდ, ვიღებთ დახმარებებს, მაგრამ რუსეთს ჩვენთვის ჯერ არავითარი დახმარება არ აღმოუჩენია, რაც დახმარება გვაქვს, სულ აშშ-ის დახმარებაა. მადლობა ღმერთს, რომ თავად ედუარდ შევრადნაძემაც თქვა: *ჟანგიანი თოფების გარდა, რუსეთს ჩვენთვის არაფერი დაუტოვებიაო... როცა გამოვკეთდები (ბატონი ვახტანგი, ჩვენთან საუბრისას, ცოტა შეუძლოდ იყო. — ავტ.),* უნდა გამოვიდე პარლამენტის წინაშე წინადადებით, რომ რუსებმა შეაჩერონ საქართველოს ტერიტორიაზე ძველი იარაღის განადგურება, რაც ვნებს ჩვენს გარემოს და ჩვენს ხალხს. რუსებმა დაგვიტოვეს რადიოაქტიური წერტილები და დაბეტონებული რადიოაქტიური მასალები.

— ეი. თქვენი აზრით, შევარდნაძემ დღეს ქვეყნისთვის კარგი შანსი გამონახა?

— არ ვიცი, ხვალ და ზეგ, ის თუ გააკეთებს კიდევ კარგ საქმეს, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს აკეთებს, რაც იწვევს მისი რეიტინგის ზრდას. ის კიდევ უფრო გაიზრდება, თუ ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებს ჩაატარებს ისე, როგორც ჩვენ მოვითხოვთ: ჩვენი მოთხოვნაა, რომ არ იყოს გაყალბება.

— რა შანსები აქვს ამ არჩევნებში აღორძინების კავშირს?

— ეს არის მთავარი. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ამ არჩევნებში გავიდეს ის ხალხი, რომელიც ერის ინტერესებს, საკუთარზე წინ აყენებს.

— ბატონო ვახტანგ, როგორ შეაფასებდით მოქალაქეთა კავშირში დღეს არსებულ მდგომარეობას?

— მოქალაქეთა კავშირი აღარ არსებობს და ამაზე საუბარი დროის კარგვაა, ხოლო რაც არსებობს, ის არის ყველასა და ყველაფრისთვის ხელისშემშლელი.

— „ნაციონალური მოძრაობა“ თუ არის რეალური და ანგარიშგასაწევი ძალა?

— „ნაციონალურ მოძრაობას“ ჯერჯერობით ძალიან ცუდად ვიცნობ, მაგრამ ერთია, განცხადებები და მეორეა — საქმე. მათი გაკეთებული საქმე ჯერ არ მინახავს...

რუბრიკა მოამზადა ლელა ჭანკოტაძემ

პრესტიჟული სილამაზის სალონი „არმანი“

გთავაზობთ მრავალფეროვან, მაღალხარისხოვან და ფასებით ხელმისაწვდომ მომსახურებას.

რა გამოგვარჩევს სხვა სალონებისაგან?

- ჩვენთან უმაღლესი კატეგორიის ქალისა და მამაკაცის თმის სტილისტები შეგირჩევენ ვარცხნილობას. მელირება, თმის შეღებვა კი უახლესი, თანამედროვე აპარატ „კლიმაზონის“ საშუალებით ხდება.
- ჩვენთან ვიყენებთ გერმანული ფირმა „**Wella**“-ს პროდუქციას: შამპუნებს, ბალზამებს, მუსებს, სამკურნალო ქაფს, ცვილს, ჟელეს, ლაქებს; პროფესიონალურ საღებავ „**Koleston Perfect**“-ს კი 80 სხვადასხვა ელფერი აქვს!

სიახლე!! - ექიმი კოსმეტოლოგი შემოგთავაზებთ სახის კანის კომპიუტერულ დიაგნოსტიკას, სახის გაწმენდის 10 საფეხური კი უახლეს ფრანგულ კოსმეტოლოგიურ კომბაინ „**Michelle-10**“-ის საშუალებით ტარდება!

- ჩვენთან უმაღლესი პროფესიონალიზმით შესრულებულ ვიზაჟს შემოგთავაზებთ.
- მანიკურის, პედიკურის სპეციალისტები მხოლოდ სტერილური იარაღებით მუშაობენ, რომელიც თანამედროვე, ე.წ. კვარცის ბურთულებიან სტერილიზატორებში 5-15 წამის განმავლობაშის სტერილდება 280^{0}C t-ზე.
- გამოცდილი მასაჟისტი შემოგთავაზებთ სხვადასხვა ტიპის მასაჟს.
- დაბოლოს, თქვენს სულიერ სიმშვიდეზე იზრუნებს ფსიქოლოგი-ფსიქოთერაპევტი.

„არმანი“ — თქვენი სილამაზის და მომხიბვლელობის გარანტი!

მობრძანდით ყოველდღე, პასტერის ქ. №2 (აღმაშენებელზე, რკინიგზის სახლის წინ).

ტელ: 96-48-53; 899-53-66-09

საქართველოში ბრიტანეთის ელჩის მოადგილის, სტიუარტ მაჯლარენისა და ამავე განყოფილების მოდის სექტორის ჯურატორის – მაია ჩიქვანაიას ხელმძღვანელობით მოეწყო **Fashion-Mission**, ანუ მოდის მისია – აქცია, რომელშიც მონაწილეობდნენ მოდის სამყაროს წარმატებული ბიზნესმენები და დიზაინერი მაჯა ასათიანი. როგორც ცნობილია, პანკისში გამართული ჩვენების შემდეგ, მაჯა ასათიანი ლონდონში გაემგზავრა, ამ დღეებში საქართველოში დაბრუნებულმა ჯი, პრესკონფერენცია გამართა, რომელსაც ჟურნალისტების გარდა, სტიუარტ მაჯლარენი, ბრიტანეთის ვიცე-ჯონსული – პიტერ ფორდი და მისი მეუღლე – დიზაინერი დილაილა ფორდი ესწრებოდნენ.

„ეს ყველა ალბათ ვიცოდეს ის, თუმ ქართველი მოდელები შიშვლები არ გამოდიან სცენაზე...“

ხათუნა ჯავახიშვილი

მაკა ასათიანმა აღნიშნა, რომ პანკისში ჩატარებულმა აქციამ ძალიან დიდი როლი შეასრულა ლონდონურ მოლაპარაკებებში: „იქ რომ ჩავედი, ფაქტობრივად, მთელი ჩემი დოსიე უკვე ხელში ჰქონდათ. პანკისმა დიდი რეკლამა გამიკეთა იმ მხრივ, რომ მოდის სამყაროს უდიდესი „დერეკავა“ დამხვდა ინფორმირებული“.

ლონდონში მაკას წაღებული ჰქონდა საკუთარი პროდუქციის ამსახველი ვიდეომასალა, ფოტოსურათები, ალბომები, რომლის ნახვის შემდეგ, ინგლისელმა კოლეგებმა და ე.წ. PR-სააგენტომ (ასე ვთქვათ, გზის გამკვალავმა სააგენტომ), თანამშრომლობა შესთავაზეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ინგლისის ბაზარზე გასასვლელად. აღსანიშნავია ისიც, რომ PR-სააგენტოსთან მუშაობის დროს, ჩვეულებრივ, დიზაინერის კომპანია იხდის გარკვეულ თვიურ გადასახადს, მაკა ასათიანისთვის შეთავაზებული პარტნიორობა კი, ამ გადასახადისგან გათავისუფლებას გულისხმობს; სააგენტო მხოლოდ ექსპორტირებული საქონლის შემოსავლის გარკვეულ პროცენტს მიიღებს.

მაკა ასათიანის კოლექციის გატანა ბრიტანეთის ბაზარზე აგვისტოსთვის არის გათვალისწინებული. პირველ რიგში, პროდუქციის გატანა ლონდონის სოჰოს – საქმიანი წრეების უბანში მდებარე დიდ სავაჭრო სახლში მოხდება; დაგეგმილია პუბლიკაციები ჟურნალებში: „ვოგი“, „კოსმოპოლიტენი“.

დიზაინერი აპირებს ახალი კოლექციის შექმნას სპეციალურად ბრიტანული ბაზრისთვის. მისი თქმით, იგი აუცილებლად გაითვალისწინებს ლონდონისთვის დამახასიათებელ მოდის სტილს. „აუცილებელია დაიცვა იმ ქვეყნის სტილი, სადაც გაგაქვს შენი პროდუქცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბაზარზე გასვლის საშუალებას არ მოგცემენ. ისინი თავად ირჩევენ შენი კოლექციიდან იმას, რაც მათთვის მისაღებია გაყიდვის თვალსაზრისით. ამ მოთხოვნას ყველა დიზაინერს უყენებენ და ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდება. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ბრიტანელებმა ჩემი კოლექციის ნახვის შემდეგ მითხრეს: ძალიან ლონდონურიაო“...

პრესკონფერენციაზე აგრეთვე ითქვა, რომ ეს აქცია წარმატებული იყო Fashion-Mission-ის სხვა წევრებისთვის, კერძოდ, იმ ბიზნესმენებისთვისაც, რომლებიც საქართველოში უცხოური პროდუქციის იმპორტით არიან დაკავებულნი. თურმე თბილისელებს წლეულს შესაძლებლობა ექნებათ, იხილონ ბრიტანული მოდის კოლექცია: დედაქალაქის რამდენიმე მაღაზია საღამოს კაბებისა და მამაკაცის საშემოდგომო-საზამთრო კოლექციებს შემოგვთავაზებს.

დილაილა ფორდმა აღნიშნა, რომ ქართველები საკმაოდ თანამედროვედ იცვამენ და გვირჩია – მეტი ყურადღება მივაქციოთ ჩვენივე დიზიანერებს. „არ უნდა დაიკარგოს ის, რომ ქართველი მოდელები შიშვლები არ გამოდიან სცენაზე. ეს ხაზს უსვამს ქართულ ხასიათს, მის ინდივიდუალურობას“.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ თბილისში, მცირეოდენი ცვლილებებით, დაგეგმილია პანკისში მოწყობილი ჩვენების გამეორება, რადგან ბევრმა, ვისაც ეს კოლექცია აინტერესებდა, მისი ნახვა ვერ შეძლო.

„პანკისის ჩვენება გათვალისწინებული არ იყო იქაური მოსახლეობისათვის; მე მხოლოდ იქ ჩასულმა შევიტყვე, რომ მას თვით პანკისელებიც დაესწრებოდნენ. ეს ჩემთვის პატარა სიურპრიზივით იყო. ძალიან გამახარა იმ ფაქტმა, რომ სხვადასხვა ეროვნების ადამიანი ერთად ოჯდა“, – აღნიშნა მაკა ასათიანმა.

P.S. მაკა ასათიანი ლონდონში შავ ჩოხაში გამოწყობილი ჩასულა: „ილიკო სუხიშვილმა მაჩუქა კალენდარი, რომელზეც ქალის თეთრი ულამაზესი ჩოხაა გამოსახული. ძალიან მომეწონა და ასეთივე ჩოხა შევაკერინე, რომელიც ძალიან პრაქტიკულია“, – თქვა მაკამ. მისმა მენეჯერმა ვანიკო თარხნიშვილმა კი დასძინა: „აეროპორტიდან დაწყებული, იქაური სტილისტებით დამთავრებული, – ყველა, გაოცებასა და გაკვირვებას გამოხატავდა ამ სამოსის გამო და უამრავ კითხვას გვისვამდა“... ■

როგორ ცხოვრობენ ცნობილი ქართველები — პოლიტიკოსები, მსახიობები, ბიზნესმენები, რა გარემოში უწევთ დროის დიდი ნაწილის გატარება, როგორი გემოვნებით გამოირჩევიან ინტერიერის შექმნისა და ტანისამოსის შერჩევისას — აი, არასრული სია კითხვებისა, რომელზე პასუხსაც ჩვენი ახალი რუბრიკის მეშვეობით ვეცდებით. რუბრიკის პრემიერას პარლამენტარ ირაკლი ბათიაშვილის ოჯახში სტუმრობით გთავაზობთ.

ამ სახლში რასაც ხედავთ, ნაჩუქარი მხოლოდ ტელევიზორია, დანარჩენი ყველა ნივთი ძველია და ჩემი ბებია-ბაბუის ნაქონია.

რა აუშნოებს უძველესი ნივთებით სავსე ბათიაშვილების ინტერიერს

ლელა ჭანკოტაძე

ირაკლი ბათიაშვილის სახლი მცირე მუზეუმს ჰგავს, რომელშიც თითოეულ ნივთს თავისი ისტორია აქვს და ისევე, როგორც ჩვენი მუზეუმების უმეტესობა, ავარიულ მდგომარეობაშია... კედლებზე უზარმაზარი ბზარებია გაჩენილი, ჭერი სველია, რადგან წყალი ჩამდის და ბათქაშიც ისეა ჩამოყრილი, რომ ისედაც ძველ ნივთებს კიდევ უფრო მეტი სიძველის ელფერს სძენს... სურათებისა და ფაიფურის ფიგურების გარემოცვაში საოცრად შთამბეჭდავი ჩანდა ჩვეულებრივი ქვებისგან შექმნილი კომპოზიცია, რომელსაც მე „გაუმართლებელ მიზანსწრაფვას“ დავარქმევდი. უადგილობის გამო, ძველ ბუფეტსა და შავ პიანინოს შორის მოქცეული ქვის კომპოზიციის ფირზე აღბეჭდვა, სამწუხაროდ, შეუძლებელი აღმოჩნდა.

ყველა ნივთი ძველია და ეს სახლს დაუვიწყარს ხდის. ერთადერთი ნივთი, რომელიც ბატონ ირაკლის უშიშროების მინისტრობის პერიოდში შემატებია, — ესაა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელთა საჩუქარი, რომელიც ისევე აუშნოებს უამრავი ძველი წიგნით შექმნილ ინტერიერს, როგორც მინისტრობის პერიოდი — ირაკლი ბათიაშვილის ცხოვრებას.

შინ ბატონი ირაკლი, მისი მეუღლე — მაია ფანჩულიძე და თორმეტი წლის ქალიშვილი ირინა დაგვხვდნენ. ყავარჯენზე დაყრდნობილი მასპინძელი სავარძელში მოკალათდა და სიცილით გამოგვიცხადა:

— აი, ნახეთ, როგორ ვცხოვრობ, ჭერიდან წყალი ჩამომდის?!

— რატომ ჩამოდის წყალი? რატომ არ შეაკეთეთ ჭერი?

— იმიტომ, რომ ვერ შევძელით.

— არ მითხრათ, რომ ამის მიზეზი უფულობაა...

— რა თქმა უნდა. ხომ ხედავთ — ბინაც არ არის გარემონტებული. მე არც რემონტის ფული მაქვს და არც მანქანის საყიდელი.

— ხომ გყავთ მდიდარი მეგობრები. არ გეხმარებიან?

— მდიდარი მეგობრები მყავს. ისინი თავიანთი ნიჭითა და შრომით არიან მდიდრები. სხვათა შორის, ბევრჯერ დამეხმარნენ.

— მილიონერი პარლამენტარი, ვალერი გელაშვილიც ხომ თქვენი მეგობარია? როცა ის უშიშროების მინისტრის წინააღმდეგ იბრძოდა, სასამართლო პროცესის მოგების შემდეგ, ამბობდნენ, რომ მინისტრის სკამს თქვენთვის „ყიდულობდა“... ნუთუ ამ ჭორს საფუძველი არ ჰქონდა?

— ეს უსაფუძვლო ჭორია. მე მეგობრული დამოკიდებულება მაქვს და მქონდა ვახტანგ ქუთათელაძესთან. ვალერი გელაშვილი გაცილებით უფრო გვიან გავიცანი და საკმაოდ მეგობრული ურთიერთობაც ჩამოგვიყალიბდა. ვილნიუსში დამპატიჟა, წავედი და ძალიან მომეწონა ეს ქალაქი. ბევრი შეძლებული მეგობარი მყავს. ისინი ბევრჯერ დამხმარებიან. ჩემს ცხოვრებაში იყო დიდი გაჭირვების პერიოდები. მეგობრებმა ეს გაჭირვება გადამატანინეს.

— მათი ნაჩუქარი ნივთები თუ გაქვთ?

— არა. ამ სახლში რასაც ხედავთ, ნაჩუქარი მხოლოდ ტელევიზორია, დანარჩენი ყველა ნივთი ძველია და ჩემი ბებია-ბაბუის ნაქონია. ნახატების დიდი ნაწილიც მათი დროინდელია. სხვა ნახატები ნაჩუქარია. აქ არის თენგიზ მირზაშვილის, თემურ ჯაფარიძის, თემურ მაჭავარიანის ნახატები, ხუციშვილის მიერ შესრულებული ჩემი მეუღლის პორტრეტი და ა.შ. ალბერტ დილბარიანის „მტრედი“ ჯერ ვერ ჩავსვი ჩარჩოში.

— ეს ჩუქურთმიანი სავარძელი ალბათ, ძალიან ძველია?

— დიახ. ძალიან ძველია, ჩვენ გავარესტავრირეთ, ბაბუაჩემის ბაბუის ნაქონი ნივთია. ჩემ მიერ შეძენილი, ამ სახლში ვიდეომაგნიტოფონია.

— თქვენს ცხოვრებაში თუ ყოფილა ისეთი პერიოდი, როცა გაჭირვების გამო, ძველ ნივთებს ყიდდით?

— დიახ. ბევრი ნივთი გავყიდეთ. რაც მთავარია, გავყიდე ჩემი ბინისხელა მანსარდა. გარკვეული პერიოდი, თავი მანსარდაში აღებული ფულით გავიტანეთ. ახლა უკვე ახალი მეზობლები მეყოლება — მანსარდაში საცხოვრებლად გადმოვლენ და მე მხოლოდ

ჩემი ოჯახის წევრებს შესწავლილი ვყავარ: რომ შემოვდივარ, უკვე იციან, როგორ გუნებაზე ვარ (ქალიშვილთან, ირინასთან და მეუღლესთან, მაიასთან ერთად)

მოგონებითღა დავკმაყოფილდები... ვერცხლისა და ოქროს ბევრი ნივთი გავყიდეთ. უამრავი ძვირფასი თეფში. რომ გითხრათ, ამის გამო, გული ძალიან მწყდება-მეთქი, არ იქნება მართალი.

— თქვენს ოჯახში ყველაზე ძვირფასი ნივთი რომელია?

— გვაქვს განსაკუთრებული ნახატები — მაგალითად, სურათი „ჯემი", რომელიც ძალიან მიყვარს, ასევე — ვოლტერის ბიუსტი, რომელიც პიანინოს თავზე დგას.

— აქ, პიანინოს გვერდით, ქვები რატომ აწყვია? რა კომპოზიციაა ქვებით შექმნილი და ვისი ნაჩუქარია?

— ბეთანიის მონასტერში გავიცანი მხატვარი (სახელი არ მახსოვს), რომელიც ქვებისგან აკეთებდა ფიგურებს და უნდოდა, მოეწყო გამოფენა სახელწოდებით — „დრო ქვათა შეგროვებისა".

— ამ ლამაზი და განსაკუთრებული ნივთების გარემოცვაში ადამიანს შეიძლება გემოვნება ჩამოუყალიბდეს, თუ გემოვნებაც თანდაყოლილი თვისებაა?

— გემოვნება უნდა ჩამოაყალიბო. ჩემი აზრით, გემოვნებას ისევე სჭირდება გავარჯიშება, როგორც კუნთებს, აზროვნებას... თუმცა, ყველაზე დიდი მნიშვნელობა მაინც გენეტიკას აქვს. ჩვენი ოჯახი ძველი, ტრადიციული ოჯახია. ბებიაჩემი თამარ სხირტლაძე საოცარი ესთეტი და თავადაც ულამაზესი ქალი იყო. ამასთან, ჩემი მშობლებიც გემოვნებიანი ადამიანები არიან: მამაჩემი — კინორეჟისორი *(დიმიტრი ბათიაშვილი. — ავტ.)*, დედაჩემი კი — ხელოვნებათმცოდნეა *(ირინა კუჭუხიძე. — ავტ.)*. აქ რომელ ნივთსაც არ უნდა დაადოთ ხელი, ყველა, ჩემთვის ძვირფასი და საყვარელია. ეს შავი, ძველისძველი პიანინო, ხომ ხედავთ, რა მძიმე მდგომარეობაშია, რესტავრაცია სჭირდება. ის ჩემი ბებიის ნაქონია. თქვენ მკითხეთ — რომელ ნივთზე დაგწყდებათ გულიო? — ჩემს იარაღს ვერ შეველევი.

— სად გაქვთ იარაღის კოლექცია? სხვაგან ინახავთ?

— დიახ. სახლში არ მაქვს.

— იარაღის სიყვარულმა შეგაყვარათ ნადირობა თუ პირიქით?

— ნადირობა ბოლო პერიოდში საოცრად შემიყვარდა. ადრე მონადირე არ ვყოფილვარ. თუმცა, იარაღთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება მქონდა ყოველთვის. ნადირობა სულ მინდოდა. მხოლოდ ბოლო ერთი წელიწადია, რაც აქტიური მონადირე გავხდი.

— იარაღი თქვენს გემოვნებასაც უნდა აკმაყოფილებდეს, თუ მთავარია, კარგად ისროდეს?

— იარაღი, მე მგონი, კარგად უნდა ისროდეს.

— თქვენი ოჯახის განძს კიდევ რა წარმოადგენს?

— წიგნები. უამრავი კარგი წიგნი გვაქვს. მაგალითად, ბროკჰაუზის ენციკლოპედია, ბებიაჩემის ნაქონი, შილერის და ტოლსტოის უძველესი გამოცემები უკვე შეკეთებას საჭიროებს...

— ხატები ვისია?

— მე ხშირად დავდივარ ხოლმე ბეთანიაში, შიომღვიმეში, ჭულევში, ზარზმაში და ვრჩები იქ ერთი კვირა ან ათი დღე.

— როდის დაიწყეთ მონასტერში სიარული? მას შემდეგ, რაც პოლიტიკოსის იმიჯისთვის ეს აუცილებელი და მოდური გახდა თუ თქვენ რელიგიური იყავით ყოველთვის?

— დაახლოებით თხუთმეტი წელია, ეკლესიური გავხდი.

— თქვენი მინისტრობის პერიოდში რა შეიძინეთ?

— აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მაჩუქა სუვენირი, რომელიც კედელზე, პატარა თაროზე დევს. მეტი არაფერი.

— როცა ნივთებისთვის ადგილის შეცვლას იწყებს თქვენი მეუღლე, ხომ არ ეწინააღმდეგებით ხოლმე?

— არა. არ ვერევი საოჯახო საქმეებში. ჩემი ფუნქციაა, საზოგადოებრივი საქმე და ოჯახის უზრუნველყოფა. ამასთან, ჩემს მეუღლეს საკმაოდ დახვეწილი გემოვნება აქვს. ჩვენი სახლი ყოველთვის დალაგებულია. ჩემზე ძალიან ცუდად მოქმედებს არეული სახლი. თუმცა, მაინცდამაინც დიდ პრეტენზიებს ასეთ შემთხვევაშიც არ გამოვთქვამ და არც რაიმეს მოწესრიგებას ვიწყებ.

— ძირს, იატაკზე რომ ეყაროს ნივთები, ხელს არ მოჰკიდებთ და კუთვნილ ადგილს არ მიუჩენთ?

— არა.

— სამზარეულოში ნამყოფი ხართ?

— კი. როგორ არა. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, შინ რომ მარტო ვიყავი. კვერცხსაც შევიწვავ და საჭმელსაც დავისხამ. თუ ოდესმე დამჭირდა, ალბათ ჩემს ტანსაცმელსაც გავრეცხავ.

— თქვენმა მეუღლემ მუშაობა დაიწყო?

— დიახ. ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში მიიღეს სამუშაოდ.

— ეს იმას ნიშნავს, რომ მალე მდიდარი მეუღლე გეყოლებათ?

— დიდი ხელფასი აქვს, მაგრამ ძალიან ბევრს მუშაობს.

— როცა ტანსაცმლის ყიდვაზე მიდგება საქმე, თქვენთვის გადამწ-

უამრავი კარგი წიგნი გვაქვს. მაგალითად, ბროკჰაუზის ენციკლოპედია, ბებიაჩემის ნაქონი, შილერის და ტოლსტოის უძველესი გამოცემები უკვე შეკეთებას საჭიროებს...

ყვეტი თქვენი მეუღლის აზრია თუ თავად წყვეტთ ამ საკითხს?

— ჩემი მეუღლე ზრუნავს ჩემს ჩაცმულობაზე, მაგრამ მე არ ვითვლები კარგ ჩამცმელად და არც ბევრი ტანსაცმელი მაქვს. უბრალოდ, კარგად ვხმარობ ტანსაცმელს და შემიძლია, წლების განმავლობაში ერთი და იგივე პიჯაკით ვიარო. თუ არ მომწონს ტანსაცმელი, მაინც ჩავიცვამ. უპირატესობას კი სპორტულ სტილს ვანიჭებ.

— **თქვენ ყელზე ყოველთვის რაღაც გიკეთიათ, რაც სხვა დეპუტატებისგან ნამდვილად გამოგარჩევთ.**

— სულ ორი ბენდენა მაქვს. ძირითადად, ერთს ვიკეთებ. მეორე ბენდენა მეგობარმა პარიზიდან ჩამომიტანა და მას ვუფრთხილდები.

— **თქვენი მეუღლის ჩაცმულობას თუ აქცევთ ყურადღებას?**

— მას ისე უნდა ეცვას, როგორც მეუღლეს შეეფერება და არა როგორც ცხრამეტი წლის გოგოს... მიმაჩნია, რომ ჩემს მეუღლეს სადად უნდა ეცვას. ამ თვალსაზრისით შენიშვნის მიცემა მას არ სჭირდება. არც ჩემს ქალიშვილებს სჭირდებათ შენიშვნა. ჩემი დამოკიდებულება შვილებისადმი ხაზგასმით ალერსიანია. სახლში იმისთვის ვარ, რომ დავისვენო და კარგად ვიყო. ჩემი ოჯახის წევრებს შესწავლილი ვყავარ: რომ შემოვდივარ, უკვე იციან, როგორ გუნებაზე ვარ, არა ვარ წუნია. არც ჩემი ჭიქა მაქვს და არც იმის აჩემება მჩვევია, რომ ხელი მაინცდამაინც ამ ხელსახოცით შევიმშრალო. საველე პირობებს ვარ მიჩვეული — მე ხომ სულ სამხედრო ცხოვრება მიწევდა.

— **მინისტრობის პერიოდში თქვენს კაბინეტში არაფერი შეგიცვლიათ?**

— მაგის დრო ნამდვილად არ მქონდა. ქვეყანა თავზე გვენგრეოდა და მე სავარძელზე ხომ არ ვიფიქრებდი.

— **იმ კაბინეტის ნოსტალგია თუ გაქვთ ხოლმე?**

— არა. მე მაქვს იმის უნარი, რომ ერთი ხელის მოსმით დავუსვა რაღაცას წერტილი.

— **ეი. თქვენს ცხოვრებაში რაღაც რომ მთავრდება, ტკივილის გრძნობა არ გრჩებათ?**

— გააჩნია, რა მთავრდება.

— **ქალებთან მიმართებაში, როგორი გემოვნება გაქვთ?**

— კარგი და ჩემს კარგ გემოვნებაზე მეტყველებს ის, რომ კარგი მეუღლე და ჩემი ცხოვრების ერთგული მეგობარი შევარჩიე. როგორც ყველა მამაკაცი, მეც ქალის სილამაზის მოტრფიალე ვარ. ქალის სილამაზე ჩემთვის დიდი სტიმულისა და დიდი ენერგეტიკული მუხტის მომნიჭებელია. ქალი უნდა იყოს კოხტა. იცოდეს თავის მოვლა და ჰქონდეს შინაგანი მუხტი. ქარაფშუტა და უპასუხისმგებლო ქალი საშინელებაა.

— **როგორ რეგულირდება ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში? რამდენად განსაზღვრავს პოლიტიკოსი ქალის გარეგნობა მისდამი თქვენს დამოკიდებულებას?**

— ჩემთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე სიმპათიური და კარგი ქალია, მაგრამ მე ზოგჯერ მის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება მაქვს და ჩემი სიმპათია მისდამი უკანა პლანზე გადადის...

— **ჰობი თუ გაქვთ?**

— ფეხბურთის თამაში. ფეხბურთის მსხვერპლი ვარ ამწუთას: ფეხი საშინლად დავიზიანე. ჩვენ, მე და ჩემი მეგობრები ძალისმიერ ფეხბურთს ვთამაშობთ ხოლმე და აი, ხომ ხედავთ, ისეთი ძალით დამეჯახნენ, რომ კოჭი კინაღამ დამემსხვრა. ფეხბურთს ძირითადად, „შევარდენის“ სტადიონზე ვთამაშობთ, ოქროყანაშიც ავდივართ ხოლმე.

— **სურვილი არ გაგჩენიათ, ჩვენი გუნდის რომელიმე წევრის ნაცვლად გეთამაშათ დიდი ფეხბურთი და არ გიფიქრიათ, რომ თქვენ თამაში უკეთ გამოგივიდოდათ?**

— ბავშვობაში კი. ახლა ვხვდები, რომ განსაკუთრებით კარგად ვერ ვთამაშობ. თუმცა, ბოლო პერიოდში, საგრძნობლად გავუმჯობესე, ახლა კი ტრავმის გამო, ნახევარი წელი მაინც ველარ ვითამაშებ... ცურვაც ძალიან მიყვარს. ჩემი მეგობარი ვოვა გოიაშვილია აუზის დირექტორი და ყოველთვის შემიძლია, უპირველესად მივიდე. ასე რომ, აუზზე მწვანე შუქი მაქვს ანთებული.

ბათიაშვილებს ოჯახში ახალი წევრი ჰყავთ — სამეფო დოგი მეგობრებმა აჩუქეს. ის ჯერ ერთი თვისაა და უკვე საკმაოდ დიდი კბილები აქვს. ირინას ყოველთვის უნდოდა, ჰყოლოდა ძაღლი, მაგრამ მაია წინააღმდეგი იყო. თუმცა, პატარა დოგმა ისე შეაყვარა თავი, რომ ახლა უმისოდ ველარ ძლებს. ბათიაშვილების მთავარი პრობლემა ის არის, რა უნდა მოუხერხონ ძაღლს, როცა ის გაიზრდება... გარდა იმისა, რომ სახლში ზემოდან წყალი ჩამოსდით და ჭერი სველი აქვთ, ბათიაშვილებს სხვა სერიოზული პრობლემა აწუხებთ, — თუ, რა თქმა უნდა, სულიერ პრობლემებს არ ჩავთვლით, რომლებმაც შეუძლებელია, ადამიანს ზოგჯერ მაინც არ შეახსენოს თავი...

ფეხბურთის მსხვერპლი ვარ ამწუთას: ფეხი საშინლად დავიზიანე

ბავშვის ოთახი ძალიან პატარაა, მაგრამ ძალიან მყუდრო. კედელზე ჩამოკიდებული უამრავი სახეობის ქუდი ირინას შეგროვებულია. მისი ხელითაა მოწყობილი ხატების კუთხეც. მისი ყველა თოჯინა ოთახში აწყვია იმ პერიოდის მოსაგონრად, როცა ის იმდენად პატარა იყო, რომ დედიკო თვალს წუთითაც ვერ აცილებდა.

ბათიაშვილების ოჯახში ხშირად მოდიან მაიას მეგობრები. მათ ეს სახლი ძალიან უყვართ. ზოგჯერ მაიას უკვირს კიდეც — მისი მდიდარი მეგობრები თავიანთ გაწკრიალებულ სახლებთან შედარებით თავს უკეთ ამ დაბზარულ კედლებში რომ გრძნობენ...

ირაკლი ბათიაშვილს და მის მეუღლეს ერთმანეთისთვის ეჭვიანობის საბაბი ჯერ არ მიუციათ, თანაც — ბატონი ირაკლი ეჭვიანი ქმარი არ არის, თუმცა, საკმაოდ ფხიზელი და ყურადღებიანია.

— **რისი დათმობა მოუხდა ირაკლის? რას აკეთებდა ისეთს, თქვენ რომ არ მოგწონდათ?**

მაია:

— დისერტაციას არ იცავდა და ძალიან ბედნიერები ვართ, რომ ახლა ფილოსოფიაში ბევრს მუშაობს და სულ მალე დისერტაცია მზად ექნება.

— **როცა რაიმეს გიძღვნით, ყოველთვის მოგწონთ?**

— დიახ. უზადო გემოვნება აქვს.

— **სულ პირველი საჩუქარი თუ გახსოვთ, რა იყო?**

— კამელიის ყვავილი.

ირაკლი:

— მე მაიამ თავისი სიყვარული და ერთგულება მაჩუქა...

— **დღესასწაულებზე თუ ამზადებთ განსაკუთრებულ კერძებს?**

მაია:

— წელს გვქონდა „მადამ ბოვარი“. ის კეთდება ყველით, სოკოთი, არაჟნით, ძეხვით და ცხვება გაზქურაში. ■

ცოლმა ქმარს დანაშაული აპაზია, მოსამართლეებმა – არა

ორი შვილის მამა მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობაში დაადანაშაულეს

მეგი ცანავა

2002 წლის 25 მარტს თბილისის საოლქო სასამართლომ თბილისელი გურამ ყანჩაშვილი საკუთარი მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ცნო დამნაშავედ და მას ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მოსამართლეებმა პროკურატურის ბრალდება – რომ ყანჩაშვილმა თავის ცოლს – ირინა ყანჩაშვილს ცეცხლსასროლი იარაღიდან ტყვია ესროლა – დაადასტურეს.

გურამ ყანჩაშვილს ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს. იგი ირინა ყანჩაშვილთან დღემდე კანონიერ ქორწინებაში იმყოფება. დაზარალებულად ცნობილი ირინა ყანჩაშვილი სასამართლოში განსასჯელის მხარეს ივჯდა და მოსამართლეებს მის გათავისუფლებას სთხოვდა: ოჯახს ნუ დამინგრევთ, იქნებ, ჩემი ქმარი ციხიდან გამოუშვათო.

მოსამართლეების განცხადებით, პროკურატურის ბრალდება ფაქტებითა და მოწმეთა ჩვენებებით დადასტურდა. ჩადენილი დანაშაული კი, მიუხედავად დაზარალებულის გულმოწყალებისა, კანონის შესაბამისად დასჯადია და დამნაშავის მიმართ სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქმის წინასწარი ძიებისას ირინა ყანჩაშვილი, გიორგი ყანჩაშვილს განზრახ მკვლელობის მცდელობაში კატეგორიულად ადანაშაულებდა და ამბობდა, რომ ქმარი მის მოკვლას ეჭვიანობის გამო აპირებდა.

განაჩენი, მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა მოსამართლეებს ობიექტურობასა და კანონიერებაში სულაც არ ჩაუთვალეს. მათი თქმით, სასამართლო, პირიქით, ყოვლად გაუმართლებელ და მიუღებელ გადაწყვეტილებამდე მივიდა, საქმის განხილვისას მოძიებულ მტკიცებულებებს გვერდი აუარა და რატომღაც მხოლოდ პროკურატურის მიერ მოპოვებული ჩვენებები გაიზიარა. მსჯავრდებულის ადვოკატები ირწმუნებიან, რომ გურამ ყანჩაშვილს იმ დღეს, იარაღიდან ტყვია შემთხვევით გაუვარდა.

გურამ ყანჩაშვილი ირინა დაროვსკაიაზე (ამჟამად ყანჩაშვილი) 1993 წელს დაქორწინდა. ისინი თბილისში, ვარკეთილში ცხოვრობდნენ. იმ ხანებში გურამ ყანჩაშვილი შინაგანი ჯარის მებრძოლი გახლდათ, შემდეგ კი, კაპიტნის ჩინით, სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურში მსახურობდა. მას შენახვა-ტარების უფლებით, ოფიციალურად ჰქონდა გაფორმებული ტაბელური Cz-ს სისტემის პისტოლეტი, რასაც სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად იყენებდა.

პროკურატურის ინფორმაციით, გურამ ყანჩაშვილს ცოლთან თავიდანვე ჰქონდა უთანხმოება. იგი მთელი ცოლქმრული პერიოდის განმავლობაში, დაახლოებით რვა-ცხრა წლის მანძილზე, ეჭვიანობის ნიადაგზე, სხვადასხვა უმნიშვნელო მიზეზის გამო, სისტემატურად სცემდა ირინა ყანჩაშვილს და როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, ცოლს ფიზიკურად და ფსიქიკურად ტანჯავდა.

აღნიშნულის დასადასტურებლად, საბრალდებო დასკვნაში გამომძიებლის მიერ ცოლ-ქმარ ყანჩაშვილების ცხოვრებიდან ერთი ასეთი მაგალითია მოყვანილი: „2000 წლის დასაწყისში, გამოძიებით დაუდგენელ დღეს, მორიგი უსაფუძვლო ეჭვიანობის გამო ჩხუბის დროს, გურამ ყანჩაშვილმა თავისივე ბინაში სცემა ცოლი და მას სამზარეულო დანა ესროლა. ქალს დანა მარცხენა მხარზე – მაჯის ზემოთ მოხვდა. ირინა ყანჩაშვილმა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიიღო, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. მიუხედავად წამებისა, ირინა ყანჩაშვილი ოჯახის შენარჩუნების მიზნით, წლების მანძილზე ითმენდა ტანჯვას და პოლიციაში მეუღლის წინააღმდეგ საჩივარი შეგნებულად არ შეიტანა“.

2001 წლის 17 ივლისს ირინა ყანჩაშვილი თავის მცირეწლოვან შვილებთან ერთად, მეუღლის თანხმობით, დასასვენებლად ზღვაზე – ქალაქ ბათუმში გაემგზავრა. იგი თბილისში ათი დღის შემდეგ, 26 ივლისს დაბრუნდა. იმავე ღამით, სამსახურიდან შინ დაბრუნებულმა, მთვრალმა გურამ ყანჩაშვილმა ცოლი სასტიკად სცემა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, იგი უკვე საწოლში ჩაწოლილ, თითქმის მძინარე მეუღლეს ხელებითა და ფეხებით ურტყამდა. იმ ღამით მან ცოლს სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიაყენა.

მეორე დილით, 27 ივლისს გურამ ყანჩაშვილმა მარტომ ისაუზმა და ამ დროს ნახევარი ლიტრი არაყი და ლუდი დალია. დაახლოებით პირველი საათისთვის, ყანჩაშვილების ოჯახში სტუმრები – გურამ ყანჩაშვილის ბიძაშვილი და მისი მეუღლე მივიდნენ. გურამმა ისინი სასადილოდ სუფრასთან მიიპატიჟა. სადილის დროს, სუფრასთან ირინა ყანჩაშვილიც ივჯდა. მან ქმრის ბიძაშვილს წინა ღამის ამბავი აცნობა, უამბო, რაც მასა და ქმარს შორის ეჭვიანობის გამო ხდებოდა და თან სთხოვა: როგორმე დამამშვიდებინე და დამარწმუნებინე ქმარი, რომ ეჭვის საბაბი არ გააჩნია და ჩემს ცემას თავი დაანებოსო. ბიძაშვილსა და მის მეუღლესთან ასეთმა გულახდილობამ გურამ ყანჩაშვილი უფრო გააღიზიანა. განაწყენებულმა ირინა ყანჩაშვილს პირდაპირ განუცხადა: გცემ და მოგკლავ კიდეცო. ამ სიტყვებმა სუფრასთან მსხდომ ცოლ-ქმარს შორის ცხარე კამათი წარმოშვა. გაბრაზებული ქმარი თავის ტაბელურ პისტოლეტს სწვდა, იგი საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა და მაგიდასთან მჯდომ ცოლს ერთი მეტრის მანძილიდან თავის არეში დაუმიზნა, თან გაუმეორა: საცემი კი არა, სასიკვდილო ხარო – და ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე, პისტოლეტიდან ისროლა.

ტყვია ირინა ყანჩაშვილს სახის არეში მოხვდა, მარცხენა ლოყა დაუზიანა, ზედა და ქვედა ყბის ძვლები და კბილები ჩაუმსხვრია და ენის ნაფლეთოვანი ჭრილობებიც გამოიწვია. თუმცა, საბედნიეროდ, ირინა ყანჩაშვილი სასიკვდილო ჭრილობას გადაურჩა. ექსპერტებმა მის სხეულზე დაფიქსირებული დაზიანებები ნაკლებად მძიმე ხარისხს მიაკუთვნეს.

გასროლისას გურამ ყანჩაშვილის ბიძაშვილის ცოლმა კივილი მორთო. ქმართან ერთად, მან ყანჩაშვილისთვის იარაღის წართმევა შეძლო. დაჭრილი ქალი კი მათ თავიანთი მანქანით მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს.

პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში **ირინა ყანჩაშვილი** წერს:

„... ქმარი, ყოველი უსაფუძვლო ეჭვიანობისა და კამათის დროს, თავშეუკავებლად მცემდა, ამას სისტემატური ხასიათი ჰქონდა. იყო შემთხვევა, როცა მან, ისევ უმიზეზოდ, ორსულობის პერიოდშიც მცემა... მისი ასეთი საქციელის შესახებ მეზობლებსა და ახლობლებს ვუყვებოდი, მათ დახმარებას ვთხოვდი,

მაგრამ ყველას ეშინოდა გურამის, ვერავინ ერეოდა ჩვენს ოჯახურ საქმეებში. ჯერ შიშით, შემდეგ კი, იმის იმედით, რომ ქმარი გამოსწორების გზას დაადგებოდა, მის წინააღმდეგ პოლიციაში საჩივარი არ შევიტანე... 27 ივლისს, სუფრასთან, რამდენჯერმე გარკვევით მითხრა, რომ მომკლავდა, რადგან მოსაკლავი ვიყავი. მერე ჩემ თვალწინ გადატენა პისტოლეტი და თავში დამიმიზნა, დაახლოებით ერთი მეტრის მანძილიდან მესროლა... იმ პერიოდში შევიტყვე, რომ ჩემს ქმარს ვიღაც ქალთან ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა და მასთან შეულლებასაც კი აპირებდა. ამის გამო შემიძულა. ვფიქრობ, ეჭვიანობის გარდა, ჩემი მკვლელობის მცდელობის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო – შესაძლოა, მას სურდა, ჩემი სიკვდილის შემდეგ იმ ქალთან დაქორწინების საშუალება მისცემოდა...“

თავად გურამ ყანჩაშვილი გამომძიებლების წინაშე ცოლის მიმართ პათოლოგიურ ეჭვიანობასა და მისი მკვლელობის განზრახვას უარყოფდა. იგი ბრალს არც სასამართლოში ადასტურებდა და თავს უდანაშაულოდ აცხადებდა.

„მე ჩემი მეუღლის პატიოსნებაში ეჭვი არ მეპარება, არასოდეს მიცემია იგი და არც მისი მოკვლა დამიპირებია. იმ დღეს პისტოლეტიდან ტყვია შემთხვევით გამივარდა“, – განაცხადა მან პროკურატურაში.

წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ყანჩაშვილმა აღნიშნა, რომ მეუღლე უყვარდა, თუმცა, როგორც ყველა მამაკაცი, ხანდახან ისიც ეჭვიანობდა ხოლმე.

გურამ ყანჩაშვილი:

„...ისევე, როგორც ყველგან, ჩემს ოჯახშიც იყო პრობლემები და კონფლიქტები... 2001 წლის 26 ივლისს შინ ღამის 12 საათისთვის დავბრუნდი. სახლში ბათუმიდან ჩამოსული, მგზავრობით დაღლილი ცოლ-შვილი დამხვდა. ცოლი უკვე დაწოლილი რომ იყო, არ მესიამოვნა და იმ მიზეზით, რომ ჩემთან საუბარს დაძინება ამჯობინა, ჩხუბი დავუწყე. შემდეგ კი, ლოგინში ჩაწოლილს, ხელები მკლავებში ჩავავლე და ვანჯღრიე.

მეორე დღეს, შუადღისას, ბიძაშვილი და მისი მეუღლე გვესტუმრნენ. ისინი სუფრასთან მივიწვიე. ამ დროს შევნიშნე, რომ ჩემი ორი წლის შვილი – ზურიკო პისტოლეტით თამაშობდა. მე იარაღი გადამალული მქონდა, მას კი უპოვია. პისტოლეტი ბავშვს მაშინვე გამოვართვი, თუმცა, შენახვის ნაცვლად, იგი ხელში დავიჭირე. სწორედ იმ მომენტში გავიგონე, რომ ჩემი ცოლი – ირინა, ბიძაშვილს წინა ღამით მომხდარის შესახებ უყვებოდა და ჩემზე ამბობდა – ცუდად იქცევაო. ამ სიტყვების გამო, მე ირინას ფეხების მიმართულებით მივუშვირე პისტოლეტი და ხუმრობით ვუთხარი: ენა გააჩერე, თორემ ფეხებში გესვრი-მეთქი. თავადაც არ ვიცი, როგორ მოხდა გასროლა. როცა ტყვიით დაჭრილი, დასისხლიანებული ცოლი დავინახე, გავითიშე და იქვე ჩავიკეცე... დამავიწყდა, რომ პისტოლეტს სავაზნე მჭიდი თან ჰქონდა. სწორედ ამის გამო მომიხდა შემთხვევით გასროლა...“

პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში ცოლი, ქმრის სიტყვებს ეწინააღმდეგება. მისი თქმით, გურამ ყანჩაშვილი პროფესიონალი იყო და ძალიან კარგად ფლობდა იარაღს; პროფესიონალური ჩვევით, იგი ოჯახში ყოველთვის ამოწმებდა პისტოლეტის მდგომარეობას და არ შეიძლებოდა, მხედველობიდან გამორჩენოდა ის, რომ იმ დღეს იარაღში საბრძოლო ვაზნები და მჭიდი იდო. „...მას ჩემთვის პისტოლეტი ფეხებში ხუმრობით არ დაუმიზნებია. ასე რომ ყოფილიყო, დაზიანებას ფეხებში მივიღებდი“, – წერს ირინა ყანჩაშვილი თავის ჩვენებაში.

ცოლ-ქმარს შორის დაძაბულ ურთიერთობასა და ხშირ ჩხუბს, ასევე იმას, რომ გურამ ყანჩაშვილს მეუღლე არაერთხელ უცემია, წინასწარი გამოძიებისას ირინა ყანჩაშვილის ნათესავები – მამიდა და ბიძა ადასტურებდნენ. თუმცა, პროკურატურას, ისევე, როგორც სასამართლოს, ძირითადმა მოწმეებმა – განსასჯელის ბიძაშვილმა და მისმა მეუღლემ, ბელა გურგენაშვილმა და მიხეილ გეთიაშვილმა, ყანჩაშვილის მიერ შემთხვევითი გასროლის ფაქტი დაადასტურეს.

„... როცა ყავას ვსვამდით, ირინა და გურამი შეკამათდნენ, რადგან ირინამ ქმარი მის ცემაში ამხილა. ამ დროს, გურამმა ბავშვს პისტოლეტი გამოართვა და ხუმრობით მიუშვირა იგი ირინას, ფეხების მიმართულებით. მაშინ, როცა იგი ცოლს გაჩუმებისკენ მოუწოდებდა, გასროლა მოხდა...“ – განაცხადა ბელა გურგენაშვილმა.

განსასჯელი გისოსებს მიღმა

პროკურატურამ ბრალდებულისა და მისი ნათესავების ჩვენებები არ გაიზიარა და დაზარალებულის, ასევე მისი მამიდისა და ბიძის სიტყვებზე დაყრდნობით, გურამ ყანჩაშვილს განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლი მიუყენა. გამომძიებლის აზრით, ბრალდებას ირინა ყანჩაშვილის სხეულზე ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაც ადასტურებს. ექსპერტებმა დაზარალებულს, გარდა ცეცხლსასროლი იარაღით მიღებული ჭრილობისა, მარცხენა მხარზე რაღაც მჩხვლეტავ-მჭრელი ზედაპირის მქონე საგნით მიყენებული დაზიანების კვალიც – ნაწიბური დააფიქსირეს. ექსპერტთა თქმით, დაზიანების ხანდაზმულობა წელიწად-ნახევარზე მეტია. პროკურორმა გურამ ყანჩაშვილისთვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

საქმის სასამართლო განხილვისას დაზარალებულმა – ირინა ყანჩაშვილმა შეცვალა პროკურატურისთვის მიცემული ჩვენება და დასძინა, რომ იმ პერიოდში ქმარზე ბრაზობდა, ეჭვიანობდა, რის გამოც, მეუღლის მიერ მისი მკვლელობის განზრახვა სარწმუნოდ მიაჩნდა. მისივე თქმით, ამჟამად იგი დარწმუნებულია, რომ ქმარს ტყვია შემთხვევით გაუვარდა.

თამარ დოხტურაშვილი, გურამ ყანჩაშვილის ადვოკატი:

„დაზარალებულის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება მოსამართლეებმა რატომღაც არ გაიზიარეს. მიუხედავად იმისა, რომ მან საკმაოდ დამაჯერებლად ახსნა ის მიზეზი, რის გამოც, პროკურატურაში ქმარი განზრახ მკვლელობის მცდელობაში დაადანაშაულა. მის გარდა, შემთხვევითი გასროლის ფაქტი სხვა მოწმეებმაც დაადასტურეს, მაგრამ სასამართლო, ბოლომდე პროკურატურის პოზიციაზე დარჩა. მათ მხოლოდ ორი მუხლი მოუხსნეს ყანჩაშვილს – ცემა-წამება და სხეულის მსუბუქი დაზიანება. მაგრამ მარტო ამ მუხლების მოხსნა ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. განსასჯელის მხარის მოთხოვნა თავიდანვე, განზრახ მკვლელობის მცდელობის შესაბამისი მუხლის, გაუფრთხილებლობით მკვლელობის მცდელობად გადაკვალიფიცირება გახლდათ და ჩვენც ბოლომდე ამ პოზიციას ვინარჩუნებთ. უახლოეს მომავალში, საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილ უსამართლო განაჩენს უზენაეს სასამართლოში გავასაჩივრებთ“.

■

სახელმწიფო ტელევიზიის ჟურნალისტთა ხელმოკლეობის მიუხედავად, ნელი კოგბიაშვილს, თავისი გადაცემების მოსამზადებლად, ოკეანეც გადაუსერავს, მეზობელ რუსეთსა და თურქეთში ხომ, ლამისაა, ყოველ კვარტალში ერთხელ დადის. იმაზე, თუ როგორ ახერხებს ამას და თავისი რიგით მეორე პროფესიის წყალობით, რომელ სახელგანთქმულ ადამიანებს შეხვედრია ან უნდა შეხვდეს უახლოეს მომავალში, — თავად ნელი მოგვითხრობს.

სამი თვე CNN-ში, გაღიღებული ინტერვიუ კლინტონთან და მსგავსება ჯეინ ფონდასთან

ხათუნა ჯავახიშვილი

— ბავშვობაში კონცერტებსა და სპექტაკლებს ვდგამდი ხოლმე. დამდგმელიც მე ვიყავი, სცენარის ავტორიც, დეკორაციისთვის საჭირო ნივთები და კოსტიუმებიც მე მომქონდა სახლიდან და მთავარ როლსაც საკუთარ თავს ვაძლევდი ყოველთვის. ამისთვის ჩემი მეგობრები, ახლა მიქნევენ ხოლმე თითს: შენ დედოფალი იყავი ყოველთვის და ჩვენ — შენი მოსამსახურეებიო... ალბათ მე უფრო აქტიური და ძლიერი ვიყავი და ვიბრიყვებდი მათ. ბავშვობიდან, მსახიობობაზე ვოცნებობდი, მაგრამ ოჯახში ამის გაგონებაც კი არ უნდოდათ. ბებია და ბაბუა, რომლებიც მზრდიდნენ, მუსიკასა და ენებს მასწავლიდნენ. ახლა ძალიან გამომადგა ენის ცოდნა.

— ბებია-ბაბუა კარგია, მშობლებთან რატომ არ ცხოვრობდით?

— დედა, ჩემზე მშობიარობას გადაჰყვა, მამა — ცალკე ცხოვრობდა; ექვსი წლის ვიყავი, მეორე ცოლი რომ შეირთო. ერთადერთი შვილიშვილი ვიყავი და ბებია და ბაბუა ძალიან მანებივრებდნენ. ძალიან ცელქი ვიყავი. ძილის წინ, როდესაც ვხვდებოდი, რომ ენერგია კიდევ მქონდა დასახარჯი, ერთი კედლიდან მეორემდე დავრბოდი ხოლმე. ასეთია ჩემი უმცროსი შვილიშვილიც და რომ ვუყურებ, ჩემი ბავშვობა მახსენდება.

— ტელევიზიაში როგორ მოხვდით?

— დასავლეთ-ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დავამთავრე. ასპირანტურა მოსკოვში გავიარე და დისერტაციის დაცვასაც იქვე ვაპირებდი, მაგრამ მოხდა ისე, რომ თბილისში დამჭირდა ჩამოსვლა. დავფიქრდი ჩემს პროფესიაზე და მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. ძალიან მინდოდა ტელევიზიაში მუშაობა, მაგრამ ჩემი ქმარი — გურამ სიხარულიძე არ მიშვებდა: ტელევიზიაში მსუბუქი ყოფაქცევის ქალები მუშაობენო, — ასე ფიქრობდა. მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ, ტელევიზიის თავმჯდომარედ ნუგზარ ფოფხაძე დანიშნეს: ჩემი ქმრის ახლობელია და გიორგიმაც გამიშვა იქ სამუშაოდ. 1979 წელს მივედი ტელევიზიაში და ორ თვეში, უკვე ორი გადაცემა მიმყავდა — „კინომოზაიკა“ და „მულტპანორამა“. მას მერე, არ დარჩენილა არც ერთი სფერო, რომ არ მემუშავოს, მაგრამ ჩემს ყველაზე დიდ წარმატებად გადაცემა — „ჩვენ ვეძებთ ფიროსმანს“ მიმაჩნია, რომელიც რუსეთის ტელევიზიითაც გადაიცა.

— CNN-ში როგორ მოხვდით?

— 1990 წელს, ჯორჯიას შტატისა და საქართველოს დაძმობილებასთან დაკავშირებით, დიდი დელეგაცია გაემგზავრა ამერიკაში. მასში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლები შედიოდნენ. საქართველოდან მე და მსახიობი

ჯეინ ფონდასთან ურთიერთობისას ვხედავდი, რომ ქალებს ერთი და იგივე პრობლემები გვაქვს, — მიუხედავად იმისა, რომ იგი ყველანაირად მოწყობილ ქვეყანაში ცხოვრობს და მე — მოუწყობელში...

ნიკიტა მიხალკოვთან (მარცხნივ) და ელდარ შენგელაიასთან ერთად

ზეიკო ბოცვაძე ვიყავით.

— დელეგაციაში როგორ მოხვდით?

— პროტექციით — როგორც ყოველთვის ხვდებიან ხოლმე ყველგან... **CNN**-ში ექსკურსიაზე მიგვიყვანეს და ამით დამთავრდა ამ ტელევიზიასთან ჩემი პირველი კონტაქტი. შემდეგ უკვე, როცა მეორედ მიმიწვიეს ამერიკელებმა, მე თვითონ ვთხოვე მასპინძლებს, **CNN**-ში მივეყვანე. თბილისიდან რაღაც მასალები მქონდა წაღებული. სამი სიუჟეტი ვუჩვენე; სამივე გაუშვეს ეთერში და სამი თვით დამტოვეს კიდეც, რომ მემუშავა და იქაურობას უკეთ გავცნობოდი. მათ შიგნიდან დანახული ჩვენი ქვეყნის ამბები აინტერესებდათ; სხვადასხვა ტელევიზიიდან და გაზეთიდან მოდიოდნენ ჩემგან ინტერვიუს ასაღებად. მათ ვაინტერესებდი, როგორც ექსპონატი, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, რომელსაც თავისი თვალით ჰქონდა ნანახი,რა ხდება ამ ქვეყანაში. Very political lady (ძალზედ პოლიტიზირებული ქალბატონი) — ასე მიწოდებდნენ... 3 თვის შემდეგ ჩამოვედი თბილისში და ახლა ყოველი წლის მაისში მოწვევებს მიგზავნიან საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობის მისაღებად. როცა ვახერხებ, მივდივარ.

— საკუთარი ხარჯებით მგზავრობთ თუ ვინმე გაფინანსებთ?

— აქედან საკუთარი ხარჯებით მივდივარ და იქ უკვე ამერიკელები მაცხოვრებენ, ჩვენს ტელევიზიას ამის ფული როდის ჰქონია?! ხანდახან, პიროვნულად თუ დამეხმარება ხოლმე ვინმე. მაგალითად, ერთხელ „იბერვიზიის", როგორც პირველი კერძო ტელეკომპანიის შესახებ მოვამზადე სიუჟეტი და მაშინ, მისმა პრეზიდენტმა, გია გოგიბერიძემ დამაფინანსა. სხვათა შორის, ახლაც შემიძლია სიუჟეტების გაგზავნა **CNN**-ისთვის, რომელსაც დიდი სიამოვნებით მიიღებენ, მაგრამ ამას სათანადო აპარატურა და დაფინანსება სჭირდება. ასეთ შემთხვევაში, ყველა კორესპონდენტს საკუთარი ქვეყანა აფინანსებს ხოლმე... **CNN**-ში უამრავ საინტერესო ადამიანს შევხვდი და დავუმეგობრდი: ტედ ტერნერს (**CNN**-ის მფლობელს), ჯეინ ფონდას და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენ ცნობილ ადამიანს.

— როგორ წარმოიშვა და შემდეგ რატომ შეწყდა გადაცემა „მე ქალი ვარ"?

— ერთხანს ხელმძღვანელობის დავალებით ვაკეთებდი გადაცემას კონსტიტუციის შესახებ. იმდენად მივეჩვიე და მომწონდა ეს გადაცემა, რომ მიმაჩნდა — კვლავ უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ზაზა შენგელიამ, როცა ტელევიზიაში თავმჯდომარედ მოვიდა, რატომღაც არ მოინდომა და გააჩერა ეს გადაცემა. მეც გავჩერდი. დაღლილი ვიყავი ძალიან და ერთი წელი ვისვენებდი. შემდეგ მივედი ზაზასთან და ვუთხარი: ჯერჯერობით არა მგონია, პენსიაში გასასვლელი ვიყო; არ ვთვლი, რომ ახალგაზრდები ნამეტანი კარგები არიან და მე ნამეტანი ცუდი, და თუ არ გჭირდები, ეს სწორად არ მიმაჩნია-მეთქი... ზაზა მომეფერა და ქალებისთვის თოკ-შოუს გაკეთება შემომთავაზა. ერთი წელი ვაკეთე „მე ქალი ვარ", მერე კი ესეც აღარ მოუნდათ. ახლა რა ვქნა-მეთქი? — ვკითხე. ტენდერის მასალებიდან აარჩიე რუბრიკებიო. იქ საჩემო რუბრიკები არ აღმოჩნდა, რადგან მე სოლიდური და რაღაცის მთქმელი გადაცემა შემეფერება.

— ... და დაგებადათ იდეა გადაცემისა „შორეული ახლობლები"?

— „შორეული ახლობლების" იდეა ჯერ კიდევ ამერიკაში ყოფნისას, 1992 წელს დამებადა. იმ დროს საპრეზიდენტო არჩევნები იყო და ძალიან თანავუგრძნობდი ბილ კლინტონს. ამერიკული გაზეთისთვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი, რომ ამერიკა მილიონების ოცნებაა და არ შეიძლება, მისი პრეზიდენტი მომხიბლავი არ იყოს, კლინტონი კი — ნამდვილად მომხიბლავი მამაკაცია-მეთქი. კლინტონი პრეზიდენტი გახდა. ერთი თუ ორი წლის შემდეგ, გადავშალე „ნიუ-იორკ თაიმსი" და აღმოვაჩინე, რომ კლინტონი და მე ერთ წელიწადში, ერთ დღეს ვართ დაბადებულები. მაშინ გამიჩნდა იდეა, ჩამეწერა ინტერვიუ კლინტონთან, როცა პრეზიდენტი აღარ იქნებოდა. მის ბიოგრაფიას რომ გავეცანი, აღმოვაჩინე, რომ ბევრი რამ გვაქვს საერთო. მსოფლიოში ალბათ რამდენ ადამიანს აქვს ერთმანეთთან საერთო, მაგრამ ერთმანეთისგან შორს არიან: თუნდაც ჯეინ ფონდასთან ურთიერთობისას ვხედავდი, რომ ქალებს ერთი და იგივე პრობლემები გვაქვს, — მიუხედავად იმისა, რომ იგი ყველანაირად მოწყობილ ქვეყანაში ცხოვრობს და მე — მოუწყობელში.

სხვათა შორის, ძალიან საინტერესო თემაა...

— ბილ კლინტონთან ინტერვიუს ჩაწერას ისევ აპირებთ?

— რა თქმა უნდა. უბრალოდ, რუსი მოღვაწეებით დავიწყე ეს ციკლი და კლინტონამდეც მივალ. ახლა თურქეთში ვაპირებ წასვლას. თანსუ ჩილერზე *(ყოფილი პრემიერ-მინისტრი. —*

რეზო გაბრიაძესთან ერთად

ინამ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ ისეთივე ჟურნალისტი გახდა, როგორიც მე – უცხო ენების სპეციალისტი... ქალიშვილთან და შვილიშვილთან ერთად, ამერიკაში სტუმრობისას

ავტ.) და კიდევ, ორ მინისტრზე უნდა მოვამზადო გადაცემა.

— ტელევიზია არც ამ გადაცემათა ციკლს აფინანსებს?

– რთულ თემას შეეხეთ. ყველაფერს ვერ გეტყვით. ძალიან სერიოზული პრობლემების წინაშე ვდგავართ, რადგან ეს ძვირად ღირებული გადაცემაა, მაგრამ რაღაცას მაინც ვახერხებ. ჩემთვის მთავარია, რომ გადაცემამ იარსებოს.

— თქვენს პირად ცხოვრებაზეც მოგვიყევით. როგორი დედა და ბებია ხართ?

– თავგანწირული დედა ვარ. 19 წლის ვიყავი, დედა რომ გავხდი და ეს ჩემთვის რევოლუციის მაგვარი რამ იყო. როცა ჩემი გოგონა – ინა დაიბადა, ვიგრძენი, რომ ჩემი მოსვენებული ცხოვრება დამთავრდა. რაც შეეხება ბებიობას – ძალიან მიყვარს ჩემი შვილიშვილები, მაგრამ რომ გითხრათ, მათი „ბეიბისითერი“ (მომვლელი) ვარ-მეთქი, ტყუილი იქნება. ალბათ იმიტომ, რომ ამის აუცილებლობა არ არის, თორემ ყველაფერს მივატოვებდი მათი გულისთვის. უფროსი შვილიშვილი 15 წლის არის, უმცროსი – 4,5-ის. მათთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, რომ ახალგაზრდა და ცნობილი ბებია ჰყავთ, არც ჩემს გადაცემას უყურებენ ხოლმე, საერთოდ არ აინტერესებთ. ჩემი შვილიც იშვიათად უყურებს ხოლმე ჩემს გადაცემას, თუმცა, ინამ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ ისეთივე ჟურნალისტი გახდა, როგორიც მე – უცხო ენების სპეციალისტი... არადა, მუშაობდა „იბერვიზიაში“, „პირველ არხზე“ და საკმაოდ წარმატებულადაც, მაგრამ მას მიაჩნია, რომ ისე, როგორც მე ვმუშაობ – არაკომფორტულ პირობებში, დაბალ ხელფასზე, – ასეთ მუშაობას აზრი არა აქვს. ახლა ის სატელეკომუნიკაციო კომპანიაში მუშაობს.

— თუ ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ მარტოხელა ქალი არასრულფასოვნად და არასრულყოფილად გრძნობს თავს?

– რომ გითხრათ, არასრულყოფილად ვგრძნობ თავს, იმის გამო, რომ გვერდით მამაკაცი არ მყავს-მეთქი, მართალი არ იქნება, მაგრამ კომპლექსი ამის გამო არსებობს. ერთი კაცი მაინც უნდა ივდეს სუფრასთან, რომ ქალად იგრძნო თავი...

— თქვენი მარტოდ ყოფნა იმან ხომ არ განაპირობა, რომ ძალიან აქტიურ ცხოვრებას ეწევით და სულ საქმეში ხართ ჩაფლული?

– კი, რა თქმა უნდა. ამიტომაც გავშორდი ქმარს: მამაკაცისთვის ძალიან ძნელია, უყუროს ქალს, რომელიც ყოველდღე ღამის პირველ საათზე ბრუნდება სამსახურიდან. ყველა ქმარი ამას ვერ აიტანს. მე უსაქმოდ არ შემიძლია – ამით ვსუნთქავ. ხანდახან გულში გავიფიქრებ ხოლმე – რატომ ვარ ასე ეულად? – მერე კი ჩემს თავს ვტუქსავ ხოლმე: შენ არ იყავი, რომ ამბობდი, – მინდა ვიყო დამოუკიდებელი და არავინ იყოს კონტროლის გამწევი-მეთქი?! ხომ მინდოდა ეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა?! ე.ი. მივიღე ის, რაც ახალგაზრდობაში მინდოდა...

— როგორ ფიქრობთ — სიყვარული ერთხელ მოდის ცხოვრებაში?

– არა, მე არ ვთვლი ასე. რამდენჯერაც გინდა, იმდენჯერ შეიძლება მოვიდეს. თუმცა, ნამდვილ სიყვარულს წლების შემდეგ ამოარჩევ და იტყვი, რომ ის ნამდვილია. რა ვიცი, ზოგისთვის ერთხელ მოდის, მე მეტჯერ მქონდა ეს გრძნობა. შეყვარება იოლია, შენარჩუნება – ძნელი. ერთი დიდი სიყვარული მაინც რომ მქონოდა, დღეს სხვანაირად ვიქნებოდი. შეიძლება, მამაკაცების ბრალია, შეიძლება – ქალების, მაგრამ მამაკაცს ბევრი რამ მოეთხოვება. ძალიან ბევრი რამ არის საჭირო, რომ ქალმა ბოლომდე უერთგულოს და უყვარდეს ქმარი. კაცი უნდა იყოს რაინდი.

— ცხენზე ამხედრებულ რაინდს ელოდებით?

– აღარ ველოდები – იმიტომ, რომ ჩემი თაობის ხალხი უკვე ძალიან დაღლილია ცხოვრებით. ამერიკაში, ჩემს ასაკში ცხოვრებას იწყებენ, მაგრამ ჩვენში ასე არ არის...

— დაბოლოს, რაზე ოცნებობს ჟურნალისტი ნელი კობიაშვილი?

– ოცნებობ იმაზე, რომ რაც შეიძლება დიდხანს არ დავბერდე, შევინარჩუნო ჯანმრთელობა და მუშაობის სურვილი. ჩემი ხსნა შრომაშია, ეს არის ჩემი ქმარიც, შეყვარებულიც, კავალერიც და ყველაფერი. როცა ვმუშაობ, კარგად ვარ. ჩემთვის ორი რამ არის მთავარი – ახლობლები მყავდნენ კარგად და საინტერესო სამუშაო მქონდეს. ■

ფრაზები გენიალური

ყველაზე საიმედო ხერხი საიმისოდ, რომ ცოლის დაბადების დღე მუდამ გახსოვდეთ, ის არის, რომ ერთხელ მაინც გამოგრჩეთ.

ჯოსეფ კოსმანი

ქალბატონი **დალი ლოლუა** *17 წლის ასაკში გახდა კოლხური კოშკის ბინადარი, კონსტანტინე ბატონი მას ერთადერთი მოსაფერებელი სიტყვით მიმართავდა — ჩიტო. კოლხური კოშკის ჭიშკრის შეღება ცოტა ვინმეს, ისიც — რაღაც თვისებით გამორჩეულ ადამიანს თუ შეეძლო, ამდენად, რით და როგორ სუნთქავდა ქართული პროზის პატრიარქის ოჯახი, ფართო საზოგადოებრიობისათვის ნაკლებად ცნობილია. ქალბატონი დალი დაგვთანხმდა, გაეხსენებინა კოლხურ კოშკში გატარებული დღეები, თუმცა მოერიდა უშუალოდ ზვიად გამსახურდიასთან ცოლქმრულ ურთიერთობაზე საუბარს (ჩვენი შეხვედრა საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაბადების დღის — 31 მარტის მოახლოებასთან დაკავშირებით შედგა) და ძირითადად, ნაადრევად გარდაცვლილი მისი დის, თამარის გახსენებით შემოიფარგლა.*

კონსტანტინე და თამარ გამსახურდიები

სიცოცხლის ბოლო წუთებშიც კი თამარი ზვიადზე ფიქრობდა და დარდობდა...

ნანა ქიბიშაური

— ქალბატონო დალი, თქვენ მიერ გამოცემული წიგნის — „კოლხური კოშკის ქრონიკებიდან“, ნათლად ჩანს, რომ თქვენ და თამარს განსაკუთრებული ურთიერთობა გქონდათ. არადა, თამარის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი...

— მე თამარს კოშკში მისვლამდე ვიცნობდი. მისი არაჩვეულებრივი ნატიფი გარეგნობა და საოცარი ხიბლი ყოველთვის დიდ აღფრთოვანებას იწვევდა თანატოლებში; თამარი და მისი მეგობრები იმდენად გამორჩეულები იყვნენ ქალაქში, რომ მათი გაელვება საზოგადოებაში არასოდეს რჩებოდა შეუმჩნეველი. ჩემს მისვლას ოჯახში თამარი დიდი სიხარულით შეხვდა. მისი ნაჩუქარი კიმონო იაპონური ხელოვნების შეუდარებელ ნიმუშს მოგაგონებდათ. თამარი გახლდათ საოცრად გულუხვი და ხელგაშლილი ქალბატონი. ადამიანისათვის დახმარების გაწევა და სიამოვნების მინიჭება მისთვის უდიდეს ნეტარებას წარმოადგენდა. თამარი გახლდათ იმ დიდი ოჯახის ღირსეული შვილი — ქალბატონი, რომლის კრედოს, სიყვარული, მიმტევებლობა და თანადგომა წარმოადგენდა. თამარის მეგობრები, ანუ განუყრელი „პადრუგები“, როგორც ბატონი კონსტანტინე ეჭვიანობით აღნიშნავდა ხოლმე, წარმოადგენდნენ გამორჩეულ და დახვეწილ ოჯახიშვილებს. საქართველოში ასეთი ოჯახები ელიტარულად იწოდებიან. თამარის მეგობრების თავყრა კოლხურ კოშკში ნამდვილი დღესასწაული იყო. სიცოცხლის ბოლო წუთებამდე თამარს თავს ადგნენ მისი ერთგული, საყვარელი მეგობრები, რომლებიც თამარის ნათელ ხსოვნას დღესაც სათუთად ინახავენ და მის დაბადების დღეს (ვარდობისთვის 5 რიცხვში), როგორც წესი, ქალბატონ ლენა კალანდაძესთან აღნიშნავენ.

დალი ლოლუა

— ამბობენ, კოლხურ კოშკში რთული სიტუაციებიც ხშირად ყოფილა...

— მიუხედავად რძალდედამთილიანობისა და რძალმულიანობის მრავალსაუკუნოვანი კონფლიქტური ურთიერთობებისა, კოშკში ეს პრობლემები არასოდეს გახმიანებულა. თავიდან, დიდ დიასახლისს — ქალბატონ მირანდას საუკეთესოდ ჰქონდა მოგვარებული ოჯახის წევრთა ურთიერთობანი. იმხანად ოჯახი არ განიცდიდა მატერიალურ სიდუხჭირეს, ყურადღება და სიყვარული ყველას თანაბრად ეთმობოდა და საბაბი კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნისათვის, რასაკვირველია, არ არსებობდა. დღის განმავლობაში, ახალგაზრდები საკუთარი საქმიანობით ვიყავით დაკავებულები, თავისუფალ დროს კი, უფრო საღამოს, თამარი, რომელიც იუმორის დიდი გრძნობით იყო დაჯილდოებული, ყოველთვის ქმნიდა ისეთ სიტუაციას, რომლის შედეგი სიცილ-კისკისი და საუკეთესო გუნებ-განწყობის დამკვიდრება გახლდათ... ოჯახური მდგომარეობა უფრო სტაბილური გახდა კოკოს დაბადების შემდეგ. უპირველესი და უმთავრესი საზრუნავი ობიექტი მთელი ოჯახისათვის, ბავშვი შეიქნა. სიყვარულში ურთიერთს ეცილებოდა ბაბუა და მამიდა. თამარი გახლდათ უზომოდ შეყვარებული და ერთგული მამიდა, რომელსაც მთელი დღე შეეძლო, კოკოზე ესაუბრა და მისი სამეტყველო ლექსიკით აღფრთოვანებულიყო. უნივერსიტეტიდან დაბრუნებული, შემოსვლისთანავე დაყრიდა წიგნებს და ჩანთას ჰოლში სარკესთან და კოკოს ოთახში ავარდებოდა; ჩაკოცნიდა, ჩაეხუტებოდა და უყვებოდა ზღაპარს სხვენზე მოსუნსულე წრუწუნაზე, რომელიც კოკოს რატომღაც გოლიათად წარმოედგინა. წრუწუნას ხსენებაზე კოკო თამრიკოს აღელვებული ასე მიმართავდა: „თაგიდა, ნანგიდა, საბგიდა (ეს მოფერების ფორმები გახლდათ) წუწუნა გამოვიდეს კოკოსთან“ — და შეშინებული, თამრიკოს ეხუტებოდა. გამოწვევის

ეს პროცესი თამარს ძალიან მოსწონდა, რადგან მეტად შეეძლო კოკოს წვალება, კოცნა და მასთან ხანგრძლივად ჩახუტება... განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა ჰქონდა თამარს თავის უფროს დასთან — ნათელასთან, რომელსაც მოფერებით, ნათელიკოს ეძახდა...

ოჯახში მისვლისთანავე, ქალბატონმა მირანდამ, რომელიც სულ რამდენიმე წლით უფროსი იყო ნათელაზე, დაამყარა მასთან ძალზე თბილი და მეგობრული ურთიერთობა, რამაც, თავის მხრივ, ბავშვების კეთილი განწყობილებაც განაპირობა. თამარისა და ზვიადისათვის ნათელას ოჯახი, ყოველთვის ძალზე სასურველი და საყვარელი იყო.

ნათელა და მისი მეუღლე — ამილო ახობაძე უსიტყვოდ უსრულებდნენ ბატონ კონსტანტინეს ყოველნაირ კაპრიზს და მით კმაყოფილი მამა, გაურჩებულ თამარს და ზვიადს მაგალითად, უფროსების პატივისცემასა და მორჩილებას უსახელებდა. ბატონ კონსტანტინეს ძალზედ მოსწონდა, შვილები (როდესაც ისინი რაიმეს დააშავებდნენ) თავიანთ კაპიტულაციას რომ გამოაცხადებდნენ, თუმცა, შესაძლოა, ამასაც გაეღიზიანებინა; ყოველნაირ დაძაბულ თუ კონფლიქტურ სიტუაციას თამარი ერთი გულიანი კოცნით აგვარებდა ხოლმე. გახარებული და კმაყოფილი მამა კი ამ დროს, ასე ამკობდა მას: „თხა, თხა, ნამდვილი ნებიერი და ჩემი ურჩი თხა“. მაგრამ არსებობდა ზოგჯერ პოზიციები, როდესაც თამარს შეეძლო თავისი პრინციპები გაეტანა და საკმაოდ მკაცრად დაერწმუნებინა ადამიანი, რომ ის მოცემულ სიტუაციაში მართალი არ იყო და ყველაფერიც საოცრად მშვიდობიანად დაესრულებინა. კოკოს დაბადებამდე, თამარის სიყვარული ნაწილდებოდა დისშვილებზე — შორენასა და დათოზე, განსაკუთრებით — პატარა მამიდაშვილის შვილზე — ფისო ხაინდრავაზე, რადგან საოცრად უყვარდა ბავშვები და რატომღაც განგებამ ამ უმშვენიერეს ქალბატონს საკუთარი შვილი არ არგუნა...

— ბევრ ფოტოსურათზე თამარი სპორტულ სამოსშია გამოწყობილი...

— განუზომელ ხიბლთან ერთად, თამარი მართლაც საოცრად სპორტული გახლდათ. ის შესანიშნავად ცურავდა, სრიალებდა თხილამურებით და კარგად თამაშობდა ჩოგბურთს. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ მან თავისი ცხოვრების თანამგზავრად აირჩია ბრწყინვალე კალათბურთელი, გუნდის პულსისა და ტემპის მარეგულირებელი — გურამ მინაშვილი, რომელიც, როგორც მახსოვს, თამარმა გაგრაში გაიცნო და იქიდან დაბრუნდა საოცრად შეყვარებული და აღტაცებული. ჰქონდათ იდეალური ცოლ-ქმრობა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, უსასრულო ბედნიერება არ არსებობს და რაღაც დროით, ეს ურთიერთობა შეწყდა. მიუხედავად მრავალი ხელისშემშლელი მიზეზისა, მათ შორის ურთიერთობა შეფარულად მაინც გრძელდებოდა; ორივეს, თამარის სიცოცხლის ბოლო წუთებამდე, უზომოდ უყვარდა ურთიერთი. გურამმა თამარის შემდეგ მეუღლედ აღარავინ ისურვა და დღემდე მარტოხელა დარჩა... დიდ ბედნიერებასთან ერთად, თამარი თავის პირად ცხოვრებაში ჭეშმარიტად ტრაგიკულ ქალბატონად აღიქმება...

საოცრად შრომისმოყვარე და საქმიანი გახლდათ ყოველთვის. დილიდან, ჯერ კიდევ საწოლში შეუდგებოდა კითხვას და ლექციებისთვის მზადებას, შემდეგ სწრაფად წამოხტებოდა, თავს მოიწესრიგებდა, წიგნებსა და საჭირო მასალას ჩანთაში ჩააწყობდა და უნივერსიტეტში წასასვლელად გაემზადებოდა. როგორც წესი, აუცილებლად შეურბენდა კოკოს, ჩაკოცნიდა და სასეირნოდ წაყვანას დაჰპირდებოდა; შემდეგ შეირბენდა სასადილო ოთახში, სადაც ბატონი კონსტანტინე დინჯად, აუჩქარებლად საუზმობდა — აბოლებდა სიგარეტს და მიირთმევდა კონიაკიან ჩაისა და ხიზილალას. ერთ ლუკმას ასევე სირბილში შეცუცნიდა და ენერგიამოჭარბებული, უნივერსიტეტისკენ გაეშურებოდა. თამარი არაჩვეულებრივად ფლობდა ინგლისურს, იტალიურსა და ფრანგულს. განსაკუთრებით უყვარდა ფრანგული პოეზია და ხშირად კითხულობდა ბოდლერის, ვერლენისა და რემბოს პოეტურ ქმნილებებს. თამარმა, მოსკოვში, ბუკინისტურ მაღაზიაში შეიძინა ვერლენის პოეტურ ქმნილებათა უნიკალური წიგნი (გობელენის გარეკანში ჩასმული), რომელიც შემდეგ, დიდი სიყვარულით, მე მაჩუქა. სათუთად შენახული წიგნი კოკოს გადავეცი და ახლა ვუნახავ ჩემს შვილიშვილებს, რომლებიც უკვე რამდენიმე ენას და მათ შორის, ფრანგულსაც ფლობენ.

თამარი გახლდათ უზომოდ შეყვარებული და ერთგული მამიდა, რომელსაც მთელი დღე შეეძლო, კოკოზე ესაუბრა და მისი სამეტყველო ლექსიკით აღფრთოვანებულიყო

— უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, რას საქმიანობდა თამარი?

— თამარი უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრაზე მუშაობდა. მისი ხელმძღვანელი გახლდათ ყველასათვის საყვარელი პროფესორი შოთა მესხია. ასპირანტურაში თამარი ამუშავებდა საქართველოს ისტორიის ისეთ რთულ პრობლემებს, როგორიც იყო: „ანტიკური პერიოდის და ადრეფეოდალური ხანის ქართული სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების საკითხები“. თამარმა ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტა-

თამარი, ზვიადი და მირანდა



ცია და უზომოდ გაახარა მშობლებისა და მეგობრების გულები. სიცოცხლის ბოლო წლებში, დაინტერესებული იყო პიტიახშის ინსტიტუტის შესწავლით, მაგრამ საუბედუროდ, არ დასცალდა. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეორე ტომში შეტანილია ნაშრომი — „ადრეფეოდალური ქალაქების ისტორიის შესახებ“, რომელიც თამარის კალამს ეკუთვნის. მისი დიდი ჩანაფიქრი — „ქართლის სამეფოს სახელმწიფო წყობილება ანტიკურსა და ადრეფეოდალურ ხანაში“ განუხორციელებელი დარჩა...

როცა კოკომ ისწავლა კითხვა (4 წლისამ) და დაიწყო საქართველოს ისტორიის საკითხების თავისებურად აღქმა, თამარის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მოსწონდა მისი ბავშვური, უშუალო ინტერპრეტაცია, საკითხების საკმაოდ ღრმად წვდომა და ხშირად ნატვრით აგრე ეუბნებოდა: „ნეტა ჩემი სტუდენტები სწავლობდნენ ამ საკითხებს ასეთი დიდი გულმოდგინებითა და მონდომებით, როგორც შენ, ჩემო საყვარელო კოკუნა. წამოდი, წაგიყვან უნივერსიტეტში და შენ წაუკითხე ლექცია ამ მცონარებს, ეგებ შერცხვეთ და ჭკუას მოეგონ...“

რამდენადაც ბატონი კონსტანტინე და ზვიადი თავისებურები იყვნენ ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებაში, იმდენად საოცრად კომუნიკაბელური, ყურადღებიანი და თბილი გახლდათ თამარი, რაც ადამიანებს მისდამი საოცრად დადებით განწყობილებას უქმნიდა.

— თქვენს წიგნში წერთ, რომ თამარს განსაკუთრებით უყვარდა ცხოველები.

— ეს მართლაც ასე იყო. ისე არ გაივლიდა წელი, რომელიმე ახლობელს ან თაყვანისმცემელს ბატონი კონსტანტინესათვის ნაკრძალიდან საჩუქრად ირემი ან შველი რომ არ გამოეგზავნა. ულამაზესი შვლის ნუკრი, რომელსაც თამრიკომ ია დაარქვა, მასთან ოთახში ცხოვრობდა. დასდევდა თამარს ნაზქათიბიანი, ხალებიანი ია, ხან კაბაში მოქაჩავდა, ხანაც, კაბის ბოლოს აკვნეტდა და ონავრობით გალაღებული პაწაწკუნტელა ტკაპუნა ჩლიქებით დაბაკუნობდა ოთახებში. ხშირად, გაკუნტრუშებულ იას იატაკზე ჩლიქები უსრიალებდა და გაფარჩხული საწყალობლად წუწკუნებდა. მოხვევდა მაშინ თამარი ხელს იას, უაზროდ გაფარჩხულს გულში ჩაიკრავდა, ჩაკოცნიდა, საწოლზე დააწვენდა და რძიან-საწოვრიან ბოთლს დრუნჩთან მიუტანდა; ნუკრი საწოვარას დიდი სიფრთხილით მოჰკიდებდა პირს, ნაზად გადაგდებდა თავს და სიამოვნების ნიშნად, ნელა მილულავდა უმშვენიერეს თვალებს... გრიბოედოვის ქუჩაზე ცხოვრების პერიოდში, თამარს ჰყავდა სპანიელის ჯიშის ულამაზესი შავი ძაღლი — ცუგო, რომელსაც, როგორც ბატონი კონსტანტინე გაზვიადებით აღნიშნავდა — თამარი საწოლში იწვენდა და გაუთავებლად კოცნიდა. როგორც თამარი ამბობდა, ერთხელ ბატონმა კონსტანტინემ ძაღლის მოშორება განიზრახა და ვერაგული გეგმა შეამზადა: მოელაპარაკა მეეზოვეს, რომ ცუგო ქალაქგარეთ შორს გაეყვანა და იქ დაეტოვებინა. ჩანაფიქრი თურმე ჩაიშალა, რადგან მეეზოვემ გასთქვა ბატონი კონსტანტინე და თამრიკომ გაათკეცებული სიყვარულით ჩაიკრა გულში ცუგო... ერთ დროს, კოშკის წინა ეზოში, ფანჯრების წინ, მეწამულ ვარდებს შორის დასეირნობდა გაფხორილი ფარშავანგი თავისი გამოგნებლად ლამაზი ეგზოტიკური მარაოთი, რომლის ამაზრზენი ხმა საოცრად აღიზიანებდა დიდ მწერალს. ის გაოცებული აღნიშნავდა: „მარტო ღმერთს შეეძლო დაეშვა ბუნებაში ამ ორი უცილობელი კატეგორიის სიმახინჯისა და სილამაზის ამგვარი ჰარმონიული თანაარსობა, ადამიანებში კი, ეს იშვიათად შეინიშნება, რადგან ხშირ შემთხვევაში, რომელიმე მათგანი უფრო სჭარბობს“.

თამარი მეგობართან ქუქუნა ართმელაძესთან ერთად (60-იანი წლები). განუზომელ ხიბლთან ერთად, თამარი მართლაც საოცრად სპორტული გახლდათ. ის შესანიშნავად ცურავდა, სრიალებდა თხილამურებით და კარგად თამამობდა ჩოგბურთს

— თამარისა და ზვიადის ურთიერთობის შესახებ რას გვეტყვით?

— თამარსა და ზვიადს საოცრად თბილი და უჩვეულო დამობა ჰქონდათ. ზვიადი თითქოს მამას ჰქომაგობდა მეტად, თამარი კი — დედას, მაგრამ რეალურად, ორივეს სიგიჟემდე უყვარდა ერთმანეთი და მშობლები; ქალბატონი მირანდა, დიდი ქალბატონი, რომელიც აფრქვევდა სათნოებასა და სიყვარულს, ოჯახის ის მამოძრავებელი ძალა და ბურჯი გახლდათ, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სიკეთეს თესდა. ასეთი მშობლების შვილები არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ სხვაგვარები. ისინი გამორჩეულად კეთილი და დახვეწილი ოჯახისშვილები გახლდნენ. როგორც თამარის ამხანაგები აღნიშნავდნენ, სიცოცხლის ბოლო წუთებშიც კი თამარი ზვიადზე ფიქრობდა და დარდობდა მასზე: მამა ძალიან მოხუცდა, მე ვკვდები და რა ეშველება ზვიადს უჩემოდ, არ ვიცი...

დედის შემდეგ, თამარის სიკვდილი განუზომლად დიდი დანაკლისი იყო ზვიადისათვის, რადგან მისი ერთგულება ის მძლავრი ფარი იქნებოდა, რომელიც დაიცავდა მას ბევრი უბედურებისგან... უკურნებელი სენის მოძალების შემდეგ, მდგომარეობა ძალზე დამძიმდა. 1973 წლის 16 ოქტომბერს გამთენიისას, 36 წლის ასაკში, უმშვენიერესმა თამარმა განუტევა სული და ჩრდილების ქვეყანას გაეშურა, რათა მოჰფერებოდა ძალზე მონატრებულ უძვირფასეს დედას... ასე აღესრულა ეს უმშვენიერესი სიცოცხლე შემოდგომის ჯანღიან და ნაღვლიან დღეს, რომელიც სამუდამოდ ამოიტვიფრა მისი ახლობლების გულებში.

P.S. თამარის საფლავს, ჯვრის გარდა, უნდა ამშვენებდეს მარმარილოს ფირფიტა, რომელზეც ამოტვიფრული იქნება შემდეგი სიტყვები: „მე ვარ სერაფიტი, ასული ზევახისა“. ■

ცოლ-ქმარი თამარ გამსახურდია და გურამ მინაშვილი. გურამმა თამარის შემდეგ მეუღლედ აღარავინ ისურვა და დღემდე მარგოხელა დარჩა...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

1. ანდრეი სახაროვმა საქართველოს პატარა იმპერია უწოდა.

2. „პატიოსან მტერთა შორის მოციქული ნამუსია“, – წერდა ნიკოლოზ ბარათაშვილი.

3. ქარიშხლის დროს ქარზე უფრო დიდ მკვლელად წყალი იქცევა. ქარიშხლის დროს დაღუპულთა რაოდენობის 95% წყალში დამხრჩვალ ადამიანებზე მოდის.

4. ისინდის დროს ნასროლი შუბი თუ მოწინააღმდეგის ცხენს მოხვდებოდა, ერთი ქულა იყო, თუ ცხენოსანს – ორი.

5. „მე და კინო მწყრალად ვართ ერთმანეთთან. ამ დარგში ისეთი არაფერი გამიკეთებია, რამედ რომ ღირდეს,“ – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში გურამ საღარაძემ. P.S. ბატონი გურამი უკვე 51-ე სეზონია, რაც რუსთაველის თეატრში მოღვაწეობს.

6. სოფი ლორენმა 14 წლის ასაკში მიიღო სილამაზის კონკურსში მონაწილეობა და როგორც გამარჯვებულმა, იმ დროისთვის წარმოუდგენელი თანხა, 25.000 ლირა (40 დოლარი) მიიღო ჯილდოდ.

7. საქვეყნოდ ცნობილი შვედი სბავშვო მწერალი ასტრიდ ლინდგრენი, სახელგანთქმული „კარლსონისა“ და „პეპი გრძელიწინდას“ ავტორი 2002 წლის 29 იანვარს 94 წლის ასაკში გარდაიცვალა.

8. გიგანტური კენგურუ სამოც კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს. ასეთი სრბოლის დროს მისი ნახტომი შვიდ მეტრსაც კი აღწევს.

9. ვლადიმირ ვისოცკი ერთ რეჟისორს სთხოვდა, შენს ფილმში ამა და ამ როლში მათამაშეო. „მაგ როლისათვის პოეტი მესაჭიროებაო,“ – უთქვამს რეჟისორს. ვისოცკი უხმოდ მიტრიალებულა და გულნატკენი წასულა. P.S. ვლადიმირ ვისოცკის ლექსი „ია ნე ლიუბლიუ ფატალნავა ისხოდა...“ ბრწყინვალედ აქვს ნათარგმნი კოტე ყუბანეიშვილს.

10. ეგრეთ წოდებულ „ბიუსტების ომში“ სოფი ლორენს კონკურენციას ჯინა ლოლობრიჯიდა უწევდა. „შეიძლება სოფის ბიუსტი უფრო დიდი იყოს, ოღონდ არა უფრო კარგი“, – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ჯინამ.

11. „კარგი წერა“ – ასე ითარგმნება ბერძნულიდან „კალიგრაფია“.

12. პირველი სამაჯურიანი საათი „სანტოსი“ გაყიდვაში 1904 წელს გამოჩნდა.

როდესაც ბავშვს არ ესმის, როდესაც ბავშვი ვერ ლაპარაკობს...

„გზის“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ წერილი, რომელშიც მეტყველების კულტურის შესახებ დასმულ შეკითხვებს დოცენტი მანანა ბერიკაშვილი პასუხობდა. ამჯერად თემას მეტყველების ორგანული დარღვევებით, მისი გამომწვევი მიზეზებისა და პროფილაქტიკის შესახებ საუბრით განვაგრძობთ. რა გზას დაადგნენ მშობლები, რომელთა შვილებიც, სხვადასხვა ორგანული დაავადების გამო, მეტყველების უნარს არიან მოკლებულნი? სურდოპედაგოგი ნინო ფერაძე მათ ურჩევს, რომ შვილის ყრუ-მუნჯთა სკოლაში მიყვანამდე, სადაც სწავლება მხოლოდ ჟესტ-მიმიკის მეთოდით მიმდინარეობს, სცადონ აუდიო-ვერბალური მეთოდის ათვისება, რომლის საშუალებითაც ბავშვი სიტყვების ტუჩებიდან ამოკითხვას სწავლობს, ამის შემდეგ კი, ის უპრობლემოდ განაგრძობს ჩვეულებრივ სკოლაში სწავლას.

ნანა ქიბიმაური

ნინო ფერაძე

ნინო ფერაძესთან ინტერვიუმდე, გაგაცნობთ პატარა ბიჭუნას – იაკობ ჯავაშვილს, რომელიც სკოლა-ლიცეუმ „ბალავარში“ სწავლობს. თანაკლასელ ბიჭებს შორის მას ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს. არადა, „ბალავარში“, გაძლიერებული, საკმაოდ რთული პროგრამით მიმდინარეობს სწავლება. იაკობს ბევრი მეგობარი ჰყავს, მათ შორის, უახლოესი ძმაკაცი – გიორგი ჭყონიაა, „რომელიც ყველაზე მაგარი ბიჭია“ და... კიდევ, შეყვარებული – „ყველაზე ლამაზი გოგო“. იაკობს უნდა, ქიმიკოსი ან არქეოლოგი გამოვიდეს. გამომიტყდა – პატარა რომ ვიყავი, მაღაზიის გამყიდველი ან სტომატოლოგი მინდოდა გავმხდარიყავი, რადგან ორივე, ფულიანი საქმეა, მაგრამ ახლა გავიზარდე და გადავიფიქრეო...

იაკობი მშვენივრად საუბრობს, მოსმენის დროს კი ჩერდება, ძალიან ლამაზი თვალებით შემოგყურებს, გიღიმის და... ტუჩებზე დაკვირვებით ცდილობს, გაიგოს, თუ რას ეუბნებიან. წლების წინ თურმე ვერავინ იფიქრებდა, რომ იაკობი მეტყველებას დაიწყებდა, რადგან ის მემკვიდრეობით მიღებული დაავადებით დაიბადა – იაკობის მშობლები ჟესტ-მიმიკის ენით საუბრობენ.

ირმა ჯავაშვილი, იაკობის მამიდა:

– იმ დეფექტის, რომელიც იაკობს აღმოაჩნდა, ჯერ კიდევ მანამდე გვეშინოდა, სანამ ის დაიბადებოდა, რადგან ჩემს ძმასა და რძალს, ორივეს, მეტყველებისა და სმენის პრობლემა ჰქონდა. ჩვენი ოჯახისთვის ძალიან დიდი ტრაგედია იყო იმის დაჯერება, რომ ბავშვსაც არ ესმოდა, მაგრამ რეალობას ვერსად გავექეცით. 8 თვის იყო იაკობი, როდესაც ექიმებმა საბოლოოდ დაადგინეს, რომ ის ვერასოდეს ამოიდგამდა ენას... როცა ჩემი ძმა პატარა იყო, არ დარჩა ექიმი თუ წამალი, რომ არ მიგვემართა. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებზე აღარც იყო საუბარი: ერთხელ შევიტყვეთ, რომ საფრანგეთში გამოვიდა რაღაც ახალი წამალი, რომლის ჩამოტანაც „სუხიშვილების“ ანსამბლს ვთხოვეთ. რამხელა იმედს ვამყარებდით იმ წამალზე, მაგრამ ყველაფერი უშედეგო აღმოჩნდა... ჩვენ გვქონდა მწარე გამოცდილება და იმავე გზას აღარ დავადექით. იაკობის ბებიას, ყრუ-მუნჯთა სკოლის ხსენებაც კი არ უნდოდა. ამიტომ, არჩევანი აუდიო-ვერბალური მეთოდით ვარჯიშებზე შევაჩერეთ. სულ მალე, იაკობმა პირველი სიტყვა თქვა – ჩემი ოჯახისთვის ეს

ყველაზე ბედნიერი დღე იყო.

— რა სიტყვა თქვა პირველად?

— ალბათ გაგიკვირდებათ, რადგან საერთოდ, ბავშვები პირველად „დედას“ ამბობენ. იაკობის პირველი სიტყვა კი, „ფუფალა“ იყო. მას ძალიან უყვარდა მანათობელი საგნების ყურება, ძალიან უყვარდა მზე და ჭაღი. დედამ ჩვენს ჭაღს რატომღაც „ფუფალა“ შეარქვა და ამ სიტყვას ბავშვთან ხშირად იმეორებდა ხოლმე, იაკობს კი, ამქვეყნად ყველაზე მეტად, ჩვენი ჭაღი მოსწონდა და პირველად მისი სახელი წარმოთქვა.

— ჩვეულებრივ სკოლაში მისი მიყვანის დროს არ შეგექმნათ პრობლემა?

— არანაირი პრობლემა არ გვქონია არც მაშინ და არც ახლა. იაკობს მხოლოდ მაშინ უჭირს სიტყვის გამეორება, როდესაც ის პირველად ესმის. მასწავლებელს კი, ერთადერთი რამ ვთხოვეთ: გაკვეთილის ახსნის დროს, იაკობისგან ისეთ მანძილზე გაჩერებულიყო, რომ ბავშვს მისი ტუჩებისთვის თვალის მიდევნება შესძლებოდა.

იაკობ ჯავაშვილის შემთხვევაში, აუდიო-ვერბალური მეთოდით სწავლებისა და ვარჯიშის მეთოდმა გაამართლა. მაინც რაში მდგომარეობს ამ მეთოდის არსი ან ვინ არის სურდოპედაგოგი, რომელიც ამ მეთოდით ასწავლის?

ნინო ფეერაძე, სურდოპედაგოგი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი:

— ადამიანთა უმეტესობა მუნჯად ითვლება იმის გამო, რომ უბრალოდ, არ ესმის და ამიტომ, არ იცის, როგორ ისაუბროს, როგორ ჟღერს ესა თუ ის ბგერა და როგორ უნდა წარმოთქვას ის. აი, ამის გამო, დღევანდელ პრაქტიკაში ტერმინი „ყრუ-მუნჯი“ ამოღებულია პრაქტიკიდან (შეიცვალა ტერმინით „სმენადაქვეითებული“), რადგან მედიცინა მივიდა დასკვნამდე, რომ თანდაყოლილი სიყრუის შემთხვევაში, ნებისმიერი ადამიანი, თუნდაც მას ნორმალური სამეტყველო აპარატი ჰქონდეს, — მუნჯია. აი ასეთ, სმენასთან დაკავშირებული ორგანული დაავადების გამო მეტყველებადაქვეითებულ ბავშვებთან მუშაობს სურდოპედაგოგი, რომელიც ლოგოპედიის საფუძველზე დაყრდნობით წარმართავს ბავშვის განვითარებას. როგორც ცნობილია, ბავშვს მუცლად ყოფნის დროსვე ესმის გარემოს ხმები. ის ცნობს დედის ხმას და უვარჯიშდება სმენითი მეხსიერება. აბსოლუტურ სიჩუმეში ბავშვი ლაპარაკს ვერ დაიწყებს, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ამის უნარი არ გააჩნია. ჩემს პრაქტიკაში მქონდა ასეთი შემთხვევა: მოვიდა მოხუცებული ქალი, რომელმაც თავისი შვილიშვილი მოიყვანა. ბავშვი მეოთხე წელში იყო და არ ლაპარაკობდა. ბებია რუსი იყო. მან შემომჩივლა, რომ ბავშვს ყრუ-მუნჯი მშობლები ჰყავდა და თვითონაც ასეთი იყო, მაგრამ ბავშვის გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის არც ყრუ იყო და არც მუნჯი, — უბრალოდ, სიჩუმეში იზრდებოდა. მას არ ესმოდა ლაპარაკი და როგორ ამოიდგამდა ენას? სასწრაფოდ მივაყვანინე საბავშვო ბაღში და რამდენიმე თვეში ლაპარაკი დაიწყო.

— ხშირად, ენაბლუ მშობლებს ენაბლუ შვილები ჰყავთ. ეს მემკვიდრეობითი დაავადებაა?

— ძალიან ხშირია ასეთი შემთხვევა და ბევრს ჰგონია, რომ ეს მემკვიდრეობითი დაავადებაა. სინამდვილეში, აქაც, ისევე, როგორც საერთოდ, მეტყველების ათვისებაში სმენა თამაშობს გადამწყვეტ როლს. ბავშვი ლაპარაკს იწყებს ისე, როგორც ესმის.

— რით შეიძლება იყოს თან-

იაკობ ჯავაშვილი მშობლებთან ერთად

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დეალის უბის წიგნაკიდან:

13. „იქ სიმართლეს რა უნდა, სადაც ბევრი ფულია,“ — წერდა იეთიმ გურჯი.

14. სახელგანთქმული „ქება სისულელისა“ ერაზმ როტერდამელის დაწერილია.

15. იაპონიას წელიწადში საშუალოდ ორი ტაიფუნი ატყდება თავს.

16. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, პლანეტაზე ყოველწლიურად იბადება 150 მილიონი ადამიანი, ხოლო კვდება — 80 მილიონი. მოკლედ, მოსახლეობა 70 მილიონით ანუ, როგორც ერთხელ თქვეს, ერთი მექსიკით მატულობს.

17. რომულუსისა და რემის მპოვნელსა და აღმზრდელ მწყემსს ფაუსტულუსი ერქვა.

18. „ერთხელ ერთმა კაცმა ყოფილ თანამდებობის პირზე მითხრა, მაგისმა მატარებელმა ხომ ჩაიარაო. მე გამეცინა: მაგ მატარებელმა რომ ჩაიარა, უკან რამდენი ვაგონიც მოსდევდა, ყველა ოქროთი და ფულით იყო სავსე, შენ კი მაგ მატარებლის კიბეზეც არა მდგარხარ. ახალი მატარებელი რომ ჩაივლის, არც იქა გაქვს შანსი და რა გიხარია-მეთქი?!“ — მოჰყვა ერთხელ გივი სიხარულიძემ და დაამატა: — „ერთი იმ დროს მომასწრო, ქართველი კაცი სხვისი სიკეთით ხარობდეს და არა ცუდითო“.

19. მხატვრული ფილმი „ნათლია“ ფრენსის ფორდ კოპოლამ „უორნერ ბრაზერსის“ კინოსტუდიაში გადაიღო. ამ კინოკომპანიის მფლობელი ორივე ძმა მთავარ როლებზე მარლონ ბრანდოსა და ალ პაჩინოს მიწვევის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ფრენსის ფორდ კოპოლამ ამ ორი მსახიობის კანდიდატურა ლამის კბილებით გაიტანა.

20. მიტო ქალაქია იაპონიაში, თენგიზი — ტბა ყაზახეთში, ვახ — მდინარე დასავლეთ ციმბირში.

21. მზის ღმერთის, ჰელიოსის ვაჟს, რომელმაც მამის ეტლის მართვა ვერ შეძლო, ფაეტონი ერქვა.

22. „ქეთევან დედოფლის მოკვდინება — ეს იყო უდიდესი სისასტიკე, როგორიც კი შაჰ-აბასს ოდესმე ჩაუდენია,“ — წერდა პიეტრო დე ლა ვალე. P.S. საქართველოს დედოფალს გავარვარებული მიტრა დაადგეს თავზე, რის შემდეგაც მარწუხებით მოჰგლიჯეს ძუძუები და ღრმულებში გახურებული შანთები დაუტრიალეს.

■

იაკობი (შუაში) მეგობრებთან ერთად სასკოლო ზეიმზე

დაყოლილი სიყრუე გამოწვეული?

— პირველ რიგში, აღვნიშნავ მიცინების ჯგუფის მედიკამენტებს (გენტამიცინი, მონომიცინი, ნეომიცინი, კანამიცინი, სტრეპტომიცინი): ამ წამლების მიღება ორსულობის დროს არ არის სასურველი, ზედმეტი დოზით მიღება კი, პირდაპირ ნაყოფის სასმენ ორგანოზე მოქმედებს უარყოფითად. სიყრუეს იწვევს მშობლების სისხლის რეზუსის შეუთავსებლობა, ვირუსული გრიპით დედის ავადმყოფობა ორსულობის დროს. დედის რძის ხარისხმაც კი შეიძლება უშუალოდ სმენის ორგანოზე იმოქმედოს. მე ვმკურნალობდი სმენადაქვეითებულ ბავშვს, რომლის დაავადებაც დედის ტოქსიკური რძით ყოფილა გამოწვეული. მნიშვნელოვანია აგრეთვე მემკვიდრეობითი ფაქტორი, ასფიქსია, სამშობიარო ტრავმა, მენინგიტი, წითელა, ქუნთრუშა, ყივანახველა...

— ყველას, ვისაც არ ესმის და იმიტომ ვერ ლაპარაკობს, შეუძლია აითვისოს აუდიო-ვერბალური მეთოდი და ალაპარაკდეს?

— ყველას არ შეუძლია ამის ათვისება; ამ შემთხვევაში, ხელი უნდა შეგვიწყოს, როგორც ბავშვის გონებრივმა მონაცემებმა, ასევე მშობლის მონდომებამ და ნებისყოფამ. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველმა მშობელმა, ვისაც თავისი შვილი იმ ჩაკეტილი წრისთვის არ ემეტება, რომელშიც ჟესტ-მიმიკის მიმდევართ უწევთ ცხოვრება, უნდა სცადოს ბედი, რადგან ძალიან დიდი შანსია იმისა, რომ ამ მეთოდით ბავშვს ე.წ. „ნარჩენი სმენა“ განუვითარდეს, ტუჩებიდან ამოკითხვა ისწავლოს, საბოლოოდ კი, ჩვეულებრივად ალაპარაკდეს და ხელებით საუბარს თავი დააღწიოს.

— თუ ეს მეთოდი ამდენად პროგრესულია, რატომ არ არის ის მიღებული ყრუმუნჯთა სკოლებში?

— აუდიო-ვერბალური მეთოდით სწავლებას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. ძირითადად, ეს, ჟესტ-მიმიკის ენის მიმდევრები არიან და არა მარტო ჩვენთან, ამერიკაშიც მრავლად გვხვდებიან. თუმცა, ჩვენგან განსხვავებით, ამერიკაში მშობლებს დიდი არჩევანის საშუალება აქვთ, რადგან იქ არსებობს ჟესტ-მიმიკის რამდენიმე ენა, არის საგანგებოდ მათთვის გამოყოფილი დასახლება, არიან უზრუნველყოფილნი საცხოვრებელი პირობებითა და სამუშაო ადგილებით. მაგრამ თუ ვინმეს უნდა, უფრო მეტს მიაღწიოს, მას რატომღაც კიცხავენ. არ ვიცი, საიდან მოდის ეს ფსიქოლოგია. ასეთ შემთხვევას აქაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, იაკობის მშობლებისგან სმენადაქვეითებულთა საზოგადოების წევრები მოითხოვდნენ, რომ ბავშვი მათ სკოლაში შეეყვანათ. ისინი ამბობენ, რომ რადგან ასეთი იბადება ადამიანი, ასეთად უნდა დარჩეს, არ უნდა გაექცეს მისნაირებს და თუ გაექცევა, მას მაინც ბოლომდე არ მიიღებს ის საზოგადოება, რომლისკენაც ასე მიისწრაფვის... ეს არასწორი მიდგომაა. ჩემი პრაქტიკიდან დავრწმუნდი, რომ ასეთი ბავშვები, რომლებიც სხვებზე მეტს შრომობენ იმისათვის, რომ გახდნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, მიზანდასახულნი, გულისხმიერნი და გამორჩეულნი არიან. მათ გარშემო მყოფ ადამიანებს მათთან ურთიერთობისას, მეტი სიფაქიზე და განსაკუთრებული მფარველობის მოთხოვნილება უჩნდებათ. ნურავინ გამიგებს ისე, თითქოს ჟესტ-მიმიკის წინააღმდეგ გამოვდიოდე. მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს უნდა იყოს მშობლისთვის ბოლო, უკიდურესი გამოსავალი და მხოლოდ მას შემდეგ, რაც აუდიო-ვერბალური მეთოდი მისი შვილის შემთხვევაში არ გაამართლებს.

— რამდენად ცხოვრებისეულია ქაჯანას მაგალითი? შეიძლება თუ არა ადამიანს შიშის გამო „ენა ჩაუვარდეს“ ან, პირიქით, შეეშინდეს და ალაპარაკდეს?

— არის იმის მაგალითები, რომ შიშის ნიადაგზე ადამიანები კარგავენ მეტყველების უნარს. ამ შემთხვევაში, ლოგოპედი ნევროპათოლოგთან ერთად მუშაობს, მაგრამ მუნჯი შევაშინოთ იმ იმედით, რომ იქნებ ის ალაპარაკდეს, — არაპედაგოგიური და მიუღებელია. აი, ამიტომ უნდა მიაქციონ მშობლებმა ყურადღება იმას, თუ რას უყურებენ საღამოს ტელეეკრანთან მიმსხდარი ბავშვები, როგორ რეაგირებენ საშინელებათა ფილმებზე. დაუშვებელია აგრეთვე თამაშის დროს, ბავშვის უეცარი შეშინება, რამაც ენაბლუობა შეიძლება გამოიწვიოს. ენაბლუობა კიდევ შეიძლება გამოწვეული იყოს ოჯახის რომელიმე წევრის უნებლიე მიბაძვით, ასევე ნერვული სისტემის დაზიანებით. ასეთი შემთხვევის დროს, სპეციალისტები პაციენტს ხშირად, ვალერიანის ნაყენის დალევას ურჩევენ. თუმცა, ენაბლუობა საბოლოო განკურნებას ძნელად ექვემდებარება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი მკურნალობა ადრეულ ასაკშივე არ დაიწყო. იმ ადამიანის გაბრაზების შემთხვევაში, რომელსაც ადრე ენაბლუობის პრობლემა ჰქონდა, ისევ თავს იჩენს ხოლმე ძველი დეფექტი. ყოველივე აქედან გამომდინარე, მშობლებმა, რომელთა შვილებსაც მეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემა აქვთ, ბავშვებს ჯერ თვითკონტროლის უნარი უნდა ჩამოუყალიბონ, შემდეგ კი, სწორი სუნთქვა და ბგერების სწორად გამოთქმა ასწავლონ.

■



სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ ბაქოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მომღერალი, ქართველი გოგონა მანანა ჯაფარიძე ყოფილა. ისიც კი მითხრეს — აზერბაიჯანში ყველაზე ძვირად ღირებული საესტრადო ვარსკვლავია, 6-სართულიან კერძო სახლში ცხოვრობს, ყოველდღე რძის აბაზანებს იღებს და თითო სიმღერაში 25 ათას დოლარს უხდიანო... მანანას ტელეფონით რომ დავუკავშირდი, პირველ რიგში, დაწვრილებით გამომკითხა, თუ რა ხდება თბილისში.

ეჭვიანობისგან ყველაფერი ლოგიკურია

მარი ჯაფარიძე

— გენატრებათ აქაურობა?

— ეს ის სიტყვა არ არის, რომელიც ჩემს გრძნობას გამოხატავს. უზომოდ მენატრება ის ადგილები, სადაც გავიზარდე, ვსწავლობდი, მენატრებიან ჩემი მეგობრებიც. ხშირად ჩავკეტილვარ ოთახში და მიტირია...

— რამდენი წელია, რაც საქართველოდან წახვედით?

— 1998 წლის ნოემბრიდან ბაქოში ვცხოვრობ. როდესაც მოვდიოდი, აქ დარჩენა განზრახული არ მქონდა: ორდღიან გასტროლებზე ჩამოვედი. ხელსაყრელი კონტრაქტი შემომთავაზეს და ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, დავრჩენილიყავი. საქართველოში ვერ ავაწყვე ჩემი საქმე შოუბიზნესში. კოლოსალური თანხები სჭირდებოდა თითოეული სიმღერის ჩაწერასა თუ კლიპის გადაღებას. მთელი ჰონორარი ახალი მასალის შექმნას ხმარდებოდა. ჩემმა მშობლებმა თითქმის ყველაფერი გაყიდეს, რომ ჩემთვის ხელი შეეწყოთ, მაგრამ ის ფული დაიხარჯა და მორჩა! სწორედ ამან გადამაწყვეტინა, რომ ჩემი კარიერა აზერბაიჯანში ამეწყო. თავიდან აქაც გამიჭირდა, შემდეგ ნელა-ნელა გავიმართე წელში და დღეს, რადიო და ტელევიზია აქეთ მიხდის ფულს, რომ ჩემი სიმღერები გაუშვას ეთერში. ვერც შევადარებ ერთმანეთს ჩემს აქაურ და თბილისურ ყოფას. საქართველოში ხშირად, გზის ფულიც კი არ მქონდა, რომ ქალაქში მემოძრავა. აქ — გაცილებით უკეთესადაა საქმე. ახლა, ნათესავებსა და ახლობლებს იქით ვეხმარები. ხშირად მიწევს ხოლმე საზღვარგარეთ მოგზაურობა, ყოველთვის თან მახლავს დედა ან მამა. ამას საკმაოდ დიდი სახსრები სჭირდება. დიდ ხარჯებს მოითხოვს ტანსაცმელი, ვარცხნილობა, მაკიაჟი, მაგრამ ყველაფერ ამას თავისუფლად სწვდება ჩემი შემოსავალი და ფუფუნების უფლებასაც კი ვაძლევ ხოლმე თავს.

— თქვენზე ამბობენ, უმდიდრესი ქალია, ყოველდღე რძის აბაზანებს იღებს და ერთ სიმღერაში 25 ათას დოლარსაც კი უხდიანო...

— *(იცინის)* არა, ეს ცოტა გადაჭარბებულია. მაგის გარდა, სხვა ჭორებიც დადის ჩემზე: თითქოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ბიზნესმენის ცოლი გავხდი თუ — საყვარელი... არც რძის აბაზანებს ვღებულობ, ერთ სიმღერაშიც ამდენ ფულს არავინ მიხდის, არც ვინმეს ცოლი ვარ და, მით უმეტეს, არც საყვარელი. ფული არ მაკვირვებს, ამ გზით რომ მნდომოდა წარმატების მიღწევა, თბილისშიც მოვახერხებდი. ჯერ კიდევ 17 წლის ვიყავი, როცა ერთ-ერთმა ცნობილმა ადამიანმა შემომთავაზა: 10 ათას დოლარს გადაგიხდი, ოღონდ შენთან დაახლოების საშუალება მომეციო... მე სხვანაირად ვარ გაზრდილი, კარგი სახელი — ჩემი სავიზიტო ბარათია. ქვეყნად არაფერი იმალება, მით უმეტეს, როცა პოპულარული ხარ. აქ ყველა მიცნობს, პატივს მცემს და სტუმრად ჩამოსულ ქართველებს ეკითხებიან ხოლმე: ასეთ კარგ გოგოს როგორ შეელიეთო?!.

— გათხოვებას ახლო მო-

ჩემ მიერ აღებული ყველა „გრან-პრისა“ და ლაურეატობის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, რაც შეეხება პოპულარობას — აქაური ბავშვიც კი, ყველა მცნობს...

უკვე გავაფორმე ძალზედ ხელსაყრელი კონტრაქტი ერთ-ერთ ბრიტანულ კომპანიასთან და ერთ თვეში, ინგლისში გავემგზავრები

მავალში არ აპირებთ?

— არა, ჯერ გეგმაში არა მაქვს. მე მყავდა ძმა, რომელიც სულ ახალგაზრდა დაიღუპა. ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, ჩემი დედ-მამა ახლა უკვე ბებია-ბაბუად გახდომის ოცნებას აისრულებდა. ახლა კი იციან, რომ კარგა ხანს ეს ოცნება ოცნებად დარჩება, მაგრამ მეუბნებიან: შენ იყავი ბედნიერი და ჩვენ შენი კარგად ყოფნით გავიხარებთო.

— მაგრამ სიყვარული ხანდახან მოულოდნელად გეწვევა ხოლმე...

— თქვენ რომ ჩემი დღის განრიგი იცოდეთ, მაგას არ იტყოდით: ღამის 3-4 საათამდე ვმუშაობ; დილით, 10 საათზე სახლიდან გავდივარ; შემდეგ — სტუდია, ტელევიზია, რადიო, კონცერტები, კონტრაქტები, გასტროლები. ასე რომ, პირადი ცხოვრებისთვის დრო აღარ მრჩება.

— თბილისში არ აპირებთ კონცერტის გამართვას?

— არა. როდესაც ბაქოში შემოთავაზებულ კონტრაქტზე დავთანხმდი, ჩემმა პედაგოგმა (გვარს არ დავასახელებ) მითხრა: შენ თუ ბაქოში წახვალ, თბილისში დაბრუნებაზე აღარც იოცნებოო... ახლა საქართველოში ყველა გზა მოჭრილი მაქვს, რადიო და ტელევიზია „დამიბლოკეს“ — რა თანხაც არ უნდა გადავიხადო, ჩემს სიმღერებს ეთერში არ გაუშვებენ. არც კონცერტის ჩატარების საშუალებას მომცემენ. ეს ყველაფერი, ჩემი პედაგოგის „დამსახურებაა“. მე მას გამზრდელად და მეგობრად ვთვლიდი, თავს გავწირავდი მისი გულისთვის, ის კი თურმე ჩემზე ამბობს: მანანამ საქართველო გაყიდა, ფულზე გაცვალაო... ამის თქმა როგორ შეიძლება?! საქართველო ჩემი გამზრდელია, აზერბაიჯანი — ჩემი ნიჭის დამფასებელი...

— მოგვიყევით თქვენი წარმატებების შესახებ.

— ჩემ მიერ აღებული ყველა „გრან-პრისა“ და ლაურეატობის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, რაც შეეხება პოპულარობას — აქაური ბავშვიც კი, ყველა მცნობს. ამას წინათ, თურქეთიდან შემოიტანეს შოკოლადი, რომელზეც ჩემი სურათი იყო გამოსახული და „მანანა“ ეწერა. მე ამის ნებართვა არ მქონდა მიცემული, ამიტომ საქმე სასამართლომდე მივიდა და ამ შოკოლადის შემოტანა და გაყიდვა აიკრძალა... ჩემი ფოტოსურათებით გამოდის კალენდრები, უბის წიგნაკები, პლაკატები, მისალოცი ბარათები. არც ამაზე მაქვს თანხმობა მიცემული, მაგრამ უკვე ყურადღებას აღარ ვაქცევ, რადგან უახლოეს მომავალში, აზერბაიჯანსაც დავტოვებ და ევროპაში გავემგზავრები...

— ეი. თქვენი გეგმები დასავლეთზე გადის?

— დიახ. უკვე გავაფორმე ძალზედ ხელსაყრელი კონტრაქტი ერთ-ერთ ბრიტანულ კომპანიასთან და ერთ თვეში, ინგლისში გავემგზავრები. დაგეგმილია ახალი კლიპის გადაღება, ვამზადებ ინგლისურ რეპერტუარს. ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ სავარაუდოდ, სახელიც შეიძლება შემიცვალონ; ვფიქრობ, ჩემი სახელის მსგავს რომელიმე ფსევდონიმს ავირჩევ. უკვე დიდი ხანია, სპეციალურად ჩემთვის წერენ სიმღერებს ბრიტანელი და ავსტრიელი კომპოზიტორები და ქართველი ოთარ ყუფუნია. ეს ჩემი უახლოესი ადამიანია. მას მოფერებით „მამის“ ვეძახი. ოთარი ყოველთვის უფასოდ წერდა ჩემთვის სიმღერებს. დღეს ის ბაქოშიც მაკითხავს ხოლმე, მპატრონობს და ძველი ურთიერთობებიც შენარჩუნებული გვაქვს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ჩემზე გაწეული ამაგისთვის, თუმცა, იმასაც დავძენ, რომ არც სხვების მიერ გაკეთებული სიკეთე დამვიწყნია.

— აზერბაიჯანული ენა თუ შეისწავლეთ?

— დიახ. აქ ჩამოსვლისთანავე დავიწყე ინგლისურისა და აზერბაიჯანულის სწავლა. მათ ენაზე თითქმის არ ვლაპარაკობ, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. ახლა ფილმში მიღებენ და იქ მიწევს აზერბაიჯანულად საუბარი. თავიდან ბაქოელმა მომღერლებმა ცივად მიმიღეს, რადგან ჩემი სახით, ახალი კონკურენტი გაუჩნდათ, მაგრამ შემდეგ, როდესაც ახლოს გამიცნეს, ყველამ შემიყვარა: მიხვდნენ, რომ სამტროდ არ ვიყავი ჩასული. ორჯერ მაღიარეს წლის საუკეთესო მომღერლად და „ოქროს მიკრო-

ფრაზა გენიალური

ბედნიერება ის სიამოვნებაა, რომელსაც არ მოჰყვება მონანიების გრძნობა.

ლევ ტოლსტოი

ფონითაც“ დამაჯილდოეს. კონცერტებსა და კონკურსებზე ასე წარმადგენენ ხოლმე: **грузинская красавица, звезда азербаиджанской естрады.** როდესაც ედუარდ შევარდნაძე აზერბაიჯანში ვიზიტით ჩამოვიდა, ყველა მიღებაზე თან ვახლდი, ყველა კონცერტს ქართული სიმღერით ვიწყებდი და ვასრულებდი. ბატონ ედუარდს ძალზედ ესიამოვნა, როდესაც ჰეიდარ ალიევმა უთხრა: **Вот наша грузинская красавица.** ქართული სიმღერებით წარვდექი აგრეთვე იმ კონცერტზე, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ესწრებოდა. მიწვეული ვიყავი ყაზახეთის პრეზიდენტის — ნურსულთან ნაზარბაევის დაბადების დღეზე და იქაც ქართული სიმღერები შევასრულე. ასე რომ, როგორც შემიძლია, ვცდილობ, საქართველოს სახელით გამოვიდე და ჩემი საქართველო ვასახელო. ძალიან მწყდება გული, რომ კონცერტები მქონდა ვენაში, პრაღაში, საფრანგეთში, შანხაიში, თბილისში კი — არა...

— ევროპაში გამგზავრებამდე თბილისს და აქაურ მეგობრებს არ მოინახულებთ?

— აუცილებლად ვეწვევი ჩემს თბილისს. ყველა ადგილს მოვინახულებ, რომელიც მენატრება და ჩემთვის ყველაზე ძვირფასია. ვიცი, რომ ჩემს ხალხს უჭირს. მინდა გავამხნევო, სულიერი სიმშვიდე ვუსურვო ყველა ქართველს და ვუთხრა: მხოლოდ სამშობლოდან წასული ადამიანი გრძნობს, რამდენად კარგი, თბილი და კეთილშობილი ხალხი ვართ. მიყვარხართ და მენატრებით...

P.S. *მანანას შევუთანხმდი, რომ სურათებს ბაქო-თბილისის მატარებლით გამომიგზავნიდა. ბაქანზე მისულს ვაგონთან შეკრებილ აზერბაიჯანელთა დიდი ჯგუფი დამხვდა. გამცილებელს რომ ვუთხარი, ჩემთვის კონვერტი უნდა გამოეტანებინათ-მეთქი, ამ ხალხს დაუძახა — მოვიდაო! 30-ამდე ადამიანი შემომეხვია; ყველა მთხოვდა: კონვერტში რომ სურათებია, გვაჩუქეო. თავიდან შეშინებული შევყურებდი, მაგრამ მალე გავერკვიე, გავთამამდი და ვცადე გამერკვია, რაღაც გაუგებრობას ხომ არ ჰქონდა ადგილი.*

— თქვენ რა იცით, ვისი სურათებია კონვერტში?

— გამცილებელმა მთელი ვაგონი შეყარა: ნახეთ, ვისი სურათები მაქვს, თანაც — თბილისში გამოსაგზავნად თვითონ მოიტანაო.

— იცნობთ მანანას?

— ჩვენში მას ბავშვებიც კი ცნობენ, ყველას გვიყვარს — გაიხაროს მისმა გამზრდელმა! — შესანიშნავი მომღერალი და ულამაზესი გოგონაა. ■

ტესტი ერუდიციაზე

1. თბილისის რომელ ძუჩაზე (29-ე ნომერში) მდებარეობს ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმი?

ა) მარჯანიშვილის;
ბ) ყაზბეგის;
გ) ფიროსმანის.

2. რა მოთხოვნილებას უყენებდნენ მოდაში ახალშემოსულ ჯინსს ამერიკაში ჩასული პირველი ოქროსმაძიებლები?

ა) რაც შეიძლება ბევრი ჯიბე ჰქონოდა;
ბ) რაც შეიძლება გამძლე ყოფილიყო;
გ) რაც შეიძლება ფართო ყოფილიყო.

3. როგორ ჟღერს სოკოს მოყვარულთა მთავარი დევიზი?

ა) თითქმის ყველა სოკო „კეთილშობილია“!
ბ) სოკოს ყველანაირი პროდუქტის შეცვლა შეუძლია!
გ) თუ დარწმუნებული არ ხარ — არ აიღო!

4. რას ნიშნავს სიტყვები — „ხოჩა ლადეღუ ჯაარ“, რომლითაც სვანები ერთმანეთს ესალმებიან?

ა) მაღლა და მაღლა გევლოს;
ბ) კარგი დღემცა გაქვს;
გ) მთებს არ დაშორებოდე.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

დაახლოებით ათი წლის წინ მეტად უცნაური და შემაძრწუნებელი ფაქტის მომსწრე გავხდი. დედას ახალშობილი წყალში გადაეგდო. იმ ქალის დამნახავი არავინ იყო: ეს საშინელება ღამით ჩაედინა. ჯეებირთან მდგარი ადამიანები აღშფოთებას ვერ მალავდნენ; ყველა ამბობდა: გაეყიდა, სამშობიაროში დაეტოვებინა ან სულაც ვინმეს ეზოში დაესვა, შვილი მოსაკლავად როგორ გაიმეტაო?!

ბოლო წლებში რამდენიმე მსგავსი ფაქტი კიდევ დაფიქსირდა. მაგალითად, ერთმა ქალმა შვილები მტკვარში გადაყარა, მერე თვითონაც გადახტა. სამივე ბავშვი დაიხრჩო, დედა კი გადარჩა...

შარშან თბილისში მერვე სართულის ფანჯრიდან დედამ ჯერ უფროსი შვილი გადააგდო, მერე კი, მეორე — რვა თვის გოგონა ხელში აიყვანა და ღია ფანჯრიდან გადაეშვა...

ის ოჯახები, რომლებშიც მსგავსი ტრაგედიები დატრიალდა, ჟურნალისტებთან შეხვედრაზე უარს აცხადებენ; ფსიქიატრები პროფესიული ეთიკის დასაცავად, მათი დასახელებისგან თავს იკავებენ. ესეც არის იმის მიზეზი, რომ მსგავსი შემთხვევები ხალხში ათასგვარი მითქმა-მოთქმის ობიექტი ხდება. ვესაუბრებით პათოფსიქოლოგ **ლია ჟილაშვილს**, რომელსაც თავის პრაქტიკაში, მსგავსი ტრაგიკული შემთხვევები შეხვედრია.

არც ოჯახები და არც ფსიქიატრები ამ ტრაგედიებს არ ახმაურებენ...

ლელა ჭანკოტაძე

— მყავდა პაციენტი, რომელმაც თავისი საყვარელი ქალი მოკლა; ქალი, რომელმაც მოკლა თავისი ქმარი; მეგობარი ქალის მკვლელი და... ძალიან ბევრი მსგავსი შემთხვევა შემიძლია დაგისახელოთ, მაგრამ შემთხვევას, როცა დედამ თავისი შვილი მოკლა, უშუალოდ, მხოლოდ ერთს შევხებივარ. დარეჯან გულიაშვილმა ორი შვილი მოკლა — 6 და 7 წლის ბავშვები ზეწრით დაახრჩო. ეს თბილისში, რამდენიმე წლის წინ მოხდა. გარეგნულად ის სავსებით ჯანმრთელი და ნორმალური ჩანდა, მაგრამ თურმე შიზოფრენია ჰქონია.

— დავაკონკრეტოთ — რა არის ამ დაავადების ყველაზე დამახასიათებელი ნიშნები?

— შიზოფრენიის დროს ადამიანის გაორება ხდება. ის არაობიექტურად აღიქვამს რეალობას და რეალობიდან გაქცევას ცდილობს. შიზოფრენიით დაავადებული ადამიანი არა მარტო გაორებულია — ფაქტობრივად, მისი ფსიქიკა მთლიანად მოშლილია. სამწუხაროდ, შიზოფრენია არ იკურნება. მაგრამ ამ დაავადებას ახასიათებს პერიოდები, როცა ადამიანი პრაქტიკულად ჯანმრთელია. ასეთ დროს შიზოფრენიით დაავადებულები ახერხებენ დაოჯახებას, შვილების გაჩენას და ა.შ. ჩემმა პაციენტმა, რომელმაც ორი შვილი მოკლა, თქვა, რომ მკვლელობის ჩადენას წინ უსწრებდა ფსიქოლოგიური წინაპირობა, — კერძოდ ის, რომ მას ქმარი ღალატობდა და შვილების მოკვლით მეუღლის გამწარება სურდა. 29 წლის იყო, პირველად რომ ვნახე. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იწვა, ჩადენილი მკვლელობის ამბავს ისე მშვიდად ჰყვებოდა, თითქოს სხვა ადამიანზე ლაპარაკობდა. რაღაცნაირი, ფორმალური დამოკიდებულება ჰქონდა ამ ამბავთან და დიდად არც განიცდიდა... არც თავის მოკვლა უცდია. არ გაურბოდა ამ საკითხზე საუბარს, თუმცა, არც იმით ჩანდა კმაყოფილი, რომ ქმარი გაამწარა. მისთვის შიზოფრენიის დიაგნოზიც არავის დაუსვამს, სანამ ეს საზარელი მკვლელობა არ ჩაიდინა, მხოლოდ მკვლელობის შემდეგ გაამხილეს მისი ოჯახის წევრებმა, რომ საერთოდ, გულჩათხრობილი და საკუთარ თავში ჩაკეტილი იყო... ამჟამად, მშობლებთან ცხოვრობს; კითხულობს, ქსოვს, კერავს და, როგორც ამბობს, უნდა, იმაზე უკეთესი გახდეს, ვიდრე არის. დროდადრო, ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც დადის სამკურნალოდ. თავისი სამყარო აქვს და რაოდენ ჭკვიანური სიტყვაც არ უნდა თქვას, ჩვენგან მაინც გამიჯნულია, — ჩვენ აღარ გვეკუთვნის თავისი გონებით... ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ შიზოფრენია გენეტიკური დაავადებაა; ავადმყოფს შეიძლება, ჯანმრთელი ბავშვები ჰყავდეს, მაგრამ დაავადება მის შვილიშვილებში ან შვილთაშვილებში იჩინოს თავი... საკვირველია, მკვლელობა ამ დაავადების ყველაზე საშინელი შედე-

გია, მაგრამ ბევრია შემთხვევა, როცა ფსიქიკურად დასნებოვნებული დედა სულიერად ანადგურებს შვილებს. მაგალითად, მყავდა პაციენტი, რომელიც პატარა შვილს მიატოვებდა ხოლმე და უგზო-უკვლოდ დადიოდა. ზოგჯერ ეს საქციელი იმით აიხსნება, რომ ქალს არ უყვარს ის კაცი, რომლისგანაც ბავშვი გააჩინა, ან კიდევ, ბავშვი ქორწინების გარეშე გააჩინა და მას თავის სირცხვილად მიიჩნევს. ასეთ დედებს ჩვენი დახმარება სჭირდებათ, — თუ, რა თქმა უნდა, ამის მოთხოვნილება თავად გაუჩნდებათ. მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ძალზედ იშვიათად მოგვმართავენ.

რამდენიმე წლის წინ თბილისში მორიგი ტრაგედია დატრიალდა. ქმრის მიმართ ეჭვიანობის ნიადაგზე, დედამ თავისი სამი შვილი მოკლა: ხუთი წლის მარიამი და ნინო და შვიდი თვის ნიკა საკუთარი დედის მსხვერპლად იქცნენ. ოცდაშვიდი წლის ნანა გორგილაშვილმა, შვილების მოკვლის შემდეგ, დანით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა საკუთარ თავს და საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. გარდაცვლილის ქმართან და მშობლებთან საუბარი ვერ მოხერხდა — მათ უარი განაცხადეს, გაემყარებინათ თავიანთ ოჯახში დატრიალებული ტრაგედია. ეს ამბავი ნანას მეგობარმა ***მარინა თამაზაშვილმა*** *გადმოგვცა:*

— ნანა ჩვეულებრივი გოგონა იყო, სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდა. ჩვენ ათი წლის განმავლობაში ვიცნობდით ერთმანეთს და ვმეგობრობდით. რომ გათხოვდა, ძალიან ბედნიერი იყო, მაგრამ ძალიან შეშინებულიც: ისეთ ოჯახში ვცხოვრობ, სადაც ყველა მჯობია, მათთან დალაპარაკებისა მრცხვენიაო, — ამბობდა. ბოლო წუთამდე იმეორებდა: ზემოდან მიყურებენ — სოფლელი ვარ და იმიტომ მჩაგრავენო... ეს ეჭვები სრულიად უსაფუძვლო იყო: მიუხედავად იმისა, რომ ნანას ქმარიც და მშობლებიც ძალიან ინტელექტუალური ადამიანები იყვნენ, ნანას კი მხოლოდ რვა კლასის განათლება ჰქონდა, ისინი მაინც თავს ევლებოდნენ, ძალიან უყვარდათ. ტყუპი რომ გაუჩნდა, ძიძა დაიქირავეს, ნანას რომ მოხმარებოდა. ნიკას — მესამე შვილის გაჩენის შემდეგ, ყველა მიხვდა, რომ ნანას ფსიქიატრის დახმარება სჭირდებოდა.

— რატომ გაჩნდა ამის საჭიროება?

— ნანას უძილობა დაეწყო, აღარც ჭამდა; ხშირად ამბობდა: ჩემს ქმარს სხვა ქალი შეუყვარდაო, მაგრამ ესეც უსაფუძვლო ბრალდება იყო... ბავშვს ძუძუს აღარ აწოვებდა, აღარ ეკარებოდა, დაჩემებული ჰქონდა — უნდა ვისწავლოო, — და სულ კითხულობდა. ბოლოს, ხშირად მაღალი სიცხე ჰქონდა და ამან ისე დაასუსტა, რომ ვეღარ იცნობდი. სამწუხაროდ, ნებით ექიმთან ვერ წაიყვანეს; ქმარმა ძალა არ დაატანა: თვითონ, ექიმი იყო და ამბობდა — მშობიარობის შემდეგ ქალებს მსგავსი გართულებები ხშირად აქვთ ხოლმე და არა უშავს — გაუვლისო. ცდილობდა, ცოლისთვის ეჭვიანობის საბაბი არ მიეცა. სამსახურში თითქმის აღარ დადიოდა, ძიძაც დაითხოვა და ბავშვებს თვითონ უვლიდა. იმასაც ცდილობდა, რომ საქმეში ცოლი კვლავ ჩაერთო.

— მაშ, ტრაგედია როგორ დატრიალდა?

— მეზობლად ერთ ოჯახში, მძიმე ავადმყოფი ჰყავდათ. იმ ავბედით დილას ცუდად გახდა. „სასწრაფო დახმარება“ არ გამოიძახეს, მეზობელი ექიმის იმედით. ნახევარი საათით ნანა მარტო დარჩა. მისი დედამთილი და მამამთილი, დროებით, საცხოვრებლად, მეორე შვილთან იყვნენ გადასულები...

— როგორ დახოცა შვილები?

— დილის ათი საათი იყო, შაბათი. ბავშვებს ეძინათ... ტყუპი — გოგონა დასისხლიანებული ნახეს, პატარა ნიკას საწოლში კი, დიდი ბალიში იდო: გაუგუდავს საბრალო. თვითონ ნანა თავის მოკვლას ალბათ არ აპირებდა; ქმარმა კარზე რომ დააკაკუნა, მთელი ხმით დაუწყია კივილი. ქმარმა და მეზობლებმა კარი შეამტვრიეს. ნანამ მათ თვალწინ დაირტყა დანა. ორმოც წუთში გარდაიცვალა... ვერავინ წარმოიდგენდა ასეთ დასასრულს. ნანა ძალიან კარგი გოგო იყო, ძალიან კეთილი და გულისხმიერი. უბრალოდ, თავიდან მცირეოდენი პრობლემები ჰქონდა. ასეთ საშინელებას თუ ჩაიდენდა ამას ვერც კი წარმოვიდგენდით. მისი ოჯახის წევრები დღემდე შოკში არიან.

— თუ უთქვამს ნანას, რომ ვინმე ჰყავდა ფსიქიკურად დაავადებული?

— არა, მსგავსი რამ არ მსმენია. მარტო ის ვიცოდი, რომ ბებიამისმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

დაბოლოს, კიდევ ერთი საოცარი ამბავი, რომელიც ორმოცდაცამეტი წლის წინ მოხდა თბილისში. ანეტა ბედოიძე თავის შვიდი თვის შვილს ძუძუს აჭმევდა, უცბად, ბავშვი ძუძუდან მოიგლეჯა და ბუხარში შეაგდო. ეცნენ ოჯახის წევრები, მაგრამ პატარა ვეღარ გადაარჩინეს: ცეცხლიდან რომ ამოიყვანეს, ბავშვი უკვე მკვდარი იყო. შემდეგ, ანეტა ბედოიძემ კიდევ ორი შვილი გააჩინა. მისი შვილები და შვილიშვილები აბსოლუტურად ჯანმრთელი და გაწონასწორებული ადამიანები არიან...

P.S. ტრაგედიის მოქმედი პირების გვარსახელები შეცვლილია.

■

ადამიანი უნდა ეცადოს, რომ სძლიოს უწინარეს ყოვლისა საკუთარი თავი, ვიდრე ბედი, და შეცვალოს უმალ თავისი სურვილები, ვიდრე სამყარო.

თეოფილ დე ვიო

თუ კამათში ავტორიტეტებს იმოწმებ, ამით შენს მეხსიერებას ავლენ და არა გონებას.

ლეონარდო და ვინჩი

უარყოფა იმისი წესია, ვისაც შექმნა არ შეუძლია.

ნიკოლაი დობროლიუბოვი

ყოველი სულელი მონახავს უფრო დიდ სულელს, რომელიც მოუსმენს და ადიდებს კიდეც.

ნიკოლა ბუალო

სიტყვის სიმრავლე სასმენელს ავნებს და ვერ აამებსა.

არჩილ მეფე

მხოლოდ უმეცარი იტყვის, მეცნიერებანი ვერასოდეს შეძლებენო ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრას.

ჩარლზ დარვინი

არასოდეს არ ხდება დიდი საქმე დიდი სიძნელეების გარეშე.

ფრანსუა მარი ვოლტერი

ადამიანი ბუნებით თავისუფალი არსია; რკინის ბორკილშიც რომ იშვას, თავისუფალი კაცია.

უილიამ შექსპირი

შერის საყვარელი სალათი გემოთი
გამოირჩევა და სილამაზითაც

ზღვის პროდუქტები

ეს კი თურმე გასაკვირი სულაც არ ყოფილა, რადგან ზღვის უხერხემლო ბინადრები ჭარბად შეიცავენ ორგანიზმისთვის აუცილებელ ცილას, B, C, D და F ვიტამინებს, მინერალურ ნივთიერებებს – კალციუმს, ფოსფორს და რკინას, მიკროელემენტებს – თუთიას, მარგანეცს, იოდს, ბორს, კობალტს და სპილენძს. სხვათა შორის, ეს ყველაფერი მარტო თმას როდი უხდება – ზღვის პროდუქტები ახანგრძლივებს სიცოცხლეს და შესანიშნავი გემოთიც გამოირჩევა.

ამჟამად ზღვის პროდუქტების დაგემოვნება ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ლუდის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ამ სასმელს თევზის გარდა, კიბორჩხალებიც ძალიან უხდება. ზღვის დიდი კიბოს ამ პატარა ნათესავებისგან თურმე მრავალი კერძის მომზადება შეიძლება. მათი გამოყენებით დამზადებული სალათი ძალიან გემრიელი და მრავალფეროვანია.

ზღვის დიდი კიბოს (ლობსტერის) საკვებად გამოყენება ჰოლანდიელებმა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დაიწყეს. ამჟამად ლობსტერები ფრანგული და იტალიური სამზარეულოს ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად ითვლება. ზღვის ამ ბინადრებს, როგორც წესი, მოხარშულს შეექცევიან. თუ სუფრასთან მოხარშული ლობსტერი მოგართვეს, მისი ბაკნის დასამტვრევად სპეციალური მოწყობილობა დაგჭირდებათ, ჭამის დროს კი ორმხრივი ჩანგალი უნდა გამოიყენოთ, რომლის ერთი ბოლოთი ნიჟარიდან ხორცის ამოჩიჩქნა შეიძლება, მეორე ბოლოთი კი – წვენის ამოღება.

თურმე ჰოლივუდის ცნობილ ვარსკვლავს სანდრა ბალოკს დიდი კიბოს დანახვაზე მაშინვე თავისი და მეთიუ მაკკონაჰის ძველი რომანი ახსენდება – შეყვარებულები დროდადრო გარშემომყოფებს გაურბოდნენ, ბაჰამის კუნძულებზე მიემგზავრებოდნენ და ვახშმად მუდამ ლობსტერებს შეექცეოდნენ. მას შემდეგ, სანდრა, რომელიმე თაყვანისმცემელთან ერთად რესტორანში ვახშმობის დროს აუცილებლად უკვეთს ლანგუსტებს. ლანგუსტი კი ლობსტერთა მდედრობითი სქესის წარმომადგენელი ყოფილა. მას უფრო ნაზი, წვნიანი და გემრიელი ხორცი აქვს, და რა თქმა უნდა, უფრო ძვირიც ღირს. მამრის და მდედრის გარჩევა კი ძნელი სულაც არ არის: მამრს სქელი, კაუჭისმაგვარი საცეცები აქვს, ლანგუსტების საცეცები კი ელეგანტური, თხელი და გრძელია.

ლობსტერების უახლოეს ნათესავად კიბორჩხალა ითვლება. მას ისევე ამზადებენ, როგორც დიდ კიბოს. თუ სუფრასთან კიბორჩხალას საცეცებს მოგართმევენ, თამამად შეგიძლიათ ისინი ხელით აიღოთ, ჩააწოთ საწებელში და გამოწოვოთ მისი წვენი. ბევრს მიაჩნია, რომ



ლიმონის წვენით შეგავებული
მიდიები ნიდერლანდების მცხოვრებთა
საყვარელი კერძია

რამდენიმე წლის წინ ჰოლივუდის მკვიდრთ ერთმა ფაქტმა პირდაპირ თავზარი დასცა: ცნობილი მომღერალი და მსახიობი შერი თანდათან მელოტდებოდა. ამის მიზეზი კი მრავალი რამ შეიძლებოდა ყოფილიყო – თმის ხშირი ღებვა, პარიკების გამოყენება თუ ძლიერმოქმედი ლაქები. პანიკაში ჩავარდნილმა შერმა საუკეთესო სპეციალისტებს მიმართა და რაოდენ დიდი იყო მისი განცვიფრება, როცა თმის ძირების გასამაგრებლად ექიმებმა აბების ნაცვლად მოლუსკებისა და კიბორჩხალებისგან დამზადებული სპეციალური დიეტა დაუნიშნეს.

ნამდვილი კიბორჩხალას შეცვლა კიბორჩხალას ჩხირებითაც შეიძლება. სინამდვილეში კი „ჩხირები“ თანამედროვე ტექნოლოგიის ხარისხიანი პროდუქტია და მას ნამდვილ კიბორჩხალასთან საერთო არაფერი აქვს.

კალმარის მოხარშული ვარდისფერი ხორცი გემოთი ძალიან წააგავს კიბორჩხალისას. კალმარის ზომები ორიდან თვრამეტ მეტრამდე მერყეობს, მაგრამ თურმე, რაც უფრო პატარაა კალმარი, მით უფრო გემრიელია მისი ხორცი. კალმარს დაახლოებით 3-5 წუთი ხარშავენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხორცი გამაგრდება და გამოშრება.

რვაფეხა და მელან-თევზა კალმარის ახლო ნათესავები არიან და საკვებად მათაც გამოიყენებენ. მაგალითად, იაპონიის ქუჩებში ეს არსებები ყოველ კუთხეში ისე იყიდება, როგორც ჩვენთან ჰოთდოგები.

ჩვენში ნაკლებად ცნობილი მიდიები ნიდერლანდებში ძალიან პოპულარულ საკვებად ითვლება. იქ თითოეული ადამიანი წელიწადში დაახლოებით ათ კილოგრამ მიდიის ხორცს მიირთმევს. საჭიროა ვიცოდეთ, რომ გაუყინავ მიდიებს აუცილებლად შეძენის დღესვე, დაახლოებით 15-20 წუთის განმავლობაში მანამდე ხარშავენ, სანამ მისი ნიჟარები მთლიანად არ გაიხსნება.

საოცარი ფაქტია, რომ პირველყოფილი ადამიანის საცხოვრებელ ადგილებში მეცნიერებმა ხამანწკების ნიჟარების მთები აღმოაჩინეს. ეს კი იმას ადასტურებს, რომ ადამიანები ოდითგანვე აფასებდნენ მათ განსაკუთრებულ გემოს. დღეს ხამანწკებისადმი განსაკუთრებული სიყვარულით ფრანგები გამოირჩევიან. ფრანგული სამზარეულო ხამანწკების ჭამის მთელ რიტუალსაც კი ითვალისწინებს. ფრანგების აზრით, ხამანწკა ვულგარული ბიფშტექსი არ არის და მისი თეფშზე უდიერად დადებაც კი არ შეიძლება. ხამანწკებისთვის სუფრაც შესაფერისი უნდა გაიშალოს — ლამაზი თეფშებით, შესაფერისი დანა-ჩანგლით, სანთლებითა და ყვავილების პატარა თაიგულით. ნამდვილი გურმანი არასოდეს რეცხავს ხამანწკებს ჭამის წინ, რადგან მტკნარი წყალი მას მალე აფუჭებს. ხამანწკა სწორედ მაშინ უნდა გაიხსნას, როცა სუფრას მიუსხდებით და მის საჭმელად მოემზადებით. ნიჟარების გასახსნელად სპეციალურ დანასთან ერთად საფრანგეთში სპეციალურ თხელ ძაფსაც იყენებენ, რომლის მეშვეობითაც ნიჟარა ადვილად იხსნება. მთავარი კი თურმე ისაა, რომ ახალი ხამანწკა საკუთარ წვენში უნდა ცურავდეს. თუ ეს ასე არ არის, მაშინ დიდია მოწამვლის ალბათობა. გარდა ამისა, მამაკაცის მიერ მირთმეული ხამანწკები თურმე პირდაპირპროპორციულად აისახება მის პოტენციაზე. ამ ფაქტს მეცნიერებიც კი ადასტურებენ.

ტრეპანგას თავისებური ფორმის გამო ზღვის კიტრსაც ეძახიან. მას მეორე სახელი — ზღვის ჟენშენი აღმოსავლურმა მედიცინამ მიანიჭა. მართლაც, ტრეპანგას ხორცი მდიდარია ვიტამინებით და მიკროელემენტებით, ის ამაღლებს იმუნიტეტს და კარგად აღადგენს ძალებს. თუმცა, სახლის პირობებში ტრეპანგას მომზადება ძალიან რთულია, რადგან ზღვის ეს ბინადარი გამომშრალი სახით იყიდება და რომ არ გაფუჭდეს, მას ნახშირის მტვერს აყრიან, ამგვარ ტრეპანგას ცივ წყალში 24-30 საათით ათავსებენ და წყალს ორსამჯერ უცვლიან. ამ დროის განმავლობაში მისი მოცულობა რამდენჯერმე იზრდება და საბოლოოდ მოსამზადებლად



ხამანწკების საჭმელად აუცილებელია სპეციალური დანა

ტრეპანგას კიდევ 2-3 საათი ხარშავენ.

მიუხედავად ზღვის პროდუქტების მომზადების და ჭამის დროს წარმოქმნილი სირთულეებისა, ნამდვილი გურმანების შეჩერება არაფერს შეუძლია და ისინი ზღვის პროდუქტებს განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან.



ლობსტერი ზღვის ბინადართ მეფედ დ. ღმერთადაა აღიარებული

...ის გული	ქუსლით ...ბოქმული მითოლოგიური პერსონაჟი	...ცხმში შებრაწული კარტოფილი	გამის ნაკი	...ული	...ტა აფხაზეთში	„მამველებთ“ განთქმული ...ლაჟი	...ციან
...ოპიუმი ანუ ...	(...) ...ტროტკი	ძალიან თხელი ანუ ...		წვალებით საქმიანობა	სამკურნალო პრეპარატი (ზოგადად)	ყინულზე სასრიალო იალქნიანი ნავი	

ელენე სალარიძე

აბორტი ძველად

ანუ თითისტარს იმიტომ არ ხმარობდნენ, რომ მასზე ანგელოზები სხდებოდნენ...

... ისტორიულ წყაროებში ამოდ დაშვრებით აბორტის ხალხური წესების მოძიებით.

... ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულის მიხედვით კი,ს თუ მუცლის მოშლის შემდეგ ქალი მოკვდებოდა, ექიმბაშს თავის მოკვეთა ელოდა.

... აბორტის ხალხური მეთოდები იმდენად გამოგნებელი იყო ჩემთვის, რომ მათ შესახებ ჩემს სამეცნიერო ნაშრომში არაფერი მითქვამს!.. — ამბობს ცნობილი ეთნოლოგი.

... სამწუხარო ფაქტიც შევიტყვეთ — იმერეთის ზოგიერთ სოფელში მუცლის მოსაშლელად თურმე დღესაც იყენებენ შხამიან ხარისძირას.

ძველ ქართულ კარაბადინებში, დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდიში“, ქართული მედიცინის ისტორიულ წყაროებში ამოდ დაშვრებით აბორტის ხალხური წესების მოძიებით. ამ თემას თითქოს ტაბუ აქვს დადებული ეთნოლოგიურ სახელმძღვანელოებსა თუ ცალკეულ ნაშრომში...

მოგეხსენებათ, abortus ლათინური სიტყვაა და მუცლის მოწყვეტას, მუცლის მოშლას ნიშნავს. სამედიცინო ტერმინოლოგიაში კი მას განმარტავენ, როგორც ორსულობის ნაადრევ შეწყვეტას და საშვილოსნოდან ნაყოფის გამოძევებას ორსულობის 28 კვირამდე.

აბორტი შეიძლება იყოს სპონტანური, გამოწვეული ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ტრავმის შედეგად, როგორიცაა დავარდნა, სიმძიმის აწევა, ნერვული სტრესი და სხვა. მაგრამ მუცლის მოშლა შეიძლება ხელოვნური გზითაც, რაც გარდა იმისა, რომ მართლმადიდებლური (და არა მარტო მართლმადიდებლური) სარწმუნოებით, მომკვდინებელ ცოდვად ითვლება, ანადგურებს ქალის ჯანმრთელობას, ფსიქიკას... მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ აბორტის მავნებლობის შესახებ, მას მაინც მიმართავდნენ საკმაოდ დიდი ხნის წინათაც.

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულში მოყვანილია სასჯელთა ჩამონთვალი, რომელიც განწესებული იყო არა მარტო მათთვის, ვინც ქალს მუცლის მოშლაში დაეხმარებოდა, არამედ იმ ქალისთვისაც, დედობაზე რომ უარს იტყოდა. ქალს, რომელიც მუცელში შვილს მოიკლავდა (მაქციეთ ყურადღება — მოიკლავდა და არა მოკლავდა!), ექსორიას — განდევნას, განკვეთას უსჯიდნენ. მას ქმარი მაშინვე უნდა გაშორებოდა. ხოლო ექიმბაში, რომელიც ორსულ ქალს მუცლის მოსაშლელად წამალს მისცემდა, მკაცრად ისჯებოდა. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო დიდვაროვანი იყო ასეთი ვა-ექიმი, მით უფრო დიდ სასჯელს განუწესებდნენ. თუ ღარიბს შეეჰყრობდნენ,გაკრეჭდნენ,ვირზე შესვამდნენ ან სცემდნენ, მდიდარს — დარბევასა და გაძევებას უსჯიდნენ. იმ შემთხვევაში კი, თუ ასეთი ჩარევის შემდეგ ქალი მოკვდებოდა, მდიდარსა თუ ღარიბ ექიმბაშს ერთნაირი სასჯელი — თავის მოკვეთა ელოდა...

ადვილი შესაძლებელია, ასეთი მკაცრი სასჯელის ფორმამაც განაპირობა ის ტაბუირება და შიში, რაც აბორტს უკავშირდება ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში.

ვესაუბრებით ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ქალბატონ ნუნუ მინდაძეს.

— ქალბატონო ნუნუ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მუშაობს ხალხური მედიცინის ეთნოლოგიური კვლევის ჯგუფი, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ.

— ჩვენი ჯგუფი ხალხურ მედიცინას შეისწავლის, როგორც კულტურის ელემენტს. ეთნოლოგიური კვლევის მთავარი მიზანია სამედიცინო ტრადიციათა გამოვლენა-შესწავლა, მათი ფუნქციონირების მიზეზთა ახსნა. როგორც ჩანს, ესა თუ ის წეს-ჩვეულება ისტორიის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე მცხოვრებ საზოგადოებაში მისაღები და ოპტიმალური იყო. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ძალზედ საინტერესო მასალა გამოვიკვლიეთ მეანობა-გინეკოლოგიაში ხალხური ტრადიციების მიხედვით.

— და ამ ტრადიციებში არაფერია თქმული აბორტის ხალხურ მეთოდებზე?

— ისტორიულ და ეთნოგრაფიულ წყაროებზე რომ არაფერი ვთქვათ (სადაც თითქმის ვერსად შეხვდებით აბორტს ან მის შესატყვისს), მთხრობელებიც კი ერიდებოდნენ იმას, რომ რაიმე ეთქვათ ამ თემაზე. მიუხედავად ამისა, საქართველოს ცალკეულ რეგიონში მაინც მოვახერხეთ, აღგვეწუსა აბორტის ხალხური მეთოდები, რომლის შესახებაც მე, ჩემს სამეცნიერო ნაშრომში არაფერი მითქვამს, იმდენად გამოგნებელი იყო ჩემთვის ის სხვადასხვა ხერხი თუ საშუალება, რომლითაც ქართველი ქალები „ზედმეტ ნაყოფს“ იშორებდნენ და არცთუ ისე იშვიათად, თავადაც ამ აბორტის მსხვერპლნი ხდებოდნენ.

ქალბატონი ნუნუ ცდილობს, ჩემი ყურადღება სხვა თემაზე გადაიტანოს. თუნდაც ორსულობის პერიოდის წეს-ჩვეულებებზე, მშობიარობის წესებზე, ბავშვის მოვლის რიტუალებზე, უშვილობის მკურნალობის ხალხურ წესებზე (რის შესახებაც ჩვენს მომდევნო წერილებში მოვითხრობთ). არადა, მართლაც ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ ხტებოდნენ ჩვენი წინაპარი ქალები სახლის ბანიდან, როგორ ეზიდებოდნენ მძიმე ტვირთს, როგორი გამეტებით ეხეთქებოდნენ წამოზრდილი მუცლით ქვებზე... ან კიდევ, როგორ ლესავდნენ „ბებიაქალები“ საშოში ნაყოფის „ასაწელად“ დანებს, როგორ იყენებდნენ საამისოდ ჩვეულებრივ წამახულ წინდის ჩხირებს თუ სხვადასხვა საოჯახო ხელსაწყოს... უფრო „მშვიდობიანი“ მეთოდებიც ყოფილა, რაღაც ბალახების ნახარში, რომელიც ხან ნაყოფს კლავდა, ხან კიდევ — დედასაც...

— ქალბატონო ნუნუ, საქართველოს მთაში უმეტესად, 3-4 შვილი ჰყავდათ. რით იყო ეს გამოწვეული და როგორ იცავდა, ვთქვათ, ხევსური ქალი თავს არასასურველი ორსულობისგან?

— ეს, პირველ რიგში, ცხოვრების წესით იყო განპირობებული. ხევსურეთში ქორწინებამდე, სქესობრივი ურთიერთობები აკრძალული იყო. გარდა ამისა, ახალდაქორწინებული ცოლ-ქმარი პირველ ორ-სამ წელს შვილს ვერ გაჩენდა (სხვათა შორის, ამის შესახებ ქართული სამართლის ძეგლებშიც არის მითითებული). ახალგათხოვილი ქალის დაორსულება, ისევე, როგორც მრავალშვილიანობა, სირცხვილად ითვლებოდა. შესაძლებელია, ეს გარკვეულწილად ხელს უწყობდა მცირემიწიან ხევსურეთში მოსახლეობის სიჭარბის თავიდან აცილებას. გარდა ამისა, იგივე ცხოვრების წესი მკაცრად არეგულირებდა ცოლ-ქმრის ურთიერთობას. ქალი იზოლირებული იყო

დედათა წესის დროს (ცალკე სადგომში ცხოვრობდა, იქვე მშობიარობდა და მშობიარობის შემდგომ, 40 დღესაც იქვე ატარებდა). გარდა ამისა, მთაში წელიწადში რამდენჯერმე იმართებოდა ხატობა და დღეობები, რომლის დროსაც და დღესასწაულამდე გარკვეული დროით ადრეც, მამაკაცი ქალს ვერ მიეკარებოდა. ამას დაუმატეთ ომიანობა, რაც ასევე ნიშანდობლივი იყო ქართული ყოფისათვის. გარდა ამისა, უთუოდ გასათვალისწინებელია მარხვის დღეები, რომელსაც მეტ-ნაკლებად ხევსურეთშიც იცავდნენ... შესაბამისად, ომიანობა და მარხვის სისტემა მთელ საქართველოზე შეიძლება განზოგადდეს...

აბორტთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებზე საინტერესო მასალებს გვაწვდის ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ეთნოლოგი **მედეა ბურდული**, *რომელიც ამ საკითხს დასავლეთ საქართველოში მოპოვებული მასალების მიხედვით მიმოიხილავს.*

მუცლის ხელოვნური მოშლა დასავლეთ საქართველოში დიდ ცოდვად ითვლებოდა: ქალს იმდენი შვილი უნდა გასჩენოდა, რამდენიც აჭყვებოდა. თუმცა კი, ქალები მაინც მიმართავდნენ ბებიაქალებს დახმარებისთვის.

სვანეთში მუცლის მოსაშლელად ქალს ე.წ. სულემანს აძლევდნენ. მისი მიღებისას დიდი სიფრთხილე ყოფილა საჭირო — ზედმეტ დოზას სავალალო შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა — შემდგომ შვილი აღარ მისცემოდა ქალს, ან თავადაც დაღუპულიყო.

როგორც ჩანს, სულემანი ქლორის სინდიყის შხამიანი ფხვნილი უნდა ყოფილიყო.

საარქივო მასალით დასტურდება ისიც, რომ სვანეთის „სოფელში აგრეთვე გავრცელებული იყო საიდუმლოდ შვილოსნობის საწინააღმდეგო ბალახები, მუცლის მოშლის საშუალებანი“, ხოლო თუ რა ბალახებია ეს, — ამაზე საარქივო ჩანაწერებში არაფერია თქმული. ამ საქმიანობასაც ფარულად მისდევდნენ, რადგან ვისაც ამ საქმეში შეამჩნევდნენ, სასტიკად სჯიდნენ.

თუმცა, სჯობს თავად ქალბატონ მედეას მოსაზრებას გავეცნოთ:

— მუცლის მოსაშლელ საშუალებებს ძალიან საიდუმლოდ ინახავდნენ. მიუხედავად ამისა, მოვახერხეთ ჩაგვნიშნა ერთ-ერთი მკვნარე,

რომელსაც იმერეთში იყენებდნენ. ეს გახლავთ ხარისძირა/თეთრი ყაყაჩო. ამ მკვნარის გათლილ ძირებს ძაფს მოაბამდნენ და სამედიცინო სანთლების მსგავსად, საშოში ჩაიდებდნენ, რის შემდეგაც ქალი ორი საათი უნდა წოლილიყო. მთხრობელთა გადმოცემით, ეს საშუალება დიდ — 3-4 თვის ნაყოფზე უფრო სწრაფად მოქმედებდა, მაგრამ საკმაოდ საშიში იყო და მის ხმარებას დიდი სიფრთხილე სჭირდებოდა, რადგან შეიძლებოდა, ძლიერი სისხლდენა და სხვა გართულება გამოეწვია. არადა, ხარისძირა ძველ ქართულ მედიცინაში შხამიან მკვნარედ არის მიჩნეული და მას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იყენებდნენ (მისი ფესვრა შეიცავს გლუკოზიდებს, რომელიც უარყოფითად მოქმედებს გულზე, ნერვულ სისტემაზე, იწვევს კრუნჩხვას...).

სამწუხარო ფაქტიც შევიტყვეთ — იმერეთის სოფლებში ბოლო ხანს, ხარისძირას გამოყენება დაუწყიათ... ქვემო ქართლში ერთ მთხრობელს ისიც უთქვამს, რომ ხარისძირას მსგავსად ხმარობდნენ ბალბას. „მუცლის წასახდენად“, უკვე დასახელებული ხელსაწყოების გარდა, იყენებდნენ ბატის ფრთასაც (ოღონდ, ყველაფერს საგულდაგულოდ რეცხდნენ ადულებული წყლით ან არყით). ამ მიზნისთვის სვამდნენ ხახვის ფურცლისა და გვირილის ნახარშს, რომელსაც მოგვიანებით ქინაქინას უმატებდნენ. იმავე მთხრობელის თქმით, მაღალ ხეზე ავიდოდით და გადმოვხტებოდით — მე ასე 3-ჯერ მოვიწყვიტე მუცელი. ისიც დასძინა თურმე — საოჯახო ხელსაწყოებიდან, მუცლის მოსაშლელად თითისტარის ხმარება აკრძალული იყო, იმიტომ, რომ ეგი წმინდა ნივთად ითვლებოდა, მასზე ანგელოზები სხდებოდნენო...

ეთნოლოგ **ნანა გვათუა** *ქვემო ქართლში დადასტურებული მასალა მოჰყავს აბორტის ხალხურ წესებთან დაკავშირებით.*

— მშობიარობიდან 3-4 წელი, ვიდრე დედა ბავშვს ძუძუს აწოვებდა, მისი დაორსულება ნაკლებად იყო მოსალოდნელი. აღნიშნულთან დაკავშირებით, ასეთ მოსაზრებას ვეცნობით ინგლისელი მკვლევარის, რასელ თომსენის „ბიბლიის სამედიცინო სიბრძნეში“, რომელშიც მითითებულია, რომ ძუძუდან ბავშვის მოშორება ბიბლიაში, დიდმნიშვნელოვან მოვლენად ითვლება, იმდენად ღირსშესანიშნავად, რომ როდესაც ისაკი „მოსწყვიტეს ძუძუს, გადაიხადა აბრამმა დიდი პურობა იმ დღეს“. ძუძუს, გარდა ბავშვის გამოკვებისა, სხვა დანიშნულებაც ჰქონდა. ბიბლიაში საგანგებოდაა აღნიშნული ერის გამრავლებაში მისი დიდი როლი. წინასწარმეტყველ ოსიას ცოლზე ნათქ-

ვამია, რომ მან „მოსხლიტა ძუძუს ლირუხამა და ისევ დაორსულდა და შვა ვაჟი“...

...თუ ქართლში შვილის გაჩენა არ უნდოდათ, სხვადასხვა ხალხურ წესს მიმართავდნენ, ერთი მათგანი ასეთი ყოფილა: ქალი ლეკვებდაყრილი ძუ მგლის ნაწლავს შემოიკრავდა წელზე, რომ 7 წელიწადს არ დაორსულებულიყო (ხალხის რწმენით, მგელი 7 წელიწადში ერთხელ ყრიდა ლეკვებს). ხოლო თუ ქალი მაინც დაორსულდებოდა, ცდილობდა, „მუცელი წაეხდინა“ — ხან შუშას დანაყავდა და დალევდა, ხან ხელსაფქვავს დაიტრიალებდა მუცელზე, ხან სიმაღლიდან გადმოხტებოდა... ყოველივე ეს კი, არცთუ ისე იშვიათად, ცუდად მთავრდებოდა.

შედარებით უვნებელი იყო ბებიაქალის მიერ მუცლის მოშლის დასაბამიდან გადმოსული მეთოდები. ის ჯერ ერთი, 1-2 თვის ორსულს მოჰკიდებდა ხელს და მეორეც, ქალს თუ სისხლის დენა დაეწყებოდა, მისი შველაც შეეძლო.

— ბებიაქალი ორსულს დააწვენდა, კუჭის არეში მასაჟს გაუკეთებდა, კუჭის თავს ოდნავ მოუგრეხდა და მუცელიც „წახდებოდა“.

— როცა ქალს წესი გადაუცდებოდა, ბებია მაშინვე აუწევდა „პატარა მუცელს“, საშვილოსნოს არეზე მასაჟს გაუკეთებდა. თუ სისხლის დენა არ დაიწყებოდა, ცუდი ნიშანი იყო და იმავე მეთოდს კვლავ გაიმეორებდა. თუ ნაყოფი არ ჩამოვარდებოდა, მაშინ ბებიაქალი ორსულს დააწვენდა, მენჯის ქვეშ მუთაქას დაუდებდა, ხელს მცირე მენჯში შეუყოფდა (საშვილოსნოს ყელთან) და დააწვებოდა ისე, რომ ქალს წელი სტკენოდა. ასე შეიძლება მრავალგზის გაემეორებინა, სანამ, ბოლოს და ბოლოს, სისხლის კოლტი არ ჩამოვარდებოდა...

მუცლის გაფუჭება-წახდენა უდიდეს ცოდვად ითვლებოდა. და როცა რომელიმე ბებიაქალს უბედურება შეემთხვეოდა, იგი ამას ღვთის რისხვად და სასჯელად თვლიდა... ღვთის რისხვისგან არც ის ქალები იყვნენ დაცულნი, ვინც „მუცელს წაიხდენდა“...

■

ამ საოჯახო ხელსაწყოებიდან ზოგიერთს „არადანიშნულებითაც“ იყენებდნენ ბებიაქალები... (ნინო ბრაილაშვილის ჩანახატები)

აირტონ სენა: «მე მომავალში ვარ!..»

ლეგენდარული ავტოპილოტის გახსენება მისი დაბადებიდან 42-ე წლისთავზე

1994 წლის 4 მაისს, განთიადისას, ავიაკომპანია Varig-ის თვითმფრინავმა „მაკდონელ დუგლას -11“-მა, რეისით RG 723 — ატლანტის ოკეანის უკიდეგანო საჰაერო სივრცის უკანასკნელი კილომეტრები გაიარა და როგორც იქნა, ბრაზილიის საჰაერო სივრცეში შევიდა. თვითმფრინავის კაპიტანს გომეს პინტუს, მარშრუტი პარიზი-სან-პაულუ ადრეც არაერთხელ ჰქონდა გავლილი, მაგრამ ეს ფრენა მის კარიერაში რაღაც განსაკუთრებული იყო. „მაკდონელ დუგლას -11“ ფრენის 35000 ფუტის (დაახლოებით 9 კმ) სიმაღლიდან თანდათან ძირს ეშვებოდა, რათა სან-პაულუს საერთაშორისო აეროპორტ Guarulos-ის საფრენ ბილიკზე დამჯდარიყო. ამ დროს მას ორივე მხრიდან ბრაზილიის სამხედრო-საჰაერო ძალების ორი რეაქტიული თვითმფრინავი მიჰყვებოდა. ერთი შეხედვით თითქოს ფეხბურთის, ცეცხლოვანი კარნავალებისა და ულამაზესი პლაჟების ქვეყანა საპატიო სტუმართან შესახვედრად ემზადებოდა, თუმცა, ბრაზილიელთათვის არც ეს დახვედრა იყო საზეიმო და არც რეისი RG 723-ით ჩამოფრენილი მგზავრები ყოფილან სტუმრები, რომლებსაც სამბას რიტმებით უნდა შეჰგებებოდნენ. შემდგომში თვითმფრინავის კაპიტანი პინტუ ამ რეისს აღწერდა, როგორც ყველაზე სევდიან და მწუხრით მოცულ ფრენას მის კარიერაში. „ყოველთვის, როდესაც ჩვენ საჰაერო სივრცეში სხვა თვითმფრინავებს ახლოს ჩავუვლიდით, მათი პილოტები რადიოთი დიდი გულისტკივილით გვისამძიმრებდნენ“, — აღნიშნავდა გომეს პინტუ, რომელსაც თავისი რეისით სან-პაულუში უნდა ჩაეტანა ბრაზილიელთათვის ერთ-ერთი ყველაზე უსაყვარლესი პიროვნების ნეშტი. „ფორმულა-1“-ის რბოლების ვარსკვლავი, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტსმენი, აირტონ სენა, უკანასკნელად ეშვებოდა მშობლიური სან-პაულუს აეროპორტ Guarulos-ზე, სადაც მას სულით ხორცამდე შეძრული და დამწუხრებული ბრაზილიელები ელოდნენ...

დოსიე:

სრული სახელი: აირტონ სენა და სილვა

დაბადების თარიღი: 1960 წლის 21 მარტი

დაბადების ადგილი: სან-პაულუ

საცხოვრებელი ადგილი: მონტე-კარლო, სან-პაულუ

გარდაცვალების თარიღი: 1994 წლის 1 მაისი

სიმაღლე: 175 სმ

წონა: 70 კგ

მსოფლიო ჩემპიონი: 1988 (94 ქულა); 1990 (78 ქულა) და 1991 (96 ქულა) წლებში F1 Marlboro-McLaren-Honda-ს შემადგენლობაში.

ჩატარებული რბოლების რაოდენობა: 161

გამარჯვებების რაოდენობა: 41

„აირტონ სენა ანგელოზია“, — ამტკიცებდნენ ერთნი, „ის ეშმაკია“, — ამტკიცებდნენ მეორენი, მაგრამ ლეგენდარული პილოტის შესახებ რადიკალურად განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს, რომლებიც ერთხმად აღიარებდნენ ბრაზილიელი ავტომრბოლელის გენიალურობას, აირტონ სენა ჩვეულებრივ მოკვდავთათვის უფრო და უფრო მიუღწეველ სიმაღლეზე აჰყავდათ. თავად ბრაზილიელთათვის კი, აირტონ სენა არასოდეს ყოფილა ჩვეულებრივი სპორტსმენი, რომელიც „უბრალოდ“, დიდ წარმატებებს აღწევდა „ფორმულა-1“-ის ინტრიგებითა და ფათერაკებით აღსავსე სარბოლო ტრასებზე. იმ მომენტიდან, როდესაც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა და ყველასათვის უცნობმა მრბოლელმა სან-პაულუდან, „ფორმულა-1“-ის სამყაროს, თავი უნიჭიერეს, ამბიციურ და შეუპოვარ სპორტსმენად გააცნო, იგი თავის სამშობლოში ეროვნულ გმირად გამოაცხადეს. „ჩემთვის ყველაზე დიდი გამოწვევა ის არის, რომ მოვძებნო იმაზე უკეთესი გამოსავალი, ვიდრე ამას ჩემი მოწინააღმდეგეები აკეთებენ. მინდა იმისი უნარი მქონდეს, რომ ყველაფერი სხვებზე უკეთ გავაკეთო“, — უთქვამს 1989 წელს უკვე მსოფლიო ჩემპიონს, აირტონ სენას, რომელსაც მომქანცველ რბოლებს შორის ხანმოკლე არდადეგების გატარება ყველაზე მეტად სან-პაულუდან 160 კი-



ლომეტრით დაშორებულ მამის ფერმაში, ოჯახურ იდილიაში ჰყვარებია. როგორც თავად „ფორმულა-1“-ის ვარსკვლავი ამბობდა, ოჯახთან ერთად ამგვარი განმარტოება და ბავშვობის წლების მოგონებები მას დიდ სიმშვიდეს ჰგვრიდა და ამ დროს, გარშემომყოფებს ხშირად ფილოსოფიურადაც მოძღვრავდა. „ჩემი უბედური სამშობლოს მთავარი პრობლემა ერთ მუჭა მდიდრებსა და დიდი რაოდენობით ღარიბებს შორის არსებული უზარმაზარი უფსკრულია. ბრაზილიაში ბევრ ადამიანს მომავალი არა აქვს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება! არ შეიძლება მომავალშიც მდიდარმა ადამიანმა მის გარშემო მყოფ ღარიბთა მასაში თავი მშვიდად იგრძნოს“, – უთქვამს თურმე ერთხელ სენას და ნათქვამი მის პირად მდივანს მაშინვე ჩაუწერია, რათა რამდენიმე დღის შემდეგ ამ სიტყვების წაკითხვა შესძლებოდათ „ფორმულა-1“-ის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავის თაყვანისმცემლებს ლონდონსა და ნიუ-იორკში, პარიზსა და რიო-დე-ჟანეიროში, ტოკიოსა და მელბურნში...

ავტორბოლების მომავალი სუპერვარსკვლავის ტალანტი პირველად დედამ, სენიორა სენა და სილვამ აღმოაჩინა. როცა მან თავისი ვაჟიშვილის გატაცების შესახებ შეიტყო, მაშინვე მუშები დაიქირავა და პირდაპირ ფერმის ტერიტორიაზე – ტბის გვერდით, სადაც წყლის „მოტოთი“ სეირნობაც შეიძლებოდა, – კარტინგისთვის ტრასა გააკეთებინა. ოთხი წლის ყოფილა და სილვა, როდესაც პირველად დამჯდარა კარტინგის საჭესთან. „ავტორბოლის პოული სპრინტერული გარბენივით არის, ამ დროს მრბოლელმა დასახმარებლად უნდა მოიკრიბოს მთელი თავისი შესაძლებლობები, გამოცდილება, ინსტინქტი, აგრესიულობა, წინასწარი გათვლის უნარი. ეს ყველაფერი მას ძალიან მაღალ სიმაღლეზე აიყვანს. ამგვარად, პილოტირება თავად „გრან-პრის“ მსვლელობისას შეუძლებელია. პოულისთვის ბრძოლა, ეს ყველა მწვერვალის მწვერვალია. მე მას ვეთაყვანები, – იტყვის წლების შემდეგ „ფორმულა-1“-ის სამყაროში რბოლის დროს კონცენტრირებითა და გამარჯვებისკენ სწრაფვით სახელგანთქმული აირტონ სენა, რომელსაც თურმე სახელიც დედამ შეურჩია. ერთხელ სენიორა სენა და სილვა საკუთარ ფერმაში თავისი ვაჟიშვილის კარტინგით რბოლას ადევნებდა თვალს და უეცრად მეუღლისთვის უთქვამს: „მილტონ, დროა, ჩვენს ვაჟიშვილს ღირსეული სახელი შევურჩიოთ. ვგრძნობ, რომ ის დიდი ავტომრბოლელი გახდება. გვარი და სილვა კი, ბრაზილიაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. დაე, არაჩვეულებრივ ჩემპიონს სახელიც უჩვეულო ჰქონდეს: ის მსოფლიო სპორტის ისტორიაში ჩემი ქალიშვილობის გვარით შევა – აირტონ სენა“. წლების შემდეგ „ფორმულა-1“-ის სამყარომ მართლაც გაიცნო ამომავალი ვარსკვლავი აირტონ სენა, თუმცა მანამდე, შვილის სპორტული წინსვლისთვის გულხელდაკრეფილს არც მილტონ და სილვას უყურებია, რომელიც სან-პაულუში წარმატებულ ბიზნესმენად ითვლებოდა. სენიორ მილტონმა იცოდა, რომ დიდი სპორტი იმავდროულად დიდი ბიზნესიც იყო და მისი ვაჟიშვილისთვის „ფორმულა-1“-ის ტრასებიც ია-ვარდით არ იქნებოდა მოფენილი. იგი თვლიდა, რომ ვაჟიშვილის სპორტული კარიერისთვის ყველაფერს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ჯერ კიდევ 60-იან წლებში, პატარა აირტონს მენეჯერი არმანდო ბოტელუ დაუქირავა, რომლის მთავარი საზრუნავიც ავტოსპორტის „ბურუსით მოცულ გზაზე“ უმცროსი და სილვასათვის ორიენტაციის მიცემა, მისი სპორტული ოსტატობის ამაღლება, დადებითი იმიჯის შექმნა და დამწყები მრბოლელისათვის მდიდარი სპონსორების მოზიდვა იყო.

მილტონ და სილვას წინდახედულობასა და მისი ვაჟიშვილის უჩვეულო ნიჭს უკვალოდ არ ჩაუვლია და მალე, ავტოსპორტის სამყაროში ახალი, ყველასაგან გამორჩეული ვარსკვლავი გამოჩნდა. უკვე 17 წლის ასაკში აირტონ სენა სამხრეთ ამერიკის კარტინგისტთა ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა, შემდეგ კი, ზედიზედ ოთხჯერ ბრაზილიის ჩემპიონატი მოიგო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მანამდე აირტონის უჩვეულო შესაძლებლობებისა და დიდი მომავლისა მხოლოდ მის მშობლებს თუ სჯეროდათ და იმ დროს ბრაზილიაში მისი თაობის სხვა ავტომრბოლელები უფრო დიდ წარმატებებსაც აღწევდნენ. ამ გამარჯვების შემდეგ, 1981 წელს, აირტონ სენამ ისე გაიმარჯვა ავტოსპორტის უფრო პრესტიჟული დისციპლინის – Formula Ford 1600-ის ბრიტანეთის ჩემპიონატზე, რომ კარტინგისტთა მსოფლიო ჩემპიონატი არ მოუგია.

ცოტა ხანში, ავტოსპორტის სამყაროს წინაშე ისევე გადაიშალა და გამოაშკარავდა ახალგაზრდა აირტონის უჩვეულო ნიჭი და შესაძლებლობები, როგორც იშლება ტროპიკული ყვავილი, რომელიც თავისი კეთილსურნელებითა და სილამაზით გამაბრუებლად მოქმედებს ყველაზე, ვინც კი მის გარშემო იმყოფება. თავისი კარტინგისტობის წლებში პატარა აირტონს თანატოლ მრბოლელთაგან განყენებულად, მამამისის სიმდიდრე და მენეჯერის მზრუნველობა აყენებდა, ხოლო როდესაც მან დიდ ავტოსპორტში შეაბიჯა, ყველასაგან გამორჩეულად უკვე თავისი ნიჭის წყალობით იქცა.

ვიდრე „ფორმულა-1“-ის მრბოლელი გახდებოდა, აირტონ სენამ Formula Ford 2000-ისა და Formula-3-ის ბრიტანეთის ჩემპიონატის რბოლები მოიგო. უკვე 1983 წლის შემოდგომაზე კი, ბრაზილიელ ამომავალ ვარსკვლავს „მაკლარენისა“ და „უილიამსის“ სპორტული ავტომობილების საჭესთან დაჯდომის საშუალებაც მიეცა. მიუხედავად ამისა, „ფორმულა-1“-ის აღნიშნულმა გუნდებმა ვერ გარისკეს ნიჭიერი, მაგრამ ახალბედა ბრაზილიელი ავტოპილოტის შეძენა და აირტონ სენასთან კონტრაქტი „ფორმულა-1“-ის რბოლების აუტსაიდერმა, „ტოულმენმა“ გააფორმა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება სენას გრანდიოზული სვლა „ფორმულა-1“-ის ტრასებზე და მისი უკომპრომისო და უაღრესად დაძაბული პაექრობა ავტოსპორტის კიდევ ერთ სუპერვარსკვლავთან – ფრანგ ალენ პროსტთან. „ყოველთვის მიმძიმს მასზე ლაპარაკი, – განაცხადა ალენ პროსტმა აირტონ სენას დაღუპვიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ერთ-ერთ ინტერვიუში, – იმ ავ-

არიის შემდეგ საკუთარ თავს ვუთხარი: მასთან ერთად ჩემი ნაწილიც მოკვდა. ეს არ ყოფილა უბრალო სიტყვები, არამედ ეს სწორედ ის იყო, რასაც მაშინ განვიცდიდი. ამასვე განვიცდი ახლაც. თავიდან ის ძალიან დაუნდობელი იყო, რაც, რა თქმა უნდა, ჩემში სიმპათიას არ აღძრავდა, მაგრამ ამჟამად ამ ყველაფერს მე სხვანაირად ვუყურებ. ღღეს ვხვდები, რომ მისი მკაცრი და დაუნდობელი ხასიათი რაღაც განსაკუთრებული თამაშის კოდექსით იყო ნაკარნახევი. აირტონს ამ ცხოვრებაში თავისი წესები და კანონები ჰქონდა, რომლისაც მას ძალიან სჯეროდა და სხვას არაფერს ყურადღებას არ აქცევდა“.

ბრაზილიელი მრბოლელის ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული პაექრობა ალენ პროსტთან 1984 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეექვსე ეტაპის მსვლელობისას, მონტე-კარლოს ტრასაზე გაიმართა. რბოლის დროს კოკისპირულად წვიმდა, რაც, ცხადია, პილოტებს დიდი საფრთხის წინაშე აყენებდა და წარმატების მიღწევაშიც ხელს უშლიდა. მიუხედავად არასახარბიელო ამინდისა, აირტონ სენა მაინც, როგორც ყოველთვის, თავდაუზოგავად მიაქროლებდა თავის თეთრ-ცისფერ „ტოულმენს“. ტრასაზე წვიმის შხეფებისა და ბურუსისგან ორიენტაციადაკარგული უორიკის, ლაუდას, ტამბეს, მენსელის, პატრეზეს ავტომობილები ერთიმეორის მიყოლებით მიექანებოდნენ სავალი გზის მიღმა და ასპარეზობას ეთიშებოდნენ. ბრაზილიის ეროვნული დროშის ფერებით მოხატულმუზარადიანი აირტონ სენა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა არც „წარღვნასა“ და არც ტრასაზე ატეხილ აურზაურს და ჯიუტად უახლოვდებოდა ალენ პროსტის „მაკლარენს“. მალე ბრაზილიელმა პილოტმა ისიც უკან ჩამოიტოვა, თუმცა სწორედ იმ მომენტში შეჯიბრის მთავარმა მსაჯმა წითელი დროშების აწევა მოითხოვა. მისი აზრით, ასეთ ამინდში რბოლის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. „სენას გამარჯვების საშუალება არ მისცეს“, – ამბობდნენ ამ ფაქტის გამო ერთნი; „გამარჯვების კი არა, მას იმის საშუალება აღარ მისცეს, რომ გზის ერთ-ერთ მომდევნო მოსახვევში კისერი მოეტეხა“, – პასუხობდნენ მათ მეორენი; „ღღეს ჩვენ მომავალი მსოფლიო ჩემპიონი – აირტონ სენა ვიხილეთ“, – ამტკიცებდნენ სხვები.

ამის შემდეგ პიროვნული და სპორტული დაპირისპირება სენასა და პროსტს შორის კიდევ უფრო გამძაფრდა. „შეიძლება მე ძალიან ცივი და უკარება ადამიანის შთაბეჭდილებას ვტოვებ, მაგრამ ეს მცდარი შეხედულებაა... მე ძალიან ფაქიზ ატმოსფეროში ვიზრდებოდი. ხანდახან სხვების თვალწინ ატირებაც კი შემიძლია. დიახ, ასეთი ვარ, ასეთად დავიბადე და გავიზარდე, და ამისთვის მადლობას ვწირავ ღმერთს, იმიტომ, რომ ემოციისა და სიყვარულის გარეშე ცხოვრებას აზრი არა აქვს“, – უთქვამს 1990 წელს უკვე ორგზის მსოფლიო ჩემპიონს, აირტონ სენას, რომელიც თავისი სპორტული მიზნების მისაღწევად, ყოველთვის ალენ პროსტის დამარცხებას ცდილობდა, რადგან ფრანგი პილოტი სიცოცხლეშივე აღიარებული იყო ავტოსპორტის ცოცხალ ლეგენდად.

1988 წლიდან აირტონ სენა Marlboro-McLaren-Honda-ს გუნდში აღმოჩნდა და სწორედ მას შემდეგ დაიპყრო ავტოსპორტის ყველაზე მაღალი მწვერვალები. „ის ღღე ჯერ კიდევ შორს არის, როდესაც ჩემს თავს ვეტყვი: „აირტონ, საკუთარი შესაძლებლობები უკვე ამოწურე“. შეიძლება ასეთი მომენტები საერთოდ, მხოლოდ სიკვდილის შემდეგ დგება ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მისი დრო ჯერ არ დამდგარა“, – უთქვამს ბრაზილიელ პილოტს თავისი სპორტული კარიერის ზენიტში, 1993 წელს. სენას ნაცნობ-მეგობრები, კოლეგები და სპორტული ჟურნალისტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ბრაზილიელი პილოტი „ავტორბოლის სენით იყო დაავადებული“ და ამ საქმის გარეშე მას ცხოვრება არ შეეძლო. აირტონი სპორტული ავტომობილის საჭესთან ჯდომას ცხოვრებაში ყველაფერზე წინ აყენებდა და სწორედ ამის გამო, ტრასაზე მარცხსაც, სხვა მრბოლელებისგან განსხვავებით, მეტად მტკივნეულად განიცდიდა. ბრაზილიელი პილოტის ავტორბოლით მანიაკალურ გატაცებაზე უფრო მეტად მას შემდეგ ალაპარაკდნენ, რაც ნახევარწლიანი ერთად ცხოვრების შემდეგ, იგი მეუღლემ მიატოვა. „მე რკინის ნაჭერს არ ვგავარ და ამიტომ ამ დამთხვეულთანაც არაფერი მაქვს საერთო“, – უთქვამს მაშინ აირტონის უკვე ყოფილ მეუღლეს და მისი სიტყვები ყველასათვის გასაგები გამხდარა, რადგან ბრაზილიელი პილოტი მთელი თავისი არსებით ავტოსპორტს ეკუთვნოდა.

1994 წელს აირტონ სენა F1 Williams-Renault-ის გუნდში გადავიდა. სამწუხაროდ, იმოლაში, სან-მარინოს „გრან-პრიზე“ რბოლა მისთვის ტრაგიკული აღმოჩნდა. აირტონ სენას ავარიას წინ უსწრებდა ორი საშინელი ავტოკატასტროფა, რომელმაც კიდევ ერთხელ შეახსენა „ფორმულა-1“-ის უზარმაზარ იმპერიას, თუ რამხელა რისკთანაა დაკავშირებული რბოლა ტრასებზე, სადაც სიკვდილიც „თავისუფლად დათარეშობს“. 1994 წლის 29 აპრილს ბრაზილიელმა მრბოლელმა, „ჯორდან-ჰარტის“ წარმომადგენელმა, რუბენს ბარიკელომ, რომელიც 290 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა, „ვარიანტა ბასას“ მოსახვევში ავტომობილი ვეღარ დაიმორჩილა და ბეტონის ჯებირს შეასკდა. ჰოსპიტალ „მაჯორში“ ერთი ღღე-ღამის განმავლობაში ყოფნის შემდეგ, ბარიკელომ თაყვანისმცემლები მიმართვით დაამშვიდა: „ამჟამად ყველაფერი რიგზეა. ბოლო ქმედება, რაც კი ავარიის წინ მახსოვს, ის არის, რომ დავამუხრუჭე“. 30 აპრილს ახალგაზრდა ავსტრიელი მრბოლელი, „სიმტეკ-ფორდის“ წარმომადგენელი როლანდ რატცენბერგერი 314 კმ/სთ სიჩქარით დაეჯახა „ტოსეს“ გასაყარს, შემდეგ ინერციით დაახლოებით 200 მეტრი გაიარა და კვლავ შეჯახება მოუხდა „ვილნევ ვირაჟის“ მოსახვევში. ავსტრიელი პილოტისთვის ეს ავარია საბედისწერო აღმოჩნდა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ იგი ჰოსპიტალ „მაჯორში“ გარდაიცვალა. აირტონ სენას საცოლე – ადრიანა გალისტეუ, რომელიც იმოლაში არ იყოფებოდა, მოგვიანებით იტყვის, რომ მას პირველ მაისს, კვირას, დილით ადრე, აირტონმა დაურეკა. ბრაზილიელი პილოტი დათრგუნვილი ყოფილა წინა ღღეებში მომხდარი ავტოკატასტროფების გამო და აღარ სურდა, იმ ღღეს სტარტზე გამოსვლა. 1993

წლის ნოემბერში კი, აირტონ სენას თავისებური, ფილოსოფიურ-წინასწარმეტყველური ფრაზა უთქვამს ინტერვიუში: „მე აქ ვარ აწმყოში, მაგრამ ამავე დროს, ძალიან შორს ვიმყოფები საკუთარი თავისგან... გაცილებით შორს, ვიდრე ეს რეალობაშია. მე – მომავალში ვარ!..“

1994 წლის პირველ მაისს, „უილიამს-რენოს“ ავტომობილით 320 კმ/სთ სიჩქარით მრბოლელი აირტონ სენა „ტამბურელოს“ მოსახვევში კედელს შეასკდა. რამდენიმე წამის შემდეგ, ბრაზილიელ პილოტს სამედიცინო სამსახურმა უკვე ჩაუტარა ტრაქეოტომია და ელექტროშოკი. მალე, პირდაპირ ტრასაზე, შვეულმფრენიც დაჯდა, რომელმაც სენა ბოლონიაში, ჰოსპიტალ „მაჯორში“ გადაიყვანა. ფრენის დროს მას ექიმებმა გულისცემის შეწყვეტა დაუფიქსირეს, თუმცა მათი მცდელობის შემდეგ, სენას გული კვლავ ამუშავდა. ჰოსპიტალში მიყვანის შემდეგ, სარეანიმაციოს ხელმძღვანელმა, პროფესორმა მარია ტერეზამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პილოტს თავის მძიმე დაზიანება ჰქონდა და მან დიდი რაოდენობის სისხლი დაკარგა (შემდგომში ცნობილი გახდა, რომ სენას ოთხ ლიტრამდე სისხლი დაუკარგავს). ავარიიდან რამდენიმე საათის შემდეგ საინფორმაციო სააგენტოებმა ლეგენდარული ბრაზილიელი ავტოპილოტის, აირტონ სენას გარდაცვალების შესახებ ამცნეს მსოფლიოს. მეორე დღეს, ბრაზილიის ყვითელ-მწვანე დროშით მორთული აირტონ სენას სასახლე „მერსედესის“ შავი კატაფალკით ბოლონიის აეროპორტისაკენ წაასვენეს. სან-პაულუში ჩასვენებისთანავე ბრაზილიის მაშინდელმა პრეზიდენტმა იტამარ ფრანციომ ქვეყანაში სამდღიანი გლოვა გამოაცხადა. ყველა სახელმწიფო დაწესებულებამ დაუშვა ეროვნული დროშები. ბრაზილიელთათვის იმდენად გამაოგნებელი აღმოჩნდა აირტონ სენას სიკვდილი (რომელმაც თავისი გამარჯვებებით თანამემამულეებს არაერთხელ განაცდევინა სიამაყის გრძნობა), რომ მოსახლეობაში თვითმკვლელობის შემთხვევებიც კი დაფიქსირდა...

P.S. 1994 წელს, სენას სიკვდილიდან სულ რაღაც ორი თვის თავზე, ბრაზილიის ეროვნულმა ნაკრებმა ამერიკაში გამართულ მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე მეოთხედ გაიმარჯვა. „ყვითელმაისურიანებმა“ მოედანზე მაშინვე გაშალეს ტრანსპარანტი, რომელიც იუწყებოდა, რომ ისინი ამ დიდ გამარჯვებას ბრაზილიის ეროვნული გმირის, აირტონ სენას მარადიულ ხსოვნას უძღვნიდნენ.

■

რუმინეთის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტის ოჯახს დაემუქრნენ

რუმინეთის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა, დუმიტრუ დრაგომირმა განაცხადა, რომ სასამართლოში უჩივლებს კლუბ „ჩახლაულის“ მფლობელს ჯორჯ სტეფანს იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი მას ოჯახის წევრების ამოხოცვით დაემუქრა. ცოტა ხნის წინ, დრაგომირს ასევე განუცხადებია, რომ „ჩახლაულმა“ შეგნებულად წაგო მატჩი ბუქარესტის „დინამოსთან“, რის შემდეგაც, მას ჯორჯ სტეფანი დამუქრებია. „უფრო საშინელი სიტყვები ჯერ არ გამიგია, – თქვა დრაგომირმა, – ის ოჯახის ამოწყვეტით დამემუქრა“. თავის მხრივ, სტეფანმა ბრალდება უარყო. მან აღნიშნა, რომ დრაგომირთან მართლაც ჰქონდა საუბარი მისივე ოფისში, თუმცა, ამგვარი სიტყვები არ წარმოუთქვამს. „ჩახლაულის“ მფლობელმა ისიც განაცხადა, რომ მის გუნდს თამაში არ გაუყიდია და ამის დასამტკიცებლად მოთამაშეები მზად არიან, სიცრუის დეტექტორზე გაესინჯონ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბოლო წლებში, რუმინეთში ფეხბურთელებსა და კლუბებს ხშირად ადანაშაულებენ კორუფციაში, თუმცა, ამ ხნის მანძილზე არავინ გამოუაშკარავებიათ. 2000 წელს კი, „ჩახლაულმა“ ევროპულ საკლუბო ტურნირებზე ერთწლიანი დისკვალიფიკაცია იმის გამო მიიღო, რომ მისმა ხელმძღვანელობამ ინტერტოტოს თასის გათამაშებაზე, ავსტრიის „აუსტრიასთან“ შეხვედრის წინ, ფრანგ მსაჯებს ქრთამად, მეძავებით მომსახურება შესთავაზა.

■

ინგლისელმა გულშემატკივრებმა მარსელონაშიც „ისახელეს“ თავი

ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების მეორე ჯგუფური ეტაპი ერთი კვირის წინ დასრულდა და მეოთხედფინალისტებიც უკვე დაწყვილებულები არიან, თუმცა დღემდე არ წყდება ბარსელონაში „ლივერპულის“ გულშემატკივრების უმსგავსი საქციელის გამო ატეხილი მითქმა-მოთქმა. საქმე ის არის, რომ „ბარსელონა“-„ლივერპულის“ მატჩზე დასასწრებად კატალონიაში ჩასული ორი ინგლისელი გულშემატკივარი სექსუალური ძალადობისა და ბარსელონის ერთ-ერთი ბარის საპირფარეშოში მეძავის გაძარცვისათვის დააკავეს. სტივენ დევისი და ენდრიუ ჯონსი პოლიციამ მას შემდეგ დააპატიმრა, რაც ბარის მომსახურე პერსონალმა ტუალეტიდან გაგონილი ყვირილის გამო, წესრიგის დამცველებს მიმართა. პოლიციამ დააკავა მესამე გულშემატკივარიც, თუმცა ის მალევე გაუშვეს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სამართალდამცავებს ტუალეტში შესავლელად ფიზიკური ძალის გამოყენება დასჭირდათ, რადგან ერთ-ერთ გულშემატკივარს კარი შიგნიდან ჩაეკეტა. ყველა მათგანი ნასვამი იყო, ხოლო იმ მომენტში, როდესაც წესრიგის დამცველები საპირფარეშოში შეიჭრნენ, ერთ-ერთი ინგლისელი, ქალის გაუპატიურებას ცდილობდა. შემდგომში გაირკვა, რომ ის მეძავი ყოფილა, რომლის თქმითაც, ინგლისელებმა მას 40 ევრო და მობილური ტელეფონი წაართვეს. დაკავებულმა ლივერპულელმა გულშემატკივრებმა ის საღამო, როდესაც „ბარსელონა“-„ლივერპულის“ შეხვედრა მიმდინარეობდა, ციხეში გაატარეს.

■

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

აკაკი გეგენავა

ასე და ამრიგად — მოგზაურობაზე თავგადაკლული ორი ქართველი, მე და ჩემი მეგობარი ვახო, ისევ ნიუ-იორკში ვართ (იხ. „გზა“, №№5,7,9,11) და მაგელანისეული განცდების ნაცვლად, სამსახურის შოვნაზე ფიქრში ვათენ-ვაღამებთ, თუმცა დროდადრო ხან ტურისტებად წარმოვიდგენთ თავს, ხან ოკეანისგაღმელთა ყოფითა და კულტურით დაინტერესებულ ეთნოლოგებად...

ბორბლების და საცობების გარემოცვაში

ალბათ ყველას გსმენიათ — ამერიკა ბორბლებზე დგასო. ამის დასამტკიცებლად ნიუ-იორკიც კმარა. სტატისტიკური მონაცემებით, ერთ ამერიკულ ოჯახზე 3-4 ავტომობილი მოდის. ქალაქში უამრავი სატრანსპორტო საშუალებაა და შესაბამისად, ქუჩებიც გადატვირთულია, ხშირია საცობები. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მოძრაობა ისეთივე ინტენსიურია ღამით, როგორიც დღისით. ისეთი ავტომაგისტრალიც მრავლადაა, რომელზეც წუთითაც არ წყდება ავტომანქანების ნაკადი. ძალაუნებურად ფიქრობ, სად დადის ეს ხალხი ასე გაუთავებლად, ან როგორ არ ელევათ საქმე, რომ ღამითაც არ ისვენებენ?!

ნიუ-იორკს ასევე ეძახიან ქალაქს, რომელსაც არ სძინავს. ის ამ სახელს ნამდვილად ამართლებს და ამაში ნებისმიერი ადამიანი დამეთანხმება, ვინც რამდენიმე დღით მაინც ყოფილა ამ ქალაქში. დღისით ნიუ-იორკელები სამსახურით არიან დაკავებულნი, საღამო და ღამე კი გართობისთვის აქვთ დათმობილი. ასე რომ, ძალიანაც რომ გინდოდეს, ამ ქალაქში ვერ მოიწყენ. თუმცა გამორიცხული არ არის, სტრესი მიიღოთ იმისგან, რომ ვერ აირჩიოთ გასართობი ადგილი, ვინაიდან არჩევანი უსაზღვროდ დიდია: „ცენტრალ პარკში“ ღია ცის ქვეშ იმართება საესტრადო კონცერტები, ჰარლემსა და ვილიჯაში (მანჰეტენის უბნებია) ჯაზის ან ბლუზის ჰანგები ისმის. ბროდვეიზე ყოველ ნაბიჯზეა თეატრი, სადაც მიუზიკლიდან დაწყებული, ყველა ჟანრის სპექტაკლი იმართება. მსოფლიოში სახელგანთქმული „მეტროპოლიტენ-ოპერაც“ ხომ ნიუ-იორკშია. აქვეა კლასიკური მუსიკის რამდენიმე დარბაზი, რომელშიც მსოფლიო დონის მუსიკოსები გამოდიან. კინოთეატრები, დისკოთეკები და ბარები ხომ თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზეა.

საკუთრივ ნიუ-იორკელები ამ ნაირფეროვან გასართობ რეზიდენციას პარასკეობითა და შაბათობით სტუმრობენ. შენობებში მართლაც ტევა არ არის, მაგრამ კვირის სხვა დღეებშიც არცთუ ისე დიდი ხალვათობაა. ნიუ-იორკი ქვეყანაში გართობისა და კულტურული ცხოვრების ცენტრად ითვლება, ამერიკის ყოველი კუთხიდან ჩამოდიან აქ, განსაკუთრებით, არდადეგების პერიოდში. და რა თქმა უნდა, ყველა ჩამოდის საკუთარი ავტომობილით, რაც იწვევს საცობებს დღეღამის ნებისმიერ დროს.

ამერიკაში თუ საცეკვაო დარბაზში შედიხარ, უნდა იცეკვო!..

მე რაც შემეხება, ნიუ-იორკის საცობები სულაც არ მაწუხებდა. არონთან და შონთან ერთად, მშვენივრად დავდიოდი ფეხით, გაჩახჩახებულ ქუჩებში, მაგრამ ბარის არჩევის პრობლემას მაინც ვერ ავცდით. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ყველა ერთიმეორეზე მაცდურად გამოიყურებოდა და სად შევსულიყავით, არ ვიცოდით. ბოლოს, როგორც იქნა, ერთ-ერთი მოგვეწონა, თუმცა კი მთელი ერთი საათი მოგვიწია უზარმაზარ რიგში დგომა.

— რიგი გამიგია მაღაზიაში ან ავიაბილეთის შეძენისას... დისკოთეკაზე კი პირველად ვდგავარ, — შევჩივლე არონს.

— სამაგიეროდ, აქ ისეთ დროს გაატარებ, რიგში დგომაც დაგავიწყდება და ეს ღამეც დიდხანს გემახსოვრება... — დამამშვიდა მან.

რა გაეწყობოდა? — ბედს და რიგში დგომას დავმორჩილდი.

თითოეულ კაცზე 70 დოლარი გამოგვართვეს, ეს ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის სასიამოვნო ნამდვილად არ იყო. არც ასეთ მაღალ ფასს მოველოდი, მაგრამ მომავლის იმედით ავსებულს, ბევრი არ მინაღვლია.

ევროპის არაერთი ქვეყნის ღამის ბარში თუ დისკოთეკაზე ვყოფილვარ, მაგრამ ამერიკულმა ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბა. უნდა ითქვას, რომ ამერიკაში უყვართ ყველაფერი დიდი და გრანდიოზული. აქ მუდამ თვალში საცემია დიდი ავტომანქანები, დიდი სახლები, ხიდები... გასართობი ადგილებიც უზარმაზარია და უამრავი ადამიანი იყრის თავს; მე და ჩემი სასტუმროს ნომრის ბინადარნიც, არონი და შონი სწორედაც რომ უზარმაზარ საცეკვაო დარბაზში მოვხვდით. ცოცხლად უკრავდნენ და მღერიდნენ, იყო ზღვა ხალხი და ყველა ისეთი ექსტაზით ცეკვავდა, თითქოს მხოლოდ ცეკვა იყო მათი ცხოვრების ერთადერთი მიზანი... ამას ემატებოდა ხმის გამაძლიერებლებიდან წამოსული მუსიკის უზომოდ მაღალი ხმა. ისეთი ხმაური და რია-რია იყო, გვერდზე მდგომს ვერაფერს გააგებინებდი, მთელი ხმით თუ არ იყვირებდი. ამას ვინ დაეძებს, ზოგჯერ ყვირილის გამეორებაც მიხდებოდა. ერთი სიტყვით, თუ ამერიკულ საცეკვაო დარბაზში მოხვდებით, ეს უნდა გაითვალისწინოთ და ცოტა ილაპარაკოთ, თორემ შემდეგ, ყელის ძლიერი ტკივილი და ხმის დაკარგვა გარანტირებული გექნებათ. აქ იმდენ ლუდს სვამენ და ისეთი დიდი კათხებით, ჩემი თვალით რომ არ მენახა, არაფრით დავიჯერებდი. ერთი სიტყვით, ამერიკელი, დისკოთეკაზე, მთელი კვირის განმავლობაში დაგროვებულ ენერგიასაც ხარჯავს, ბლომად ფულსაც და გვარიანადაც გამოთვრება ხოლმე. ყოველგვარ უარყოფით ემოციასაც წინა კვირას ატანენ და ახალი სამუშაო კვირ-

ისთვის ემზადებიან...

არონმა შემატყო, დაბნეული რომ ვიყავი ამ უზარმაზარ დარბაზში და მთელი ხმით მითხრა რაღაც (უფრო სწორად – იყვირა), მაგრამ ხმაურში ვერაფერიც ვერ გავიგე. ბოლოს, მიმიკით მანიშნა – გოგონებისკენ გაიხედეო. გოგონები კი მართლაც ბლომად იყვნენ. სულ ფერადფერადები (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) და ნაირ-ნაირები, მაღლები, დაბლები, გამხდრები, მსუქნები, ვნებიანები, უემოციოები (თუმცა კი მონდომებით ცეკვავდნენ)... ერთი სიტყვით, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდი, თვალი მომცა და მაყურებინაო.

აბა, კაკო, დაატრიალე შენი მარიფათიმეთქი, შევუძახე ჩემს თავს და საცეკვაო „უფსკრულში" თავით გადავეშვი... დავუყვირებდი არჩეულ ქალს, ისიც ყვირილით გამომეპასუხებოდა და ვუერთდებოდით მოცეკვავეთა ტალღას. დამთავრდებოდა ცეკვა, დავაპირებდი ქალთან საუბრის გაბმას და სანამ გაზეპირებულ ფრაზებს გონებაში გადავათვალიერებდი, მანამ მოვიდოდა ვინმე ახალი კავალერი და ჩემს ტურფას ცეკვის მორევში მიაქანებდა. მისი ხელახლა პოვნა მე კი არა, შერლოკ ჰოლმსსაც გაუჭირდებოდა. ერთი სიტყვით, რომელი მოცეკვავეც მომეწონა, ხუთიოდე წუთითაც ვერ შევაჩერე ჩემი აღსარების მოსასმენად. ბოლოს მივხვდი, არც ჩემი ინგლისური ენის ცოდნა აინტერესებდათ და არც მამაკაცური შესაძლებლობები – აქ საცეკვაოდ და მუსიკის მოსასმენად იყვნენ მოსულნი. ისიც დავფიქსირე, რომ ამ მდგომარეობაში მარტო მე არ ვიყავი და დავწყნარდი. თანაც, ასეთი დასკვნა გამოვიტანე – ამერიკაში თუ საცეკვაო დარბაზში შედიხარ, უნდა იცეკვო!..

ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, დაწყებული საქმის შუა გზაზე მიტოვება ყოველთვის მიჭირს: ვიფიქრე, ვინ არიან ეს ამერიკელები, რომ ვერ შევაბა-მეთქი?! – და ჩემებური ტაქტიკა შევიმუშავე – მორიგ მოწონებულ გოგონას ცეკვის შემდეგ აუცილებლად კათხა ლუდზე ვპატიჟებდი და ვცდილობდი, ასე მაინც „შემეცდინა." გოგონებიც გულიანად მიღიმოდნენ, კათხა ლუდს თვალის დახამხამებაში ცლიდნენ, რაღაც ზოგადი ფრაზებით „მამშვიდებდნენ" და ისევ საცეკვაოდ გარბოდნენ. იქიდან კი ზოგს ვპოულობდი, ზოგს – ვერა! ისევ არონი მოვძებნე და შევჩივლე, ამ ქალებს ვერაფერი გავუგე, რა უნდათ, იქნებ შენ იცოდე-მეთქი...

– ბიჟო... მუღამი უნდა, მუღამი... არ მოეშვა და გამოგივა! – დამმოძღვრა და თან ისე ჩახუტებოდა ასხლეტილ ქერა ქალს, ლამის თვალთ დამიბნელდა.

... ვერაფრით „დავამუღამე" ცეკვით შეშლილი ამერიკელი ქალები. სამაგიეროდ, იმდენი ლუდის დალევა მომიწია, რომ სრულებით არ მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი სასტუმროში გამთენიისას...

ვახოს მოთმინების ფიალა აევსო...

ძნელია ნაბახუსევზე ყოფნა და ორმაგად ძნელია, თუ ლუდით გამოთვერი... თავი გასკდომაზე მქონდა. ოღონდაც ვინმეს არ შევეწუხებინე და არაფერი მინდოდა. ეს ბედნიერება ვინ დამაცადა! 9 საათზე ვახომ დამიწყო ჯაჯგური:

– ადექი, კაკო, სასტუმროს მეპატრონე რაღაცას გვთხოვს!..

– ღმერთი არ გწამს?! შემეშვი!.. – წავიბუზღუნე.

– მე კი არ გაღვიძებ, აგერ ამ კაცს მიხედე! – ეწყინა ვახოს და სასტუმროს არაბი მფლობელი წარმიდგინა. ისიც ხელში ქაღალდების დასტით იდგა და ამერიკული თავაზიანობით მიღიმოდა. მერე ავტოკალმით რაღაც შემოხაზა და მომართა:

– უკაცრავად, სერ! ერთი კვირაა აქ ცხოვრობთ, ბინის ქირა არ გადაგიხდიათ, ვიფიქრე – ხომ არ დაავიწყდათ-მეთქი – და მოგაკითხეთ...

– რას ბრძანებთ? გვაპატიეთ, ახლავე გადავიხდით... – დავფაცურდი და გადასახადის ოდენობა ვიკითხე.

– 420 დოლარი.

– ახლავე... – ვთქვი და შარვლის ჯიბიდან საფულე ამოვიღე.

... გავხსენი საფულე და გველნაკბენივით გავშეშდი. გუშინდელი 600 დოლარის ადგილას ორი ასდოლარიანი იდო... არაბს დაბნეული თვალებით ავხედე. მისი წელანდელი ღიმილი მკაცრი გამომეტყველებით შეცვლილიყო. აშკარად ეტყობოდა, სადაცაა დაიქუხებდა.

– ვახო! რამდენი გაქვს ფული? – მივმართე ძმაკაცს.

– 400 დოლარი.

– მომეცი 220, სასტუმროს ქირა უნდა გადავიხადოთ.

ვახომ უსიტყვოდ მომაწოდა ფული და შვებით ამოვისუნთქე. მეპატრონემ ქვითარი მომაწოდა და ოფიციალური ტონით განმიცხადა, რომ სასტუმროს შინაგანაწესის თანახმად, გადახდა ორ დღეში უნდა მოხდეს ხოლმე და რომ ეს ფაქტი სამომავლოდ გამეთვალისწინებინა...

– ვახო, ცუდადაა ჩვენი საქმე, – თვალებში ვეღარ ვუყურებდი და ისე დავიწყე ლაპარაკი.

– რაშია საქმე? – გაოცებულმა შემომხედა.

– გუშინ, ბარში ფული შემომხარჯვია (ხომ შესაფერისი სიტყვა ვიპოვე?..) და დიდი-დიდი, ორი დღე შევძლოთ აქ ცხოვრება.

– რაა?! ეს როგორ მოგივიდა, ბიჭო? – სასოწარკვეთილმა ვახომ აღარ იცოდა, რა ექნა.

– როგორ გითხრა... ყველაფერი ძვირი იყო. მეგონა, თავს გავაკონტროლებდი... – დავიწყე თავის მართლება. გულით ვნანობდი, რომ ასეთ დღეში ჩავაგდე მე-

გობარი.

ვახოს ფერი ეცვალა, მაგრამ ისედაც სინდისის ქენჯნით გატანჯულს, აღარაფერი მითხრა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ იგი ფულის დახარჯვამ კი არა, ჩვენმა გაურკვეველმა მომავალმა გამოიყვანა წონასწორობიდან. ფაქტობრივად, უზარმაზარ ქვეყანაში უფულოდ დავრჩით ორი ერთმანეთის შემყურე ადამიანი, თანაც არსაიდან არანაირი პერსპექტივა არ ჩანდა.

— კარგი, დამშვიდდი, კაცო, გამოიძინე და დაწყნარებულ სიტუაციაში მოვიფიქროთ რამე... — აქეთ დამამშვიდა ვახომ და ვესტიბიულში გავიდა. თავი ლამის ამეხადა, მაგრამ რაღა მომასვენებდა! ავდექი, ცივი წყლით გამოფხიზლება ვცადე და შემდეგ მეც ვესტიბიულში გავედი. ვახო ნერვიულობისგან ბოლთას სცემდა და სიგარეტს სიგარეტზე უკიდებდა...

— გუშინ ანატოლიმ დარეკა, მზარეულის თანაშემწის ადგილი გამოჩნდაო... — მითხრა.

— მოდი, მანდ შენ წადი, მე ბენზინგასამართ სადგურზე მოვეწყობი.

— როგორ გითხრა, კაცო, არ მომწონს ეს მზარეულობა... დაბნეული ვარ, საერთოდ ვერ ვაზროვნებ, რა მინდა, მე თვითონაც არ ვიცი...

— თავიდან ყველა ასე იწყებს, ვახო! მერე პოულობენ გამოსავალს... — ვუპასუხე დასამშვიდებლად.

— ამერიკა ცოტა სხვაგვარად წარმომედგინა. რომ მცოდნოდა, ასე გავწვალდებოდი, საერთოდ არ წამოვიდოდი... — გადამიშალა გული.

— რას იზამ? ჩვენ ხომ ვერ შევცვლით აქაურობას. ჩვენი ოჯახების გამო უნდა მოვითმინოთ, როგორმე ცოტა ფული შევაგროვოთ და დავბრუნდეთ საქართველოში.

— ჭურჭლის რეცხვით და ჰოთ-დოგების გაყიდვით რა ფული უნდა შეაგროვო, კაცო? — ღრმად ამოიოხრა და დამნაშავესავით გაიღიმა.

— აბა, რას მთავაზობ? — იქით შევუტიე.

— არ ვიცი... ვერაფერს გეტყვი, — ეს თქვა და თვალი ამარიდა, ფანჯარაში ყურება დაიწყო. მივხვდი, რაღაც გადაწყვეტილება მიეღო და გამხელას ვერ მიბედავდა. ბოლოს, როგორც იქნა, ძალა მოიკრიბა და დაიწყო:

— კაკო, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ?!

ასეთ დასაწყისს ნამდვილად არ ველოდი!

— ეს დღეები სულ ვფიქრობდი და ვერ გიბედავდი, ხომ არ გეწყინება, დეტროიტში მინდა წასვლა! — ამ სიტყვებით სულ მომითავა ხელი, თვითონ კი დამშვიდდა და აუღელვებლად განაგრძო:

— მართალია, ის ჩემი ძველი ძმაკაცი კარგად არ მომექცა, დამპირდა, ორ კაცს გიშოვით სამსახურსო, დაბოლოს, ამერიკაში წასვლის წინ დამირეკა, მხოლოდ ერთი კაცის „პატრონობა“ შემიძლიაო, მაგრამ რას ვიზამ? იქ მაგარ ადგილზე მუშაობს, ხომ იცი — მასეთებს ყოველთვის უმართლებს (მივხვდი, ამ სიტყვებით ჩემს დაშოშმინებას და გულის მოგებას ცდილობდა)... მოდი, მე დეტროიტში წავალ, გადავხედავ იქაურობას. შენ აქ დარჩი, აქაურობაში გაერკვიე. შემდეგ ერთად ავწონ-დავწონოთ სიტუაცია და სადაც აჯობებს, იქ დავრჩეთ...

რა უნდა მეთქვა? ეს ყოველივე ზურგში მახვილის ჩაცემას ჰგავდა, მაგრამ ვერაფერს გავხდებოდი: ვახოს გადაწყვეტილება უკვე მიეღო და ჩემს სიტყვებს თუ ახალ შთამბეჭდავ წინადადებებს არანაირი ეფექტის მოხდენა აღარ შეეძლო.

— როგორც გინდა, ვახო, მომავალი გვიჩვენებს, რა იქნება... — ესღა ვუპასუხე. გულში კი მეწყინა, რომ მარტო მტოვებდა, მაგრამ არ ვაგრძნობინე და დეტროიტში მის გამგზავრებაზე დავიწყე ზრუნვა...

ვახო დეტროიტში, მე — ბრუკლინში...

ნიუ-იორკიდან დეტროიტამდე ავტობუსით მგზავრობა 50 დოლარი ჯდებოდა. შევიძინეთ ბილეთი და დეტროიტში დავრეკეთ. ვახოს ძმაკაცმა გვაუწყა, რომ თვითონ ვერ მოიცლიდა, სამაგიეროდ, თავის რუს მეგობარს გამოაგზავნიდა მის დასახვედრად...

დაღვრემილები ვიდექით ავტოსადგურის ბაქანზე, მაგრამ ისევ ჯიუტად განვაგრძობდით „ნათელ მომავალზე“ საუბარს...

— კაკო, ყოველ მეორე დღეს დაგირეკავ... ვიცი, კვაჭი ხარ, არ დაიკარგები, მაგრამ მაინც ფრთხილად იყავი, ცოტა ფიცხი ხარ, ემოციებს არ აჰყვე... — მიკვირდა, საიდან პოულობდა ამდენ სანუგეშო სიტყვას.

— ყველაფერი კარგად იქნება, ვახო!.. შენ მშვიდად იყავი, თავს მიხედე, მე რაღაცას მოვახერხებ, ნუ გეშინია, არ დავიკარგები... — იქით ვაწყნარებდი მეგობარს.

როგორც იქნა, ვახოს ავტობუსი ჩამოდგა და ჩვენც გულაჩუყებულები გადავეხვიეთ ერთმანეთს...

ასე დავრჩი მარტო ამხელა ქალაქში. ჩემი შეთხზული ამერიკული ოცნებებისკენ ახლა მარტოს უნდა მევლო. მართალია, სევდა მომეძალა, ნოსტალგიამაც შემახსენა თავი, მაგრამ ენერგია არ დამკლებია.

... ანატოლის დავურეკე, ჩემი და ვახოს ამერიკაში გაცნობილ აგენტს. ჩემდა გასაოცრად, ყურმილი მაშინვე აიღო, მითხრა — თითქოს გულმა გიგრძნო, რამდენიმე სერიოზული სამუშაო ადგილი გამოჩნდა და ახლა სწორედ შენზე ვფიქრობდიო... ვიგრძენი, სისხლი როგორ ამიდუღდა ძარღვებში. ანატოლიმ მეორე დღესვე დამინიშნა შეხვედრა — ბრუკლინში უნდა წავიდეთ ხვალ, იქ შენთვის სამუშაოც იქნება და საცხოვრებელი ადგილიცო...

ხომ გეუბნებოდით, ამერიკა საოცრებათა ქვეყანაა-მეთქი!..

■

ფრაზა

გენიალური

თუ თქვენმა ცოლმა ავტომობილის მართვის დაუფლება გადაწყვიტა, გზაზე ნუ გადაეღობებით.

კერი გრანტი

ნდობის ტელეფონი
ჯონსულტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
☎822 009 005

„მაგთი“, „ჯეოსელი“,
„მეგაკომი“ — 0,70 ლ.
თბილისი — 0,45 ლ.
რაიონები — 0,65 ლ.

ბესიკ კეკელიძე

უსასრულობა

(საჟურნალო ვარიანტი)

დასაწყისი იხ. „გზა“ №9-12

მე ვხვდებოდი, რომ დედაც ნერვიულობდა და მამის დასანახად თავის სისუსტეს არ ამჟღავნებდა.

— „არა, ქალები უფრო ამტანები ვართ“, — გავიფიქრე და ჭიქა ავწიე, — ჩემო საყვარელო აჩიკო, — მივიწიე და ლოყაზე ვაკოცე, — ჩემო საყვარელი ნინელი, — შევხედე დედას, — მე ორივენი ძალიან მიყვარხართ. დიდი მადლობა იმისათვის, რომ აქამდე მომიყვანეთ, გამზარდეთ და ახლა ცხოვრების ვეება გზაზე მაცილებთ. ეს ყველაფერი ბუნებრივი პროცესია და მადლობა უფალს, საბა ჩემთან რომ არის. მე და საბას გაგვიმარჯოს! — მოვსვი სასმელი.

— ხვალ საბა რომელზე მოვა? — მკითხა მამაჩემმა.

— მე დილიდან სეხნიასთან მივდივარ, წირვას უნდა დავესწროთ. პირველი საათისთვის საბაც იქ მოვა და ალბათ ექვსისთვის აქ ვიქნებით.

— ვინმეს ვპატიჟებთ?

— არა, აჩიკო, — საუბარში დედა ჩაერთო, — ხვალ არავის დაპატიჟება არ გვინდა.

— მართალია, აბა რა, — დავეთანხმე დედას.

მამამ ერთი ამოიოხრა და შუბლზე მაკოცა:

— ჩემო შვილიკო, — წამოდგა და სასტუმრო ოთახისკენ წავიდა.

— მე საბასთან უნდა დავრეკო, — გადავულაპარაკე დედას და საძინებელი ოთახისკენ გავაბიჯე. მაგიდას მივუჯექი და საბას ტელეფონის ნომერი ავკრიფე, — საბა, გამარჯობა, ლიზა ვარ.

— როგორ ხარ, ჩემო სიცოცხლევ?

— ვარ რა, დღეს ძალიან დავიღალე.

— სპექტაკლი მოგეწონა?

— ძალიან. ხვალ დილით მე და სეხნია წირვაზე მივდივართ და პირველისთვის სეხნიასთან მოდი, გელოდება, შენი გაცნობა უნდა.

— ჩემი არსებობის შესახებ შენ უთხარი?

— კი, მაგრამ თავისთან დაპატიჟება მისი ინიციატივა იყო. ხვალ თავისი ნახატები უნდა გვიჩვენოს და ძალიან საინტერესო ამბის მოყოლას აპირებს.

— რისი?

— როგორც თვითონ ამბობს — ღმერთთან ყოფნის შესახებ.

— საინტერესოა, სიამოვნებით მოვალ. ლიზიკო, რადგან დაღლილი ხარ, შეხვედრას აღარ გთავაზობ, დღეს დაისვენე და ხვალ პირველზე სეხნიასთან შევხვდებით.

— სეხნიასგან კი, ჩემთან უნდა მოვიდეთ. მამაჩემი ძალიან ნერვიულობს...

— ხვალ შენთან და ზეგ, ორშაბათს, მთელ თქვენს ოჯახს, ჩემები ელოდებიან. სამშაბათს კი მწვერვალზე მივდივარ, ძლივს ამინდი გამოდის და უნდა დავლაშქრო.

— საბა, იქნებ არ გინდა? — მუდარის ხმით ჩავილაპარაკე ყურმილში.

— არა, ჩემო სიცოცხლევ, ამ ასვლას ჩვენს სიყვარულს ვუძღვნი, ბიჭებსაც ვერ ვუღალატებ.

— ეჰ, — ჩემდა უნებურად ამოვიოხრე, — კარგი, ხვალამდე, გკოცნი ბევრს.

— მეც, მეც. ღამე მშვიდობისა, — დაკიდა ყურმილი საბამ.

მეორე დღეს, წირვის შემდეგ, მე და მოხუცი მის სახლში ვბრუნდებოდით, როდესაც ალაყაფის კარის წინ საბას მანქანა შევამჩნიე.

— საბა მოსულა, — გადავულაპარაკე მხატვარს.

— ძალიან კარგი, — ჩაილაპარაკა მან და ნაბიჯს ავუჩქარეთ.

ჩვენი დანახვისას საბა მანქანიდან გადმოვიდა. მე სეხნიას ხელი გავუშვი და ჩემს სიყვარულს მოვეხვიე:

— როგორ მომენატრე! — ყურში ვუჩურჩულე. არაფერი მიპასუხა, მისი ყურადღება მხატვრისკენ იყო მიპყრობილი.

— საბა, — ხელი გაუწოდა.

— სეხნია, — გაეცნო მოხუცი.

რამდენიმე წამი ასე, ხელჩამორთმეულები დარჩნენ. ისინი თვალებით სწავლობდნენ ერთმანეთს.

— ასე ვიდგეთ? — დავარღვიე გაცნობის ცერემონია.

— შევიდეთ სახლში, — კარი შეაღო სეხნიამ და ეზოში შეგვიშვა, თვითონაც უკან მოგვყვა.

ბინაში შესულებს ვანდა შემოგვეგება:

— ისადილებთ?

მხატვარმა გადმოგვხედა, ჩვენ ვიუარეთ.

— მაშინ არც მე მინდა. სახელოსნოში ყავა ამოგვიტანე, — მიუგო ვანდას და სასტუმრო ოთახში შევიდა. კიბეზე ავედით და დერეფანში, პირველივე კარში შეგვიძღვა.

— ეს ჩემი სახელოსნოა, — მოხუცმა ხელი მოატარა დიდ ოთახს.

სეხნიას სახელოსნოში ზეთის საღებავების სუნი იდგა. კედლებზე მისი ტილოები ეკიდა. შუაგულ ოთახში, თიხისგან გამოძერწილი, უზარმაზარი მწვერვალის მაკეტი იდგა, ხოლო მაკეტის გასწვრივ, კედელთან ახლოს, ვეება აკვარიუმში, უცხო ჯიშის, მოვერცხლისფრო თევზები დაცურავდნენ. მე და საბა აკვარიუმთან მივედით.

— რა ჯიშის თევზია? — ვიკითხე მე.

— ეს, ჩემო კარგებო, პირანიაა, — ირონიულად ჩაეღიმა მხატვარს.

— პირანია? ეგ ხომ საშინელი მტაცებელია, — ზიზღით ჩავილაპარაკე, — რად გინდათ?

მოხუცმა მწვერვალის მაკეტთან ბამბუკისგან გაკეთებული ორი სავარძელი მიაჩოჩა, თვითონაც ასევე ბამბუკისგან გაკეთებულ სარწეველა სავარძელში ჩაჯდა. ხელით გვანიშნა — მოდით, დასხედი-

თო. აკვარიუმს მოვშორდით და სეხნიას მივუსხედით.

— საბა, ვისკის დალევ?

— ცოტას.

მხატვარმა პატარა მაგიდაზე დადგმულ ორ თლილ ჭიქაში ვისკი ჩამოასხა.

— ცოტა მეც მინდა.

— სიამოვნებით, — გამიღიმა და მესამე ჭიქაშიც ქარვისფერი, შოტლანდიური ვისკი ჩამოასხა.

— რად გინდათ ეგ თევზები? — კითხვა გავუმეორე სეხნიას.

მხატვარს ჩაეღიმა:

— რად მინდა და ჩვენს საზოგადოებას მაგონებენ, ჰო, აი იმ საზოგადოებას, გუშინ თეატრში რომ იყო შეკრებილი. მათაც ზუსტად იგივე მეთოდით შეახრამუნეს ჩემი და შენი ურთიერთობა და ამით სულის ცარიელი სტომაქები ამოიყორეს, — ყავა მოსვა, შემდეგ ვისკი მოყლუპა. — მეც ადამიანი ვარ, ხანდახან მეც მინდება ხალხთან კონტაქტი, მაგრამ როგორც კი ჩემს პირანიებს შევხედავ, მათთან ურთიერთობის სურვილი იმწამსვე მისამარდება.

ერთი წამით ორივეს შეგვხედა და მშვიდი, აუღელვებელი ტონით დაიწყო თხრობა:

— ჩემო კარგებო, მე ხატვა ორმოცდაათი წლის ასაკში დავიწყე. ეს მოხდა მაშინ, როდესაც იმ ჯოჯოხეთიდან, რასაც ჩემი ოჯახი ერქვა, წამოვედი. ჩემში როგორც ატომურმა ბომბმა, ისე იფეთქა ხატვის სურვილმა. დღე და ღამე ფუნჯი მეკავა, ვერ ვჩერდებოდი. შრომამ შედეგი გამოიღო, სახელგანთქმული მხატვარი გავხდი, შესაბამისად, ჩემს ტილოებზე დიდი მოთხოვნილება გაჩნდა. ყოველი ნახატი საკმაოდ დიდ თანხად იყიდებოდა. თანდათანობით შევატყვე, რომ მარცხენა თვალში ფერის შეგრძნების უნარი მეკარგებოდა, ბოლოს სულ გაქრა და შავ ფერში აღვიქვამდი ყველაფერს. შემდეგ იგივე პროცესი მარჯვენა თვალზეც დამეწყო. მოგეხსენებათ, მხატვრისთვის ფერის შეგრძნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საშინელ დეპრესიაში ჩავვარდი, ძალიან მიჭირდა ყველაფრის შავად დანახვა. წარმოიდგინეთ, მწვანე — შავია, წითელი — შავია, იისფერი — შავია, ირგვლივ ყველაფერი გაშავდა. ეს პროცესი ჩემთვის სულიერ კატასტროფას მოასწავებდა. ექიმებს მივმართე. ჩვენთან მიზეზი ვერც ერთმა ვერ დაადგინა. ბოლოს, ერთმა მირჩია, რომ დანიაში, ექიმ სინდისონისთვის მიმემართა. დაუყოვნებლივ, კოპენჰაგენში გადავფრინდი. მოვნახე ექიმი სინდისონი. მან გამსინჯა და დიაგნოზიც დამისვა. იცით, რა აღმოჩნდა?

— რა? — ერთდროულად ვიკითხეთ მე და საბამ.

მოხუცმა ვისკი ჩამოგვისხა, თავისი ჭიქიდან მოსვა და განაგრძო:

— თურმე ყველა ადამიანს აქვს ერთი პატარა სისხლძარღვი, რომელიც ამ კაცმა აღმოაჩინა და მას, სინდისონის ძარღვი უწოდა. იგი გულიდან იწყება, უერთდება მხედველობის ორგანოს და შემდეგ — ტვინს. ფაქტობრივად, ეს სისხლძარღვი გულისა და გონების შემაერთებელია. ტვინი სხვა სისხლძარღვებითაც იკვებება, მაგრამ სინდისონის ძარღვი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, ჩემში, მისმა გაწყვეტამ, ფერის აღქმის დაკარგვა გამოიწვია. ექიმი ოპერაციაზე დამთანხმდა. გარკვეული სამზადისის შემდეგ, ოპერაციის დღეც დაინიშნა. ოპერაციას თურმე თექვსმეტი საათი მიკეთებდა. სამოცი წლის კაცისთვის ამდენი ხანი ნარკოზის ქვეშ ყოფნა ძალიან ძნელია. როგორც ექიმმა მითხრა, როდესაც ნარკოზიდან გამოვყავდი, რამდენიმე წუთი, კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. ეს ფიზიოლოგიურად, თორემ სინამდვილეში მე ღმერთთან ვიყავი, — მხატვარმა ჩამქრალი ჩიბუხი საფერფლეზე დადო, ვისკი მოსვა და გააგრძელა: ყველაფერი თვალნათლივ ვნახე და განვიცადე, მაგრამ ნება მომეცით, ეს ამბავი იმ სეხნიაზე მოგიყვეთ, ანუ ჩემს სულზე, რომელიც იქ იყო, ამიტომ თხრობა მესამე პირში გამომივა და არ გაგიკვირდეთ, — დაკვირვებით შემოგვხედა ორივეს.

მე პირდაღებული, განცვიფრებული ვუსმენდი მოხუცს. საბაც გაშეშებული იჯდა სავარძელში.

— ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს — თქვენ როგორც გირჩევნიათ, ისე მოგვიყვით, — ძლივს ამოვილუღლუღე.

— დიახ, — საბამაც, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია.

მხატვარი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო, რამდენჯერმე წინ და უკან გადაირწა და მოყოლა მშვიდი ტონით დაიწყო:

— იმ დილას წვიმდა. სეხნიამ საწვიმარი გადაიცვა, სახლიდან ნაჩქარევად გავიდა და სველ ქუჩას ფეხით გაუყვა. მე სეხნია არ ვიყო, იმ მთის წვერზე თუ არ ავიდეო, — გამწარებულმა გულზე მჯიღი დაიბაგუნა. ერთი წამით შეჩერდა და უზარმაზარ მწვერვალს, რომელიც მთელ სოფელს მოურავივით თავს წამოსდგომოდა, თვალი ააყოლა. არ თავდებოდა მისი სიმაღლე, ბოლოს, კისერი უკან ისე გადაუვარდა, რომ წაბორძიკდა. ვიღაცამ მკლავი დაუჭირა:

— საით, სეხნი?

— ვაჰ, — აღმოხდა უნებურად. მკლავი გაითავისუფლა და შეხედა. მის გვერდით ორი ახალგაზრდა იდგა. ერთი, თავიდან ფეხებამდე შავებში იყო გამოწყობილი, ატყვევებდა თავისი მიმზიდველობით, საოცრად სიმპათიურად გამოიყურებოდა, მეორეს ფერადი ტანსაცმელი ეცვა. ცისარტყელას შვიდივე ფერი ერთმანეთში გადახლართვოდა.

— ჩვენც იქით მივდივართ, საითაც შენ გაგიწევია, — უპასუხა „შავმა“.

— რას ამბობ, თქვენ ვინ ხართ?

— ჩვენ ერთი ხის შვილები ვართ, ერთი სოფლიდან მოვრონინებთ, — გაუღიმა „ფერადმა“.

— მე რომ არ გიცნობთ?

— ჰმ, — არ შესცვლია გამომეტყველება უცნობს — აი, როდესაც ჭიპლარი მოგჭრეს, შემდეგ ლოყაში სილაც გაგაწნეს და ღრიალი მორთე, რათა სოფლისთვის დედის მუცლიდან შენი გამობრძანება გემცნო, ჩვენც სწორედ მაშინ გავჩნდით, მხარში ამოგიდექით და დღემდე მოგყვებით.

— მერე?

— რა მერე? და მთელი გზა ერთად მოვდივართ, ისე, რა გინდა იქ?

— სოფლის ზემოდან ნახვის სურვილი მახრჩობს, ბევრჯერ ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი.

— ჩვენ დაგეხმარებით, — ხელკავი გაუყარა მოსაუბრემ და სამივემ გზა განაგრძო.

წვიმამ გადაიღო. მზემ ღრუბლები მიარჯლა.

— მოვედით, მოვედით, — სიხარულისგან თავბრუ დაეხვა სეხნიას. მთის კალთაზე, რომელიც კედელივით სწორი იყო, მისი დიდი სურათი ეხატა. გაკვირვებული შესცქეროდა საკუთარ ფერად გამოსახულებას, — ეს რა არის?

— ეგ მოზაიკის პანოა. ჩვენ მაგ სურათში შევალთ და ისე გავუყვებით მწვერვალის გზას, — მიუგო „შავმა“ უცნობმა.

სეხნიამ პანო შეათვალიერა:

— ისე, რამდენ ფერშია შესრულებული?

— შვიდი — ჩემი, ერთიც — მაგისი, ესე იგი რვა ფერში. მოგწონს?

— ძალიან, ძალიან. ჩემი ასეთი სურათი არსად მინახავს.

— შორიდან კარგია, — დაეთანხმა „ფერადი“. გზა განაგრძეს. მიახლოებისას, ყოველ ნაბიჯთან ერთად, გამოსახულების აღქმა თანდათან ძნელდებოდა და ბოლოს, მთის კედელზე მიმაგრებული უთვალავი ფერადი ქვის წინ აღმოჩნდ-

ნენ. წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, იისფერი და შავი წერტილები ერთმანეთში არეულიყო და მზის სხივებს თვალის მომჭრელად ირეკლავდა.

— ეს მე ვარ? — ცოტა არ იყოს, შემცბარი ხმით იკითხა სეხნიამ.

— მაშ, — თავი დაუქნია შავმა, — ცოტა შევისვენოთ, წინ შორი გზა გვაქვს გასავლელი.

სამივე დიდი მუხის ძირში, ჩეროში ჩამოჯდა.

— ესე იგი, გაწვალებს სოფლის ზემოდან ნახვის სურვილი? — იკითხა ფერადმა.

— მერე და როგორ! ამ სოფლად რა არ ვნახე, სულ მისხალ-მისხალ მაქვს შესწავლილი, მაგრამ ვერაფერმა დამაკმაყოფილა, ვინაიდან ამაოება ყოფილა ყველაფერი. ჰოდა, ამიტომაც მინდა დავხედო ზემოდან.

— მაინც რა გაქვს ნანახი? — ცნობისმოყვარეობისგან თვალები გაუბრწყინდა „შავს“.

— ჯერ მითხარით, ვინ ხართ, საიდან მიცნობთ? — გაჯიუტდა სეხნია.

— ჩვენ ძმები ვართ, შენი ცხოვრების თანამგზავრები. მე სიკეთე მქვია, ეს — ბოროტებაა.

— შენ კარგი, მაგრამ, — გაბრაზებული მიუბრუნდა სეხნია „შავს“, — ბოროტებას ჩემთან რა გესაქმება?! მე ცხოვრებაში სიკეთის მეტი არაფერი მიკეთებია.

— გასაგებია, მაგრამ იქიდან რისი დანახვა გინდა? — გაკვირვებულმა იკითხა სიკეთემ.

— რისი? — გამწარებულმა სეხნიამ სიბოროტეს გადახედა — რისი და მინდა დავინახო, ეს მუგუზალივით შავი, ერთფერი გრძნობა რატომ არის ასეთი ლამაზი, მიმზიდველი და შენზე, შვიდფერზე ღონიერი. რატომ დგას სოფელი თავდაყირა. ნუთუ ეს ჩემამდეც ხდებოდა და ჩემს შემდეგაც გაგრძელდება? მაშინ, აბსურდი ყოფილა ყველაფერი.

— გვეყო დასვენება, წავედით, — ჩაილაპარაკა სიკეთემ და სამივენი წამოდგნენ.

— სეხნი, სანამ პანოში მოვხვდებით, მინდა გაგაფრთხილო, — მიუბრუნდა „შავი“, — აქ შესვლის ბილეთი მხოლოდ ერთი მიმართულებით არის.

— თანახმა ვარ, — ხელი ჩაიქნია სეხნიამ.

სამივემ პორტრეტის ფერად წერტილებში შეაბიჯა, იქიდან ნახევრად ჩაბნელებულ გვირაბში მოხვდა. მათ წინ უზარმაზარი რიგი იდგა. ყველა ადამიანს საკუთარი სიკეთე და სიბოროტე მხარში ამოსდგომოდა. ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა მიიწევდა რიგი წინ.

— ახლა უკვე არსად გვეჩქარება, — ჩაილაპარაკა სიბოროტემ.

— ხომ არ დამეღალე? ჰა, სეხნი?!

— არა.

— ცოტაც გაუძელი. გვირაბის ბოლოს, შენი გვამი, ჩემიანად, მატლების ულუფა გახდება. შენი სული კი, ამასთან ერთად, მწვერვალის გზას შეუდგება. სხეული — მიწას, სული კი მის პატრონს, ღმერთს ეკუთვნის.

— რატომღაც მეგონა, რომ მთელი ცხოვრება სიკეთეს ვთესდი, საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი ვიყავი, — სინანულით ჩაილაპარაკა სეხნიამ.

— რომელი საზოგადოების? — გაკვირვებულმა იკითხა შავმა. — რომელიც თქვენივე მოგონილია? ადამის მოდგმის შექმნილი? თვალთმაქცთა და ნიღაბაფარებულთა რაღაც საერთო ინტერესის მქონე გარეულ ცხოველთა ხროვაა თქვენი ნებისმიერი საზოგადოება. რკინაბეტონის გალავანი შემოარტყით და ალაყაფის კარს შიგნიდან დიდი ბოქლომი დაადეთ, მერე დასხედით და გადაწყვიტეთ, ეს შეიძლება ეს — არა და ამას ზნეობა დაარქვით. ერთმანეთის დასანახად აკეთებდით ყველაფერს და ამით დიდ სიამოვნებას ღებულობდით. გალავანშემოფარგლული სხვა საზოგადოების წევრებს უმოწყალოდ კიცხავდით. როგორ შეიძლება ეს ან ის?! — და ამას იმიტომ აკეთებდით, რომ საკუთარი ჭუჭყი ჩამოგერეცხათ, არ შეგემჩნიათ. როგორ, ვერ ხედავდი, რომ შენი საზოგადოების ყველა წევრს რაღაც გადახრა ჰქონდა? — ის ნარკომანი იყო, ის სხვისი ქმრების საწოლებში კოტრიალობდა, ის შიზოფრენიით იყო დაავადებული, ის მამათმავალი იყო, ის ლოთობდა, ის სხვის ხარჯზე იყო გამდიდრებული და ვინ მოთვლის — რომელი ერთი დაგისახელო?! თქვენ ყველაფერზე თვალს ხუჭავდით, ყველაფერი იცოდით, მაგრამ არ გსურდათ, რომ გცოდნოდათ, უბრალოდ, ხელს არ გაძლევდათ. მთელი ყურადღება სხვებზე, ჰო, სხვა საზოგადოებაზე გადაგქონდათ და იმავე საქციელს სხვას არ უწონებდით, ასამართლებდით, სჯიდით და ეს ყველაფერი სიხარულს გგვრიდათ, თავაწეულები დაიარებოდით. იმ სოფლად თქვენი განმკითხავი საკუთარი სინდისი იყო, რომელიც გამუდმებით გიჩიჩინებდათ, მაგრამ როგორც მტერს, ისე იგერიებდით, მუშტით უმასპინძლდებოდით, სადღაც კუთხეში მიაგდებდით და ფურთხსაც არ იშურებდით. შუბლის ძარღვი გაიწყვიტეთ, რათა გონება გულის ხმას არ შეხვედროდა.

სიმახინჯეს ლამაზს უწოდებდით, ლამაზს — მახინჯს, მშიერს დასცინოდით და მაძღარს მხარში ედექით, ვინმეს თუ ლუკმას გადაუგდებდით, ძმრად ადენდით. მგლები დახოცეთ და იქაურობას ფინია ძაღლებად მოევლინეთ. და ყოველივე ამის შემდეგ. გიკვირს, რატომ დგას სოფელი თავდაყირა?

სეხნია სულდარდიანი, თავჩაქინდრული მიუყვებოდა რიგს.

— ამაოება ჩვენში ყოფილა, ჩემში, — თავისთვის ჩაილაპარაკა, — შემეძლო მეპოვა და არ მსურდა, უკან დამდევდა და გავურბოდი, რა მაცდურია წუთისოფელი.

— სეხნი, არა უშავს, — დაამშვიდა „ფერადმა“, — როგორც მარცვალი, უნდა მოკვდე, რომ დაიბადო, „სიცოცხლე სიკვდილით ფასობს“. შენი არსებობა იმ დიდი გზის დასაწყისია, სადაც გაგიწევია.

გვირაბის ბოლოს მძაფრი ნათება გამობრწყინდა. ძმები გადაეხვივნენ ერთმანეთს, ნაღვლიანად დაემშვიდობნენ. სეხნიამ იგრძნო, რომ როგორც გველი ძვრება

თავის ტყავიდან, ისევე ამოუძვრა გვამიდან სული. „შავმა“ მისი სხეული ამოიღლიავა და სადღაც, ჯურღმულში გაუჩინარდა. მისი სული კი, ისეთივე შვიდფერი იყო, როგორიც სიკეთე. განცვიფრებული შეჰყურებდა საკუთარ თავს. ფერები ერთმანეთს გადახლართვოდა, უზომო ბედნიერება დაეუფლა და იგრძნო, რომ სიკეთე შეერწყა და ერთ სულად იქცნენ. როგორც ღამის პეპელა შუქზე, ისე მიფარფატებდა ნათებისკენ.

არავითარი სიმძიმე, არავითარი დაღლა, პირიქით, შვება და სიხარული დაეუფლა მის გონებას. უზომოდ ბედნიერი, უცხო სამყაროს ცხოველი ინტერესით ათვალიერებდა.

რამდენიმე წამში მწვერვალზე იყო. სოფელი ისე მოჩანდა, როგორც ხელისგულზე აცოცებული ჭიანჭველა. სეხნია გაჩერდა, ზემოდან დააცქერდა ყველაფერს და ღიმილნარევმა ჩაილაპარაკა:

— უკიდეგანო სამყაროში, მთელი ჩვენი სოფელი, ერთი პატარა წერტილი ყოფილა, ადამიანები კი — ამ წერტილის შემადგენელი მოლეკულები, თავიანთი მოლეკულური ინტერესებითა და გრძნობებით.

ადამიანო, ნეტა ხედავდე, რა პატარა ხარ და როგორი სასაცილოა შენი მისწრაფება საკუთარი სიდიდის მიმართ, — ღიმილი სიცილში გადაეზარდა, სიცილი კი — ხარხარში.

ნათებიდან ხმა შემოესმა:

— შენი აქ მოსვლა ნაადრევია, იქ, ბევრი საქმე დაგრჩა გასაკეთებელი.

— არა, არ დამაბრუნოთ, მეზიზღება იქაურობა, — მუდარით შესთხოვა სეხნიამ.

იგრძნო, რომ სული დაუმძიმდა და ისევ საკუთარ ხორცში ჩაბუდდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ შავი თანამგზავრი გვერდით აღარ ედგა.

სეხნიამ მოყოლა დაამთავრა. მე და საბა რამდენიმე წამი, ასე უჩუმრად, მოჯადოებულებივით შევცქეროდით. მდგომარეობიდან თავად გამოგვიყვანა:

— აი, ჩემო კარგებო, მე ამ მწვერვალზე ვიყავი, — ხელი გაიშვირა თიხისგან გამოძერწილი მთისკენ, — იმის შემდეგ, ჩემი ჩაცმულობაც მხოლოდ შვიდი ფერისგან შედგება. სწორედ რომ მაშინ შევიცანი სიცოცხლის მიზეზი, ამქვეყნად მოსვლის არსი. სიცოცხლესთან შეხება ძირფესვიანად შემეცვალა, თექვსმეტი წლის ასაკში დაშვებული დიდი შეცდომის გამოსწორების სურვილი მაშინ დამებადა. შენს ძებნას, ლიზიკო, თორმეტი წელი მოვანდომე, — სეხნიამ საბას და თავის ჭიქებში ვისკი ჩამოასხა.

— კი მაგრამ, — ჩავახველე, ხმა ძლივს ამოვიღე, — ის ქალი ხომ სულ სხვა იყო, თქვენ ხომ სულ სხვა გიყვარდათ. მე უბრალოდ, მისი მსგავსება ვარ.

— ვიცი, ლიზიკო, — მხატვარმა სასმელი მოსვა, — ის უბედური ცოცხალი აღარ არის. შენი მონახვა პორტრეტის დახატვის სურვილმა განაპირობა. დანარჩენს შემდეგ შეიტყობ, როდესაც მე იმქვეყნად წავალ.

— არა, რას ბრძანებთ, — წამოვდექი სავარძლიდან. საბას ხელი მოვკიდე, — მოდი, სურათები დავათვალიეროთ.

— ახლავე, — ამომხედა და მხატვარს მიუბრუნდა, — ბატონო სეხნია.

— დიახ.

— ხვალ ჩემთან სახლში გეპატიჟებით. ლიზიკოსა და ჩემი მშობლების გაცნობას ვაპირებ და ძალიან მინდა, რომ მობრძანდეთ.

— სიამოვნებით, — სეხნიას კმაყოფილს ჩაეღიმა, — მისამართი ჩამაწერინე.

საბამ უკარნახა. მოხუცმა ფურცელზე ჩაიწერა:

— რომელ საათზე?

— ექვსისთვის.

— ძალიან კარგი, — გაუღიმა მხატვარმა.

მე და საბამ ტილოები დავათვალიერეთ. ისე ჩამოვუარეთ თითოეულს, რომ ერთმანეთს არც დავლაპარკებივართ. ყოველი ნახატის წინ ჩემს სხეულში სულის დღესასწაული იბადებოდა. მიზიდავდა და მითრევდა, მითრევდა და თავის შემადგენელ ნაწილად მაქცევდა.

— ლიზიკო, არ წავიდეთ? — ფიქრიდან საბამ გამომიყვანა.

საათს დავხედე, ექვსი სრულდებოდა:

— წავიდეთ, — მივუგე მე.

— ბატონო სეხნია, — საბა მხატვარს მიუახლოვდა, — ხვალ ჩემთან გელოდებით, შემდეგ ორი კვირით დაგემშვიდობებით.

— რატომ? — იკითხა მხატვარმა.

— უშბის დასალაშქრად მივდივარ.

— ძალიან საინტერესო და დიდებული საქმეა მთამსვლელობა, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — წამოდგა სარწეველა სავარძლიდან.

— ჩვენ წავალთ, — ვუთხარი სეხნიას.

— კარგით, — გაგვიღიმა მოხუცმა, — ლიზიკო, ხვალ ნუ მოხვალ. ვგრძნობ, რა განცდებშიც ხარ და საკუთარი თავი განაწყვე, არაფერზე ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება, — კიბეზე ჩამოგვყვა და კარამდე მიგვაცილა.

მე და საბა დავემშვიდობეთ და ეზოში გავედით, მანქანაში ჩავსხედით. ჩემს სახლთან ისე მივედით, რომ არც ერთს ხმა არ ამოგვიღია, მოხუცის მონაყოლის ზემოქმედების ქვეშ ვიმყოფებოდით. მანქანა ტროტუართან გააჩერა და სადარბაზოში შევედით. საბამ ხელი გადამხვია, მიმიზიდა და მაკოცა:

— მიყვარხარ, — ყურში მიჩურჩულა.

— მეც — ვუპასუხე. ჩემს კართან გავჩერდით, საბას პიჯაკი გავუსწორე და ზარის ღილაკს თითი მივაჭირე. კარი მამაჩემმა გააღო, გაგვიღიმა და ბინაში შეგვიპატიჟა, — მამა, ეს საბაა, საბა, ეს მამაჩემია, — მათ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

— არჩილი, — იღიმოდა მამაჩემი.

— საბა, — გაეცნო ჩემი სიყვარული.

ამ დროს, დედაჩემიც მოგვიახლოვდა, საბა გადაკოცნა და თავი წარუდგინა:

— ნინელი.

— ძალიან სასიამოვნოა, საბა.

ყველანი სასტუმრო ოთახში შევედით. ჩემებს სუფრა დელიკატესებითა და ტკბილეულით გაეწყოთ. მამამ მე და საბა ერთად დაგვსვა, თვითონ კი დედა მოისვა და ჩვენ პირდაპირ დასხდნენ. ვერ გადმოგცემთ საკუთარი სიხარულის შეგრძნებას; იქ ვიყავი და არც ვიყავი, ყველაფერი მესმოდა და ვერაფერს ვგებულობდი, სული კი მრავალჟამიერს მიმღეროდა, მიგალობდა და ამ გალობაში თავგზას მირევდა.

მამამ წითელი ღვინო ჩამოგვისხა, ჭიქა ასწია და სადღეგრძელოს თქმა დააპირა. თვალებში შევხედე. ჩვენი დღეგრძელობა ომახიანი, ჩვეული როხროხა ხმით დაიწყო. მასში ორი საპირისპირო განცდა — სევდა და სიხარული ერთდროულად ჩაბუდებულიყო.

„ჩემი საყვარელი მამიკო“, — გავიფიქრე და ახლა დედაჩემს გადავხედე.

მანაც გვადღეგრძელა, თავი ისე ეჭირა, რომ ვერაფერსაც შეატყობდით.

„ჩემი დედიკო“, — გონებაში გამიელვა და საბას შევაცქერდი. მან სამადლობელი მოიხადა და ჩვენი სიყვარული ადღეგრძელა. „ჩემი სიცოცხლე“, — თვალებით მივეფერე საბას. მან ჭიქა მომიჭახუნა და ღვინო მოსვა.

დაახლოებით სამი საათი სუფრასთან ვისხედით. ისე ვიყავი ფიქრჩაძირული, რა ხდებოდა იქ, ვერაფრის მოყოლას ვერ შევძლებ. ალბათ ათი იყო დაწყებული, საბა რომ გავაცილეთ. მეორე დღისთვის, ყველანი თავისთან დაგვპატიჟა.

გაგრძელება იქნება

ჰოლი ბერი და
დენზელ ვაშინგტონი

სენსაციათა ულვაშიანი ღამე

ოსკარი

როგორც ცნობილია, ლოს-ანჯელესში ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოს — „ოსკარით“ დაჯილდოების რიგით 74-ე ცერემონია გაიმართა. ის ახალგარემონტებულ კინოთეატრ „კოდაკში“ პირველად შედგა. წინასწარ გატარებულმა უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებმა სათანადო შედეგიც გამოიღო: ცერემონიის მსვლელობისას მცირე ინციდენტსაც კი არ ჰქონია ადგილი.

წლევანდელი დაჯილდოება რამდენიმე სენსაციით აღინიშნა. უპირველესად, ეს მუქკანიანი მსახიობების ტრიუმფზე ითქმის: საუკეთესო მსახიობ ქალად, ფილმში — „მონსტრების მეჯლისი“ შესრულებული მთავარი როლისთვის, აფრო-ამერიკელი ჰოლი ბერი დასახელდა, საუკეთესო მსახიობი მამაკაცის ჯილდო კი, დენზელ ვაშინგტონმა დაისაკუთრა. ასეთი რამ „ოსკარების“ ისტორიას არ ახსოვს: ორივე მთავარი პრიზი აფრო-ამერიკელებს არასოდეს მოუღიათ. გარდა ამისა, ჰოლი ბერი მთავარი „ოსკარის“ მფლობელი პირველი მუქკანიანი მსახიობი ქალია, დენზელ ვაშინგტონი კი, პირველია შავკანიან მსახიობებს შორის, ვინც ორჯერ შეძლო „ოსკარის“ მიღება (პირველი ჯილდო მან 1989 წელს — მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის მიიღო).

აქამდე საუკეთესო მსახიობის კატეგორიაში 1964 წელს „ოსკარის“ მიღება მხოლოდ შავკანიანმა სიდნი პუატიემ შეძლო, საერთოდ კი, „ოსკარის“ მფლობელი თურმე მხოლოდ შვიდი აფრო-ამერიკელი გამხდარა.

სენსაციად შეიძლება ჩითვალოს ისიც, რომ 13 ნომინაციაზე წარდგენილმა „ბეჭდების მბრძანებელმა“, საუკეთესო ფილმისთვის განკუთვნილი ჯილდო ვერ მიიღო და მხოლოდ ოთხ პრიზს დასჯერდა.

წლის საუკეთესო ფილმად, რეჟისორ რონ ჰოვარდის „ბრწყინვალე გონება“ აღიარეს. მასში მოთხრობილია შიზოფრენიით დაავადებული მათემატიკოსის, ჯონ ნეშის ცხოვრების ამბავი. სურათმა საუკეთესო რეჟისურისთვის განკუთვნილი პრიზიც დაისაკუთრა და ამავე ფილმში, ქალის მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის, ჯენიფერ კონელიც დაჯილდოეს. სამაგიეროდ, წელს ჯილდოს გარეშე დარჩა თავად ჯონ ნეშის როლის შემსრულებელი და გასული წლის „ოსკაროსანი“ რასელ ქროუ.

მოულოდნელობად იქცა აგრეთვე საუკეთესო უცხოურენოვანი ფილმის კატეგორიაში „ნეიტრალური მიწის“ გამარჯვება, რადგან ცერემონიამდე გამარჯვებას ყველა, ფრანგულ მელოდრამას — „ამელის“ უწინასწარმეტყველებდა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია წლეულს პირველად ნომინირებული — საუკეთესო ანიმაციური ფილმის — ლაურეატი „შრეკი“. ამ მწვანე კაციჭამიამ მყისვე მოხიბლა მსოფლიო და მიუხედავად იმისა, რომ რეჟისორებს — ენდრიუ ადამსონსა და ვიქტორია ჯენსონს ფილმის გადაღება რამდენიმეთვიანი მძიმე შრომა და 60 მილიონი დოლარი დაუჯდათ, შედეგი საოცარი აღმოჩნდა: საკმაოდ მოკლე პერიოდში, „კომპიუტერული ანიმაციის სასწაულმა“ 430 მილიონი დოლარისა და „ოსკარის“ მოპოვებაც კი შეძლო.

ამერიკის კინოაკადემიის საპატიო ჯილდო შავკანიან მსახიობს სიდნი პუატიეს გადასცეს. საერთოდ, ყველა გამარჯვებულის სამადლობელო სიტყვა მკაცრადაა რეგლამენტირებული და წლეულს, მხოლოდ 45 წამი შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. გამონაკლისი მხოლოდ პუატიესთვის იქნა დაშვებული: მან სცენიდან საკმაოდ გრძელი და გულისამაჩუყებელი სიტყვა წარმოთქვა.

კინოში გაწეული ღვაწლისთვის „ოსკარი“ უბერებელ რობერტ რედფორდს გადაეცა. „მე არასოდეს ვიყურები უკან, მაგრამ ახლა, ასე ვთქვათ, ჩემ უკან მოთავსებულ სარკეში ცქერისას იმას ვხედავ, რასაც ადრე ვერ ვამჩნევდი, — ეს ისტორიაა...“ — განაცხადა გულაჩუყებულმა მსახიობმა. ■

2002 წელს დაჯილდოებული ფილმები და მათი შემქმნელები:

რონ ჰოვარდი

საუკეთესო ფილმი — „ბრწყინვალე გონება“, რეჟისორი რონ ჰოვარდი;

საუკეთესო მსახიობი ქალი — ჰოლი ბერი, „მონსტრების მეჯლისი“;

საუკეთესო მსახიობი მამაკაცი — დენზელ ვაშინგტონი, „მოთელვის დღე“;

მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებელი მსახიობი ქალი — ჯენიფერ კონელი, „ბრწყინვალე გონება“;

მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებელი მსახიობი მამაკაცი — ჯიმ ბროუდბენტი, „აირისი“;

საუკეთესო რეჟისორი — რონ ჰოვარდი, „ბრწყინვალე გონება“;

საუკეთესო უცხოურენოვანი ფილმი — „ნეიტრალური მიწა“ (ბოსნია და ჰერცეგოვინა);

საუკეთესო ანიმაციური ფილმი — „შრეკი“;

საუკეთესო სცენარი — „ვოსფორდ პარკი“, ჯულიან ფელოუზი;

საუკეთესო ადაპტირებული სცენარი — „ბრწყინვალე გონება“, აკივა გოლდსმანი;

საუკეთესო ოპერატორი — ენდრიუ ლესნი, „ბეჭდების მბრძანებელი: ბეჭდის საძმო“;

საუკეთესო სპეცეფექტები — „ბეჭდების მბრძანებელი: ბეჭდის საძმო“;

საუკეთესო სიმღერა — If I Didn't Have You ფილმიდან „მონსტრების კორპორაცია“, მუსიკა და სიტყვები — რენდი ნიუმანი;

საუკეთესო კოსტიუმები — „მულენ რუჟი“;

საუკეთესო გრიმი — „ბეჭდების მბრძანებელი: ბეჭდის საძმო“;

საუკეთესო მონტაჟი — პიეტრო სკალია, „შავი ქორი“;

საუკეთესო ხმოვანი რიგი — „შავი არწივი“;

საუკეთესო ხმოვანი ეფექტები — „პირლ-ჰარბორი“;

საუკეთესო მხატვარი — ქეთრინ მარტინი, „მულენ რუჟი“.

„შრეკი“

ჰოლი ბერი – „მის ამერიკა“, მოზარდებს შორის ჰოლივუდის მნვერვალისკენ მიმინევს

ჰოლი ბერი მუდამ აღწევს დასახულ მიზანს. ამის დასადასტურებლად ბერის მიერ განვლილი ცხოვრების გზის გადახედვაც საკმარისია, რომ აღარაფერი ვთქვათ, რამდენიმე დღის წინ მიღწეულ გრანდიოზულ წარმატებაზე: ჰოლიმ ხომ საკმაოდ პოპულარულ და ცნობილ თეთრკანიან მსახიობს – ნიკოლ კიდმანს ცხვირწინ აცალა სანუკვარი „ოსკარი“. თუმცა, აფრო-ამერიკელი ლამაზმანი თავადაც არ ელოდა ამას და წარმატებით გაოგნებული, პირდაპირ სცენაზე აქვითინდა.

იმავე როლისთვის ბერიმ წლეულს ბერლინის კინოფესტივალის „ვერცხლის დათვი“ მიიღო და მაშინვე აღიარეს უნიჭიერეს და ულამაზეს მსახიობად.

ფილმის არაორდინარული გმირის საუცხოოდ განსახიერება ჰოლისგან მართლაც დიდ ძალასა და ნებისყოფას მოითხოვდა: „მონსტრების მეჯლისში“ ბერი ახალგაზრდა ქალის როლს ასრულებს, რომლის ქმარსაც სიკვდილი აქვს მისჯილი, მას კი, გადაუხდელი ვალების გამო, სახლს ართმევენ. ამ მოვლენების წყალობით, იგი ისეთ ადამიანთან გააჩაღებს რომანს, რომელთანაც უბედურების გარდა, არაფერი აკავშირებს, – კაცი მისი ქმრის ჯალათია. „პირადად თქვენ რა გაკავშირებთ ფილმის გმირთან?“ – ეკითხებიან ჰოლის ჟურნალისტები. „ამაზე არ მიფიქრია. ჩემი გმირი, ლეტიცია არ მგავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მის პრობლემებს ვერ ვწვდები, – პასუხობს მსახიობი. – მეც, მარტოხელა დედამ გამზარდა, მამამ მიგვატოვა; ეს კარგიც იყო, რადგან მე და დედას მუდამ გვცემდა. არ ვადანაშაულებ – მას უბრალოდ, არ შეეძლო შვილებისა და ოჯახის სიყვარული, რადგან ბავშვობაში, თავადაც არავის უყვარდა... მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებაში რაღაცის მიღწევა შევძელი, მე ღარიბ ოჯახში ვარ გაზრდილი და ყველაფერი გამოვცადე, რაც კი ფერადკანიანმა ქალმა შეიძლება ამერიკაში გამოსცადოს.“

ჰოლიმ წარმატების მიღწევა რამდენიმე წლის წინ შეძლო, როცა სამმა შავკანიანმა ქალმა – ჰიუსტონმა, ჯექსონმა და ბერიმ ერთდროულად და დამოუკიდებლად სცადეს 50-იანი წლების პოპულარული მომღერლისა და მსახიობის – დოროთი დენდრიჯის ცხოვრების (ის პირველი აფრო-ამერიკელი მსახიობი ქალი იყო, რომელიც მთავარი როლისთვის „ოსკარზე“ წარადგინეს) ამსახველი ფილმის შექმნა, მაგრამ წარმატების მიღწევა მხოლოდ ჰოლი ბერიმ შეძლო: ტელეფილმში – „პირველად ეკრანზე – დოროთი დენდრიჯი“ მან მთავარი როლიც შეასრულა და პროდიუსერობაც იკისრა. ბერიმ თავად შესთავაზა ფილმი დიდ სტუდიებს და უარის მიღების შემდეგ, პროექტი ტელევიზიას წარუდგინა და თავისიც გაიტანა.

საკუთარი პიროვნული ღირსებების დაცვა ჰოლის ბავშვობიდანვე უხდებოდა. კლივლენდის სკოლაში სწავლის დროს, მას მუდამ ექმნებოდა პრობლემები თანატოლებთან ურთიერთობისას: ვინაიდან დედამისი თეთრკანიანი იყო, მამა კი – შავკანიანი, იგი თეთრ ბავშვებში ზანგად ითვლებოდა, ზანგები კი თითქმის თეთრკანიანად მიიჩნევდნენ.

გოგონა ოთხი წლის იყო, როცა მისი მშობლები გაიყარნენ და მედდად მომუშავე დედამისი საცხოვრებლად კლივლენდის გარეუბანში გადავიდა, სადაც მოსახლეობის უმეტესობას თეთრკანიანები შეადგენდნენ. ოჯახს არავის დახმარების იმედი არ ჰქონდა, რადგან ჰოლის დედას ყველა ნათესავი მაშინ განუდგა, როცა ის აფრო-ამერიკელს გაჰყვა ცოლად. პატარა ჰოლიმ ეს ვერ დაივიწყა: „ვერ ვაიძულებ თავს, რომ ჩემს ნათესავებს კარგად მოვექცე. მამის მხრიდანაც გამომიჩნდა ისეთი ხალხი, ვისაც საერთოდ არ ვიცნობდი. დედაჩემი მათაც არ უყვარდათ. ახლა კი ეს ადამიანები თავს მაბეზრებენ და ოჯახებით მეგობრობას მთავაზობენ...“

მიუხედავად იმისა, რომ ჰოლი ბავშვობიდანვე ძალიან მორცხვი იყო, ის მაინც მუდამ მსახიობობაზე ოცნებობდა. გოგონამ, როგორც იქნა, შეძლო თანაკლასელების მტრული დამოკიდებულების დაძლევა და კლასის პრეზიდენტი, გაზეთის რედაქტორი, გულშემატკივართა კლუბის წევრი და ბოლოს, გამოსაშვები მეჯლისის დედოფალიც გახდა. ჰოლი 17 წლის იყო, როცა მეგობარმა სილამაზის კონკურსში მონაწილეობის მიღება ურჩია. თავდაპირველად, ბერი მოზარდებს შორის „მის ოჰაიოს“ ტიტულს დაეუფლა, შემდეგ, იმავე კატეგორიაში, „მის ამერიკაც“ გახდა. გოგონამ მსოფლიო ჩემპიონატშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია და გეზის შეცვლა გადაწყვიტა: კლივლენდის კოლეჯის რადიო და ტელეჟურნალისტიკის ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა.

მაგრამ ადგილობრივ რადიოსტუდიაში პრაქტიკის გავლის დროს, ძალიან მალე, გოგონამ გადაიფიქრა ჟურნალისტობა, დიპლომის აღებას არ დაელოდა, სწავლას თავი მიანება და ჩიკაგოში, მსახიობის ოსტატობის შესასწავლად გაემგზავრა.

1988 წელს, ჰოლი სინჯებზე აარონ სპილინგთან მოხვდა. რეჟისორს 70-იანი წლების პოპულარული სერიალის – „ჩარლის ანგელოზების“ აღდგენა სურდა. პროექტი ჩაიშალა, მაგრამ ბერიმ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა სპილინგზე, რომ „სერიალების მეფემ“ იგი ტელევიზიაში, თავის მეგობრებთან გაგზავნა.

ჰოლი ბერის დებიუტი სწორედ ტელევიზიაში, სერიალში – „ვინ არის აქ ბოსი?“ – შედგა, შემდეგ კი, სპაიკ ლიმ შესთავაზა ნარკომანის ეპიზოდური როლი თავის გახმაურებულ ფილმში – „ციებ-

კადრები ფილმებიდან
“X ადამიანები“ (ზემოთ)
და „პაროლი ხმალთევზა“ (ქვემოთ)

ცხელება ჯუნგლებში“. როლისთვის მზადების პერიოდში, ჰოლი დაუნანებლად შეელია „სილამაზის დედოფლის“ იმიჯს. მაწანწალა-ნარკომანის დამაჯერებლად განსახიერების მიზნით, ის მთელ დღეებს ნარკომანებისთვის განკუთვნილ კლინიკაში ატარებდა, მათ ქცევას აკვირდებოდა და ცხოვრებაზე ესაუბრებოდა. როლისთვის მზადება იმით დასრულდა, რომ გადაღებების დაწყებამდე ათი დღით ადრე, ბერიმ პირის დაბანაც კი შეწყვიტა...

ერთი წლის შემდეგ, ბერიმ ფილმში — „უკანასკნელი ბოისკაუტი“ — სტრიპტიზის მოცეკვავის როლი შეასრულა. როლისთვის მზადებამ კვლავ მძიმედ ჩაიარა: რამდენიმე კვირის მანძილზე, ჰოლი ღამის კლუბში სტრიპტიზს ცეკვავდა. ამ ფილმის შემდეგ, მსახიობს პირველი სერიოზული როლი ერგო ედი მერფის რომანტიკულ კომედიაში — „ბუმერანგი“, ხოლო 1994 წელს კი — სუპერჰიტში — „ფლინსთოუნების ოჯახი“ მიიღო მონაწილეობა.

ჰოლი ბერი ჰოლივუდში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ მულატ მსახიობ ქალად არის მიჩნეული. მისი პოპულარობა თანდათან მატულობდა და ჰოლის სულ უფრო სერიოზულ როლებს ანდობდნენ. მზარდი პოპულარობის მიუხედავად, ჰოლი აქამდე არასოდეს გაშიშვლებულა ეკრანზე. ეს მხოლოდ ფილმში — „პაროლი ხმალთევზა“ — მოხდა, სადაც მას პარტნიორობა თავად ჯონ ტრავოლტამ და ჰიუ ჯეკმანმა გაუწიეს, მაგრამ ჰოლიმ საოცარი პრაქტიკულობა გამოიჩინა და ერთი პიკანტური სცენის საფასურად, თავისი ორმილიონიანი ჰონორარისთვის კიდევ ნახევარი მილიონი დაამატებინა.

ჟურნალისტები ხშირად მიაწერდნენ მას რომანებს სპაიკ ლისთან, უესლი სნაიპსთან და ედი მერფისთან, მაგრამ მსახიობი ამას ჯიუტად უარყოფდა. ერთი სერიოზული რომანი ჰოლის მართლაც ჰქონდა, მაგრამ ურთიერთობა ისეთი შედეგით დასრულდა (კაცი, ჰოლის ისე სცემდა, რომ ერთხელ, ყურის აპკიც კი გაუსკდა), რომ ქალი სატრფოს სახელსაც კი აღარ ახსენებს.

1993 წელს ბერი, სპორტსმენ დევიდ ჯასტისს გაჰყვა ცოლად, მაგრამ ჰოლისა და დევიდის ქორწინებამ ხშირი განშორების გამოცდას ვერ გაუძლო და სამ წელიწადში ისინი ერთმანეთს დაშორდნენ.

დევიდთან ურთიერთობამ ჰოლის ბევრი რამ ასწავლა: განქორწინების შემდეგ სამ წელზე მეტი გავიდა და ბერიმ მხოლოდ ახლახან შეძლო სულიერი ტრავმის მოშუშება.

აღსანიშნავია, რომ ვარსკვლავი, აქტიური სამსახიობო საქმიანობის მიუხედავად, დიდ დროს უთმობს დიაბეტით დაავადებულ მოზარდებს (თავად ბერიც დიაბეტითაა დაავადებული; 10 წლის წინ, ის პირდაპირ სატელევიზიო სტუდიის სცენაზე ჩავარდა კომაში და კინაღამ დაიღუპა).

ჟურნალისტები ხშირად ახსენებენ ჰოლის იმ პერიოდს, როცა მან პირველი წარმატების მიღწევა შეძლო და უიტნი ჰიუსტონი და ჯანეტ ჯექსონი დაჯაბნა. „არ ვიცი, როდის დააინტერესა ისინი ამ თემამ, — ამბობს მსახიობი. — თავად მე დოროთის ამბავმა იმთავითვე „დამაავადა“, როგორც კი მისი ცხოვრების შესახებ დონალდ ბოგლის მიერ დაწერილი წიგნი წავიკითხე. თავიდან იმედი მქონდა, რომ ჩვენ სამივე ერთობლივი ძალებით ვიმოქმედებდით და ერთად უკვდავყოფდით დოროთის სახელსა და ტალანტს, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ეს ბავშვური ფანტაზია იყო...“

„ოსკარის“ მიღებამდე, ჰოლი ბერი ისეთ სცენარზე ოცნებობდა, როგორსაც მეგ რაიანს, კამერონ დიასს, გვინეტ პელტროუსა და სანდრა ბალოკს სთავაზობენ. ახლა კი, ჰოლი სანუკვარი ჯილდოს მფლობელია და ჰოლივუდის უმაღლესი მწვერვალისკენ მიიწევს!..

BMW – ელეგანტურობა და დინამიკა

განვაგრძობთ იმ მოდელების წარმოდგენას, რომელიც ახლახან დამთავრებულ ჟენევის ავტოსალონზე გამოიტანეს მსოფლიოს წამყვანმა ავტომწარმოებლებმა. ერთ-ერთი გამორჩეული კონცეპტ-კარი – კაბრიოლეტ CS1 – ბავარიულმა კონცერნმა უჩვენა. როგორც სალონზე გამოცხადდა, ის მალე მისცემს დასაბამს კომპაქტური პირველი სერიის მანქანების წარმოებას. პატარა „ბე-ემ-ვე“-ს მასობრივი გამოშვების დაწყებას, ლაიფციგში, კონცერნის ამჟამად მშენებარე ქარხანაში, ორიოდე წლის შემდეგ აპირებენ.

CS1-ის დიზაინი ექსპრესიულობითა და აგრესიულობით გამოირჩევა და ავტომობილის სპორტულ ხასიათს უსვამს ხაზს. სალონში გამოყენებულია ალუმინი და ნატურალური ტყავი, ხელსაწყოების რაოდენობა კი, მინიმუმამდეა დაყვანილი: ოპერაციების დიდი ნაწილი (მაგალითად, კონდიციონერისა და საბორტო კომპიუტერის მართვა), ელექტრონული სისტემის ID-RIVE-ის მეშვეობით ხორციელდება, რომელსაც ჯერჯერობით მე-7 სერიის წარმომადგენლობით ლიმუზინებზე იყენებენ. ჯოისტიკის მსგავს ბერკეტზე ერთი დაჭერით, წინა პანელიდან გამოდის მონიტორი, რომელიც მძღოლს მთელ საჭირო ინფორმაციას აწვდის.

CS1 აღჭურვილი იქნება ფართოდ ცნობილი 1,8 ლ-იანი, 4-ცილინდრიანი ძრავით, რომელიც 115 ცხ.ძ-ს ავითარებს. მანქანას კლასიკური უკანა ამძრავი და კომბინირებული გადაცემათა კოლოფი აქვს: მექანიკურ რეჟიმში სიჩქარის გადართვა ტრადიციული ბერკეტით ან საჭეზე მოთავსებული კლავიშებით შეიძლება, ავტომატურში კი, ყველაფერს ელექტრონიკა უზრუნველყოფს.

ეს კონცეპტ-კარი ძალზედ მნიშვნელოვანია ბავარიული კონცერნისთვის, როგორც მომავალი კომპაქტური პირველი სერიის საწყისი მოდელი: მის მწარმოებელთა გეგმით, ის „მერსედესის“ A კლასის მთავარი კონკურენტი უნდა გახდეს. ჯერჯერობით „ბე-ემ-ვე“-ს, მისდამი მყიდველთა ყურადღების თვალსაზრისით არაფერი აქვს საწუწუნო: 2001 წელს კონცერნის შემოსავალი 1 მლრდ ევროთი გაიზარდა. 2002 წელს კი, კონცერნის ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა, 1 მლნ ავტომობილი გაყიდოს. ■

BMW-ს სატიუნინგო „შვიდიანი“

კონცერნის მეორე ჟენევურ პრემიერას, ცნობილი გერმანული ფირმის – AC Schnitzer-ის მიერ შესრულებული მე-7 სერიის ლიმუზინი წარმოადგენს. ეს ფირმა კარგა ხანია, ბავარიული კონცერნის მანქანების ტიუნინგს მისდევს.

კლიენტს ასარჩევად ლიმუზინის ორ ვარიანტს – სპორტულსა და წარმომადგენლობითს შესთავაზებენ. ეს უკანასკნელი, რომელსაც Chromline უწოდეს, სავსებით ამართლებს ამ სახელს: მასში უხვადაა ქრომირებული დეტალები. ფირმის კონსტრუქტორებმა საფუძვლიანად იმუშავეს საკიდარზეც – წინა საკიდარი 35 მმ-ით დაიწია, უკანა კი – 25-ით. ავტომობილის აეროდინამიკა უკანა სპოილერების წყალობით არის გაუმჯობესებული. თუმცა, ინტერიერით არც „ბე-ემ-ვე“-ს სერიული ლიმუზინებია ღარიბი, სატიუნინგო ფირმის სპეციალისტებმა აქაც შეიტანეს ცვლილებები: მაგალითად, პედლები ალუმინისგან არის დამზადებული.

ჟენევაში წარმოდგენილი ლიმუზინები, მხოლოდ ატელიეს პროგრამის მცირე ნაწილს წარმოადგენს. AC Schnitzer-ის მიერ მე-7 სერიის „ბე-ემ-ვე“-სთან დაკავშირებით შემუშავებული წინადადებების სრული ნუსხა წლევანდელ ზაფხულში გამოქვეყნდება, სწორედ ამ დროისთვის არის დაგეგმილი კლიენტებისგან შეკვეთების მიღების დაწყება. ■

მე-7 სერიის სატიუნინგო BMW

FIAT-ის ტყუპი

იტალიურმა კონცერნმა ჟენევაში ვენის ახალი მოდელი წარმოადგინა, უფრო სწორად – ორი მოდელი: Fiat Ulysse da Lancia Phedra. ეს იმ სამოდელო რიგის გაგრძელებაა, რომელიც 1994 წელს გაიხსნა. ძველისაგან განსხვავებით, ახალ პროექტში კიდევ ერთი ფირმა – ფრანგული PSA („პეჟო“ და „სიტროენი“) მონაწილეობს. ერთობლივი პროექტისთვის ფრანგებმა დიზელის ძრავა შექმნეს, უახლოეს მომავალში კი, იტალიური ნამუშევრის მსგავსი თავისი ვენის წარმოებასაც აპირებენ.

სრული ტექნიკური იდენტურობის მიუხედავად, „ფედრა“ და „უილისი“, ისინი რამდენადმე განსხვავდება ერთიმეორისაგან: „ფიატის“ ცხვირი მოდელ „სტილოსას“ წააგავს, „ლანჩიას“ რადიატორის

ცხაური კი, წარმომადგენლობითი ლიმუზინის – „თესოსის“ ხაზებს მოგაგონებთ.

ორივე მანქანაში ხელსაწყოები წინა პანელზეა განთავსებული, თუმცა „ულისს“ სამი ძირითადი ხელსაწყო აქვს, „ფედრას“ კი – ორი, რომელიც ნავიგაციურ სისტემასა და დისპლეის აერთიანებს. ორივე ავტომობილი უსაფრთხოების 6 საჰაერო ბალიშით, სტაბილიზაციისა და მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემით არის აღჭურვილი. „ფიატი“, რომელიც ყოველთვის მასობრივ მყიდველზე არის ორიენტირებული, უპირატესობას ფუნქციონალობას ანიჭებს: სალონში 5-დან 8 მგზავრამდე მოთავსდება, მასში ნახავთ 11 ჭიქისა და 4 ბოთლის სამაგრსა და მინი-მაცივარსაც კი.

ორივე მანქანა შეიძლება აღჭურვილი იყოს ოთხნაირი ძრავით: ორი – ბენზინისაა (4-ცილინდრიანი, 2 ლ მოცულობისა და 136 ცხ.ძ-ის სიმძლავრის და 6-ცილინდრიანი, 3 ლ მოცულობისა და 204 ცხ.ძ-ის) და ორი – დიზელის, რომლის სიმძლავრე, 109 და 128 ცხ.ძ-ს აღწევს. ვენების გაყიდვა წლევანდელ ზაფხულში დაიწყება; მათი ფასი ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის. ■

Sorento ჯონჯუჰენტებს საბჰძოლველად ინვევს

კორეული კომპანია Kia Motors-ი, ავტობაზრის მისთვის უჩვეულო – პრესტიჟული ყველგანმავლების სეგმენტში დებიუტს ამზადებს. Kia Sorento ლუქსის კლასის სრულამძრავიანი ავტომობილია. საინტერესოა, რომ მანქანის საკიდარი საბოლოო კონდიციამდე გერმანული ფირმის – Porsche-ს ინჟინრებმა მიიყვანეს; ბუნებრივია, მათ ევროპელთა კომფორტისადმი გაზრდილი მოთხოვნები გაითვალისწინეს.

„სორენტოს“ კომპლექტაციაში, როგორც ავტომატური, ასევე მექანიკური გადაცემათა კოლოფით აღჭურვილი, სამი ძრავა შედის. მათ შორის უმძლავრესი, 6-ცილინდრიანი ბენზინის აგრეგატია, რომლის სამუშაო მოცულობა 3,5 ლ-ს, სიმძლავრე კი – 195 ცხ.ძ-ს შეადგენს. ივლისისთვის მზად იქნება 140 ცხ.ძ-იანი, 2,5 ლ-იანი დიზელის ძრავა, რომელიც გერმანული ფირმა Bosch-ის მიერ დამზადებული, საწვავის შეშხეფების სისტემით იქნება აღჭურვილი. ოქტომბრიდან მყიდველებს შესთავაზებენ აგრეთვე 2,4 ლ-იან ბენზინის ძრავასაც.

კორეელი ავტომწარმოებლები დარწმუნებულები არიან „სორენტოს“ წარმატებაში. მათი გეგმის თანახმად, წლეულს, 50 ათასამდე მანქანა უნდა გაიყიდოს დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის საავტომობილო ბაზრებზე. შეძლებენ თუ არა ამ მიზნის მიღწევას – ეს მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული „სორენტოს“ მთავარ კონკურენტებზე – M კლასის „მერსედესზე“, X5 „ბე-ემ-ვე“-სა და BRX300 „ლექსუსზე“. ■

განახლებული Nissan-ი

ცოტა ხანში, ევროპაში იაპონური ფირმის ყველგანმავალთა – Terrano-სა და Pick-up-ის განახლებული მოდელების რეალიზაცია დაიწყება. თავისი წინამორბედის – სხვათა შორის, „ნისანის“ ყველგანმავლებს შორის ლიდერისგან განსხვავებით, ახალი „ტერანგო“ ცხვირის შეცვლილი დიზაინით გამოირჩევა. ეს მხატვრული ძიებებით კი არა, ტექნიკური საჭიროებით არის გამოწვეული: კონსტრუქტორებს კაპოტქვეშ დამატებითი სივრცე დასჭირდათ, რათა ახალი, 3-ლიტრიანი ტურბოდიზელი მოეთავსებინათ. მყიდველებს მანქანის ორ ვარიანტს შესთავაზებენ – სამკარიანს (მოდელი Fun-ი) და ხუთკარიანს (მოდელი Outdoor-ი). ევროპაში „ტერანო“ მინიმუმ 24.490 („ფანის“ საბაზო მოდელი) და 36.790 („აუთდორი“ ტყავის სალონითა და ზოგიერთი ოფციის დამატებით) ევრო ეღირება. „პიკაპის“ მოდელი ფუნქციონალური ხასიათისაა – ის მუშა „ცხენის“ თავისებურ ვარიანტს წარმოადგენს.

ავტომობილი სრულამძრავიანიცაა, მაგრამ მის გამარტივებულ ვარიანტსაც გამოუშვებენ. 2-ადგილიანი „პიკაპი“ 21.890, ხოლო 5-ადგილიანი – 27.890 ევრო ეღირება. ეს უკანასკნელი კონდიციონერითა და სხვადასხვაგვარი ოფციით იქნება აღჭურვილი. ■

აბრამ ბაზელი

მოდელიერი აბრამ ბაზელი დამწყები მოდელების: მარგო ჯალალოვასა და სოფიკო ჯრიხელთან ერთად, წარმოგვიდგენს საქმიან შეხვედრებსა და ყოველდღიურად ჩასაცმელ ჯოსტიუმებს. მოდელები, რომელსაც წარმოგიდგენთ საგაზაფხულო-საზაფხულო სეზონისთვისაა შექმნილი.

მოდაშია ის, რაც გიხდება

ფოტო №1

ფოტო №2

ფოტო №4

ფოტო №3

– ამ სეზონზე, როგორც ყოველთვის, მოდაშია ის, რაც გიხდება. ტანისამოსში, რომელსაც ირგებ და გიხდება, თავდაჯერებულად გრძნობ თავს. ადამიანმა უნდა იცოდეს ტანსაცმლის ტარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, უხერხულად იგრძნობს თავს, რასაც სხვებიც შეამჩნევენ.

ამ კოსტიუმს (ფოტო №1) королевский ჰქვია. იგი შექმნილია შალისა და ლავსანის ქსოვილისაგან. მასში აგრეთვე შერეულია სინთეტიკა და ამიტომ, არ იჭმუჭნება, რაც უფრო პრაქტიკულს ხდის სამოსს. სადა ქვედაბოლო ყავისფერია, ხოლო პიჯაკი – ხორცისფერი; მას „სამართულიანი“ საყელო აქვს, რომლის პირველი და მესამე ფენაც აგრეთვე ყავისფერია. პირველ ფენას ე.წ. королевский ჰქვია, მას მოსდევს ლაცკანი და შემდეგ, მესამე ფენა, რომელიც გაფორმებულია ღილებით.

ეს ნახევრად სექსუალური მოდელია (ფოტო №2), რომელიც სუფთა კოტონის ქსოვილით არის დამზადებული. შავი კოლგოტი და ბოდი ხაზს უსვამს აღნიშნული კოსტიუმის სილამაზესა და „სიძლიერეს“. შავ ფონზე უფრო ეფექტურად ჩანს ე.წ. „ნათხარები“. მოდელის მიმზიდველობას კიდევ უფრო აძლიერებს შეხსნილი ქვედაბოლო.

ეს ორივე მოდელი მოითხოვს მაღალქუსლიან ფეხსაცმელს და შავ კოლგოტს. როდესაც ფეხის 80 პროცენტი ჩანს, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი აუცილებელია, რათა მან დაჭიმოს კუნთი და ფეხს მეტი სილამაზე მიანიჭოს.

სამეული, რომელიც სოფიკო კრიხელს აცვია (ფოტო №3), ასევე შალისა და ლავსანის ქსოვილისაგანაა დამზადებული. ყავისფერ პიჯაკს მანჟეტებზე ხორცისფერი კანტი აქვს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ კოსტიუმი არ არის მკაცრი. იგი განკუთვნილია ყოველდღიური ხმარებისათვის. თუ პიჯაკს გაიხდით, დარჩებით ჟილეტში, რომელსაც არა აქვს ზურგი და თასმებით იკვრება (ფოტო №4). ამ მოდელის ჩაცმა შესაძლებელია კოლგოტის გარეშეც და დაბალქუსლიან ფეხსაცმელზეც.

ქალი ყოველთვის მიმზიდველად უნდა გამოიყურებოდეს. ზომიერად გამომწვევი უნდა იყოს და არა – ვულგარული. ქალი არასდროს უნდა დაემსგავსოს ბოლომდე გადაშლილ და წაკითხულ წიგნს – მან ყოველთვის უნდა დაიტოვოს რაღაც იდუმალი, რაც მამაკაცს დაინტერესებს და მისი ხელახლა ნახვის სურვილს გაუჩენს.

ნათია თენიეშვილი

საგაზაფხულო მოდა თამამ ფერებს გვთავაზობს

წინა წლებთან შედარებით, 2002 წლის საგაზაფხულო მოდა ფერებისა და სტილის მეტი თავისუფლებით გამოირჩევა, მაგრამ საქმიანი ქალის ყოველდღიური სამოსი მაინც კლასიკური და ელეგანტური სტილის მატარებელი უნდა იყოს.

Chanel-ის სახლის უცვლელი დიზაინერი, კარლ ლაგერფელდი საქმიან ქალებს გაზაფხულისთვის მკაცრი სტილის მოდელებს სთავაზობს (ფოტო №1). მის მიერ წარმოდგენილი კრემისფერი ქვედაბოლო, ჟაკეტი და თხელი, გრძელი პალტო, კლასიკურ მოდელს წარმოადგენს. თითქოს ერთფეროვანი მოდელი დიზაინერმა მოდური თეთრი ქამრითა და იმავე ფერის მაღალყელიანი ჩექმით გადაახალისა.

Valentino-ს მიერ წარმოდგენილი მოდელი ტრადიციულ ფერებშია გადაწყვეტილი (ფოტო №2). დიზაინერი ჩვეულებას არ ღალატობს და მისი სამოსი კვლავ გამოირჩევა დახვეწილობითა და ელეგანტურობით. შავი, დახურული კაბა ბოლოში განიერი ბეწვითაა გაწყობილი და საერთოდ, წელს ვალენტინო უპირატესობას შავ, ოქროსფერ და წითელ ფერებს ანიჭებს. ტრადიციულ მოდელებს დიზაინერი ოქროსფერი ჩექმით, ჯეკი კენედი-ონასისის სტილის სათვალითა და ხელთათმანებით აფორმებს. Valentino-ს კოლექცია მთლიანობაში კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ დიზაინერი მოდელებს ნამდვილი ქალბატონებისთვის ქმნის.

ამერიკელი დიზაინერი მარკ ჯეიკობსი თავის კოლექციას Louis Vuitton-ის მოდელების სახლისთვის ქმნის. მის მიერ წარმოდგენილ სამოსში პირველ პლანზე კლასიკური და მკაცრი სტილია წამოწეული. ეს მოდელი ნაკლებად პრეტენზიულია და ქვედაბოლოს დაგრძელების შემთხვევაში ნებისმიერი აღნაგობის ქალს მოუხდება.

საქმიანი ქალისთვის განკუთვნილი მისი ერთ-ერთი მოდელი ქვედაბოლოთი, ჟილეტითა და პიჯაკითაა წარმოდგენილი (ფოტო №3). ჯეიკობსის სტილი აქსესუარებზეც ვრცელდება, სამოსის შესაფერისი ჩანთა კლასიკური მოდელისაა და ცნობილი LV მონოგრამა ამშვენებს.

კლასიკური სტილის მოყვარულ თინეიჯერებს წლევანდელი საგაზაფხულო მოდა თამამ ფერებს და არაორდინარულ აქსესუარებს სთავაზობს. ეს მოდელი (ფოტო №4) ქვეწარმავლის ფაქტურის შარვლითა და პრიალა ლაბადითაა წარმოდგენილი. ამ სამოსის სილამაზეს წითელი სვიტერი, წითელი „შლემი“ და ამავე ფერის ხელთათმანები უსვამს ხაზს.

მოამზადა
მანანა ღოღობერიძემ

ფოტო №4

ფოტო №1

ფოტო №2

ფოტო №3

ასთენიური სინდრომი

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

გაზაფხულის მოახლოებისას, სეზონური ასთენია (სისუსტე) და მისი თანმდევი დეპრესია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 40%-ს აწუხებს. ამასთან, ეს პრობლემა ქალებს 4-ჯერ უფრო მეტად აწუხებთ, ვიდრე მამაკაცებს. ასთენია უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა თანამედროვე საზოგადოებისთვის. სისუსტე, გაღიზიანებადობა, თავის ტკივილი, უმადობა, მეხსიერებისა და ყურადღების დარღვევა, ძილის პროცესის მოშლა — ასთენიური სინდრომოკომპლექსის ყველაზე გავრცელებული ნიშნებია.

ასთენიის განვითარების მიზეზები, უმრავლეს შემთხვევაში, სოციალურია. სინდრომი წარმოიქმნება, როგორც საპასუხო რეაქცია ორგანიზმის ფიზიკურ, გონებრივ და ემოციურ გადაძაბვაზე, ცხოვრების გაუსაძლის რიტმზე. იგი ასევე შეიძლება განვითარდეს ქირურგიული ოპერაციის, გადატანილი დაავადების, ქალებში — მშობიარობის შემდგომ პერიოდში. ასთენიურ სინდრომს თან ახლავს ნერვული სისტემის გადაძაბვა და ადამიანის ბიოლოგიური რიტმის მსხვრევა. ასთენია ნერვულ სისტემას ისე არყევს, როგორც ქარი ნავს — შედეგად კი, მცირდება ორგანიზმის მზადყოფნა გარემოს მავნე ფაქტორთა გავლენაზე საპასუხო ადეკვატური რეაქციის გამოსახატავად. სწორედ ამიტომაა საჭირო ასთენიური მდგომარეობის დროს ზრუნვა იმაზე, რომ რაც შეიძლება სწრაფად დავაღწიოთ სინდრომს თავი.

მკურნალი სინათლე

სპეციალისტები გაზაფხულის უღონობის მიზეზად ზამთარში, სიცივის გახანგრძლივებულ პერიოდს მიიჩნევენ, რომლის დროსაც იზრდება ორგანიზმის ენერგეტიკული დანაკარგი, აგრეთვე არ არის საკმარისი მზის სხივები, რომლისგანაც ნერვული სისტემა ყოველდღიურად იმუხტება ენერგიით და მხნევდება. ამიტომ ასთენიასთან საბრძოლველად, დღეს ერთ-ერთ აღიარებულ მეთოდს წარმოადგენს ფოტოთერაპია — კაშკაშა სინათლით მკურნალობა. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სახლის პირობებში ფოტოთერაპიის სეანსის ჩასატარებლად საკმარისია, 1-2 საათით დაჯდეთ კაშკაშა სინათლეზე და აკეთოთ თქვენი საქმე — იკითხოთ, წეროთ, ქსოვოთ, ქარგოთ, ისაუბროთ, ივახშმოთ, მუსიკას მოუსმინოთ ან იფიქროთ რაიმე სასიამოვნოზე. დადებით ეფექტს მიიღებთ მე-3, მე-5 დღეს. ერთადერთი აუცილებელი პირობა ის არის, რომ განათება საკმაოდ ძლიერი იყოს — არანაკლებ 2000 ლუქსისა — ასეთი სინათლეა ქუჩებში ღრუბლიანი ამინდის დროს. ოფისებსა და ბინებში ეს მაჩვენებელი, როგორც წესი, 100-300 ლუქსს არ აღემატება.

თუ სინათლით თერაპიის ორკვირიანი კურსის შემდეგ, ვერ იგრძნობთ ძალების მომატებას, სავარაუდოა, რომ თქვენი ასთენია სეზონთან არ არის დაკავშირებული და მისი მიზეზის დასადგენად, თერაპევტს ან ნევროპათოლოგს უნდა მიმართოთ.

რამდენიმე რჩევა მათ, ვისაც სეზონური ასთენია აწუხებს

ნუ იყურებით ფანჯრიდან, როცა ქუჩაში უკვე ბნელა — სეზონური ასთენიის დროს, ეს ცუდად მოქმედებს. თქვენი მზერა მიმართეთ განათებული აკვარიუმისკენ, ბუხარში დანთებული ცეცხლისკენ. სხვათა შორის, ჩვენს წინაპრებს გრძელი ზამთრის საღამოების ცეცხლთან გატარების ჩვევა საიმედოდ იცავდა სეზონური სისუსტისაგან.

ელექტროენერგიის ეკონომიური მოხმარება, რაც ჩვენი დღევანდელი ყოფის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ასევე უარყოფით გავლენას ახდენს სეზონურ ასთენიაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა უკვე გადააბიჯეთ 40 წელს. ასაკის მატებასთან ერთად, თვალის ბროლი ბადურისკენ სულ უფრო და უფრო ნაკლებ სხივს ატარებს, ამიტომ, 60 წლის ადამიანი ორჯერ მეტ სინათლეს საჭიროებს, ვიდრე 30 წლის.

ოთახში დამონტაჟებული ეკონომიური ლუმინისცენციური განათება აძლიერებს ასთენიის სიმპტომებს — მოდუნებას, აპათიას, დაღლილობას.

ამერიკასა და ევროპაში საკმაოდ პოპულარულია გაზის ნათურები. ერთი ასეთი მინიატურული 60-ვატიანი ნათურა სინათლით ავსებს 20 კვმ-მდე ფართობს და ნამდვილ სადღესასწაულო გარემოს ქმნის.

ნუ დაივიწყებთ ბუნებრივ განათებასაც. დღის შუქის დეფიციტი ასევე ამწვავებს ასთენიის სიმპტომებს, ამიტომ ფანჯრის რაფებზე ნუ დადგამთ ძალიან მაღალ ყვავილებს. ნუ ამოაშენებთ აივნებსა და ლოჯიებს ისე, რომ დაბნელოთ ოთახები — ეს მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის.

ოთახის კედლები უნდა იყოს ღია ყვითელი ან ღია მწვანე — ეს 10-20%-ით ზრდის შინაგარემოს სიჯანსაღეს.

ნუ მიიჩნევთ მეშჩანობის გამოვლინებად თაროებზე დადგმულ ბროლის ვაზებსა და ფიგურებს, ძვირფას ჭაღებს, სარკეებს კედლებზე, გაპრიალებულ პარკეტსა და ავეჯს. ბრჭყვიალა ზედაპირის მქონე საგნები ქმნის განათების ეფექტს, აცოცხლებს გარემოს; ასეთი ოთახი ყოველთვის სინათლით სავსედ გამოიყურება და არ უწყობს ხელს სეზონური ასთენიის განვითარებას.

იძინეთ არანაკლებ 8-9 საათისა, მაგრამ არც მეტი ძილია საჭირო: ხანგრძლივ ძილს მეცნიერები ასთენოგენურ (ასთენიის გამომწვევ) ფაქტორებს მიაკუთვნებენ — იგი მოდუნებასა და აპათიას აძლიერებს.

ფიზიკური ვარჯიში ორგანიზმს ენერგიით მუხტავს. ეფექტურია სწრაფი სიარული 20-30 წუთის განმავლობაში, დაძინებამდე 2 საათით ადრე. მსგავსი ვარჯიში აუმჯობესებს თვითშეგრძნებას, ზრდის შრომისუნარიანობას და სტრესისადმი გამძლეობას, აუმჯობესებს ძილს.

მკვეთრი არომატები მატონიზებელ გავლენას ახდენს ორგანიზმზე, ამიტომ ხშირად და ხანგრძლივად იყნოსეთ პიტნის, მიხაკის, სალბის, ევკალიპტის, ილის და სხვა არომატები — ეს თქვენს გამოცოცხლებას შეუწყობს ხელს. შეგიძლიათ ეთერზეთები, აბაზანის მიღების დროსაც გამოიყენოთ.

■

ტესტი

გაქვთ თუ არა ასთენია?

1. ადვილად იღლებით თუ არა?
2. შეგიძლიათ თუ არა ყურადღების კონცენტრირება?
3. ხომ არ მუშაობთ ინერციით, უენთუზიაზმოდ?
4. ოჯახურ საქმეებს ძალდატანებით ხომ არ ასრულებთ?
5. რამდენიც არ უნდა გამოიძინოთ, დილიდან დაღლილობასა და ტანში მტვრევას ხომ არ გრძნობთ?
6. საწოლიდან ადგომისას თავბრუს ხვევა და ყურებში შუილი ხომ არ გაქვთ?
7. ავტობუსის მისასვრებად გაქცევისას და მესამე სართულამდე ასვლისას გულის ფრიალი და ქოშინი ხომ არ გეწყებათ?
8. ხომ არ გაღიზიანებთ ხმამაღალი სიცილი, ტელეფონის ზარი, მკვეთრი სინათლე, ტელევიზორის ხმა?
9. ონკანიდან მწვეთავი წყლის ხმას ჭკუიდან ხომ არ გადაჰყავხართ?
10. გარშემომყოფი ადამიანები ზედმეტად უხეშად ხომ არ გეჩვენებიან?
11. იქნებ ძალზედ დიდი ხანი გავიდა, რაც თეატრში ან სტუმრად არ ყოფილხართ?
12. ზამთარში ზედმეტად ხომ არ მოიმატეთ წონაში?
13. გაქვთ თუ არა მეგობრებისა და თანამშრომლების შეკრებაზე წასვლის სურვილი?

თუ „დიახ“ უპასუხეთ 7 შეკითხვას მაინც, იცოდეთ, რომ ასთენია გაქვთ.

ახლა კი, გთავაზობთ რამდენიმე მცენარეულ რეცეპტს, რომელიც ეფექტურია ასთენიური სინდრომის დროს.

შეურიეთ თანაბარი რაოდენობის შავი მოცხარისა და ასკილის გამხმარი ნაყოფი.

შეურიეთ გამხმარი ასკილისა და შავი მოცხარის ნაყოფი და ჭინჭრის ფოთლები შემდეგი პროპორციით 3:1:2.

მიიღეთ კოწახურის ნაყენის 20-30 წვეთი (იყიდება აფთიაქებში).

აიღეთ თანაბარი რაოდენობის ჟოლოს, ტყის მარწყვის, შავი მოცხარის, მოცვის ფოთლები და დააყენეთ ჩაი. სვით 1/2 ჭიქა, 2-ჯერ დღეში.

რამდენიმე წუთით ისუნთქეთ კატაბალახას გამხმარი ძირების არომატი.

ერთი ს/კ თაფლი გახსენით ერთ ჭიქა თბილ წყალში, ძროხის ან თხის რძეში და სვით. ■

სილამაზის სალონი

გაზაფხულზე ბუნება იღვიძებს და ჩვენც გამონაკლისნი როდი ვართ: გვინდა ვიყოთ ყველაზე მომხიბლავი, მაგრამ ეს სურვილი სურვილადვე დარჩება, თუ სათანადოდ არ მოვუვლით ზამთარგამოვლილ, მოღუნებულ კანს. როგორ მოვიქცეთ? რაღა თქმა უნდა, გავიკეთოთ მცენარეული ნიღბები (მკვებავი და ვიტამინირებული), რომელიც ჩამორეცხს ჩვენი კანიდან ზამთრის რუხ პალიტრას და დაგვიბრუნებს მიმზიდველობას და თავდაჯერებულობას.

ყველა სახის კანისათვის

ვაშლის ნიღაბი – წმენდს, არბილებს და ასწორებს კანს.

გახეხეთ ვაშლი წვრილ სახეხზე. 2 ჩ/კ აურიეთ 1/4 ჩ/ჭ ცხელ რძეში და 2 ს/კ დაფქულ ჰერკულესში. ნარევი დადგით მდუღარე წყლის ორთქლზე 10 წუთით. ნარევი შესქელდება. გაიკეთეთ თბილი ნიღაბი 15 წთ-ით. ჩამოიბანეთ ცივი წყლით.

სტაფილოს ნიღაბი – აქვს მატონიზებელი მოქმედება, კარგ შედეგს იძლევა ფორებიან და ნაოჭებიან კანზე.

გახეხეთ უმი სტაფილო წვრილ სახეხზე. 2 ჩ/კ სტაფილოში აურიეთ კვერცხის ცილა. მიღებულ მასას დაუმატეთ 1 ჩ/კ ზეითუნის ზეთი და ცოტა სახამებელი. კარგად აურიეთ, ნიღაბი გაიკეთეთ სახესა და ყელზე 10-15 წთ-ით.

ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

საფუვრის ნიღაბი – აქვს მატონიზებელი და გამაახლებელი მოქმედება.

გახსენით 10-15 გ მშრალი საფუარი რძეში ან ზეითუნის ზეთში ისე, რომ მიიღოთ სქელი არაჟნის კონსისტენციის მასა. მიღებული ნარევი სქლად დაიდეთ სახეზე. მას შემდეგ, რაც ნიღაბი გაშრება, ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

ხორბლის ნიღაბი – აქტიურად კვებავს კანს და ხელს უწყობს ეპითელიზაციას (განახლებას).

2-3 ს/კ ხორბალი დააქუცმაცეთ სანაყში ან ყავის საფქვავში. მიღებული მასა აურიეთ 2 ჩ/კ თაფლში, 1 ს/კ ზეთში და წაისვით სახესა და ყელზე 20 წთ-ით. ჩამოიბანეთ ჯერ თბილი წყლით, შემდეგ კი – ცივით.

ცხიმიანი კანისათვის

ლიმონის წვენზე დამზადებული ნიღაბი – წმენდს ფორებს, ათეთრებს და ატონიზირებს კანს.

ათქვიფეთ კვერცხის ცილა გათეთრებამდე, დაუმატეთ 2 ს/კ ახალგამოწურული ლიმონის წვენი და 1 ს/კ დაფქული ჰერკულესი. ნიღაბი გაიკეთეთ სახესა და კანზე. 20 წთ-ის შემდეგ ჩამოიბანეთ სუსტი ჩაის ნაყენით.

ჯიტრის ნიღაბი – აცოცხლებს, არბილებს და კვებავს კანს.

3 ს/კ ახალგამოწურულ კიტრის წვენს დაუმატეთ 3 ს/კ სპირტი, დააყოვნეთ ნახევარი საათით. შემდეგ მიღებულ ხსნარში დაასველეთ დოლბანდი და დაიდეთ სახეზე 15-20 წთ-ით.

ჯივის ნიღაბი – ატონიზირებს და აცოცხლებს კანს, მატებს სიმკვრივეს და ელასტიკურობას.

გაფცქვენით 1 ცალი კივი, გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, დაუმატეთ 1 ს/კ ზეითუნის ზეთი, მიღებული მასა დაიდეთ სახესა და ყელზე 20 წთ-ით. ზემოდან დაიფინეთ ნაჭერი. ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

მშრალი კანისათვის

ჯარტოფილის ნიღაბი – აწყნარებს გაღიზიანებულ კანს, ხდის მას გლუვსა და მდგრადს.

მოხარშეთ საშუალო ზომის კარტოფილი კანიანად, გაფცქვენით, დაჭყლიტეთ ჩანგლით, დაუმატეთ 1/3 ჭიქა თბილი რძე, კარგად აურიეთ, მიღებულ მასას შეათქვ-

იფეთ კვერცხის გული, შემდეგ დადგით მდუღარე წყლის ორთქლზე და შემთბარი წაისვით სახესა და ყელზე, ზემოდან დაიფარეთ ნაჭერი. გაიჩერეთ ნახევარი საათით და ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

ჟოლოს ნიღაბი – ატონიზირებს, არბილებს, აახლებს კანს.

50 მლ ჟოლოს წვენს დაუმატეთ 3 ს/კ რძე. მიღებული მასით დაასველეთ დოლბანდის ნაჭერი და დაიდეთ სახეზე. 15 წთ-ში ცივი წყლით ჩამოიბანეთ.

ავოკადოს ნიღაბი – კანს უბრუნებს ელასტიკურობას და სიგლუვეს.

გაატარეთ ავოკადოს მწიფე ნაყოფი ხორცსაკეპ მანქანაში და მაშინვე სქელ ფენად დაიდეთ კანზე. 20 წუთის შემდეგ მოიშორეთ ბამბის ტამპონით და ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

თუ სუნამო გწყენთ

საყვარელი სუნამოს არომატი აუმჯობესებს ჩვენს განწყობილებას და თვითშეგრძნებასაც კი. მაშ ასე, დილით იპკურებით სუნამოს ყურების ქვემოთ, კანზე და საღამოს ამავე ადგილას გაქვთ კანის შეწითლება, ქავილი – ბანალური ალერგიული რეაქცია. როგორ უნდა მოიქცეთ? ნუ იტყვით უარს პარფიუმერიის გამოყენების ჩვევაზე. თქვენ უბრალოდ უნდა იპოვოთ „შესაფერისი“ არომატი და ისწავლოთ მისი სწორად პკურება.

თუ ეს პირველად შეგემთხვათ

კარგი სიახლე: თქვენ ალერგია გაქვთ არა მთლიანად პარფიუმერიაზე, არამედ მის ერთ-ერთ ინგრედიენტზე. ცუდი სიახლე: თქვენ რეაქცია გექნებათ ყველა ახალ სუნამოზე, არომატულ ლოსიონზე, სარეცხ საშუალებაზე, რომელიც ამ კომპონენტს შეიცავს. ამიტომ თუ ალერგიის გამომწვევი ინგრედიენტი შედის თქვენს საყვარელ სუნამოში, უმჯობესია, მასზე უარი თქვათ.

„დამნაშავე“ კომპონენტი

თუ გადაწყვიტეთ გამოავლინოთ „დამნაშავე“, გირჩევთ, ამაზე დროს ნუ დაკარგავთ. სუნამოს ყუთის გარეკანზე სრულად არასოდეს წერენ ინგრედიენტების სიას, როგორც ეს საკვები პროდუქტების შემთხვევაში ხდება, რადგანაც პარფიუმერიის ყველა წარმოებაში ეს სია საწარმოო საიდუმლოს წარმოადგენს და ამიტომ, მითითებულია მხოლოდ ზოგიერთი კომპონენტი. სუნამოთი გამოწვეული ალერგიული რეაქცია ჩვეულებრივ ღრმა არ არის და ადვილად შექცევადია. ახლა თქვენ უნდა გადაწყვიტოთ – შეცვლით სუნამოს ახალი არომატით, რომელიც არ შეგაწუხებთ, თუ მხოლოდ იმავე სუნამოს პკურების წესს.

როგორ მოვუაროთ ალერგიით გაღიზიანებულ კანს

ნუ დაიბანთ კანს ცხელი წყლით და საპნით იმ ადგილას, სადაც გაღიზიანებული გაქვთ. ამან შესაძლოა გააძლიეროს ანთება. საიმედო შინაური საშუალება დერმატიტის (კანის ანთების) სამკურნალოდ, არის ცივი რძის კომპრესი. მას კანზე იფენენ დღეში რამდენჯერმე, შემდეგ კი ჩამოიბანენ ცივი წყლით.

„მოატყუეთ“ თქვენი ალერგია

გთავაზობთ რამდენიმე ხერხს, რათა ნებისმიერი არომატი უსაფრთხო გახდეს თქვენთვის.

არომატი შეგიძლიათ ატაროთ არა კანით, არამედ მის გარეთაც, მაგალითად, საიუველირო ნაკეთობებზე.

სუნამო მიისხურეთ თმაზე.

სუნამო შეგიძლიათ ატაროთ ცხვირსახოცით, რომელსაც არ ხმარობთ.

სუნამოს მცირე რაოდენობა წაისვით ხელის ზურგზე; თუ არავითარი გაღიზიანება არ აღინიშნება, ეს ნიშნავს, რომ არომატი თქვენთვის საშიში არ არის. ასე შეგიძლიათ შეარჩიოთ თქვენთვის შესაფერისი სუნამო.

■

რჩევები დედებს

რა ატირებს თქვენს პატარას?

ჩვილი ბავშვი ჩვეულებისამებრ მაშინ ტირის, როცა დისკომფორტს განიცდის. თუ ბავშვი შიმშილისაგან ტირის, ასეთ დროს ტირილი ჯერ ხმამაღალი და მომთხოვნია, ხოლო შემდეგ ჩუმი და განაწყენებული. უმრავლეს შემთხვევაში, ბავშვი ტირილს იწყებს ხოლმე ჭამის დამთავრებისთანავე და როგორც კი მიიღებს დამატებით პორციას, მაშინვე ჩუმდება.

ხშირად პატარა ტირის არა იმიტომ, რომ არ ჭყოფნის დედის რძე, არამედ იმის გამო, რომ რძე ზედმეტად ცხიმიანია. ამის შედეგად უგროვდება გაზები, მუცელი ებერება და სტკივა. პატარა იქნევს ფეხებს, ტირილი ხმამაღალი და ხანგრძლივია. ასეთ შემთხვევაში დედამ უნდა განაზავოს რძე წყლით და აჭამოს ბავშვს ბოთლიდან. ამასთან სასურველია ბავშვს მიეცეს საკვების მომნელებელი ფერმენტები (მაგალითად, მეზიმ-ფორტე). ბავშვს სიამოვნებს მუცელზე წოლა, მუცლის თბილად შეხვევა. პატარას ფეხზეც თბილად უნდა ჩაცვათ.

ტირილის მიზეზი ხდება ხოლმე აგრეთვე სველი ან დასვრილი საფენები. საკმარისია, ბავშვს გამოუცვალოთ და იგი შეწყვეტს ტირილს.

ბიჭები ზოგჯერ ტირიან შარდვის დროს, შარდსადენი ხვრელის შევიწროების ან ასოს თავის შეხორცებების გამო. მისი სიმპტომია შარდის ნაკადის გადახრა გვერდით. როგორც კი დედა შეამჩნევს ამ ნიშანს, უნდა მიმართოს ექიმს.

გოგონებში კი, ტირილის მიზეზი ხდება გარეთა სასქესო ორგანოების წვა ლორწოვანის ანთების დროს. საჭიროა მისი ჩამობანა სუსტი იოდიანი ხსნარით (1 წვეთი იოდი 1 ჭიქა წყალზე) და შემდეგ გაშრობა ისე, რომ პირსახოცით არ გააღიზიანოთ ლორწოვანი გარსი.

ახალშობილთა უმრავლესობას სიცოცხლის პირველ თვეში ახასიათებს გაბრაზებული ტირილი. ყველაზე მარტივი ხერხი მისი დამშვიდებისათვის ასეთ დროს არის მატყუარა საწოვარას მიცემა ან სახვევებით მჭიდროდ შეხვევა. ზოგჯერ პატარას ამშვიდებს ხოლმე წყნარი, ჩუმი მუსიკის მოსმენა.

ხშირად ბავშვი უბრალოდ ჭირვეულობს და ყვირის, ვიდრე თავისას არ მიაღწევს. ეს იმის ნიშანია, რომ მშობლებმა ის უკვე გაანებივრეს. საჭიროა, სასწრაფოდ შეცვალოთ მისი აღზრდის ტაქტიკა.

თუ ბავშვის ტირილის მიზეზის დადგენა არ ხერხდება, ამასთან, პატარა უარს ამბობს საკვებზე, დედამ სასწრაფოდ უნდა მიმართოს ექიმს, რადგან შესაძლოა ჩვილი რაიმე ძალზე სერიოზული ავადმყოფობის გამო ტიროდეს. ასეთ სერიოზულ მიზეზებს მიეკუთვნება ნაწლავთა გაუვალობა, თიაქრის ჩაჭედვა, თავის ტკივილები ქალისშიდა წნევის მომატების დროს და მრავალი სხვა.

■

ისპანახი ნიგვზით

ისპანახი გაარჩიეთ, გარეცხეთ და მოხარშეთ. მოხარშული მხალი გადაიტანეთ საწურზე, გააცივეთ და კარგად გაწურეთ. შემდეგ კარგად დაკეპეთ დანით, დაამატეთ წვრილად დაჭრილი მწვანე ხახვი, ქინძი, ხორცსაკეპ მანქანაში გატარებული ნიგოზი და ნიორი, წითელი წიწაკა, ღვინის ძმარი, მარილი, კარგად აურიეთ.

მასალა:
ისპანახი 1 კგ
ნიგოზი – 200 გ
ნიორი – 4 კბილი
ქინძი – 50 გ (1 საშუალო ზომის კონა)
მწვანე ხახვი – 1 კონა
ძმარი, მარილი, წიწაკა გემოვნებით.

პრასი ნიგვზით

2 კგ პრასი კარგად გარეცხეთ და დაჭერით 4-5 ნაწილად. შიგვე ჩაჭერით 500 გ ნიახური და მოხარშეთ. კარგად გაწურეთ და გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, დანაყეთ 300 გ ნიგოზი, 2-3 კბილი ნიორი, ქინძი, 1 ჩ/კ უცხო სუნელი, 1 ჩ/კ ყვითელი ყვავილი, გემოვნებით დაუმატეთ ძმარი, მარილი და წიწაკა. აგრეთვე ცოტაოდენი წვრილად დაჭრილი ოხრახუში. შემდეგ ყველაფერი აურიეთ, მოაყარეთ ბროწეულის მარცვლები.

ლობიო ტომატითა და სუნელით

გარეცხეთ ლობიო და კარგად მოხარშეთ. ცალკე ქვაბში ბლომად ზეთში ჩაშუშეთ ალყა-ალყად დაჭრილი ხახვი შევარდისფრებამდე, ჩაუმატეთ ტკბილი ტომატის პასტა. მოხარშული ლობიოდან გადაწურეთ წვენის ნაწილი ისე, რომ მარცვლებს წვენი ოდნავ ფარავდეს. შემდეგ ლობიოს შეურიეთ ჩაშუშული ხახვი და ტომატი. დაუმატეთ უცხო სუნელი, შავი პილპილი, ხმელი ქინძი და მარილი, წამოადუღეთ კარგად აურიეთ და მიიტანეთ სუფრაზე ცხელ-ცხელი.

მასალა: 1 კგ ლობიო
ხახვი – 6-7 თავი (საშუალო ზომის)
ტომატ-პასტა – 2 ს/კ
უცხო სუნელი – 2 ჩ/კ
ხმელი ქინძი – 1 ჩ/კ
შავი პილპილი, მარილი გემოვნებით.

ლობიო ნიგვზით

ლობიო მოხარშეთ ჩვეულებრივი წესით ისე, რომ ძალიან არ ჩაიშალოს. ნახარში გადაწურეთ, დანაყეთ ნიგოზი, ნიორი, ხმელი სუნელი, ხმელი ქინძი, მარილი, წიწაკა, გახსენით ძმარში და აურიეთ მოხარშულ ლობიოში ისე, რომ ლობიოს მარცვლები ძალიან არ დაიჭყლიტოს. გადაიტანეთ ლანგარზე და ზევიდან მოაყარეთ რგოლებად დაჭრილი ხახვი, წვრილად დაჭრილი ქინძი და ოხრახუში.

მასალა:
ლობიო – 1 კგ
ხახვი – 2 თავი
ნიგოზი – 1,5-2 ჩ/ჭ
ძმარი – 0,5 ჩ/ჭ
ხმელი სუნელი – 2 ჩ/კ
ქინძის თესლი – 2 ჩ/კ
ოხრახუში, ქინძი – 4-4 ძირი
მარილი, ნიორი, წიწაკა – გემოვნებით.

ჭარხლის ფოთლების მხალი

ჭარხლის ფოთლები გაარჩიეთ, გარეცხეთ, მოხარშეთ ნიახურთან ერთად, გადმოიტანეთ საწურზე, შეაგრილეთ და შემდეგ კარგად გაწურეთ. დაკეპეთ წვრილად დანით. დაამატეთ ხორცსაკეპ მანქანაში გატარებული ნიგოზი და ნიორი, წიწაკა, წვრილად დაჭრილი ქინძი და მწვანე ხახვი, ღვინის ძმარი, მარილი, კარგად აურიეთ.

მასალა:
ჭარხლის ფოთლები – 1 კგ
ნიახური – 1 კონა
მწვანე ხახვი – 1 კონა
ნიორი – 4-5 კბილი
ქინძი – 2 კონა
ნიგოზი – 1 ჩ/ჭ
ძმარი, მარილი, წიწაკა – გემოვნებით

ფენოვანი კომბოსტო ნიგვზით

ფართოფოთლებიანი კომბოსტო დაფურცლეთ, ჩაყარეთ მდუღარე წყალში (წყალს დაამატეთ 1 ს/კ ზეთი), გათუთქეთ, ამოიღეთ წყლიდან, დაალაგეთ საწურზე, გააცივეთ, მოაჭერით ბოლო უხეში ნაწილი.

ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ ნიგოზი, ნიორი; დაუმატეთ გემოვნებით: მარილი, შავი პილპილი, ხმელი და ახალი ქინძი, ყვითელი ყვავილი, ღვინის ძმარი, ბროწეულის მარცვლები.

აიღეთ თითო კომბოსტოს ფოთოლი, წაუსვით ნიგვზის ნაზავი თანაბრად, დაახვიეთ რულეტივით სიგრძეზე.

სუფრაზე მიტანის დროს დაჭერით სიგანეზე.

მასალა: 1 კგ კომბოსტოზე
ნიგოზი – 200 გ
ნიორი – 1-2 კბილი
ქინძი ხმელი – 1/2 ჩ/კ ახალი ქინძი – 1 პატარა კონა
ბროწეულის მარცვლები
ყვითელი ყვავილი – 1 1/2 ჩ/კ.

ოლიგარქი ბიზნესი

და აღმოსავლეთ-დასავლეთის ორი ღიღი ქაჯნაცი

ამ ცოტა ხნის წინ, მსოფლიო მასმედიაში გაჩნდა ცნობა, რომ მაკაოს (ჩინურად — აომენის) ხელისუფლებამ 3 კაზინოს გახსნის ლიცენზია გასცა ინვესტორთა საერთაშორისო პულზე, რომელშიც შესულია ლასვეგასის „მეფე“ სტივ უინი. ამ ინფორმაციამ აფეთქების ეფექტი მოახდინა სათამაშო ბიზნესის სამყაროში: ჰონკონგელი მაგნატი, სტენლი ხო, რომლის ზურგს უკან ჩინეთის კომპარტიის ლიდერთა ფიგურები დგას, ორმოცი წლის მანძილზე ინარჩუნებდა ამ რეგიონის სათამაშო ბიზნესს. ადგილობრივ პოლიციას არაერთხელ უპოვია სანაპირო ზოლში იმ გულადი ადამიანების გვამები, რომლებსაც გაუბედავთ „ხოს იმპერიასთან“ შერკინება. ჰონკონგური მასმედიის ხატოვანი გამოთქმით, ჩინელები მუდამ ფხიზლობდნენ „კომპარტიის სერიოზულ ბიზნესთან“ მიმართებაში, რომელსაც მხოლოდ 2000 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისთვის 2,2 მლრდ დოლარი მოუტანია. აღნიშნული ცნობაც ნამდვილ სენსაციად სწორედ ამიტომ იქცა: ყველას უკვირდა, რომ სტენლი ხო და მისი პეკინელი მფარველები, თავიანთ „ოქროს ბოსტანში“ გამობრძმედილ იანკის (ამერიკელს) უშვებდნენ.

გარიგების დეტალებს არ ახმაურებენ, თუმცა, ყველასთვის დღესავით ნათელია, რომ მისი მთავარი მიზეზი ფულია. უფრო სწორად, მისი ნაკლებობა, რომელსაც პეკინი უჩივის. მას შემდეგ, რაც 1999 წლის დამლევს პორტუგალიის ყოფილი სამფლობელო — მაკაო სამშობლოს დაუბრუნდა, სათამაშო ბიზნესიდან შემოსული თანხები ორმაგად შემცირდა: ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ, იქაურ კაზინოებს 4 მლრდ დოლაზე მეტი მოჰქონდა! ამას ემატება დამნაშავეობის უმაღლესი დონე, დაუსრულებელი კლანური გარჩევები, რომლის აღმოფხვრა თვით სტენლი ხოსაც აღარ ძალუძს. თავად ოლიგარქიც, რომელიც ორი წლის წინ ჩინეთის პარლამენტის დეპუტატი გახდა, ძალზედ გაიტაცა პოლიტიკამ და რამდენადმე დაკარგა ინტერესი საქმისადმი, რომელსაც მთელი ცხოვრება მისდევდა. ასეა თუ ისე, პეკინში მიიჩნიეს, რომ სათამაშო ბიზნესის აზიური დედაქალაქის გადარჩენას, ამერიკელი უფრო მოახერხებდა.

ხო არ ნებდება — ის იყიდება

რულეტკის ბორბალი მაკაოს მახლობლად პირველად 70 წლის წინ დატრიალდა. ფხიანმა ჩინელმა — ტაკ შეცინმა ღამის დაწესებულება გახსნა. საქმე იმთავითვე კარგად აეწყო, მაგრამ იაპონიის მიერ ჩინეთის მიმართ 1937 წელს განხორციელებულმა აგრესიამ მოხერხებული საქმოსნის ყველა გეგმა დაარღვია. თავის პირად მცველთან, ფუ ტაკიამთან ერთად, ის პორტუგალიურ კოლონიაში — მაკაოში აღმოჩნდა და აუქციონზე შეიძინა სათამაშო ბიზნესის წარმოების ლიცენზია, რომელშიც იმ დროისთვის ასტრონომიული თანხა — 100 მლნ დოლარი გადაიხადა.

ჰონკონგელი სტენლი ხო 40 წლის მანძილზე აშენებდა თავისი აზარტის იმპერიას

მაკაოში, იაპონელებს გამოქცეული მდიდარი შანხაიელი და გუანჯუოელი მდიდარი ჩინელები ჩადიან და იწყება დიდი თამაში. ამ საქმის ახალგამომცხვარი მეფე 16-სართულიანი „გრანდ-ოტელის“ — მაკაოს პირველი ცათამბჯენის მშენებლობაში დებს ფულს, მაგრამ მას არ ეწერა თავისი პირმშოს ხილვა: მოულოდნელმა სიკვდილმა წერტილი დაუსვა მის გეგმებს.

ტაკის ადგილს მისი ერთგული მსახური — ფუ ტაკიამი იკავებს, რომელიც საქმეს უფრო ფართო მასშტაბს სძენს: ის მთელ ახლომდებარე უძრავ ქონებას ყიდულობს, მას ნავსადგურსა და საზღვაო კომპანიასაც მიაყოლებს, რომელიც მაკაოს ჰონკონგთან აკავშირებს; აშენებს მდიდრულ სასტუმროებს, ხსნის ახალ კაზინოებს. თუმცა, ყოფილმა პირადმა მცველმა, ერთი რამ ვერ გაითვალისწინა: მაკაო კი იყო პორტუგალიის ტერიტორია, მაგრამ მის გვერდით ვეებერთელა კომუნისტური ჩინეთი იყო, რომლის ხელისუფლებას, მიუხე-

დავად იმისა, რომ თვით ჩინეთის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესი აკრძალული იყო, მაკაოს კაზინოების შემოსავლიდან წილის მიღების პრეტენზია ჰქონდა. და ერთ მშვენიერ დღეს, 1962 წელს, პეკინმა ფუს ისეთი წინადადებით მიმართა, რომელზეც მან უარით ვერ უპასუხა: ის იძულებული გახდა, მთელი თავისი ბიზნესი ჰონკონგელი საქმოსნის, სტენლი ხოსთვის მიეყიდა...

40 წლის მანძილზე, ხომ რამდენჯერმე გაზარდა თავისი საწყისი კაპიტალი. მხოლოდ ერთი მისი კომპანიის – სინდიკატ CTDM-ის საკუთრებას წარმოადგენს მაკაოში მდებარე 11 კაზინო, 5 სასტუმრო, ბანკები, ადგილობრივი ტელევიზია და სამოგზაურო ბიურო. გარდა ამისა, სხვა კომპანიებთან ერთად, სინდიკატი აკონტროლებს საკრუიზო გემებისა და ბორნების მთელ ფლოტს. „მაკაოში არც ერთი საკვანძო დარგი არ არსებობს, სტენლის წილი რომ არ ჰქონდეს“, – ამბობენ მასთან დაახლოებული პირები და დასძენენ: „ჩვენს პლანეტაზე ისეთ მეორე წერტილს ვერ ნახავთ, რომლის ეკონომიკაში ესოდენ მნიშვნელოვანი როლი ჰქონოდეს ერთ ფირმას“. თუმცა, საქმიანობის სტრატეგიაში სტენლი ხო მუდამ თავისი საყვარელი აფორიზმის ერთგული რჩებოდა: არასდროს არ უნდა ჩადო ყველა კვერცხი ერთ კალათში.“ სათამაშო ბიზნესის გაშლასთან ერთად, ის იმავდროულად, რამდენიმე სამრეწველო კომპანიის თავკაციც ხდება. 1987 წელს მან კომპიუტერების მწარმოებელი ფირმა „სემა-ტექი“ შეიძინა; ერთი წლის შემდეგ, საცალო ვაჭრობის ამერიკული ფირმების მთელ ქსელს ყიდულობს და საკერავი მანქანების გიგანტის – „ზინგერის“ საკონტროლო პაკეტის მოსაპოვებელ, დაძაბულ ბრძოლაში ებმება, რომელსაც, ბოლოს და ბოლოს, გამარჯვებით დააგვირგვინებს. 1990 წელს სტენლი გრამფირფიტების, ტელეფონების, ვიდეომაგნიტოფონებისა და ელექტრონული სათამაშოების მწარმოებელი კომპანიის თანამფლობელი ხდება, ხოლო სულ ცოტა ხნის წინ, კიდევ ერთი ამბიციური პროექტის – ტელეანძის მშენებლობას იწყებს. ხოს იმპერიის გვირგვინის ბრილიანტად, საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ფლაგმანი, დაუმთავრებელი კრეისერი „ვარიაგი“ უნდა იქცეს, რომელიც სტენლიმ უკრაინის ხელისუფლებისგან უზარმაზარი, მცურავი კაზინოს მოსაწყობად იყიდა...

დიდი ხნის მანძილზე, ჩინეთის მაღალჩინოსნები გულში იხუტებდნენ მაკაოს „მეფეს“. ჩინეთის კომპარტიის ცეკას გენერალურ მდივანთან ძიან ძემინთან 1990 წელს გამართული შეხვედრის დროს, მან ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობისგან სრული მხარდაჭერა მიიღო, მაგრამ შემდეგ, მათი ურთიერთობა გაცივდა. იმ დროს, როცა სტენლი ხო, სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა სხვადასხვა პრესტიჟული რეგალიის მოპოვებას (ჩინეთის პარლამენტის სადეპუტატო მანდატის გარდა, მას მინიჭებული აქვს ბოლივიასა და ჰონდურასში მაკაოს საპატიო კონსულის უფლებამოსილება, რამდენიმე პრესტიჟული უნივერსიტეტის მეცნიერებათა დოქტორის წოდება), მისი სათამაშო ბიზნესის შემოსავლები მცირდებოდა, რაც ძალზედ აღიზიანებდა პეკინს.

მაკაო არასდროს გამოირჩეოდა სიწყნარით; აზარტული თამაშების გარდა, იქ ყვაოდა პროსტიტუცია, ოქროს კონტრაბანდა და საერთოდ, ყოველგვარი „ჩრდილოვანი“ ვაჭრობა. რამდენიმე წლის წინ, ფერადი ლითონის ადგილობრივმა დამფასებლებმა ის სატელეფონო კაბელიც კი მოიპარეს, რომელიც ზღვის ფსკერზე იყო გაყვანილი და მაკაოსა და ჰონკონგს შორის არსებულ კავშირს უზრუნველყოფდა, მაგრამ ყველა ეს მანკიერება ბოლო დრომდე გულმოდგინედ იყო დაფარული მაკაოს მთავარი სტუმრების – მოთამაშე ტურისტების ხუთმილიონიანი არმიისგან. ილუზიების გაფანტვის პროცესი 90-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყო, როდესაც ადგილობრივი და ჰონკონგელი დაჯგუფებების „ნათლიებმა“ გადაწყვიტეს, გათავისუფლებულიყვნენ სტენლი ხოს კლანჭებისგან და თამაშის საკუთარი წესები შემოელოთ. შედეგმაც არ დააყოვნა: 2001 წელს, მაკაოს კაზინოების სტუმარ-მოთამაშეთა რაოდენობა 20%-ით შემცირდა.

საფინანსო ზარალის გარდა, პეკინი საქმის მორალურ-პოლიტიკურმა მხარემ შეაშფოთა: მაკაოში ჩასვლასა და სახელმწიფოსგან ნაძარცვი ფულის ხარჯვას ჩინელმა „ხალხის მსახურებმა“ მოუხშირეს. 2001 წლის მაისში, სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა პროვინცია ხუბეის, ჰონკონგსა და მაკაოსთან კავშირ-ურთიერთობის სამმართველოს ხელმძღვანელს, რომელმაც კაზინოში, ერთ ღამეში 2,5 მლნ დოლარის წაგება „მოახერხა“! ყველასათვის ნათელი იყო, რომ სტენლი ხომ იცოდა აზარტული მოხელის შესახებ, მაგრამ მის საქმეში ჩარევა საჭიროდ არ ჩათვალა...

მაკაოს „მეფემ“ პეკინის ნდობა დაკარგა. ჩინეთის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რულეტკის ბორბალი უფრო სანდო – ლას-ვეგასელი ბიზნესმენის, სტივ უინისთვის გადაეცა.

ლას-ვეგასელი გენიოსი

59 წლის სტივ უინი, გამზადებული პერსონაჟია ჰოლივუდური საგისთვის, რომლის თემაა „გამოძერწე საკუთარი თავი“. სხვათა შორის, ის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს კინემატოგრაფიისადმი და შესაბამის პასუხსაც იღებს ამ უკანასკნელისგან: რეჟისორი მარტინ სკორსეზე და მსახიობი რობერტ დე ნირო ბევრ რამეს დაესესხნენ სტივ უინს ფილმ „კაზინოს“ შექმნისა და მისი მთავარი გმირის ხასიათის განსაზღვრისას, თანაც,

სტივ უინი აომენის ადმინისტრაციას დაჰპირდა, რომ მას აზიურ ლას-ვეგასად გადააქცევს

მაგნატი გადამღები ჯგუფის კონსულტანტადაც მოგვევლინა. თუმცა, საეკრანო და რეალური გენიოსის ბიოგრაფიის ბევრი მომენტი არ ემთხვევა. უინს არავისთვის არასდროს უსვრია, ისიც არავის აუფეთქებია, თავად სტივი მწვანემაუდიან მაგიდასაც თითქმის არასდროს მისჯდომია. 40-იანი წლების მისივე სათაყვანებელი რომანტიკული გმირის, ბენჯამინ სიგალის მსგავსად, რომელიც შეპყრობილი იყო მანიაკური სურვილით – სამოთხედ ექცია პატარა კოვბოური დაბა, – სტივ უინი ცდილობს, დღევანდელი ლას-ვეგასი დედამიწის საუკეთესო ქალაქად აქციოს. ოღონდ, „იღბლიანი ბაგსისგან“ განსხვავებით (რომელმაც ააშენა ლას-ვეგასში პირველი ოტელი-კაზინო „ფლამინგო“, მაგრამ შემდეგ, ჩაუვარდა საქმე და მეგობარი მაფიოზების წყალობით, მალე გაემგზავრა იმქვეყნად), უინმა მოახერხა ინვესტორებისთვის თავისი გაბედული იდეების წყალობით, დიდი მოგება მოეტანა.

30 წლის წინ, ლას-ვეგასი ველური დასავლეთის ვიტრინას წარმოადგენდა, სადაც არ წყდებოდა სროლა, რომლის კაზინოებშიც დაუფარავად ატყუებდნენ ხალხს, ბარებში კი, ფალსიფიცირებული ვისკის მდინარეები მოედინებოდა. ქალაქი იხრჩობოდა სიმწვანის ნაკლებობისა და ნაგვის სიუხვისაგან. „მე გადავწყვიტე, ბოლო მომეღო ამ უმსგავსობისთვის და ზოგი რამ მოვახერხე კიდეც“, – მოკრძალებულად აცხადებს უინი.

პირველი მომცრო ოტელი-კაზინო „ფრონტიერი“ სტივმა 1967 წელს იყიდა. ცოტა ხანში, მას კრიმინალური საზოგადოებრიობის დელეგატები ესტუმრნენ. პირქუში სუბიექტების თხოვნაზე – ქალაქის საჭიროებისთვის, გარკვეული თანხა შეეწირა, – უინმა უარით უპასუხა, რის შედეგადაც მას ოტელიც წაართვეს და სამსახურიც. მადლობა ღმერთს, რომ სიცოცხლეც არ დაკარგა... საერთოდ, ფორტუნა მუდამ უღიმოდა სტივს. მან გაიცნო ბანკირი პერი ტომსონი, უცნაური კაცი, რომელიც თავისნაირ შერეკილებს ახალი კაზინოების ასაშენებელ ფულს აძლევდა სესხად. ტომსონი უინსაც დაეხმარა – მისმა იდეამ შთააგონა. ამ იდეის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ოტელის ნებისმიერი ბინადრისთვის არა მარტო იმის საშუალება მიეცათ, რომ განცხრომით ეცხოვრა აპარტამენტებში, ესიამოვნა მასში განთავსებული ხელოვნების ნიმუშების ცქერით, დასწრებოდა პოპულარული მსახიობების შოუს, არამედ ყველაფერ ამაში გაცილებით ნაკლები თანხა გადაეხადა, ვიდრე სხვაგან. ავიაბილეთისა და მდიდრული ოტელის იაფი საფასურის სანაცვლოდ, კლიენტს ოტელში განთავსებულ კაზინოში ერთი ფსონი მაინც უნდა დაედო. ამასთან, მინიმალურ ფსონად, უინმა სულ 10 ცენტი დააწესა. აზარტზე გაკეთებული ეს გათვლა ძალზედ ზუსტი აღმოჩნდა.

თუმცა, მას მხოლოდ აზარტით როდი წარუმართავს საქმე... უინმა იმ მაფიოზურ კლანებს შორის უვადო ზავს მიაღწია, რომლებმაც თავის დროზე შექმნეს ლას-ვეგასი და მას თავიანთ სამფლობელოდ მიიჩნევდნენ. „ერთადერთი, რამაც ამიერიდან აქ სიწყნარე შეიძლება დაარღვიოს, – ეს რულეტკის გარშემო მგორავი ბურთულის ხმაა“, – ასეთი პირობა წამოაყენა ბიზნესმენმა. „ნათლიებმა“ ეს პირობა მიიღეს და ფულიც კი გამოყვეს უინის პროექტის განსახორციელებლად.

დაბალი ფასებისა და უსაფრთხოების გარანტიების გარდა, უინმა კლიენტების მოსაზიდად ვარსკვლავების მიწვევის იდეა წამოაყენა. ამ გეგმის პირველი ნაბიჯი იყო ფრენკ სინატრასთვის 10 მლნ დოლარის გადახდა, რომლის სანაცვლოდ, მომღერალს ლას-ვეგასში 3 წლის მანძილზე კონცერტების გამართვა შესთავაზეს. ამას სხვა ნაბიჯებიც მოჰყვა: უინმა გადაწყვიტა, ოტელი-კაზინოები მუზეუმებად გადაექცია – ის მსოფლიოს უმსხვილესი კოლექციებიდან ჩამოტანილ ნაწარმოებთა გამოფენებს მართავდა. დიდ ხელოვნებასთან ქალაქის ჭეშმარიტი რომანი 1998 წელს დაიწყო – ე.ი. მაშინ, როდესაც სტივ უინმა სახვითი ხელოვნების გალარეა გახსნა ახალ ოტელ „ბელაჯიოში“, რომელიც მას 1,6 მლრდ დოლარი დაუჯდა. ამ გალერეას ფენომენალური წარმატება ჰქონდა: მასში მოსახვედრად და 12 დოლარად იმ კოლექციის სანახავად, რომელშიც პიკასოსა და რენუარის ნაწარმოებები იყო, ასობით ადამიანი გვიან ღამემდე იდგა რიგში.



სტენლი ხოს მიერ ჩაფიქრებული მასშტაბური პროექტების (სურათზე – ერთ-ერთი მათგანის მაკეტი) განხორციელება ახლა ლას-ვეგასელ მენეჯერებს მოუხდებათ

მაგრამ უინის ფანტაზია ამით არ ამოწურულა. ჯერ კიდევ მანამდე – ამ ხუთიოდე წლის წინ, მაგნატმა ლას-ვეგასში სუპერმუზეუმის მშენებლობა დაიწყო, რომელიც ცნობილი არქიტექტურული ძეგლების მაკეტებისაგან (თითქმის ნატურალური ზომის) შედგება; მათ შორისაა ეგვიპტური პირამიდები, თავისუფლების ქანდაკება, ეიფელის კოშკი და ა.შ. ამ მასშტაბური ატრაქციონის გვირგვინად, უზარმაზარი ტელეანძაა ჩაფიქრებული, რომლის შუქ-სიგნალი კოსმოსიდანაც კი უნდა ჩანდეს. სტივ უინის ამ დაუცხრომელი ნოვატორული მოღვაწეობის შედეგად, ლას-ვეგასი მსოფლიოს ერთ-ერთ, ყველაზე პოპულარულ ტურისტულ ცენტრად იქცა, რომელსაც ყოველწლიურად, 40 მლნ ტურისტი ჰყავს.

... მეწარმის დიდი ნიჭის გარდა, უინი უდავოდ გამოირჩევა კიდევ ერთი თვისებით, რომელსაც მისი ახალი „პატრონები“ – ჩინელებიც მიაქცევდნენ ყურადღებას: ბიზნესმენს პოლიტიკოსებთან კეთილი ურთიერთობის საუცხოო უნარიც ახასიათებს, თანაც – განურჩევლად იმისა, თუ რომელ მიმდინარეობას ეკუთვნიან ისინი. კლინტონის ხანგრძლივი ეპოქის დროს, ამა თუ იმ ანკეტის შევსებისას, სტივი მუდამ აღნიშნავდა, რომ „დემოკრატია“, თუმცა არც რესპუბლიკელებს ივიწყებდა. ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის დროს (მაშინ ორი პარტიის კანდიდატის შანსები პრაქტიკულად თანაბარი იყო), ლას-ვეგასელმა მაგნატმა ორივე კანდიდატის მხარდამჭერ მთავარ სპონსორებს შორის მეორე ადგილი დაიკავა. „სტივს შესწევს უნარი, ნებისმიერი ადამიანი აიყოლიოს თავისი იდეების განსახორციელებლად და ყველაფერს მიაღწიოს, რაც მას სჭირდება“, – ამბობენ ლას-ვეგასელი გენიოსის შესახებ მისი მეგობრები. დაამყარებს თუ არა კეთილ ურთიერთობას იგი ჩინელ კომუნისტებთან, რომლებმაც მოინდომეს, რომ ძველი მაკაო ახალ ლას-ვეგასად აქციონ, – ამას დრო გვიჩვენებს.

■

სხვა ქვეყნიდან ჩამოსულ მსახიობთა გამოსვლა
„მოკა“, „რობუსტა“, „არაბიკა“
მძიმე მშობიარობა
გადასაზიდ საშუალებათა ერთობლიობა
რადიოაქტიური აირი
ერთი ტონალობიდან მეორეზე გადასვლა
ამერიკელი კინომსახიობი ნ-ოვიდან
ოპერა „ტოსკა“ (პერსონაჟი)
ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარე მცირე წყალი
წიწვოვან მცენარეთა წვენი
ფრინველი – სიბრძნის სიმბოლო
საქსოვი ჩხირი
საერთო ევროპული ვალუტა
სასუნთქ სადაც ამზადებენ და ყიდნ პურს
თიკნის გამოყვანილი ტყავი
ბუნებრივ ფერადოვანი ქვა
ყაიმი
სტალონეს კინოგმირი
ისტორიის მფარველი მუზა
მირაჟის ნაირსახეობა „ფატა ...“
პატარა რესტორანი
სახელმწიფო აფრიკაში
ზრდილობიანი მიმართვა მმაკაცისადმი
იტალიელი ჟანდარმი
„რენოს მოდელი“
შვეიცარიული საათების ფირმა
„კარმენი“ (მწერალი)
მოგონილი საფრთხობელა ბავშვების დასაშინებ.
სახელმწიფო (სულთანატი) არაბეთის ნკ-ზე
ქართული ანბანის ასო
ვოლტერის ნამდვილი გვარი
კიკაბიძე
მამაკაცის სასიმღერო ხმა
რიცხვის 10^{-9} ნაწილი
მილანის საფეხბურთო კლუბი
უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი
რუსი ფერწერ.
ეუადგინა რამაზ ალანიამ



29-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-გ; 4-ბ.

კვირის (1 – 7 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

აუცილებელია, გამოიჩინოთ დიპლომატია კონკურენტებთან ურთიერთობისას, წინააღმდეგ შემთხვევაში, გეგმები შეიძლება ჩაგეფუშოთ. სასიამოვნო სიახლეებს კვირის შუა პერიოდისთვის შეიტყობთ, ოღონდ ქედმაღლობას ნუ გამოიჩენთ. არ გირჩევთ ექსპერიმენტებს სამოსთან დაკავშირებით – ჩვეული სამოსი უფრო იღბლიანი იქნება თქვენთვის.

კურო – 21/IV-21/V

კონტრასტული ემოციები ნებისმიერ ადამიანს დაებნევს, ამიტომ მშვიდად შეხვდით ყველაფერს, რაც ამ კვირაში გადაგხდებათ თავს და სასაცილო მდგომარეობაშიც არ აღმოჩნდებით. სამშაბათს მოერიდეთ ჭარბად კვებას – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას სიმაძღრე არ უხდება. შაბათს კი შეგიძლიათ სრულად აინაზღაუროთ ეს „დანაკლისი“.

მარგალიტი – 22/V-21/VI

როგორც კი საქმიანი წინადადებით მოგმართავენ, დათანხმდით: საქმე მაქსიმალურად სარფიანი და სასიკეთო იქნება. ოღონდ, კოლეგებთან ტრაბახს მოერიდეთ – თქვენ მიერ გახმაურებული ინფორმაცია არაადეკვატურ რეაქციას გამოიწვევს. კვირის ბოლოსთვის მაღაზიებს ეწვიეთ: დიდი ხნის ნანატრი ნივთების შესაძენად ხელსაყრელი დროა.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

საკმაოდ კარგი კვირა გელით მნიშვნელოვანი დოკუმენტების გაფორმებისა და ყოველგვარი რეგისტრაციისთვის. აი, სასიყვარულო ამბებით გატაცება კი დროებით გადადეთ: სასურველ შედეგს ვერ მიაღწევთ. ხუთშაბათს უფროსობასთან განსაკუთრებული თავშეკავება გმართებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ურთიერთობის გართულება გელით.

ლომი – 23/VII-23/VIII



თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი – თუმცა, შესაძლოა, თავიდან ამას ვერც მიხვდეთ. ფინანსური პრობლემები, რომელიც ორშაბათიდანვე შეგაწუხებთ, პარასკევისთვის საუცხოოდ გადაიჭრება. არავითარ შემთხვევაში არ მოჰკიდოთ ხელი უძრაობასთან დაკავშირებულ ოპერაციებს – ამის დრო ჯერ არ დამდგარა.

ქალწული – 24/VIII-23/IX

თუ თქვენს ყველა უსიამოვნებაში „დამნაშავეების“ ძებნას მიჰყავით ხელი, ე.ი. თქვენივე პრინციპებისა და შეხედულებების გადასინჯვის დრო დადგომიათ. ყველაფერი იცვლება და ეს ადამიანებსაც ეხება: დაიწყეთ ახალი ცხოვრება ორშაბათიდან!

სასწორი – 24/IX-23/X

თქვენი გეგმების ხორცშესხმის დროც მოახლოვდა. ნუ შეგეშინდებათ გაბედული ნაბიჯების გადადგმის – ყველაფერი ხომ თქვენი ხელით გაქვთ გაკეთებული. თქვენი პოპულარობა იზრდება, თქვენდამი საპირისპირო სქესის წარმომადგენლებიც მოგაპყრობენ ყურადღებას – ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძალების რწმენასა და სიმტკიცეს ასხივებთ.

დრიანკალი – 24/X-22/XI

ნუ უარყოფთ თითქოს შემთხვევით წინადადებას – მან შეიძლება დიდი წარმატება მოგიტანოთ. კვირის მეორე ნახევარში ბევრი სამუშაო გექნებათ, მაგრამ ამაში ხომ თქვენთვის არაფერია ახალი. პარასკევს ეცადეთ, დღე ისე გაატაროთ, რომ რაც შეიძლება ნაკლები ენერგია დახარჯოთ, შაბათს კი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

უეცრად თავს დამტყდარი სიყვარული უკანა პლანზე გადაწევს სამსახურსაც, მოვალეობის გრძნობასაც და ყოველდღიურ საზრუნავსაც. ფრთხილად იყავით – შეიძლება უმართავი პროცესის მსხვერპლი აღმოჩნდეთ, ამიტომ შეეცადეთ, კვირის ბოლოსთვის განმარტოდდეთ და შექმნილ გარემოებათა ავკარგი საფუძვლიანად აწონ-დაწონოთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

გული ნუ დაგწყდებათ, თუ ძველი გეგმები ჩაგეშალათ – ოთხშაბათისთვის ნათლად დაინახავთ, რომ ყველაფერი სასიკეთოდ ვითარდება, ხუთშაბათისთვის კი ორი საოცარი პროექტიც გამოგიჩნდებათ – და თუმცა ის საკმაოდ რეალური იქნება, საფუძვლიანი შრომა მაინც მოგიწევთ. კვირა დღეს შეიძლება ძალზე მნიშვნელოვანი შეხვედრა გქონდეთ, რომლის საბაბი, უბრალო გაუგებრობა იქნება.

მერწყული – 21/I-19/II

მთელი კვირა იმის სურვილი გიპყრობთ, რომ როგორმე თავი დააღწიოთ სამუშაოსა და ყოველგვარ პასუხისმგებლობას. მხოლოდ დისციპლინა და ორგანიზებულობა გიხსნით. თუ თავს ძალას დაატანთ, თავადაც კმაყოფილი დარჩებით. ძალიან ხელსაყრელ წინადადებას მიიღებთ.

თევზები – 20/II-20/III

ეს კვირა ხელსაყრელია საჩუქრებისა და ფასიანი ქაღალდების შესაძენად. ლირიკასა და პაემანზე ფიქრს თავი დაანებეთ. მთავარი მაინც ის არის, რომ არავის მისცეთ თქვენი ემოციებითა და გუნებაგანწყობით მანიპულირების საშუალება. არ შეეპუოთ სევდიან ფიქრებს – ამაში ძველი მეგობრები დაგეხმარებიან.

მხოლოდ გასვთხოვნილი ქალებისთვის

მზად ხართ თუ არა ოჯახის შესაქმნელად?

1) მიგაჩნიათ თუ არა, რომ სამსახური გათხოვების შემდეგაც უნდა შეინარჩუნოთ?

ა) პირველი შვილის გაჩენისთანავე სამუშაოს დაუბრუნდებით – 2;

ბ) სამსახურს თავს არავითარ შემთხვევაში არ დაანებებთ – 3;

გ) სამსახურს გათხოვებისთანავე მიატოვებთ – 1.

2) რამდენი შვილის გაჩენა გსურთ?

ა) ორის ან მეტის – 3;

ბ) მიგაჩნიათ, რომ შვილი ზედმეტი ტვირთია – 1;

გ) ამ საკითხს მეუღლესთან ერთად გადაწყვეტთ – 2.

3) როგორ მოიქცევით, თუ ქორწინებიდან მცირე ხანში შეამჩნევთ, რომ წვეულებაზე ყოფნისას თქვენი ქმარი სხვა ქალებს გადამეტებულ ყურადღებას აქცევს?

ა) ქმრის ჯინაზე სხვა მამაკაცს დაუწყებთ კეკლუცობას – 2;

ბ) იქვე მოუწყობთ საშინელ სკანდალს – 1;

გ) გეწყინებათ, მაგრამ არ შეიმჩნევთ – 3.

4) თქვენი აზრით, ხართ თუ არა ეჭვიანი?

ა) დიახ – 1;

ბ) ცოტათი – 2;

გ) მიგაჩნიათ, რომ ცოლქმრულ ურთიერთობაში მთავარი, ურთიერთნდობაა – 3.

5) როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა დათმოს კამათის დროს?

ა) თქვენ – 2;

ბ) მან – 1;

გ) ხან თქვენ და ხან იმან – 3.

6) შეგიძლიათ თუ არა გემრიელი კერძების მომზადება?

ა) ცოტაოდენი პრაქტიკა კიდევ გჭირდებათ – 1;

ბ) ზოგიერთი კერძი მართლაც შესანიშნავად გამოგდით – 2;

გ) სამზარეულოში ტრიალი ძალიან გიყვართ და ყველაფერი გეხერხებათ – 3.

7) შეგიძლიათ თუ არა ქმრისგან დაფარული საიდუმლო გქონდეთ?

ა) არა – 3;

ბ) მხოლოდ უმნიშვნელო – 2;

გ) არის ისეთი საკითხები, რაზეც ქმარს ვერ დაელაპარაკებით – 1.

8) როგორ შეხედავთ თქვენი მეუღლის ფეხბურთით უზომო გატაცებას?

ა) ეცდებით, დაავიწყოთ ეს გატაცება – 1;

ბ) ყურადღებას არ მიაქცევთ და როცა ის ფეხბურთის მატჩს უყურებს, მშვიდად გააკეთებთ საოჯახო საქმეს – 3;

გ) ეცდებით, თავადაც დაინტერესდეთ ფეხბურთით – 2.

9) როგორია თქვენი მშობლების ქორწინება?

ა) შესანიშნავი – 3;

ბ) ჩვეულებრივი – 2;

გ) ისინი გაყრილები არიან – 1.

10) მიგაჩნიათ თუ არა, რომ მამაკაცისთვის უპირველესი საქმე სამსახურია?

ა) დიახ – 2;

ბ) მისი სამუშაო საერთოდ არ გაინტერესებთ – 1;

გ) ცხოვრებაში კარიერა მთავარი არ არის – 3.

11) როგორ მოიქცევით, თუ თქვენ და თქვენს მეუღლეს მოდის მიმართ სხვადასხვა შეხედულება აღმოგაჩნდათ?

ა) დაუთმობთ და მის გემოვნებას მიენდობით – 3;

ბ) ეცდებით, იპოვოთ კომპრომისული ვარიანტი – 2;

გ) ყველა ღონეს იხმართ მისი გემოვნების შესაცვლელად – 1.

12) შეგიძლიათ თუ არა, აპატიოთ ქმარს ღალატი?

ა) დიახ – 3;

ბ) არასოდეს – 1;

გ) სიტუაციაზეა დამოკიდებული – 2.

დაანჯამეთ ქულები

12-18 ქულა: შესაძლოა, დროთა განმავლობაში, ცხოვრებისეული შეხედულებები მკვეთრად შეგეცვალოთ, ჯერჯერობით კი, სერიოზული დაფიქრება გმართებთ, თორემ თქვენი ქორწინება კონფლიქტებით იქნება სავსე, რადგან კომპრომისის მოძებნის უნარი საერთოდ არ გაგაჩნიათ. ეცადეთ, იყოთ უფრო მომთმენი და დროდადრო საყვარელ ადამიანს დაუთმოთ კიდეც--

19-29 ქულა: თუ გათხოვება გაქვთ გადაწყვეტილი, იცოდეთ, რომ ეს ცოტა ნაადრევია. თუმცა, შეიძლება თქვენი ქორწინება უღრუბლოც აღმოჩნდეს, რადგან საყვარელ ადამიანს კარგად უგებთ. ერთადერთი, რაც არ გყოფნით, — ეს ცხოვრებისეული გამოცდილება და საკუთარი თავის რწმენაა. თუ თქვენს ქცევას უფრო მეტად გააკონტროლებთ და რაიმე სასარგებლო პროფესიასაც დაეუფლებით, მაშინ თქვენს შესაძლებლობებში უფრო მეტად დარწმუნდებით და შესანიშნავი მეუღლეც იქნებით.

30-36 ქულა: ბედნიერია ის, ვისაც ცოლად გაჰყვებით. საოჯახო ცხოვრებაში კონფლიქტური სიტუაციის შექმნას არაფრით დაუშვებთ, თუმცა იმის უნარიც გაქვთ, რომ საკუთარი ინტერესები დაიცვათ და თავი მეორეხარისხოვან ადამიანად არ იგრძნოთ. ძალიან ჭკვიანი და პრაქტიკული ხართ და ამიტომაც, თქვენი საოჯახო ცხოვრება უმეტესწილად, უღრუბლო იქნება.

ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲔᲣᲚᲚᲔ ᲞᲝᲞ-ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡ



ტრადიციული აზროვნების თანახმად, მოდელი, მომღერალი ან სტრიპტიზიორი ქალი, სოლიდური თანამდებობის პირთან დაქორწინების შემდეგ, თავის პროფესიას ტოვებს და ცხოვრების სტილსაც რადიკალურად იცვლის. მაგრამ ამგვარი ჩარჩოებით თავი არ შეუზღუდავს ჩილელ ლამაზმანს — სესილია ბოლოკოს, რომელიც რამდენიმე წლის წინ „მის დედამიწად“ დაასახელეს, შარშან კი, არგენტინის ექსპრეზიდენტს, კარლოს მენემს გაჰყვა ცოლად. ეს ფოტოსურათი გადაღებულია ქალაქ ვინია-დელ-მაროში გამართულ სამუსიკო ფესტივალზე, რომელიც ლათინური ამერიკის შოუბიზნესის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება. როგორც ხედავთ, სესილია საკმაოდ პიკანტური სამოსით წარდგა ათასობით მაყურებლის წინაშე და არად დაგიდევდათ იმას, რომ ბევრი მათგანის თვალსაზრისით, ყოფილი პირველი ლედისთვის მთლად შესაფერის ამპლუაში არ იმყოფებოდა. ■

ᲡᲘᲧᲕᲐᲗᲘᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲤᲐᲪᲘᲡᲐᲪ ᲡᲭᲘᲗᲔᲑᲐ

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲮᲔᲚᲥᲕᲔᲘᲗᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲨᲔᲡᲐᲨᲣᲠᲘ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲐ: ᲐᲛᲘᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲣᲪᲝᲚᲨᲕᲘᲚᲝ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲔᲑᲡ ᲛᲘᲔᲪᲐᲗ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲧᲐᲖᲐᲠᲛᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲧᲕᲐᲜᲝᲜ. ᲐᲛ ᲡᲘᲐᲮᲚᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲔᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲯᲐᲠᲨᲘ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲯᲐᲜᲡᲐᲦᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲣᲠ ᲐᲮᲐᲚᲬᲕᲔᲣᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲢ ᲡᲢᲘᲛᲣᲚᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲡ. ᲘᲖᲝᲚᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲔᲑᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲪᲐᲗ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ, ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲝᲜ ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲔᲑᲘ. ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲙᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲧᲐᲖᲐᲠᲛᲐᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ, ᲒᲔᲠᲚᲤᲠᲔᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲧᲕᲐᲜᲐᲓ, ᲯᲐᲠᲨᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠ „ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲡ“ ᲛᲝᲐᲬᲧᲝᲑᲔᲜ. ■

ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲐ

ჩინეთის, ინდოეთისა და ზოგიერთი სხვა აზიური ქვეყნის მსგავსად, შობადობის შემცირებისკენ მიმართულ ზომებს თურქეთმაც მიმართა. განსხვავება ჩინეთთან, სადაც „ერთშვილიანობის“ პრინციპის დარღვევისთვის მთელ ოჯახს სჯიან, თურქეთში მხოლოდ მამაკაცებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა მოსახლეობის ჭარბი ზრდისთვის. ასეთი გადაწყვეტილებაა ჩადებული დამოუკიდებელი თურქი პარლამენტარის მაილ ბუიუკერმანის მიერ შემუშავებულ კანონპროექტში, რომლის თანახმად, მამაკაცს მხოლოდ ორი ბავშვის ჩასახვაში მონაწილეობის უფლება ეძლევა. ამის შემდეგ მას შესთავაზებენ ნებაყოფლობითი სტერილიზაციის გავლას ან მოსთხოვენ, რომელიმე სხვა საშუალებით დაიცვას ცოლი დაორსულებისაგან. მამაკაცი, რომელიც შემჩნეული იქნება ამ კანონის (ცხადია, მისი მიღების შემთხვევაში) დარღვევაში, თავად ამოირჩევს სამიდან ერთ სასჯელს: ერთწლიან პატიმრობას; 13.000-დოლარიან ჯარიმას ან იმავე სტერილიზაციას. ■

ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის — „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ქალბატონმა ირინა სარიშვილმა და ბატონმა ჯონდი ბაღათურიამ.

ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲘᲠᲘᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲯᲝᲜᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ!

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲙᲐᲛᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲑᲣᲠᲯᲘ

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ᲐᲛ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲑᲐᲡ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ. ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲝᲢᲝᲖᲔ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚ ᲡᲐᲮᲔᲡ ᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲠᲒᲔᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲝᲣᲮᲓᲔᲑᲐ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲤᲝᲢᲝ ᲘᲛ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲮᲛᲐᲡ ᲓᲐᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲡ.

ᲒᲗᲮᲝᲕᲗ, ᲨᲔᲐᲕᲡᲝᲗ ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲘᲒᲖᲐᲕᲜᲝᲗ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲒᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ. ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲩᲐᲐᲒᲓᲔᲗ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ (2 ᲐᲠᲘᲚᲘᲡ) 13 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.

„ფანტაზია“:
ერთი სკამის
ირგვლივ ორი
ადამიანი

ეს სანტექნიკოსის
საქმეა

„ფანტაზიორობს
მკითხველი“

-60
688/10

ლიცეული

ჯანმრთელობაა!